


სტუდენტ ხუცოხვილი



სტუდენტური
თხზობები



რედაქტორი პედაგოგიურ შეცნეერებათა დოქტ. მ. თაბორიძე

წიგნის ავტორს სურს, ახალგაზრდა მკითხველთან ერთად თვალი გადაეცნოს ქართული ლიტერატურის ერთ მონაკვეთს, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებოდან ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყარომდე. ამ მონაკვეთის შუაგულში დგას ილია ჭავჭავაძე, როგორც შემკვიდრე ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქისა და მესაძირკველ იმ იდეებისა, რაც შემდეგ ვაჟა-ფშაველას პოეზიაში გაიშალა.

ახალგაზრდობამ უკვე იცის როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის, ისე ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა შემოქმედება, მაგრამ ავტორის სურვილია მასთან ერთად კიდევ ერთხელ შევუდეს მხატვრული აზროვნების წიაღში და გაჰყუდოს იდეათა განვითარების იმ გზას, რომელზეც ბრწყინავენ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის უკვდავი შემოქმედნი.

რეკომენდებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეორე ეტაპის მენეჯერებს: ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატი ს. ყუბანიძე, ფილ. მეცნ. კანდიდატი ი. ბერაძე.

წინასიტყვაობა

„ლიტერატურული თბრობანი“ რამდენიმე ეტიუდისაგან შედგება, რომელთაგან პირველი ქართული ხელნაწი შემოქმედებს, ანუ ქართული ფოლკლორის ზოგიერთ თანისებურებას ესწავა, დანარჩენები კი მეცნიერებელთა საუკუნის ქართული ლიტერატურის რამდენიმე წარმომადგენელს შემოქმედებას ითვალისწინებს. პირველი მათგანი ნიკოლოზ ბარათაშვილია, მომდევნო — ილია ჭავჭავაძე, შემდეგ კი ვაჟა-ფშაველა.

ახალი ქართული ლიტერატურის ეს წარმომადგენლები, შეიძლება ითქვას, მთელი საუკუნის ლიტერატურულ ინტერესებს მოიცავენ, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში დაყვებულნი პრობლემები ეპოქალური მნიშვნელობისანი იყვნენ. პოეტმა მათზე ბევრი რამ თქვა. თავის მცირერიცხოვან, მაგრამ აზრებით, ფიქრებით და მსჯელობით მეტად დამუხტულ შემოქმედებაში. მთელი მისი პოეზია, შეიძლება ითქვას, „ქართლის ბედთან“ დაკავშირებული პოეტური მსჯელობანია. ნ. ბარათაშვილმა ერთგვარი ბიძგი მისცა ქართულ ლიტერატურას, ძირითადად კი იმ პრობლემის ირგვლივ მსჯელობას, რაც ესოდენ აქტუალური იყო მის დროს და რომელსაც შემდეგაც არ დაუჟარგავს სიცოცხლე. ქართველმა სამოციანელებმა — „თერგდალეულებმა“ უკვე დაყენებული საკითხი თავისი აზროვნებისა და პოეტური სიტყვის ყურადღების ცენტრში მოაქციეს. ნ. ბარათაშვილსა და ქართველ სამოციანელთა შორის მტკიცე კავშირი არსებობს, რაც გამოიხატება ერთი მთავარი საკითხის ირგვლივ თაობათა მიერ ყურადღების მეტად გამახვილებაში. ქართლის ბედი ქართულ მწერლობას უკარნახა ჩვენი ქვეყნისა და ერის მაშინდელმა ვითარებამ და ეს იყო მთავარი თემა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა, იგივე იყო სამოციანელთა საფიქრებელი, მასზევე ფიქრობდა ვაჟა-ფშაველაც. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის სამმა თაობამ გადამწყვეტი სიტყვა თქვა ქართველი ხალხის ეროვნულ ცხოვრებაზე.

რასაკვირველია, მხოლოდ ამ სამი მწერლის — ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველასა —

თაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას — შემოქმედებით არ ამოიწურება ეს კარდინალურად დაყენებული საკითხი. ქართული ლიტერატურის ეს თემა მრავალფეროვანია და ბევრმა მწერალმაც გულწრფელად მიუძღვნა თავისი საუკეთესო თხზულება სამშობლოს ბედს, მის წარსულს, აწმყოს და, განსაკუთრებით, მომავალს. XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას გასდევს ერთი მთავარი თემა — „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“, რასაც უკავშირდება სხვა ყველა აქტუალურად მნიშვნელოვანი პრობლემა. 50-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში, პარალელურად იმ საკითხისა, რასაც მიეძღვნა ნ. ბარათაშვილის პოეზია, გაჩნდა თემა ადამიანის პიროვნებისა და შრომის გათავისუფლებისა, ძმობისა, ერთობისა და თავისუფლებისა, რამაც დიდი გამოძახილი გამოიწვია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაში. ამ საკითხების დამუშავება XIX საუკუნეში თავს იღვა ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ — ნ. ბარათაშვილის პოეზიით დაწყებული, დამთავრებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით. ეს დიდი და სერიოზული ეტაპი იყო ქართველი ერის ისტორიული ცხოვრებისა და მისი უკუფენისა ქართული ლიტერატურის მეშვეობით.

5. ბარათაშვილი იყო ის პოეტი, რომელმაც სინამდვილის შიშართური ლიტერატურული მეთოდი, ორი მიდგომა შეაერთა თავის შემოქმედებაში, იგი ქართული რომანტიზმის უაღრესად მკაფიო გამომხატველია და ამასთან ერთად ფხიზელი, ნათელი ხილვის რეალისტიც. ნ. ბარათაშვილი, რომანტიკოსი, თავისი იდეალების შიხედვით წმინდა სამყაროს და თავისი აზრი ჰქონდა გამომუშავებული შოკლებებისა და საგანთა მიმართ, რაც გამომდინარეობდა მისი დაშოკილებულებიდან სამყაროსთან, დროსთან, ქვეყანასთან, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ი. ჭავჭავაძეს კი არსებული სინამდვილე წარმოესახებოდა ყველა კარგი და ცუდი მხარით, იგი ერთგულად გადმოსცემდა სინამდვილის დეტალებს, ფერებსა და შუქ-ჩრდილებს. ორივე კი ამ სამყაროში ტრიალებდა და იგი იყო მათი შემოქმედების წყარო და საფუძველი.

ორივე მწერალს ამაღლებული იდეალები ამოქმედებდა, ისინი თავისუფლებას უმღეროდნენ, ერთი პიროვნებისა, მეორე — საზოგადოებისა, ერისა, ორივეს ისეთ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და შემოქმედება, როცა ან გამგები არ იყო მაღალი აზრისა, ან სურვილისა და მისწრაფების ახდილად გამოთქმა აკრძალული იყო, შავრამ,

ორივემ მაინც ამომწურავად გამოთქვა აზრი ადამიანის, მოქალაქის დანიშნულებასა და მოღვაწეობაზე.

მრავალი ბრწყინვალე მიღწევა ლიტერატურაში რეალიზმის საკუთრებაა. სინამდვილის ობიექტური ქერეცა შესაძლებელს ხდის გაცალცალკეებული მოვლენების განზოგადებისა. რეალიზმმა თავისი შესანიშნავი წარმომადგენლების შემოქმედებით განავითარა ეს შესაძლებლობა. ფრიდრიჰ ენგელსმა საინტერესოდ გამოხატა რეალიზმის აზრი მარგარეტ ჰარკნესთან გაგზავნილ წერილში. მისი აზრით რეალიზმი გულისხმობს მხატვრულ ნაწარმოებში, გარდა დეტალების სინამდვილით აღწერისა, ტიპიურ მოვლენათა შორის ტიპიური ხასიათის დახატვას. ქემშარიტი რეალიზმი ყოველთვის ადამიანურია, რადგანაც შეესაბამება ადამიანის მისწრაფებას დაინახოს მოვლენათა და ნივთ-საგანთა ობიექტური ვითარება მისგან დასკვნების გამოტახის მიზნით. რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო მტკიცედ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, — წერდა ვაჟაფშაველა. იგი მსჯელობდა, აგრეთვე, ეროვნული ნიადაგის ძიებებ-ლობაზე მხატვრული ნაწარმოებისათვის, რომ ყოველი ნაწარმოები ჟნდა დაეყრდნოს ამა თუ იმ ერის ცხოვრების რაღაც მოვლენას, რაღაც საკითხს, რაც ნიჭიერი მწერლის შემოქმედებით სახელოსნოში საკაცობრიო მნიშვნელობას იღებს და გასაგები ხდება ყველასათვის, რომელი ეროვნების წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი. ხიჭიერ მწერალს დიდად უნდა უყვარდეს ადამიანი, მისი ბედნიერების მოწადინე უნდა იყოს. ასეთად წარმოუდგებოდა ვაჟა-ფშაველას ხიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც ძლიერ უყვარდა სინამდვილე და მის გარდაქმნას, მის გადასწავლურებას, მის გაადამიანურებას ესწრაფოდა.

მწერალს უნდა ჰქონდეს უნარი სხვასაც აგრძნობინოს და განაცდევინოს ის, რასაც თვით გრძნობს და განიცდის. ამას კი ისეთი მწერალი მოახერხებს, რომლის ძარღვებშიც ძლიერად ჩქეფს ეროვნული სისხლი, რადგან ეს არის უმთავრესი ფესვი მწერლის შემოქმედებისა.

ნიჭიერი მწერლის ნაწარმოებთან უწყვეტი ურთიერთობა ძყარდება. არ ძველდებიან ნ. ბარათაშვილის ლექსები, რომლებიც სულ სხვა დროს და სულ სხვა განწყობილებითაა დაწერილი, ჩვენგან ძლიერ დაშორებულ წლებში, ყოველი მათი წაკითხვა რაღაც ახალი აზრით, ახალი ხმოვანებით თუ ძღერადობით მოდის ჩვენამდე. შეუძლებელია მკითხველს მოსწყინდეს ი. ჰავჭავაძის „აჩრდილის“, ან „განდგეილის“, ან კიდევ „ოთარაანთ ქვრივის“ წაკითხვა. ძიუხნედავად იმისა, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შორეული წარსულის ხაშთებია

და ამ-ს მიუხედავადაც, რომ ამ ადამიანებში ცხოველური საწყისი უფრო ძლიერია. ვიდრე კაცური, მაინც ყოველთვის გვიზიდავს და გვოცნებებს კვლევ ის პირდაპირობა და სიცოცხლისუნარიანობა. რაც მწერალს მიუღწევია ამ „პატიოსანი“ მეუღლეებისათვის. როცა კაცს სველა შემოაწვება, ამა მაშინ მიმართოს ვაჟა-ფშაველას ლირიკის თუ ეპოსს, მაშინ წარმოიდგინოს პოეტისაგან შექმნილი უკვდავი სახეები და ხასიათები „სტუმარ-ჩასპინძლისა“, „ალღუა ქეთელაურისა“ და „ბაკურისა“. ან ერთადერთი და განუმეორებელი ალაზა და, ვინ იცის მერამდუნედ, ვაჟა-ფშაველა არა თუ დარღს და ქმენვას გაფანტავს. არამედ ვაჟაკურ სულსაც ჩაგიდგამს და გათქმევიწებს:

„ის ვაჟაკი ნაალღარს,
რქით მიწას ვიხვერ, ებუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,—
მძანარც ამას ეღუღუნებ,
საწყალთ საწყლობა რომ მესმის,
იმათ მაგიერად ვწუწუნებ.
ხანჯახან ვინი ამიღებს,
სიძღვრას დავაგუგუნებ“.

ეს წიგნი ქართული ლიტერატურის ისტორია არ არის, იგი ლიტერატურული თხრობაა ქართული მწერლობის რამდენიმე წარმომადგენლის შესახებ, თანაც, ერთ ისტორიულ მონაკვეთში მცხოვრებ და შემოქმედ ადამიანებზე.

ერთგული ლიტერატურა მემატიაწე უნდა იყოს ადამიანებისა, რომელთა კრებადობა შეადგენს ერს. ლიტერატურამ უნდა ასახოს ერის ცხოვრება, მისი წარსული და თანამედროვეობა, ყოფა და ვითარება, მისი სული და არსება, მისი მთა და ველი, წყალი და მიწა, რასაკვირველია, ძირითადი და მთავარია ადამიანი, მისი გარემოთა, მისი შეგნებით, მიზნებითა და სურვილებით. ადამიანთა კრება ზომსაზოგადოებაა. ამიტომ, ლიტერატურა, რომელიც ადამიანს სწავლობს, ადამიანი გამოჰყავს მთავარ მოქმედ პირად, სწავლობს ადამიანთა საზოგადოებას, მის შეგნებას, იდეალებს, მიზანს, საზოგადოების კეთილსა და ავს, დღესა და ღამეს. ლიტერატურა მემატიაწეა ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებისა, ამასთან ერთად, სარკვევია, რომელიც მასში ჩამხედს დაანახვებს ცხოვრების ამბებს, მოვლენებს. ლიტერატურა შექუერაცაა, რომელიც ჯანლიან ამინდში გზის მაჩვენებელია ნავისა და მენავესათვის.

რადგან ლიტერატურა ბევრ რამეს იტევს, რადგან მას სიტყვის მეშვეობით შეუძლია ერთი თაობიდან მეორე თაობაში გადაიტახოს

ადამიანთა სახეები, მათი სურვილები, მისწრაფებები, ზნეობა და ყოველგვარი განცდა, ამიტომ მას შეუძლია აღზარდოს მკითხველი, მისცეს მას ბევრი, ძლიერ ბევრი ცოდნა, განუმტკიცოს ცხოვრებისეული გამოცდილება, გაწვრთნას და გაზარდოს ადამიანი.

ერთი საუკეთესო თვისება ლიტერატურისა იაიყ არის, რომ ადამიანის გონების გასაწვრთნელად იგი იყენებს ანაბეზოლოდ შშეხიერს, ამალეხულს, წმინდას და განსპეტაკებულს, არამედ, ამის თანაბრად მას შეუძლია მიმართოს უარყოფითს, ამღვრელს, განუსკელს მოვლენებს, ხასიათებს, განწყობილებასაც. ლიტერატურამ კარგად იცის, რომ სინამდვილე არ არის სქემა, ცალმხრივობა, სწორხაზობრივობა. სინამდვილე არის წინააღმდეგობათა ერთიანობა, რომ სინამდვილეში არსებობენ მწვერვალებიც და ჭაობიც, სიკეთეც და ბოროტებაც, დღეცა და ღამეც. შესანიშნავად თქვა ი. ჭავჭავაძემ: „ლიტერატურა არ უნდა მოერიდოს ცხოვრების ძირიდან, მარგალიტებთან ერთად, ლაფისა და ჭუჭყის ამოტანასო“. თვით ი. ჭავჭავაძე იყო შესანიშნავი მაგალითის მიმცემი, ადამიანისა და ქვეყნის ამაღლებულ გრძნობებსა და სურვილებთან ერთად, იგი ხატავდა ცხოვრების სიშინელებაც. თუ ერთი მხრივ მას გამოჰყავდა მცონარა, უსაქმური, სხვისი ნამოქმედარის მიმთვისებელი, მეორე მხრივ იგი ხატავდა ისეთ მაღალ ადამიანურ სახეს, როგორც იყო ოთარაანთ ქვრივი. ცხოვრებაში ისეც ხდება და ისეც, შრომისმოყვარე და თავდადებული ადამიანებიც არიან და არიან სხვისი შრომისა და ხელის შემყურენიც. ცხოვრება არ არის სქემაზე აგებული რამ. ამიტომ, ლიტერატურა არ შეიძლება ცალმხრივი, იგი ცხოვრების სურათი უნდა იყოს, ოღონდ გონების ბრძმელში გამოყვანილი. ლიტერატურის მოვალეობაა ადამიანს ასწავლოს სულის ამალეხვა, ასწავლოს ადამიანურობა, კაცობა, მოქალაქეობა, მან მკითხველს უნდა ჩაუხერგოს მისწრაფება საუკეთესო სურვილებისაკენ, რომელნიც გასზოვოსნებული არიან კაცთა სიყვარულით, სამშობლოსათვის თავისდადებით და ზალხთა პატივისცემის გრძნობით.

მაშ, ლიტერატურა მაღალ და საუკეთესო თვისებებს ზრდის ადამიანში, რისთვისაც იგი იყენებს ბრწყინვალე, ამალეხულ გაცხდუნასაც. და ვიწრო, ეგოისტურ ზრახვათა გამოვლინებასაც. მკითხველის სულის გასაწვრთნელად ერთის ჩვენებაც აუცილებელია და მეორისაც. ადამიანს ზრდის სიკეთეც და ბოროტის დათრგუნვის გზა და საშუალებაც.

ეროვნული სიბრძნე

„ერთ შვილი მაინც გაგზარდე,
ვეფხვებთან შემოხარია...“

„მოყმისა და ვეფხვის ამბავი“

ივანე ჯავახიშვილი ქართული ლექსიკონის შედგენასთან დაკავშირებით წერდა: „თანამედროვე კაცობრიობა იმდენად დაკავშირებულია სიტყვასთან, რომ ყოველგვარი იღუპალი ზრახვაც კი, ჩვენდა უნებლიეთ, მაინც უტყვე-სიტყვიერად წარმოებს ხოლმე“.¹

მართლაც, როცა ადამიანი არ მეტყველებს, სიტყვას არ წარმოთქვამს, დუმს, მაშინაც კი მისი ფიქრი და ოცნება „სიტყვიერად“ წარმოისახება; როცა იგი რაიმეს ნატრობს და თავის ფიქრში წარმოიდგენს რამეს, სასურველად დასანახავს, მაშინაც, მეტყველების, ლაპარაკის გარეშე, „სიტყვიერად“ ხდება წარმოსახვა საგნებისა თუ სხვადასხვა მოვლენებისა.

ვიდრე ის ლიტერატურა გაჩნდებოდა, რომელიც ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა მაგარ მასალაზე გადაიტანეს სიტყვათა შემწეობით, მანამდეც ფიქრობდა და ოცნებობდა ადამიანი მისთვის საჭირო საგნებზე, ყოველდღიური ცხოვრების მოვლენებზე; იგონებდა თავის წარსულსაც, უახლოეს თუ შორეულ წინაპრებს, აკვირდებოდა ბუნების მოვლენებს, რომელთაგან უმეტესობა მისთვის გაუგებარი იყო. ყოველ დღე დილით მზის ამოსვლას, ღლის დადგომას ზედებოდა და ყოველ საღამოს ამ მზეს საღდაც ისტუმრებდა, დგებოდა ან ეკუხეთი სიბნელე, ან ღამის ცა მთვარით ნათდებოდა, თუმცა მთვარეს არც ისეთი სითბო ჰქონდა და არც ისეთი ბრწყინვალეობა, როგორც მზეს. ადამიანი ბუნებაში ცხოვრობდა და ბუნების კანონებს უნდა შეჰყუებოდა. გაზაფხულზე უნდა დაეწყო მიწის დამუშავება, რომ ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დაწყებისას მოსავალი აეღო, რომლი-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956 წ., გვ. 156.

თაც თავიც და თავის ირგვლივ მყოფნიც უნდა გამოეყვება შეორე მოსავლის აღებამდე.

რამდენი საზრუნველი და საფიქრებელი ჰქონდა ადამიანს, რომელიც მხოლოდ გარჯა-შრომაზე იყო დამყარებული, რომელსაც არ გააჩნდა რაიმე იარაღი მიწის დასამუშავებლად და ჭერ არ იცოდა დაამხარე ძალის გამოყენება.

ვინ იცის, რამდენმა ათასმა საუკუნემ განვლო, ვიდრე ადამიანობორბალს მოიგონებდა და გააკეთებდა.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ადამიანს ათასი ფიქრი და აზრი უჩნდებოდა, რაც, რასაკვირველია, დაკავშირებული იქნებოდა მისი ცხოვრების პირობებთან.

ახლა დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე წააწყდებიან ხოლმე კლდეზე ამოკვეთილ სურათებს, რომელთაც პეტროგლიფები ეწოდებათ. ეს კლდეზე ამოკვეთილი სურათები ძლიერ დიდი ხნის წინათ შეუქმნიათ ადამიანებს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასეულ წლების წინ, ე. წ. ქვის ეპოქაში, ე. ი. მაშინ, როცა ადამიანმა ქვა გამოიყენა სამეურნეო იარაღად. ასეთი პეტროგლიფი საქართველოს ტერიტორიაზეც არის ნაპოვნი, მღვიმევის გამოქვაბულში (მღვიმევი დასავლეთ საქართველოშია, ჰიათურასთან ახლოს). პეტროგლიფები, უმთავრესად, გამოხატავენ გარეულ ცხოველებს, ფრინველებს, თევზებს. ნაპოვნი ნადირობის გამომსახველი პეტროგლიფი, სხვადასხვა შინაური ცხოველების, ხანაც ჯოვის, ან უღელში შებმული ცხოველის, მასზე ამხედრებული ადამიანისა, მიწის დამუშავების სცენებოთოხის მაგვარი იარაღით და სხვ. (ნავი, მენავეები, სახლები და სოფლები, ბარგით დატვირთული ცხოველთა ქარავანი, მტრის თავდასხმანი...).

ამრიგად, ადამიანი პეტროგლიფებით გამოხატავდა თავისი ცხოვრებისა და ყოფის პირობებსა და საშუალებებს, თავის სამეურნეო საქმიანობას, დამოკიდებულებას გარემოსთან. ახლანდელი გამოთქმა რომ ვინმე ართ, ასე აღიქმებოდა ძველი ადამიანის გონებაში სინამდვილე ანუ რეალობა.

დიდი დროის განმავლობაში, მეურნეობის გართულებისა და გაუმჯობესების საფუძველზე, თავისი დამოკიდებულება ადამიანმა თანდათან დახვეწა და გააუმჯობესა. სინამდვილიდან აღებულ შოვლებებს, შემთხვევებს და ადამიანთა ურთიერთობებს უფრო გართულებულად წარმოიდგენდა, შეალამაზებდა, ერთმანეთს ამსგავსებდა, გამოხატვის ფორმებსაც ართულებდა და ამხატვრულებდა. ცეცხლის თაყვანისცე-

მამ, სხვადასხვა სტიქიურ მოვლენათა მიმართ დაშოკდებულებამ ადამიანს სხვადასხვა წესების შესრულება მოსთხოვა, ვაჩნდა ე. წ. რიტუალური ტექსტები, რომლებიც ან იმღერებოდა, ან მიმართვის სახით წარმოითქმოდა.

და როცა სიმღერაში სიტყვა ჩაერთო, ამან მოითხოვა გარკვეული ზომებისა და რიტმის დაცვა.

კიდრე დაძწერლობა შეიქმნებოდა, ვიდრე ანბანი გაჩნდებოდა, მანამდეც ხომ იგონებდა ადამიანი ზღაპრებს, თქმულებებს, ბუნების მოვლენების გამომხატველ ამბებს. ეს გამონავონი ამბები ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემოდა, მეორე თაობა რაღაცას მიუჭატებდა ან ღააკლებდა უფროსთაგან გაგონილს, თავისი შეხედულებების გამომხატველ დეტალებსაც დაურთავდა და ასე გადასცემდა შემდეგ თაობებს.

ის, რასაც დღეს ლიტერატურას ვეძახით, ქართული ლიტერატურაც, თავის დასაწყისს იღებს ზეპირსიტყვიერებაში. სწორედ ამ ზეპირსიტყვიერებით იწყება მხატვრული შემოქმედება. ყველა ხალხს, რომელსაც თავისი ეროვნული ლიტერატურა შეუქმნია, მათ შორის ქართველ ხალხსაც, რომლის ლიტერატურა უნაოვარი დროიდაც იწყება, პოეტური შემოქმედება დაწყებული აქვს ზეპირსიტყვიერებით ანუ ფოლკლორით.

კაცობრიობის ისტორიასთან შედარებით დაძწერლობის ისტორია უფრო მოკლეა. საქართველოში ქართველი ხალხი დიდი ხანია ცხოვრობს, არქეოლოგიური გათხრები და მონაპოვარი ასაბუთებს, რომ ჩვენს წინაპრებს ამ მიწაზე დიდი ხნის განმავლობაში უმუშავიათ. ქართული ანბანის შემოღებას კი მიაწერენ ფარნაეაზის მეფობის დროს, ე. ი. ჩვენს ვერამდე III საუკუნეს. თუ ასეა, მაშ ქართული დაძწერლობა დაახლოებით ორიათას სამასი წლისაა. ის დრო, რაც ქართული დაძწერლობის შემოღებამდე გავიდა, ბევრად მეტია. მაშინ, იმ უხსოვარ დროშიც ხომ ჰქონდა ქართველ ადამიანს სურვილი, რამე გამოეგონებინა, რაიმეთი გამოეხატა თავისი შეხედულება სიცოცხლესა და სიკვდილზე, მზესა, მთვარე—ვარსკვლავებზე, გვალვასა და სეტყვა-ქარიშხალზე, ლექსად ეთქვა რამე თავის ყოველდღიურ ყოფასა და ცხოვრებაზე, შრომასა და სიყვარულზე. იმ ქართველს, რომელიც დაძწერლობის შემოღებამდის ცხოვრობდა, ჰქონდა მხატვრული შემოქმედება, იგონებდა ლექსებს, გააჩნდა თავისი შეხედულებები სიცოცხლეზე, ბუნების მოვლენებზე, ჰქონდა გადმოცემები, ზღაპრები, რაც შეადგენდა დაძწერლობამდე მხატვრულ აზროვნებას — ხალ-

ხურ შემოქმედებას, ზეპირსიტყვიერებას. მასში ასახული იყო იმ ალა-
მიანის საზოგადოებრივი ცხოვრებაც, აზროვნებაც, რწმენაც, ყოველი
მისი გამოცდილება და ცოდნა.

ქართული ხალხის ცხოვრების გრძელ ვზაზე, როცა უკვე ოპ-
შერლობა გაჩნდა და ისე განვითარდა, რომ წიგნებიც დაწერა
ქართულად, ზეპირსიტყვიერებასა და მწერლობით ლიტერატურას
კავშირი არ გაუწყვეტიათ, მათ შორის ცოცხალი ურთიერთობა და-
ყარდა. ხალხური შემოქმედებიდან ბევრი თემა გადავიდა მწერლობა-
ში, ხოლო მწერლობამ იმოქმედა ზეპირსიტყვიერებაზე, ბევრი მწერ-
ლის ნაწარმოებმა ხალხური შემოქმედების მიღწევები ასახა.

ხალხურ შემოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის
წარსულის შესწავლის საქმეში. გარდა იმისა, რომ თავისთავად ხალ-
ხური პოეტური შემოქმედება გვაძინობს ჩვენ წინაპართა მხატვრუ-
ლი აზროვნების შესაძლებლობასა და ინტერესებს, იგი ბევრ საინტე-
რესო ისტორიულ ცნობასაც შეიცავს.

ქართული ხალხური შემოქმედების მასალების შეკრებას და
ყურადღებას აქცევდნენ ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებ-
რივი ცხოვრების დიდი მესვეურნი და წარმომადგენელნი. მასალის
შეკრებასთან ერთად მათს პუბლიცისტიკასაც ახდენდნენ, წიგნებად ბე-
დავდნენ მოპოვებულ ნიმუშებს, ან იწერდნენ და ეურნალ-გაზეთი-
რედაქციებს, ან კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებს უკ-
ზავდნენ. განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაცე-
ველდა ყურადღება ხალხური სიტყვიერების მასალათა მიმართ.

მნიშვნელოვანია ზრუნვა ილია ჭავჭავაძისა ქართული ხალხური
სიტყვიერებისა და სობრძის შეკრება-გამოქვეყნების საქმეში. ასევე
სეროიხულ ყურადღებას აქცევდა ამ შემოქმედებას აკაკი წერეთელი,
რომელმაც სპეციალური ეურნალიც კი დააარსა მის გამოსაქვეყნებ-
ლად (ეურნალს ერქვა „აკაკის თვიური კრებული“ და გამოდიოდა
1897 — 1900 წლებში). მასალების შეკრებას აწარმოებდა იაკობ გო-
გებაშვილი (რომელსაც თავის სახელმძღვანელოებში „შეჭონდა იგი“),
რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ყაზბეგი, პეტრე უშაკაშვილი, ვაჟა-
ფშაველა, ალექსანდრე ხაჩანაშვილი, თედო რაზიკაშვილი და მრავალი
სხვა. დიდი მუშაობა ხალხური სიტყვიერების მასალის შეკრებაში
წარმოებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ და სა-
ისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებებში.

მათი შეკრებილი მასალა შემდეგ გამოიყენეს და თითონაც მოწყო-
ბილი ექსპედიციების საშუალებით დააგროვეს მომდევნო დროის

შკვლევარებმა (ფილიპე გოგიჩაიშვილმა, აკაკი შანიძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა...) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორულმა განყოფილებამ, ხალხური შემოქმედების კაბინეტმა და სხვა პირებმა და ორგანიზაციებმა.

ფოლკლორული მასალის შეგროვება კვლავ გრძელდება. ასეთი მასალის წყარო დაუღვეველია, რადგან ქართული ხალხური შემოქმედება ახლაც ცოცხლობს და მოქმედებს. მრავალი ახალი ნიმუში ემატება ყოველწლიურად არსებულ ფონდებს, რაც საშუალებას იძლევა ძველი და ახალი ჩანაწერის შედარებისა და დაპირისპირებისა.

კაცობრიობას, და ქართველ ხალხსაც არსებობისათვის შრომა და ბრძოლა ესაჭიროებოდა. შრომასა და ბრძოლასთან დაკავშირებული პოეზიაც დიდი ხნის წინათ უნდა იყოს შექმნილი. ეს პოეზიაც მაჩვენებელია ჩვენი ხალხის უძველესი მდგომარეობისა, ხალხის ცხოვრების განვითარებისა და გამრავალფეროვანებისა. ამასთან ერთად იზრდებოდა და სხვანაირი ხდებოდა შრომასთან დაკავშირებული ხალხური შემოქმედებაც. ყოველნაირი საქმიანობისათვის შესაფერისი სასიმღერო ხმა და ლექსი იქმნებოდა. ეს ის ლექსებია, რომელთაც შრომა ჰქმნიდა, რომლებშიც შრომის პროცესის დაშახასიათებელი ხმები და თქმები ისმოდა. იმის მიხედვით, თუ რას აკეთებდა ქართველი ადამიანი თავისი მეურნეობის პატრონობისას და წარმართვისას, არსებობდა მისი შესაფერისი სასიმღერო ლექსიც, შრომის პოეზიის ესა თუ ის სახე.

ქართველი ხალხის ძირითადი საარსებო წყარო მიწის დამუშავება—ხვნა, თესვა იყო, შემდეგ მოსავლის აღება-დაბინავება. ამიტომაც, რომ გუთნით ხვნის დროს ერთი ტექსტი იყო სასიმღეროდ გამოყენებული, მკის დროს — მეორე, ლეწვისას — მესამე და ა. შ. ხვნა-თესვათან დაკავშირებულ ხალხურ სიმღერებს „გუთნური“ ეწოდებოდა. რადგან საქართველო ძველთაგანვე მიწათმოქმედთა ქვეყანა იყო, ცხადია, გუთანი ყველგან იხმარებოდა და ის ლექს-სიმღერებიც გუთნურის საკუთრებაა. გუთნით ხვნაში რამდენიმე დეტალს შეერთებული მოქმედება არის: ადამიანები, რომლებიც წარმართავენ ამ კონკრეტული შრომის პროცესს, გამწვევი ძალა, ხარ-კამეჩი, რომელიც ადამიანისაგან გააზრებულია როგორც მეგობარ-ამხანაგი და უღალატო დამხმარე, სახნავი მოწყობილობა და საჭენელი მიწა. ამიტომაც, რომ შრომის ამ პროცესთან დაკავშირებით ლექს-სიმღერებში ყველა ამ ელემენტზეა გამაზვილებული ყურადღება: გუთნისდღეა, რომე-

ლიც წარმართავს მიწის ხენას, მეხრეები, რომლებიც წარ-კაშეჩის მიმმართველნი არიან, გამწვევი ძალა, რომელიც კვალს მიჰყვება მეხრეების მეშვეობით და ეწევა ჭაპანს, ანუ გრძელ, დაწნული ტყავის თოკს, რომელზეც მიმაგრებულია რამდენიმე უღელი გაშწვევი ძალისა. ამიტომ გუთნურში იყო ლექს-სიმღერები გუთნისდებდაზე, მეხრეებზე, ხარსა და კამეჩზე, გუთანსა და მის ნაწილებზე, მიწის წიაღის ხასიათზე და სხვ.

შრომის პოეზიას განეკუთვნება „ნადური“ ლექს-სიმღერები. „ნადი“ იგივეა, რაც „მამითადი“ ან „რიგა-რიგა“. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს სიტყვას „ნადი“ და გვამცნობს: ნადი არისო „მუშაკნი შეყრილნი“. მუშები კი შეიყრებოდნენ, ანუ შეერთდებოდნენ რაიმე გადაუდებელი სამუშაოს შესასრულებლად. ეს იყო კოლექტიური შრომა ერთურთის დახმარების მიზნით, რათა ცალკე პიროვნებას გაადვილებოდა გადაუდებელი შრომის პროცესის შესრულება. კარგი ნიმუში ასეთი კოლექტიური შრომისა არის ის ხალხური ნაწარმოები, რომელიც ი. გოგებაშვილმა შეიტანა თავის „დედაენაში“. ეს არის „საბრალო დედაბრისასა“, სადაც მარტოხელა დედაბერს ეხმარებიან ცხოველები: თავგნი ყანასა მკიან, ლომები ულოს (თავთავის კონის შესაკრავს) გრებენ, ვეფხვები ხელეურებს ჰკრავენ, დევები ურემში შებმულან და ირმები ძნას ყრიან ურმიდან, შვლები ქვერებში არიან შებმულნი, ტახები გასალეწს აბრუნებენ, ძელები კუდებით ჰგვიან, დათვები ტომრებს ეზიდებიან და ხორბალს ორმოში ჰყრიან, მგლებს წისქვილში მიაქვთ საფქვავი, შაშვი ფქვილს ღცრის, გნოლი ცოშა ჰხელს, კაშკაქები ცოშს აგუნდავებენ, მტრედები ლავაშს აკრავენ თონეში და ასე, სხვადასხვა ფრინველ-ცხოველი სხვადასხვა საქმეს აკეთებს, ბოლოს კი „ერთად სმენ, ჭამენ, ლხიხობენ, ჰარალეს დასძახიან“.

შრომის დამახასიათებელი ლექს-სიმღერები, რომელთაც ყახის მკის დროს მღეროდნენ, შედიოდა სამკლის სიმღერებშიც: ნამგლის ლესვისა, კალოზე ლეწვისა — კალოსპირული. გავრცელებული იყო ბალახის თიბვის შრომის სიმღერები, ვახის დაშუშავების, ურძული, წყლის მოტანისა, მეტიუური და სხვ.

შრომის პროცესის ყოველ სახეს შესაფერისი ტაქტი ჰქონდა გამოყენებული შრომის ამა თუ იმ სახის შესაფერისი ელერადობით. შრომის სხვადასხვა სახეობის აღსრულებისას სხვადასხვა ტემპი აიღებოდა და სიმღერაც მისი შესაფერისი უნდა ყოფილიყო. „ურძული“, რასაკვირველია, ტემპით განსხვავდებოდა „მთიბლურისაგან“ და ა. შ. ჩვენს წინაპარს ბევრი საფიქრებელი და სავალალო ჰქონდა. იგი

უნდა გარკვეულიყო იმ რთულ ვითარებაში, რასაც სამყარო და გარემო უქმნიდა მას. ძველ ადამიანს უნდა სცოდნოდა თავისი წარმოშობის ისტორია, ისიც, თუ როგორ უმკლავდებოდნენ ბუნების მოვლენებს ადამიანები, რა შეხედულებები და წარმოდგენები ჰქონდათ შემუშავებული სხვადასხვა მოვლენების მიმართ. მეურნეობის განვითარებამ იგი აიძულა ეფიქრა მზესა და წვიმაზე. თოვლის აღებასა და საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებაზე, საქონლის გამოკვებასა და საძოვრებზე, წლის დროთა დადგომასა და გასვლაზე. ერთი სიტყვით, ბევრი ჰქონდა საფიქრებელი. უნდა გაეთვალისწინებინა ბუნების ძალები, მიეცა მათთვის თავისებური ახსნა. იგი მათ შედეგს ხედავდა. თუ გვალვა იდგა, მაშინ საჭირო იყო წვიმის გამოთხოვა იმ ძალისაგან, რომელსაც შეეძლო წვიმის მოყვანა, თუ დიდხანს გაგრძელდებოდა ავდრიანი ამინდი და ხელს შეუშლიდა სამუშაოს წარმუშაში, უნდა გამოდარება ეთხოვნა იმავე ძალისათვის. იგი ხომ თავიდანსა სცემდა მზესა და მთვარეს, ელვა-ქუხილსა და სეტყვას. ზოგისა ეშინოდა, ზოგის მადლიერი იყო. ამიტომ მისი დამოკიდებულება მისთვის გამოუცნობი ბუნების მოვლენებთან სხვადასხვანაირია. ზოგს აქებდა და ადიდებდა, ზოგის ეშინოდა და უნდოდა მისი მოქმედება შეერბილებინა, წყალობის თვალთ გადამოხედა მისთვის. ასე შექმნა ადამიანმა სხვადასხვა ღმერთები, რომელთა ხასიათზე იყო დამოკიდებული მისი არსებობა. ბუნების მოვლენები მას გასულდგმულებული ჰქონდა, სწორედ ამის გამო ადამიანებმა შეიმუშავეს წესები იმ მოვლენათა მოსახსენებლად, პატივსაცემად, მადლობის გადასახდელად, ან შიშისა და მორიდების გამოხატავად. ბუნების გაცოცხლება ანუ აღდგომა იმედისმოქმედი და სასიხარულო იყო ადამიანისათვის, ამიტომ ცდილობდა ახალ წელსადს მხიარული ყოფილიყო, სუფრაც სავსე ჰქონოდა და მეგობარ-მოყვრებელს მასთან ახლოს ყოფილიყვნენ.

ვინ იცის, რამდენი წესი და ჩვეულება შეუმუშავებია ადამიანს ახალი წლის დასახვედრად! ის რიტუალები, დაკავშირებულნი სხვადასხვა დღესასწაულთან, გამოითქმოდა სიტყვებით, ამ გამოთქმებს საწესო პოეზია ეწოდება. ახალი წლის დადგომისას საჭირო იყო ბედნიერი ფეხის მეკვლე, რომელიც დღესასწაულს მიულოცავდა ოჯახს, სახლ-კარს, თანაც ხილ-ტკბილეულით სავსე ხონჩას შემოიტანდა. ამას ერთვოდა ლექსად ნათქვამიც. ასეთი ლექსის მშვენიერი ნიმუში შემუშავებულია თავის წიგნში ვახტანგ კოტეტიშვილს¹:

¹ იხ. „ხალხური პოეზია“, 1934 წ., გვ. 191.

„ახალ წელიწადს წლის თავსა
გველევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ამილა
ტყაუ-კაბა ზარბაბითამცა,
ცუნზედამც შეგისხდებიან
მშვილდ-ისრიანი ხმლითამცა,
კარზედაც მოგადგებიან
ცხენ-ჯორი მფრამითამცა,
ტახტზედაც დაგიდგებიან
თაე-ოქრო გვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბრმავდების
ეშპაი ხმელით-ციითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს
მოყვარე მრავალ გზითამცა,
პურ-ღვინო გამოუღვეი
ვთ მოღინარე წყლითამცა,
სიკოცხლე გახარებული
მოუწყონარი ღლითამცა,
ასრე დასტები ამ ქვეყანას,
ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,
უხვათაც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა“.

საზეიმო დღესასწაული იყო გაზაფხულის დადგომა, რომელსაც ხვდებოდნენ ფერხულით, მონაწილეობდნენ ქალები და კაცები, თან სიმღერით ასრულებდნენ საგაზაფხულო ცეკვას, ზეიმობდნენ ზამთრის დასასრულსა და ბუნების გამოღვიძებას.

ქართული ხალხური შემოქმედება მდიდარია ქორწინების პოეზიით, რაც სახალხო წესების სიმრავლეს და ნაყოფიერ შინაარსს გამოხატავს. ქორწინების წესები იყო რთული და რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა: ქალის გასინჯვა, გარიგება, დანიშვნა, ქორწილი, პატარძლის ჩართვა ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში და ა. შ. ქორწინება რთული მომენტია პიროვნების, ოჯახის, გვარის ცხოვრებაში, ამიტომაც მასთან დაკავშირებული წესები და პოეზიაც მდიდარი და მრავალფეროვანია. ასევე მდიდარია ქართული ხალხური შემოქმედება გლოვისა და ტირილის ლექსებით. სიკვდილს დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში. სულისა და ხორცის გაყრა, ადამიანის საიქიოში გადასვლა საიდუმლოებითაც იყო მოსილი. სიტყვიერი მასალით გამოითქმოდა გოდება, დატირება, გარდაცვლილის საქმიანობა, მისი გარეგნობა. ძველად მოტირალის სპეციალობაც კი არსებობდა. მოტირალს ჰქონდა ტექსტა,

რომელიც იცვლებოდა გარდაცვალებულის საქმიანობის, დაძსახურების, სქესის მიხედვით. ქართულ ლიტერატურაში არაერთგან არის აღწერილი დატირების წესი, მოტირალთაგან წარმოთქმული ლექსები და გლოვის ცერემონიალი.

არ არის ადამიანისა თუ საზოგადოების ცხოვრებაში რაიმე მოვლენა, რომელზეც ზეპირსიტყვიერებაში არ იყოს გამოძახილი. ჯანმრთელობის დაცვა და აუადმყოფობის საწინააღმდეგო შელოცვანი, გამოლოცვანი, გამოთვალვანი და სხვა ასეთი, წარმოითქმოდა წამალთა ხმარებისას, საჭირო ატრიბუტის (წყლის, ნახშირის, ხორბლის მარცვლის, შავტარა დანის და სხვათა) მოშველიებით და გამოყენებით.

ძლიერ შორეულ დროს, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იცნობდა ბუნებას, როცა იგი დამოკიდებული იყო ბუნების ძალებზე, მისთვის გაუგებარი იყო კავშირი ბუნების მოვლენათა შორის, რის გამოც მან ფანტასტიკური ახსნა-განმარტებები მისცა და თავისებურადაც ახსნა ბუნების კანონზომიერებანი. მას სჯეროდა, რომ ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა სულიერია, რომ ქარს აქვს სული, ასევე წყალს, ხეს და ყველაფერს, რასაც თავის ირგვლივ ხედავდა და ზედებოდა. საგნებსა და ნივთებში სულის არსებობის რწმენას ანიმიზმი ჰქვია. ადამიანთა უძველესი წინაპარი ანიმისტი იყო, მაშინ კაცობრიობას რელიგია არა ჰქონდა, მაგრამ, თანდათან, ასეთ ფანტასტიკურ შეხედულებათა საფუძველზე, თემური და გვაროვნული წყობის დროს, სწორედ ანიმისტური შეხედულებების ნიადაგზე წარმოიშვა რწმენა, რომ ადამიანსა და უსულო ბუნებასა, ადამიანსა და ცხოველთა შორის არსებობს კავშირი, რომ ესა თუ ის საგვარეულო თუ თემი დაკავშირებულია რომელიმე ცხოველსა, მცენარესა თუ ბუნების რაიმე მოვლენასთან და მას თავყანსა სცემდა, ან კარგ დამოკიდებულებაში იყო მასთან, ან ეშინოდა მისი. ამ მოვლენას ტოტემიზმი ჰქვია. საგვარეულოს თუ თემს თავისი ტოტემი ჰქონდა, რომელსაც ერიდებოდა და საუბარშიც არ ახსენებდა. ამიტომ ტოტემთან დამოკიდებულებაში ადამიანმა მოიგონა ტაბუ, ანუ აკრძალვა რაიმე მოქმედებისა, სიტყვისა, საგნისა, რის დარღვევასაც შეიძლებოდა გამოეწვია ტოტემის, ღვთაების რისხვა (ზოგიერთი ტაბუ ღღესაც იხმარება საუბარში, მაგ., გარდაცვლილი ადამიანის ჩასასვენებელს „სასახლეს“ უწოდებენ და არა კუბოს).

იმ დროს წარმოიშვა თქმულებები თუ მცირე მოთხრობები, რომლებშიც მოცემულია ადამიანის ცდა, გაერკვეს ბუნების მოვლენების არსში, ახსნას მათ შორის არსებული, მისთვის დაფარული კავშირი.

ამგვარი თხრობანი აღსაქვია ანიმისტური და ტოტემისტური წარმოდგენებით, ისინი ასახავენ ადამიანის პრიმიტიულ, ფახტასტიკურ შეხედულება-მოსაზრებებს. ამ თხრობას მითი ეწოდება, ანუ, მითი არის უძველესი თქმულება ქვეყნის გაჩენაზე, სოცოხლის წარმოშობაზე, სამყაროს რაობაზე, ბუნების საიდუმლოთა წინაშე ადამიანის გონების უძლურების ამბავი.

ქართულმა ხალხურმა შემოქმედებამ შემოინახა ჩვენი წინაპრების რწმენა და შეხედულებები, რაც მითებში, მათ ფრაგმენტებში ჩახს. ქართული მითებიც უძველეს დროშია შექმნილი. ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგ იმ ძველ რწმენათა ელემენტებს ახლის ელემენტები შეერია, რაც კარგად ჩანს ამირანის მითში. ეს გარემოება შესწავლილი აქვს ივანე ჯავახიშვილს თავის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში — „უძველესი სარწმუნოებრივი თქმულებები“.¹

ამირანის მითი ძველია. იგი ოდესღაც ერთი მთლიანი ამბავი ყოფილა გმირი ამირანის საქმიანობაზე, მაგრამ საუკუნეთა გახმავლობაში დაშლილა, ბევრი რამ დაკარგულა, იგი მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, ზევრგან არის ჩაწერილი მისი ნაწილები — ქართლში, კახეთში, თუშეთში, ხევსურეთში, ფშავეში, სვანეთში. ამირანის მითის ფრაგმენტები შეაგროვა, ლექსად გამოთქვა და გამოსცა 1945 წ. შალვა ნუცუბიძემ. მიხეილ ჩიქოვანმა შეკრიბა ამირანის მითთან დაკავშირებული ტექსტები, დაამუშავა და გამოსცა „ამირანის თქმულება“.²

ამირანის თქმულება ძველ ბერძნულ მითს უახლოვდება. ბერძნული თქმულების გმირი, პრომეთე, დაისაჯა იმისათვის, რომ მან ხალხს ცეცხლი მოუტანა. როგორც პრომეთე, ისე ამირანი ადამიანის სიკეთისათვის დაისაჯა. ღმერთმა ერთიც და მეორეც კავკასიონის ქედს მიაჯაჭვა. რადგანაც გმირის მიჯაჭვის ადგილი საქართველოშია, ამიტომაც არის ზარი, რომ მიჯაჭვული გმირის ამბავი საქართველოდან გადავიდა ბერძნებში.

ამირანი ქალ-ღმერთი დალისა და ვილაც მონადირის შვილია, ოქროსკბილიანი, საცრის ოდენა თვალების მქონე, დიდი ღონის პატრონი, 12 უღელი ხარ-კამეჩის ღონე აქვს და ზევავეით ჩქარი სიარული შეუძლია.

¹ ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1, 1979 წ. გვ. 188 — 204.

² „ამირანი“, მთოლოგიური პოემა დამუშავებული შ. ნუცუბიძის მიერ; „ამირანის თქმულება“, დამუშავებული მ. ჩიქოვანის მიერ, 1961 წ.

ზეპირსიტყვიერებაში ბევრი შესანიშნავი თხზულება არის შექმნილი. მათ შორის ზოგიერთი თავისი შინაარსითა და აზრით სწორუბოვარია. შორეულ წარსულშია შექმნილი სამიჯნურო თავგადასავალი აბესალომისა და ეთერისა. ღრმა დაკვირვების შედეგი განსაკუთრებული უნარით გადმოგვცემს ჩვენი ხალხის განსჯას სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამასთან ერთად ამ თქმულებაში დაყენებულია საკაცობრიო საკითხი, რომელიც ხალხის ცხოვრებაში გაჩენილა მაღალი იდეალებისაგან სწრაფვისას. ეს ნაწარმოები ჰიმნია მარადიული სიყვარულისა, სიკეთისა და სილაშაზისა. ამასთან ერთად იგი ბოროტების, განუწყვეტელი ქიშპის, დედინაცვლობის უადამიანობის უარყოფაცაა.

აბესალომ და ეთერის უბედური სიყვარულის ამბავი მთელ საქართველოში არის გავრცელებული. ამ ამბავში ჩართულია ლექსები, რომელთა პოპულარობაზე მათი გავრცელება მეტყველებს. შეფის ძეს აბესალომს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ცოლად ის შეირთოს, ვინც მოეწონება. ასეთი ქალი აბესალომმა ნადირობისას ნახა, დედინაცვლისაგან დაჩაგრული და გამწარებული ეთერი. იგი გორის ძირას ხბოებს აძოვებდა. ეთერმა აბესალომის წინადადება იუარა, „მდიდარი ხარ, მდიდრის შვილი, დედ-მამითა ხარ ქებული; მე ობოლი, ობლის შვილი... შენ შენი ჰქნა და წახვიდე, გამიშვა წყალწაღებული“-ო. აბესალომმა შეჰფიცა ეთერს:

„ზევიდან ღმერთი ცეცხლსა ჰყრის,
ქვეშ აბესალომ უდგება,
ეთერო, შენსა ამ ღალატს
ღეთის მეტი ვინ შეუდგება?
ოში ხმალოლებულსა
აბჯარიმც ჩამომიწყდება,
წყალი უწყალო ალაგსა,
ზღვა იყოს, ამომიშრება,
შვიდის წლის გზასა მავალსა,
საგზალი წარმომიწყდება,
მუხლებზე ნადები თოფი
უბეშომც დამიბრუნდება...“

ვაჟკაცის ფიცს მიენდო ეთერი და გაჰყვა აბესალომს სასახლეში.

„აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერი!“

დიდ სიყვარულსა და დიდ ბედნიერებას შავი ღრუბელი გადაეფარა. აბესალომის ვეზირს მურმანს გულში ჩაუვარდა ეთერის სიყვა-

რული პირველ დანახვისთანავე. ეწამებოდა მურმანი, რომ ეთერი მისი არ იყო და ნეტარებით ცხოვრობდა აბესალომთან. მურმანმა სული ბოროტ ძალას მიჰყიდა, სამაგიეროდ ისწავლა ხერხი, რომ ეთერი ხელში ჩაეგდო. მკბენარი და მატლი დაეხვა ეთერს. შეწუხდა ყველა, სასოწარკვეთილებას მიეცა აბესალომი, იტანჯებოდა ეთერიც, წამალი კი არსად იყო ამ საშინელი სენის მოსაჩენად. ბოლოს აბესალომი იძულებული გახდა ეთქვა:

„ვისაც რომ შეყრა გეწყინათ,
გავყრილვართ, გაიხარენითო“

და საჯაროდ გამოაცხადა: ვის გინდათ ქალი ეთერიო. მურმანი წინ წამოდგა და უთხრა, მე მინდაო და წაიყვანა. ეთერი მალე მორჩა, აბესალომი კი ეთერის მოცილებამ დააავადა და დაასნეულა.

მურმანმა ეთერი მაღალ კოშკში დააბინავა, დედა და დები პირისფარეშად დაუყენა. მაგრამ ეთერმა ბედნიერება აბესალომთან დატოვა.

„მურმან, მურმან, შენსა მშესა,
ეთერ ქალი რა დღეშია?“

კითხულობდა აბესალომი, უნდოდა გაეგო მისი ამბავი და, მურმანიც უპასუხებდა:

„რას კითხულობ, ცათა სწორო,
ცოლის ქება ჟეგა;
შენც ხომ იცი, ბროლის ციხე
როგორ ცაძის მაღალია,
შიგა ზის ქალი ეთერი,
ყელი მოუღერებია...“

აბესალომი ლიგინად ჩავარდა, დადნა და დაიღია ეთერის სურვილით.

უშტარ-ნათელი, აბესალომის და, ეთერთან წავიდა და სთხოვა — აბესალომი ნახეო. ეთერი წამოვიდა აბესალომთან.

„ეთერი, მობრძანებისთვის
მაღლი მომიხსენებია,“

უთხრა აბესალომმა. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. აბესალომი მოკვდა. ეთერს თან ჰქონდა ის დანა, რომელიც აბესალომს მიეცა მისთვის ერთხელ. ამოიღო ის დანა ეთერმა, დაიცა გულში და ისიც მკვდარი დაეცა.

აბესალომ და ეთერი ერთად დამარხეს, მათ საფლავზე ვარდის ბუჩქები გაიზარდნენ. მურმანმაც დიდხანს არ იცოცხლა. მისი საფლავი აბესალომისა და ეთერის საფლავებს შორის გათხარეს. მურმანის საფლავზე ეკალ-ბარდი ამოიზარდა და როცა ვარდები ერთმანეთისაკენ იწევდნენ, მათ შუა ამოზრდილი ეკალი აცილებდა მათ.

აბესალომისა და ეთერის სიყვარულის ფიცი მტკიცე ყოფილა, მაგრამ დიდ სიყვარულს დიდი ბოროტება კვალდაკვალ დაჰყვება და საქაოში თუ საიქიოში მათ ნეტარებას უწამლავს.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში არა ერთი ნიმუში შექმნილა, რომელიც მაღალი სიყვარულის ქარგაზეა დამუშავებული. გარდა იმისა, რომ ძლიერ მდიდარია ხალხური სატრფიალო ლირიკა, მხიშვებლოვანია ეპიკური ხასიათის ნაწარმოებები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ხალხური ეპოსი ეხმაურება მსოფლიო მოვლენებსა და ზოგადკაცობრიულ იდეებს. ქართველი ამირანი, ადამიანთა სიკეთისათვის მებრძოლი, რომელიც თვით ქრისტე ღმერთს დაუპირისპირდა, ქართველი ხალხის მხატვრული აზროვნების შედეგიცაა და მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებთანაც ახლოს დგას.

ასეთია, მაგალითად, ქართული ხალხური ეპოსის „თავფარავნელი ჭაბუკი“, აგრეთვე ჰიმნი ძლიერი სიყვარულისა. სიყვარულით აღსავსე ჭაბუკი არავითარ სიძნელეს არ უშინდება, მისი ასპარეზი ვაჟკაცობისა და თავისდადებისა არის ზღვა, რომლის გადაცურვის შემდეგ იგი მიაღწევს სიყვარულის წყარომდე. ვაჟკაცი ტალღებს მიახრევდა, ცალ ხელში დოლაბი ეჭირა და ისე ეჭიდებოდა აზვირთებულ სტიქიას. იგი ყოველგვარ წინააღმდეგობას სძლედა, რადგან ტალღათა დასაძლევად ქალი შუქს უნთებდა და გზას ასწავლიდა. მაგრამ, ერთი ავსული დედაბერი აქრობდა იმ კელაპტარს, ნიშნად რომ უნთებდა ტალღებთან შერკინებულ ვაჟკაცს. ბოროტმა დედაბერმა გზაკვალი აუბნია ჭაბუკს, ფონი დაკარგა ზღვას შეჭიდებულმა და დაიღრჩია

„გათენდა დილა ლამაზი,
კეკლუცის თვალებს ჰკვანობდა,
წყალსა დაედრჩო ჭაბუკი,

ქოროხზე ეგდო, ქანობდა,
წითელი მოვის პერანგო
ზევიდან დაჟვარფარობდა...”

ქართულ „თავფარავნელ ქაბუქს“ ბევრი პარალელი მოუნახა ქართული ხალხური შემოქმედების მკვლევარმა ვახტანგ კოტეტიშვილმა. ქართულ თქმულებას ახლო ნათესაობა ეძებნება ძველი საბერძნეთის მითებთან, კერძოდ ჰეროსა და ლეანდროსის ამბავთან. ბერძნული თქმულების საფუძველზე რომაელმა პოეტმა ოვიდიუსმა დაწერა თხზულება, XIII საუკუნეში გერმანიაში შეიქმნა ბალადა, შემდეგ ფრიდრიჰ შილერმა დაწერა თხზულება „ჰერო და ლეანდერი“.

ქართულ ხალხურ შემოქმედებას ამშვენებს ერთი ბრწყინვალე ნიმუში ვაჟკაცობისა, დედა-შვილობისა და სიკვიდილ-სიცოცხლისა, ხევსურული ხალხური შემოქმედების ნაყოფი „მოყმისა და ვეფხვის ამბავი“. ჩვენს დიდს მკვლევარს, აკადემიკოს აკაკი შანიძეს იგი შეტანილი აქვს თავის გამომცემულ წიგნში „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული“, რომელიც 1931 წელს გამოიცა. გამომცემელს იგი მოუქცევია ნადირობის ამსახველ ამბავთა შორის. „მოყმე და ვეფხვი“ იმდენად ნადირობის ამბავს არ გამოხატავს, რამდენადაც დედაშვილობის დიდ გრძნობასა და დაღუპულ შვილზე ვაებას. შვილი ადამიანსაც ჰყავს და ცხოველსაც, სიყვარული დედისა შვილის შიმართ ერთგვარად ძლიერია. ეს თქმულება წარმოსახავს ქართველი დედის სახეს, რომელიც თავის დაღუპულ შვილსა გლოვობს, ამასთან ერთად, მის შვილთან შეჭიდებულ და ბრძოლაში დაღუპული ვეფხვის დედასაც გაიხსენებს — იმანაც ხომ დაკარგა შვილი და, მოყმის დედა ვეფხვის დედასთან მიდის, რომ ერთად იტირონ ვაჟკაცურ შეჭიდებაში დაღუპული შვილები, ქალმა თავისი და ვეფხვმა თავისი. საკუთარ მწუხარებაში მოქცეული ქალი მაინც გამოხახავს იმდენ ძალას, რომ „იარებოდა დედაი თვალკრემლიანი“ და ვეფხვის დედას ეძებდა, რომ მასთან ერთად ეგლოვა შვილები — ადამიანისა და ვეფხვისა. ზალხურმა პოეზიამ შექმნა ეს შედევრი — ვეფხვისათვის კაცურ განცდათა და ტკივილთა მიცემისა.

თქმულებაში ჩვეულებრივი და უჩვეულო ამბებია გამოხატული. ჩვეულებრივი უდევს სარჩულად უჩვეულოს. ნაწარმოებს მკითხველმსმენელი განცდათა სხვა არეში გადაჰყავს. ეს გადასვლა ხდება ახალგაზრდათა სიცოცხლის ტრაგიკულად დამთავრების შემდეგ. თუ პირველ ნაწილში აღწერილია შიბიან კლდეებში მოყმისა და ვეფხვის შე-

კიდეზა-ბრძოლა, მეორე ნაწილში მსჯელობა მიმდინარეობს იმაზე, თუ „უღედოდ გაზდა ვინა თქვა შვილისა? იქნებ ვეფხვის დედაი ჩემებრ დღე-და-ღამ ტირისა?“

სწორედ ამ მსჯელობაშია ჩაქსოვილი დიდი აზრი ხალხური თქმულებისა, რომ ყველა, ვინც შვილს შობავს და გაზრდის, დედა ქალი თუ დედა ვეფხვი, თანასწორად მოსახსენებელი არიან. ნაწარმოების ეს მაღალი იდეა მისთვის შესაფერის ფორმაში არის მოქცეული, ეს ეპიკური ხასიათის ნაწარმოებია, თხრობაა ტრაგიკული ამბისა, რომელიც მეტად მაღლა აწეული თავისი იდეით და მოქცეულია ამ ამბის შესაფერის ჩარჩოში:

„მოყმემა პირ-შეშველაში შიბნ გაიარან კლდისანი,
მოინადირანა, დალახნა ბილიკნი კიუხისანი.
შამახდეს კლდისა თავზედა ხორონი ჟიხევისანი,
ჯიხესა თოფ დახკრა ბერბენსა, კალას ჟახნ იქნეს რქისანი.
შუა გზას შამაალამდა, დრონ იყენენ შულამისანი,
გზას ვეფხვი შამეყარა, თვალნი არისნა ლეთისანი,
შიბნეს ვეფხვი, მოყმევი, მაშინ დაიძრნეს მიწანი,
კლდეები ჩამოინგრაი, შტონ დაილეწნეს ტყისანი.
დრონ აღარ დარჩეს მოყმესა, ვადან ეწითლნეს ხმლისანი,
ფარს უფარობს და ვერ ასწრობს, ვეფხვი ჩქარია კლდისანი,
გაზით გაართვნა კალთანი ჟაქვისა ჟაეშანისანი.
მოყმემაღ ხელში იყარან ვადანი თავის ხმლისანი,
ნელ-ნელა გაჭრა ფრანგულმა, დრონ იყენენ წაქცევისანი,
ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა, ჩამააწითლნა ქვიშანი.
თაოდ კლდის თავზედ შამოწვა მოყმე სულ-ამომდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა, — კარს უსხენ ჟადაგ-მისანნი,
უერთოდ არ დაიხარჯნეს ჩვენის აფხაზის ისარნი.
იარებოდა დედაი ტირილით თვალ-ცრემლიანი:
„ჩემს შვილს გზას ვეფხვი შახყრია გაჯავრებული, ტალი,
ჩემს შვილს ხმლით, იმას ტოტითა დღე დაუბნელდა მზიანი,
იარც ვეფხვი იყო ჟაბანი, არც ჩემ შვილ დახვედა ქკვიანი,
მათ დაუხოცავ ერთუცი, არ დარჩეს სირცხვილიანი“.
ტირილით წყრულებს უხვევდა ვეფხვის დაქრილსა კლანჭითა:
„შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავს, დაქანცული ხარ ჟათითა,
ო შენი ჟაქვის კალთები ოხერმა როგორ დაფითა?!
შენც იმის საფერ ყოფილხარ, ხმალი ქნევაში გაეცვდა,
იარც იმან მოგცა ბევრი დრო, აღარც შენ დააცვლია,
ვედარცალ შენ დაიფარე შენ ხელთ ნაქონი ფარია,
ვედარცალ ვეფხვმა ტოტები, ხმელმა დაკუწა ძვალია.
მაგის მეტს აღარ გიტრებ, შენ არ ხარ სატირალია,
ლაშქარში, მეკობარშია არ იყავ საწუნარია,

აქამდი მაინც ვაგზარდე ვეფხვებთან მეომარია.
 მშვიდობით, ჯვარი გეწეროს! ეგეც სამარის კარია".
 ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი ელანდებოდა მძინარასა,
 ხან ვითამ ვეფხვი იმის შვილს ახყრის ტანზეთი რკინასა,
 ხან ვითამ იმის შვილმ ძლივის, გარდააველივის ყირასა.
 იი მაგ სიზმრებს ხედავდა, გამაელღვიძა მტირალსა.
 ხან იფიქრებდა: „უღედოდ' გაზნა ვინა თქვა შვილისა?
 იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ დღე-ღა-ღამ ტირისა?
 წავიდ, მეც აიქ მივიდა, სამძიმარ უთხრა კირისა,
 ისიც მიამბობს ამბავსა, მეც უთხრა თავის შვილისა,
 იმასაც ბრალიდ ექნების უწყალოდ ხმლით დაქრილისა“.

ეს შესანიშნავი ნაწარმოები ხალხის სიბრძნისა, ეტყობა, საუკუნე-
 ნეთა სიღრმეში შექმნილა, თუმცა, მერე ისეთი ელემენტები შემატე-
 ბია, რომელნიც ხალხთა ცხოვრების ისტორიული განვითარების შემ-
 დეგ ეტაპებზეა გაჩენილი (მაგ. თოფი და ტყვია). მოყმისა და ვეფხვის
 შებმის ამბავი სამონადირეო თხრობათა ნაწილია. სამონადირეო
 თხრობა ანუ ეპოსი შექმნილა მაშინ, როცა ჩვენი შორეული წინაპრის
 სამეურნეო საქმიანობა ნადირობა იყო. ნადირობასთან დაკავშირებით
 შექმნილია ძლიერ ბევრი ნაწარმოები, რომლებიც ასახავენ შობადო-
 რეობის სხვადასხვა ჩვეულებებს, სანადიროდ წასვლისათვის მზადე-
 ბას, წინა ღამეს განსაკუთრებული სამზადისის ჩატარებას. რამდენიმე
 წესი უნდა დაცულიყო ამასთან დაკავშირებით, ე. ი. უნდა შესრუ-
 ლებულყო რიტუალი. რაკი მონადირეობა ძირითადი სამეურნეო
 საქმიანობა იყო ადამიანისა, იგი „წმინდა“ საქმედ ითვლებოდა ისევე,
 როგორც განვითარების შემდეგ ეპოქებში მიწის ხენა, ან მოსავლის
 აღება-დაბინავება თუ ვაზის მოვლა-პატრონობა. მონადირე სახადი-
 როდ წასვლის წინ უშვერ სიტყვებს აღარ ამბობდა; ადრიახად, ვიდ-
 რე ხალხი გაიღვიძებდა, უნდა გასულიყო სახლიდან, რომ „უმძრ-
 ხად“, ე. ი. ხმის ამოუღებლად გასდგომოდა „წმინდა“ საქმის გზას.
 მონადირის ცოლსაც, შინ დარჩენილს, თმა არ უნდა გაეშალა, არც
 თავი უნდა დაებანა, უნდა მორიდებოდა ცხიმიან საქმელს, კმრას
 სანადიროდ წასვლა არავისთვის არ უნდა გაემხილებინა. ამასთან სა-
 კირო იყო მონადირეობის ღმერთის წინაშე, მის გულის მოსაგებად,
 სხვადასხვა წესი და ჩვეულება დაეცვა.

ეს იყო დიდი და რთული პროცესი, დაკავშირებული არსებობი-
 სათვის ბრძოლასთან. ამიტომ იყო იგი რთული შესასრულებელი და
 მრავალი წესით დატვირთული.

სრულიად ცხადია, რომ არსებობისათვის ბრძოლის ამ სახეს ქართულ ხალხურ მხატვრულ შემოქმედებაში დიდი ადგილი ეკირა.

თუ ნადირობის ღმერთი მონადირეს შეეწოდა, იგი კმაყოფილი დაბრუნდებოდა შინ. თუ ნანადირევს ვერ მოიხელთებდა, ან დაზიანდებოდა ნადირის დევნაში, ალბათ ყველა წესს შესრულებულად არ ჩათვლიდა. მოკლული ნადირის გულ-ღვიძლი მონადირეს ნადირობის ღვთაებისათვის უნდა შეეწირა მადლობის ნიშნად. ნანადირევით შიხ დაბრუნებულ მონადირეს ყველა პატივისცემით ფეხზე წაშოულდებოდა.

მონადირეობის ღმერთი ადრეულ პერიოდში ქალი იყო, შემდეგ იგი ვაჟმა შეცვალა.

ეს ყველაფერი თხრობით ან ლექსად არის შენახული ხალხში. თუ ერთი მხრით ნადირობასთან დაკავშირებული თქმულებები შაჩვენებელია ხალხის სამეურნეო ცხოვრებისა, მასთან დაკავშირებულნი წეს-ჩვეულებებისა, მეორე მხრით ეს თქმულებები წარმოადგეხენ ხალხური ზეპირსიტყვიერების შესანიშნავ ნიმუშებს, რომლებშიც მოჩანს ქართველი ხალხის მხატვრული აზროვნება, რამდენიმე საუკუნის მანძილზე რომ იქმნებოდა და თანდათან იხვეწებოდა. ვინ მოსთვლის, რამდენი თქმულება და ლექსი შექმნილა სამონადირეო საქმიანობასთან დაკავშირებით, ვინ მოსთვლის სამონადირეო ეპოსის ფრაგმენტებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილა, როგორებიც არიან „ქილსა ვისმე“, „უურმა და ივანე ქვაციხელი“, „ჯარჯი“, „ია მთაზედა“, „ბეთქილ“, „დალი“ და სხვა მრავალი. ბევრი მათგანი ქართული ზეპირსიტყვიერების შესანიშნავი ნიმუშია, მაგ., თქმულება მონადირე ჯარჯზე:

„ჯარჯო, ნუ დასდევ ჩიხვებსა,
მაგინელებენ ტიალნი,
არ დაიშალა ჯარჯიმა —
ჩიხე უნდა მოვკლა რქიანი.
წინ ჩიხვმა, უკან ჯარჯიმა
კლდეს გადიტანეს ხრიალი...
—ნუ ეტყვი ჯარჯის დედას,
ჯარჯი წევს პირისისლიანი,
ქოქობათ კაცი ჰკიდოა
დაბმული საბანდიანი:
—გაწყდი, თუ წყდები, საბანდო,

შე შავი ფურ-ბერწისაო,
ახლა შინ წადი შავურაჲ,
შენ, შავი პატრონისაო“

და ასე შემდეგ.

ხალხის ყურადღებას არაფერი გამოიჩენია, რაც მის ირგვლივ არსებობდა, ტრიალებდა, მოძრაობდა და სუნთქავდა.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არის თქმულებები ქვეყნის გაჩენაზე, ცის მნათობებზე, ბუნების მოვლენებზე, მთა-კლდე-ღრეთა, წყალ-თა და ცხოველთა მთარველ სულებზე; ღვთისშვილებზე და ხალხის მტრებზე — დევებზე, ალებზე, ქაჯებზე და სხვა მავნე და მაცდურ არსებებზე; მთას მიჯაჭველ ამირანზე, გრძნეულ ადამიანებზე, ავადმყოფობათა წარმოშობაზე; ზღვებისა, ტბებისა და მდინარეების, სხვადასხვა ფრინველის და მცენარის გაჩენაზე; ისტორიულ ამბებსა და ადამიანებზე, ხალხის სიკეთისათვის მებრძოლ გმირებზე, ბატონებისა და ხალხის მჩაგვრელთა წინააღმდეგ მებრძოლებზე; ციხე-კოშკთა, სოფლების, ეკლესიების აგებაზე; სიკვდილ-სიცოცხლეზე, უკვდავების ძიებაზე, სიყვარულზე, შვილის მოვალეობაზე და სხვათა მრავალთა შესახებ.

XIX საუკუნეში შეიქმნა თქმულება ქართველი მებრძოლი გლეხის — ყაჩაღ არსენა ოძელაშვილზე. ამ ნაწარმოებში ხალხმა გამოხატა თავისი იდეალი გათავისუფლებისათვის ბრძოლისა. არსენა აღმხედრდა თავის ბატონს. ამისი მიზეზი პიროვნული იყო, მაგრამ ბრძოლის გზაზე შემდგარი ყმა-გლეხი, ხალხის სიყვარულით მოსილი გმირი არსენა ებრძვის ადამიანთა მჩაგვრელებს — ბატონს, ვაჟარს, მთაგრობის წარმომადგენლებს.

„ყაჩაღ არსენას ლექსი“ მეტად პოპულარული გახდა შექმნისთანავე, მთელ საქართველოს მოედო და, როცა ჩვენში ბეჭდვა გაჩაღდა, იგი დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა და უცბად ვრცელდებოდა.

ზეპირსიტყვიერების ძეგლებს ავტორი არა ჰყავთ, ისინი კოლექტიური ნაწარმოებებია. შექმნილი და გამოგონებული ერთის მიერ, შემდეგ სხვათა ხსონაშია გადასული. ძველთაგან მომდინარე არც ერთ თქმულებას არ შემოუნახავს პირველად მთქმელის სახელი, გინაობა, სადაურობა. მხოლოდ ძლიერ გვიან გაჩენილ თხზულებებში ზოგჯერ თავის თავს ინსენიებს სახალხო მთქმელი, რომელიც უკვე ზრუნავს თავისი სახელის გადაარჩენას. „მერცხალმა ამიოხრა“-ო, იწყებს ლექსს მთქმელი და თავის სახელსაც გვაცნობს. „ბოძათ დავითო ჩი-

ოდა“, ამბობს სხვა თავის ლექსის დასაწყისში და თავის გვარსა და სახელს გვაცნობებს — დავით ბოძაშვილი. „აეგ ლექს დაუბარებავ იმედას ტყისნაპირელსა“, — გვეუბნება მთქმელი. „ემაგის შალექსებელი აფშოს მაჩურის ქალია“, ან „ღვთისო ვარ, იმერლიშვილი“ და სხვ.

ერთი ასეთი პოეტი ქალი ყოფილა XIX საუკუნეში, მის შუა წლებში, სახელად ხვარამზე, რომელსაც საგმირო ლექსები უწერია, ჰქონია სასიყვარულო თხზულებებიც. ერთი მშვენიერი ნაწარმოები უთქვამს ხვარამზეს, ეს არის ხვარამზეს და ვაჟიკას გასაუბრება, რომელშიც პოეტი ქალი მიმართავს სატრფოს:

„ვერცხლის თასადამც მაქცია,
რო ღვინით აგვესებოდი,
დაფერილი მქნა წითლადა,
შამსვამდი, შაგერგებოდი.
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზე ჩავედებოდი,
ანა მქნა ოქროს ბურთვაი,
კალთაში ჩავეშლებოდი,
ან ვერცხლის ფულად მაქცია,
ჭიბეში ჩაგეყრებოდი!
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
რო ფეხზე შაგეკრებოდი,
ანა მქნა ვარდი, ყოილი,
რო პირზე დაგეყრებოდი,
ანა მქნა მოის პერანგი,
რო გულზე დაგადნებოდი
ან შენი ძმა მქნა, მოწილე,
არ ოდეს გაგეყრებოდი,
ან შენი ნანდაური მქნა,
გულს ჭაჳრად ჩაგეკრებოდი,
ძალიან დაწუხებულნი
გზაზედამც შაგეყრებოდი“

ბევრი ამისთანა მშვენიერი გრძნობით და განცდით ნათქვამი თხზულება არის თავმოყრილი ქართველ მოღვაწეთა მიერ, რომელთაც ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება გადაუდებელ და აუცილებელ საქმედ მიაჩნდათ. ბევრმა მოღვაწემ სამუდამო დაკარგვას და დავიწყებას გადააჩინა ხალხური შემოქმედების ხელთუქმნელი ძეგლები. ერთი გადათვალეირებაც კმარა თედო რაზიკაშვილისაგან ჩაწერილი ზღაპრებისა, თქმულებებისა, ლექსებისა და სხვათა, რომ წარმო-

ვიდგინოთ როგორც სიმდიდრე ხალხური ზეპირსიტყვიერებისა, ისე მის შემკრებთა სიყვარული ამ შემოქმედების მიმართ. რამდენი ამის-თანა ნიმუშია ჩაწერილი რაფიელ ერისთავისაგან, ილია ჭავჭავაძისაგან, პეტრე უმიკაშვილისაგან... ვინ მოსთვლის ხალხური შემოქმედების ჩამწერებს, რამდენი შრომა და რა კეთილშობილური საქმე გაუკეთებიათ მათ. გადაათვალიერეთ აკაკი შანიძისაგან 1931 წელს გამოცემული „ქართული ხალხური პოეზიის“ პირველი ტომი, რომელიც მიეძღვნა ხევსურულ პოეზიას, აგრეთვე პეტრე უმიკაშვილისაგან შეკრებილი და 1937 წელს ფილიპე გოგიჩაიშვილისაგან გამოქვეყნებული წიგნი „ხალხური სიტყვიერება“, „ქართულ მთიელთა ზეპირსიტყვიერება“ ელენე ვირსალაძისა, „ფშავ-ხევსურული პოეზია“, შეკრებილი ალექსი ოჩიაურის მიერ და გამოცემული ქ. სიხარულიძის რედაქციით 1970 წელს, „ფშავხევსურული პოეზია“, შედგებილი ივ. ხორნაულის მიერ და გამოცემული 1949 წელს, მიხეილ ჩიქოვანისაგან შეკრებილი „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ და კიდევ ვინ იცის რამდენი მაღალხარისხიანი ნიმუში, რომლებიც გამოქვეყნებულა ძველ ქართულ გაზეთებში, ყურნალებში თუ კრებულებში („ძველი საქართველო“, „საქართველოს სიძველენი“, „აკაკის თვითური კრებული“, ხალხური პოეზიის თორმეტტომიანი გამოცემა...).

ქართული ხალხური შემოქმედების ძეგლები მარტო მარტო იმისა, თუ რა დაუფასებელი სიმდიდრე შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს და რა დაწვრილებით გადმოუციათ თავისი ნაფიქრი და განცდილი, რა ეროვნული განძი შეუქმნიათ საუკუნეთა მანძილზე.

ქართული მხატვრული ლიტერატურა ყოველთვის საზრდოობდა და უზვადაც ამ შესანიშნავი და დაუღვეველი მასალით, არა ერთი მხატვრული სახე, ამბავი თუ თქმულება გამხდარა მწერალთა შემოქმედების წყაროდ. შეიძლება ითქვას, რომ დიდი ისტორიის მქონე ქართული ლიტერატურა ხშირად სარგებლობდა ზეპირსიტყვიერებით და არა ერთი მაღალმხატვრული თხზულება დაწერილა მის მასალაზე.

როგორც ქართული ზეპირსიტყვიერება ჰკვებავდა ქართულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას, ისე, თავის მხრით, მწერლობა აძლევდა საზრდოს ხალხურ შემოქმედებას. ბევრი შემთხვევა არსებობს პოეტის შემოქმედების „გახალხურებისა“. ზეპირსიტყვიერებასა და სიტყვა-კაზმულ მწერლობას შორის ცოცხალი და ურთიერთშემქმედი კავშირია გაბმული.

ზოგირთი ამბავი

„ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა... ისაა, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორია, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი“.

ილია ჭავჭავაძე, „მეცხრამეტე საუკუნე“

„საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ შემდეგი წერია: „რეაქციის ძალები საქართველოში არა მხოლოდ ილაშქრებდნენ რევოლუციურ-პროგრესული ძალების წინააღმდეგ, არამედ საგანგებო ღონისძიებებსაც ატარებდნენ ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართული ენის მოსასპობად, ქართველი ერის დანაწილებისა და მისი სხვადასხვა კუთხის დასაპირისპარებლად...“¹ ამ დროის დასახასიათებლად იქვე დაბეჭდილია შემდეგი: რომ ეს დრო იყო „აღვრახსნილი, დაუჭვრებლად უაზრო და მხეცურ რეაქციაზე გადასვლა“.

ამით დახასიათებულია XIX საუკუნის 80-ანი წლები, როცა ურთიერთობა მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა და მოწინავე ქართულ ინტელიგენციას შორის მეტად გამწვავდა. მაშინდელი მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა, აიკრძალა მშობლიური ენის მოხმარების შესაძლებლობა, ქართული ენა სკოლებში იდევნებოდა, აკრძალული იყო ქართულად ლაპარაკი, რასაკვირველია, ქართული ენა ამოდებული იყო სასწავლო გეგმიდან. ის დაწესებულება, რომელსაც ებარა სწავლა-განათლების

¹ იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ V ტომი, გვ. 647, 1970 წ.

საქმე, მტრულად ეკიდებოდა ქართულ ენასაც და იმათაც, ვინც ქართული ენის დაცვას ცდილობდა. ჩვენს ქვეყანაში მაშინ სწავლა-განათლების საქმიანობას განაგებდა კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველო, რომელიც სხვა დაწესებულებებთან ერთად ერთგულად ასრულებდა რუსეთის მეფის ხელისუფლების ბოროტ ზრახვებს. მთავრობას სურდა წაეშალა რუსეთის იმპერიაში შემაველ ხალხთა ეროვნული სახე, ეროვნული კულტურა, ადგილობრივი წეს-ჩვეულებანი და მშობლიური ენა. განსაკუთრებით მტრულად იყვნენ განწყობილნი ქართული ენის მიმართ. სასწავლო ოლქის სამმართველოს მხარს უმაგრებდა საქართველოს ეკლესიათა გამგებელი, რომელსაც საქართველოს ეგზარქოსი ერქვა. სასწავლო ოლქისა და საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიები მოქმედებდნენ კავკასიის მთავარმართებლის მითითებითა და მასთან შეთანხმებით. 80-იან წლებში კავკასიის მთავარმართებელი იყო თავადი ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი, საქართველოს ეგზარქოსი და ეკლესიათა მეთაური პავლე ლებედევი, ხოლო სასწავლო ოლქის უფროსი კირილე იანოვსკი. ეს სამი მნიშვნელოვანი, დიდი, ღონიერი დაწესებულება და მათი უფროსები, გავლენიანი მოხელეები, ამხედრებული იყვნენ ქართული ენისა და, საერთოდ, ქართული ეროვნული კულტურის წინააღმდეგ. ყველაფერს ქართულს იცავდა არაგვალენიანი, მაგრამ პატიოსნად მშრომელი და მოღვაწე ქართული ინტელიგენცია.

ეს ინტელიგენცია ყოველნაირად ცდილობდა შეენელებინა ამ სამმართველო დაწესებულებათა განკარგულებების დარტყმების ძალა, რაც დიდ ენერგიას და დამაბულ მოღვაწეობას მოითხოვდა. ამასთან, საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე, მოხერხება, წინდახედული და ტაქტიანი მოქმედება.

ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ქართული მწერლობა და მწერლები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ და იყენებდნენ იმისათვის, რომ ხალხის შეგნებამდის მიეტანათ ამ დაწესებულებათა ბოროტი ზრახვების წინააღმდეგ და მასში გაეღვიძებინათ და გაეძლიერებინათ შეგნება და გრძნობა ეროვნული თავდაცვისა.

მთავრობის დაწესებულებათა მეთაურებისა და წარმომადგენლებისა და მოწინავე ქართველი საზოგადოების ურთიერთობა ზოგჯერ ტრაგიკულ ამბებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ამის მაგალითად გამოდგება ის სისხლიანი ისტორია, რამაც სწორედ 80-იან წლებში

იმხვერპლა მაშინ უკვე ხანში შესული ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი მოაზროვნე დიმიტრი ყიფიანი.

ბედმა დიმიტრი ყიფიანი დააკავშირა თბილისის სასულიერო სემინარიის მესამე კლასის მოსწავლე იოსებ ლალიაშვილთან, თუმცა ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ.

იოსებ ლალიაშვილს დამთავრებული ჰქონდა გორის სასულიერო სასწავლებელი (იგი დაიბადა 1866 წელს) და ირიცხებოდა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლედ, იყო სახელმწიფო ხარჯზე, როგორც ობოლი (მამა მისი მღვდელი იყო).

სემინარიის გამგეობის ერთ-ერთ სხდომაზე 1886 წელს შოისმანეს ინსპექტორის ცნობა, რომ მესამე კლასის მოსწავლეს იოსებ ლალიაშვილს უპოვეს ხელნაწერი. მასში იგი დასცინოდა რომელიღაც სოფლის მღვდელს, ამასთან, ინსპექტორს ზელში ჩავარდნოდა ლალიაშვილის დღიური, სადაც იგი თავისუფლად გამოთქვამდა თავის აზრებს სემინარიაში გამეფებული რეჟიმის წინააღმდეგ. ამიტომ სემინარიის გამგეობამ იგი დასაჯა და მოუსპო სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე ყოფნა. ამ ვითარებამ მოსწავლე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

დღიურმა გამოამჟღავნა როგორც ი. ლალიაშვილის განწყობილება, აგრეთვე ისიც, რომ თურმე იგი მონაწილეობდა მოსწავლეთა საიდუმლო გაზეთის გამოცემაში (რასაკვირველია, ხელნაწერ გამოცემაში), რომელსაც რქმევია „ყვავილი“. ლალიაშვილი ბინაზეც გაჩხრიკა ინსპექტორმა, სადაც მას უპოვეს რუსი მწერლის ალექსი პისემსკის რომანი („ორმოციანი წლების მოღვაწენი“) და სხვა ლიტერატურა. ასეთი მასალის აღმოჩენის შედეგად ი. ლალიაშვილი სემინარიიდან გარიცხეს.

ამის შემდეგ არა ერთხელ მიმართა ი. ლალიაშვილმა სემინარიის გამგეობას და რექტორს, სთხოვდა სემინარიაში აღდგენას, სახელმწიფო ხარჯის დაბრუნებას, რადგან სხვა საარსებო საშუალება არ გააჩნდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოაღბო სემინარიის ადმინისტრაციის გული. ბოლოს მან ითხოვა თავისი საბუთები, გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა, რომ რაიმე საშუაოზე დაშდგარიყო, მაგრამ ამაზეც უარი მიიღო.

ი. ლალიაშვილის მოთმინების ფიალა თანდათან ივსებოდა, რამაც ამ ახალგაზრდა კაცს საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა. ერთ დღეს იგი ხანჯლით შეიარაღდა და ერთხელ კიდევ სცადა თავისი ბედი, თხოვნით მიემართა სემინარიის რექტორისათვის. რექტორის გვარი

იყო ჩუდგეცი, საეკლესიო პირი. ი. ლაღიაშვილმა რექტორს პატიება და სასწავლებელში დაბრუნება სთხოვა, მაგრამ, ამჯერადაც ცივი უარი მიიღო. ი. ლაღიაშვილს ახლა კი გაუწყდა მოთმინების ძაფი და რამდენიმე სასიკვდილო ქრილობა მიაყენა ჩუდგეცის მისსავე ბიხაში, რომელიც სასწავლებლის შენობაში ჰქონდა. ჩუდგეცი შოკდა, ლაღიაშვილი დააპატიმრეს და ჩუდგეცის დასაფლავების დღეს, მისთვის წესის აგებისას, სიონის ტაძარში ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც დასწყევლა და შეაჩვენა იოსებ ლაღიაშვილიც და ის ერიც, რომელმაც დაბადა და აღზარდა მკვლელი, ე. ი. საქართველოს ეკლესიის მეთაურმა დასწყევლა ქართველი ერი და საქართველო.

მღვდელმთავრის წყევლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებაში.

დიმიტრი ყიფიანი იენისის 6 რიცხვში ეგზარქოს პავლე ლებედევს წერილი გამოუგზავნა ქვიშხეთიდან, რომელშიც წერდა: „თქვენო მეუფებავ, მოიღეთ ჩემზე მწყემსმთავრული მოწყალება და თუ ხმებს ვარ აყოლილი და ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ, ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, სადაც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და მოწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისაგან და წარმომადგენლისაგან. თუ ყოველი ეს, მეუფეო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხყოფელი ადამიანი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ წავიდეს“...

იოსებ ლაღიაშვილს, როგორც უწლოვანს, მიუსაჯეს ოცწლიანი საკატორლო სამუშაოებზე გაგზავნა, პავლე ლებედვეი საქართველოდან გაიწვიეს, დიმიტრი ყიფიანი კი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც უკვე ხანშიშესული მოღვაწე და მწერალი დაქირავებულმა ავაზაკმა მოკლა 1887 წლის ოქტომბერში. დიმიტრი ყიფიანი მაშინ სამოციანცამეტი წლისა იყო.

დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლიდან თბილისს ჩამოასვენეს. საქართველოს საზღვრებში შემოსვლიდანვე, დაწყებული ხევიდან, ყველგან აუარებელი ხალხი ხვდებოდა და აცილებდა მის ცხედარს, გზადაგზა დასახლებულ ადგილებში პანაშვიდებს უხდიდნენ, ზოლო თბილისში მისი დასაფლავება უდიდეს დემონსტრაციად გადაიქცა, რომელშიც რამდენიმე ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ამ დემონსტრაციამ გამოხატა ქართველი საზოგადოებისა და საერთოდ ხალხის პროტესტი, მიმართული მთავრობის საქციელის წინააღმდეგ, ამასთან ეს იყო

ეროვნულ ძალთა გაერთიანება და ერთობლივი უკმაყოფილებებისა და დიდი გულისტკივილის გამოთქმა მსცოვანი ზოღვაწის ვერაგულად შოკელის გამო.

დიმიტრი ყიფიანის გადასახლება, მოკვლა და დასაფლავება არ არის ლიტერატურული ფაქტი, მაგრამ იგი მნიშვნელოვანია იმით, რომ გაგვახსენოს ამ ერთი საუკუნის წინ მომხდარი ამბავი და ისიც, თუ როგორ და რატომ ხდებოდა ასეთი ამბები ძველად, როგორ ეპყრობოდა მაშინდელი ხელისუფლება ხალხს და ზალხიც როგორ გამოხატავდა ხოლმე თავის ძალთა გაერთიანებას, როგორ იცავდნენ თავს ჩვენი წინაპრები და რა განსაცდელიანი იყო საზოგადო შოღვაწეობა.

დიმიტრი ყიფიანი შეეწირა მშობლიური ქვეყნის პრესტიჟის დაცვას, იგი ვერ შეეგუა მისი მშობლიური ერის შეურაცხყოფას და გაბედულად და გამირულად დაიცვა სამშობლო. ამიტომაც მას „მეორე დიმიტრი თავდადებული“ უწოდეს.

დიმიტრი ყიფიანის ხსენებასთან ერთად მოსაგონარია აკაკი წერეთლის ლექსი „ქართველი უცხოეთში“, განსაკუთრებით კი მისი შედევერი „განთიადი“.

XIX საუკუნეში კიდევ მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ამბავი, ოღონდ სხვა შინაარსისა. ეს ამბავიც იმის მაჩვენებელია, თუ როგორ შეკავშირდებოდა ერი, როცა საჭირო იყო ძალთა ხმევა და გაერთიანება ეროვნული ინტერესების დასაცავად. ეს ამბავი ქართველ მწერართან არის დაკავშირებული, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთან.

ეს მოხდა 1893 წლის აპრილში.

პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წლის ოქტომბერში ქალაქ განჯაში (ეს ქალაქი აზერბაიჯანშია და ახლა ჰქვია კიროვადი) და იქვე დაასაფლავეს. გასული საუკუნის ბოლოს ჩვენში დაიბადა აზრი, რომ, პოეტის სიკვდილიდან ორმოცდარვა წლის გასვლის შემდეგ, მისი ნეშტი გადმოსვენებინათ სამშობლოში, თბილისში. ეს ისე უნდა მოხერხებულყო, რომ ამის წამომწყებნი ყოფილიყვნენ პოეტის ნათესავები. მაშინ ნ. ბარათაშვილის დები — ბარბარე ვეზირიშვილი, ნინო ბარათაშვილი და სოფიო სუმბათაშვილი და ბიძაშვილი გიორგი ილიას ძე ორბელიანი ცოცხლები იყვნენ და მათი სახელით დაიწერა ქალაქი — რათა მთავრობას ნება მიეცა პოეტის ნეშტის გადმოსვენებისა. ნამდვილად კი ნ. ბარათაშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებას ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წე-

რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც იყო ილია ჭავჭავაძე. სწორედ მან, ილია ჭავჭავაძემ, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად 1892 წლის № 77 „ივერიაში“ დაბეჭდა წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

მოახლოვდა 1893 წლის 25 აპრილი. გაზეთმა „ივერია“ 17 აპრილს გამოაქვეყნა განცხადება: „კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებული იქნება განჯიდან ტფილისს ნეშტი პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ეუწყებათ ეს ამბავი განსვენებულის ნათესავთა და პატივისმცემელთ, რათა მობრძანდნენ ამ დღეს, დილის 9¹/₂ საათზედ, რკინისგზის ვაგზალზედ, საიდანაც ნეშტს წაასვენებენ დიდუბის, მღვთის მშობლის ეკლესიაში“.

ამისთანა განცხადება გაზეთში იბეჭდებოდა ექვსი დღის განმავლობაში, რითაც მთელ საქართველოს მოეფინა ეს ამბავი და საზოგადოება მოემზადა საყვარელი პოეტის ნეშტის სამშობლოში მისაღებად.

1893 წლის 25 აპრილი სამგლოვიარო-საზეიმო დღე დადგა. აუარებელმა ზალხმა მოიყარა თავი თბილისის რკინიგზის სადგურის მოედანზე. აქ იყო დიდი და პატარა, ქალი და კაცი, სკოლის მოსწავლეები და მთელი ქართული ინტელიგენცია, მოსამსახურენი და მუშები. საქართველოს ქალაქებმა გამოგზავნენ თავისი წარმომადგენლები.

ამ დროს ნ. ბარათაშვილის შემოქმედება საკმაოდ ცნობილი იყო ჩვენში. გარდა იმისა, რომ ქართველი მკითხველი პოეტის ლექსებს იცნობდა ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციით, 1876 წელს პეტრე უმიკაშვილის რედაქციით დაიბეჭდა წიგნი „ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“, რომელსაც დაერთო რედაქტორისა და წიგნის შემდგენელის „წინასიტყვაობა“: „დავებუდეთ კი ეს წიგნი, მაგრამ ჩვენი გულითადი წადილი მთლად არ დაკმაყოფილებულა. ჩვენ გვსურდა ყოველი თხზულება ჩვენის ნიჭიერი პოეტისა, ყოველი ნაწერი, ყოველი მიწერ-მოწერა მისი და ამასთანავე ყოველივე ცნობა მის ყოფა-ცხოვრებაზედ შეგვეკრიფა და იმისთანა სრული წიგნი დავებუდებოდა, რომ ეს ჩვენი საუცხოვო მწერალი გამოხატულიყო ჩვენის საზოგადოების წინაშე სრულის თავის თვისებითა“...

ამ გამოცემამ მაინც ძლიერ შეუწყო ხელი, რომ ქართველი მკითხველი გასცნობოდა პოეტის შემოქმედებას, შეეფასებინა მისი პოეტური სიტყვის ძალა, მოემზადებინა მკითხველი ნ. ბარათაშვილის პოეზიის სახისა და ძალის ასათვისებლად.

25 აპრილის სამგლოვიარო--საზეიმო თავის მოყრა პოეტის ნეშტის ირგვლივ იმის დამადასტურებელია, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზია ბევრისათვის ცნობილი იყო, მკითხველმა იცოდა ფიქრი და აზრი პოეტისა, იცოდა, რომ ნ. ბარათაშვილის მთელი პოეზია მიქცეული იყო საქვეყნო და საზოგადოებრივ საკითხთა გამორკვევისაკენ. ამან გამოიწვია ის ხალხმრავლობა, სახალხო გლოვა და სახალხო აღტაცებაც იმის გამო, რომ პოეტის ნეშტი დაუბრუნდა სამშობლოს.

25 აპრილის „ივერიის“ მთელი ნომერი ნიკოლოზ ბარათაშვილს მიეძღვნა აქ დაიბეჭდა დავით მიქელაძის (ფსევდონიმი „მეველე“), მიხეილ ნასიძის (ფსევდონიმი „პაატა“), იონა შეუნარგიას, ეკატერინე გაბაშვილის წერილები, სილოვან ხუნდაძის, ნიკო დადიანის, დომინიკა ერისთავის (ფსევდონიმი „განდეგილი“) ლექსები და ამონაწერი პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის შრომიდან ნ. ბარათაშვილის შესახებ.

„ივერიის“ რეპორტიორი წერდა, რომ, როცა კუბო სადგურის შენობიდან გამოიტანეს, ხალხმა მუხლი მოიყარა სადგურის მოედანზე, დედებს შვილები მოჰყავდათ და პოეტის ნეშტის კუბოს ემთხვეოდნენ. სადგურიდან დიდუბის ეკლესიამდე ხელით ატარეს ნეშტი, ახალგაზრდები, სკოლის მოწაველები, ქალები, მთელი საქართველოს წარმომადგენლობა მიაცილებდა პოეტს. როცა ეკლესიასთან მივიდნენ, იქაც დაიჩოქა ხალხმა. ალექსანდრე ოქროპირიძემ და კალისტრატე ცინცაძემ ეკლესიაში სიტყვები წარმოსთქვეს, ხოლო სამშობლოში გათხრილ საფლავთან ნ. ბარათაშვილის ნეშტს გამოეთხოვნეს აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, პოეტი ნინო ორბელიანი, ქუთათა-სელთა წარმომადგენლები ლუარსაბ ლოლუა, დავით ბაქრაძე და გორგი წერეთელი, ბიძინა ჩოლოყაშვილი და ახალგაზრდა სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი.

მაშინ წარმოთქმული თითოეული სიტყვა შთამბეჭდავი იყო. ნიკოლოზ ბარათაშვილი თუ უცნობი იყო მაშინ, როცა სამშობლოდან მიემგზავრებოდა, ახლა მთელი საქართველო ზეიმობდა მის დაბრუნებას და გლოვობდა, რომ იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა. ილია ჭავჭავაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილი დაახასიათა როგორც ზეციური მოწყალება ჩვენი სამშობლოსათვის, ერის ღირსებად და მისი დიდების მაჩვენებლად, რჩეულთა შორის რჩეულად, მადლიან შემოქმედად, ქართველთათვის მოვლენილი ეროვნული ჭრილობის დამაამებლად. იგი ნუგეშიაო განგებისაგან გამოგზავნილი ქართველთათვის. ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ პოეზია დიდი მადლია და დიდი ნიჭი, რაც

მხოლოდ რჩეულთ ეძლევათ, პოეზია მოვლენილია იმისათვის, რომ კაცთა სიცოცხლეს გაუჩეროს სისხლის შეუწყვეტელი დენა, ამიტომაც პოეზია დიდი ტვირთია და იგი პოეტისაგან მოითხოვს მთელს შინს საარსებო ძალთა გამოყენებას და ხარჯვას. ბარათაშვილმაც იტვირთა ეს მადლი და ერთგულად, დაუღალავად ზიდა ღვთაებრივი ტვირთი პოეზიისა თავისი ერისა და სამშობლოს სამსახურად. პოეტს გაუმართლდაო მწვავე წინასწარმეტყველება, რომ იგი სამშობლოში არ დამარხულიყო, რომ მას მეგობართა და მანლობელ-ნათესავთა ცრემლი არ დაფრქვეოდა, მაგრამო, „დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ ძოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშთი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თავისი ნამი ცრემლად ზედ აღინოს, მისმა სამშობლომ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად“. „მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია. ასრულდა წინასწარ თქმული მაშინ და დღეს კი მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი“ — დაამთავრა სიტყვა ილია ჭავჭავაძემ.

აკაკი წერეთელმა ნიკოლოზ ბარათაშვილს ქართველი ერის ახალი ცხოვრების წინასწარმეტყველი უწოდა. „სამშობლოდან უცხო მხარეს მზესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმოარწყინებულყო. მას ვხედავთ და დღევანდელი ჩვენი მიგებება გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა. დიად, არავის გეგონოსთ აქ ეს ნამდვილი სამარე და კუბო ბარათაშვილისა, იმისი კუბოა ყველა ქართველის გული და ისე ხშირი, როგორიც თვით მგოსნის მთელი საქართველოსადმი სიყვარულით ავსებულ გულის ძგერა. ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა დაევენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელ საქართველოს სხივი ჰფინოს...“ აკაკი წერეთელმა დიდებულ წმიდათა წმიდა ადგილად აღიარა, ნ. ბარათაშვილი რუსთაველს გაუტოლა და იგი ჩათვალა გონებრივი ნაყოფის უპირველეს მთესველად.

ვაჟა-ფშაველამ ნიკოლოზ ბარათაშვილს „ქართლის წყლულთა მოზარე“ უწოდა, „ძლიერი სული“, „სამშობლოს მოყვარე“. არაგვი მუხლს გიყრისო თავისი ატეხილი ქალებით და ისინიო

„ცრემლით ატირა ცხარითა,
სმენად გადიქვენ ისინიც,

გრგვინვა რო ესმათ ბართა.
ქედებმა თავი იდრაქეს,
ფიქრით მოიცვენნ მწართა,
ამწვანებულნი მწვანედა,
განათლებულნი მთვართა“.

მთელი საქართველო ამოდრავა ამ ამბავმა. ხელისუფლებაც შეშფოთდა, რადგან დაინახა, რომ ერს ჰქონია რაღაც, რაც მას აერთმთლიანებს, ერთ ენერგიად შეაჯავშირებს, ერთ აზრზე დააყენებს, ერთ რამეს აფიქრებინებს. ეს იყო სწორედ ის, რის აღმოფხვრაც ეწადათ მთავარმართებელს, ეგზარქოსს და სასწავლო ოლქის მზრუნველს, მაშინდელ ხელისუფლებას. ათეული წლობით მათ მცდელობას თურმე ნაყოფი ვერ გამოეღო, დამონებულ ერს საკმარისია რაიმე მიზეზი მისცემოდა, რომ თავისი დაფარული ზრახვები, სურვილები, მიზნები გამოეჩინა. ამასთან ერთად, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის და სხვათა მონაწილეობა ამ სამგლოვიაროსაზეიმო ამბებში იმასაც მოასწავებდა, რომ ქართული ლიტერატურის ამ წარმომადგენელთა შემოქმედება-აზროვნებაში ერთი დაშაქავშირებელი და გამაერთიანებელი იდეა არსებულა, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას ერთი შიზანი და მისწრაფება ჰქონიათ და ის გაუხდიათ შემოქმედების საგანად.



ნკაპუკი

ლაქსაჰი
გაღი ქართლისა
წერილჰი

ტულის 1922 წელსა

ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებების 1922 წლის გამოცემის სატიტულო გვერდი

ლექსები ცნობილი გახდა, მრავალთა ყურადღება მიიპყრო და მრავალი აზრი და შეხედულებაც გაჩნდა მასზე. ქართველმა მწერალ-მოდ-ვაწეებმა და კრიტიკოსებმა მისი შემოქმედება მიიჩნიეს ახალ სიტყვად დიდი ისტორიის მქონე ქართულ ლიტერატურაში. პოეტის პიროვნება და პოეზია იმთავითვე მიიღო და თბილი, სათუთი გრძნობით დაიკავშირა ქართველმა მკითხველმა, მის სახელს და ყოველ მის სტრიქონს მორიდებული სიყვარულით ეპყრობოდა ყველა, განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ მის სიტყვას. ყოველი ახალი აღმოჩენა თუ მიგნება მისი ნაწარმოებისა აღაფრთოვანებდა საზოგადოებას. ბევრი ეძებდა პოეტის ხელიდან გამოსულ ნაწერს და ბევრმაც სიხარულით ცნობილი გახადა მკითხველთათვის ნაპოვნის მხიშველობა. ბევრი მაძიებელი სინანულს გამოთქვამდა, რომ პოეტის ზოგიერ-

თი ნაწარმოები, რომელთა არსებობაზე სხვადასხვა ცნობები იყო გაფანტული ნ. ბარათაშვილის ნაცნობთა შორის, არ იყო ნაპოვნი. ახლაც, როცა პოეტის სიცოცხლეს ბევრი ათეული წელიწადი გვაშორებს, როცა ყველა სიძველეთსაცავი გადათვალთვლებული და შესწავლილია, ბევრის ოცნებად რჩება ნ. ბარათაშვილის ნაწერის აღმოჩენა. ჯერაც არ ჩანავლებულა იმედი, რომ შეიძლება სადმე გამოანათოს პოეტის მიმალულმა აზრმა, იქნებ აღმოჩნდეს მისი პოემა, რომელსაც „ივერიელნი“ რქმევია. აღმოჩენის, მიგნების და პოვნის იმედი ჯერ არ გამქალა!

ერთი კი სრულიად ცხადია. ნიკოლოზ ბარათაშვილი ნაზ. სიყვარულით უყვარდათ და ეყვარებათ მკითხველებს, ქართული პოეზიის დამფასებელთ. ამას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როცა თქვა: „მის საფლავს დასტირიან მისნი ტრფიალნიც“—ო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა არ არის დიდი, დღევანდლამდის ცნობილია ოცდაცხრამეტი ლექსი, ერთი პოემა, თვრამეტი კერძო წერილი, ერთი სახუმარო ლექსი მის ნაცნობ ქალთა მიმართ... ესაა და ეს. ყველა მისი ნაწარმოები შექმნილია 1833 — 1845 წლებს შუა, სულ ცამეტი წლის განმავლობაში. პირველი დაწერილია მაშინ, როცა პოეტი თექვსმეტი წლისა იყო, ხოლო უკანასკნელი ნაწარმოები მან დაწერა ოცდარვა წლისამ (1845 წ.).

ნ. ბარათაშვილის დროს თბილისში ერთი ლიტერატურული გამოცემა იბეჭდებოდა, მაგრამ მაშინ მას მხოლოდ საშინაო რეგულაში ჰქონდა ჩაწერილი პირველი პოეტური ცდანი. ის ლიტერატურული ორგანო ნ. ბარათაშვილის სკოლის მასწავლებლის სოლომონ დოდაშვილის ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა და ერქვა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებანათანი“, ე. ი. ის იყო ლიტერატურული დამატება გაზეთისა „ტფილისის უწყებანი“-სა. სალიტერატურო ნაწილი 1832 წელს გამოდიოდა და სულ ხუთი ნომერი დაიბეჭდა იმ წლის იანვარ-მარტში. ჟურნალის ხელმძღვანელი სიამოვნებით ბეჭდავდა მის ფურცლებზე ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწერებს. ამ ჟურნალში დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის უკროსი ამხანაგების დავით მაჩაბლისა და გიორგი ერისთავის თხზულებები. ერთ-ერთ საჩუქრად წერილში ს. დოდაშვილი აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდებმა თხზულებების წერას მიაყვეს ხელი და კარგი ნიშანიაო. როცა ის ჟურნალი იბეჭდებოდა, ბარათაშვილი თხუთმეტი წლისა იყო.

ერთი სიტყვით, ნ. ბარათაშვილი ისე გარდაიცვალა, რომ არცერთი თავისი ნაწარმოები დაბეჭდილი არ უნახავს.

ნ. ბარათაშვილის პოეტობა ვიწრო წრემ იცოდა, მისმა დედის ძმამ — გრიგოლ ორბელიანმა, რომელსაც დისწული წერილებთან ერთად ლექსებსაც უგზავნიდა, იმ ახალგაზრდებმა, რომლებთანაც მას ყოველდღე უხდებოდა შეხვედრა და მათთან ყოფნა (მიხეილ თუმანიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, ილია ორბელიანი...), იცოდა ალექსანდრე ჭავჭავაძემ და მისი ოჯახის წევრებმა, რადგან პოეტი მათ უძღვნიდა ლექსებს და მათს სახლში კითხოვლობდა ზოგიერთებს. იცოდა მაიკო ორბელიანმა, მანანა ორბელიანმა...

როცა ნ. ბარათაშვილის სიკვდილის ამბავი შეიტყეს მისმა ტოლამხანაგებმა, გადაწყვიტეს შეეკრიბათ მისი ლექსები, დაერთოთ გრიგოლ ორბელიანისაგან დაწერილი ბიოგრაფია და გამოეცათ. ამით უნდოდათ ძეგლი აეგოთ თავისი უდროოდ დაღუპული მეგობრისათვის. ყველამ გულთან მიიტანა ეს სურვილი, ფულიც კი მოაგროვეს გამოცემის ხარჯად, მაგრამ წიგნი ვერ გამოიცა. მართალი იყო ილია ჭავჭავაძე, როცა თქვა:

„ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ვინ იცის თანა ჩაოდენი წარიღე ფიქრნი...“

გავიდა პოეტის სიკვდილიდან შვიდი წელიწადი და მისმა ამხანაგმა, გიორგი ერისთავმა, რომელიც ამ დროს ეურნალ „ცისკარის“ რედაქტორი იყო, დაბეჭდა ნ. ბარათაშვილის ოთხი ლექსი: „ბულბული ვარდზედ“, „სულო ბოროტო“, „რად ჰყვედრი კაცსა“ და „ჩემი ლოცვა“. ეს იყო 1852 წელს.

შემდეგ, როცა ეურნალი „ცისკარი“ განახლდა 1857 წლიდან, მისმა რედაქტორმა ივანე კერესელიძემ სხვადასხვა წლის ნომრებში დაბეჭდა პოეტის ოცდაორი ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. ამრიგად, ეურნალმა „ცისკარმა“ ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველნაბეჭდები მიაწოდა ქართველ მკითხველს, ის, რაც მაშინ აღმოჩენილი და ნაპოვნი იყო.

1863 წელს, როცა თბილისში გამოვიდა ახალი თაობის, ქართველი თერგდალეულების ეურნალი „საქართველოს მოაძბე“, ეურნალის რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ ეურნალის პირველი ნომერი გახსნა ნ. ბარათაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზე“. რედაქტორმა ნ. ბარათაშვილის ლექსს მიანიჭა ეურნალის სა-

რედაქციო წერილის ხარისხი, რითაც ი. ქავჭავაძემ პოეტის ამ თხზულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა და ადგილი მისცა.

მხოლოდ 1876 დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველი კრებული — „ლექსნი თქმულნი თ[ავადის] ნ. ბარათაშვილისაგან“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი განახლებული საქართველოს პოეტი იყო. ქართველი პუბლიცისტის არჩილ ჯორჯაძის მიხედვით „მე-19 საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და საქართველომ სცნო და იპოვნა თავისი დაკარგული სახე“¹. ბევრი რამის შემცველია ასეთი დახასიათება იმ საუკუნისა, რომლის დასაწყისშიც დგას ნ. ბარათაშვილი, პოეტი და მოაზროვნე, რომელსაც შესწევდა უნარი თვალი გაედევნებინა თავისი ქვეყნის წარსულისათვის და მასში განეჭვრიტა ის მოვლენები, რომელთაც წარმართეს საქართველოს „მეორედ შობა“. პოეტი შესანიშნავად ერკვეოდა თავისი რთული ეპოქის ხასიათსა და შინაარსში. პოეტი მომავლისაკენაც იმზირებოდა და ადამიანურ-მოქალაქეობრივი ინტუიციით განსაზღვრავდა თავისი ქვეყნის ხვალისდელ დღეს, რომელიც ტკივილითა და წინააღმდეგობათა დაძლევით უნდა განმტკიცებულიყო. რასაკვირველია, მომავალი პოეტისათვის მთლად მკაფიოდ არ ყოფილა გამოკვეთილი, მაგრამ ადამიანს, მოქალაქეს ამ მომავლისათვის ზრუნვა რომ ევალებოდა, სრულიად შეგნებული ჰქონდა. ამისი ნიმუში და მაჩვენებელი თვით მისი შემოქმედებაა, რომელშიც აირეკლა საქართველოს ახალი ეპოქის დადგინების ტკივილები.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მეშვიდრე იყო ქართული კულტურისა, ეს მწიკრი ცნობები პოეტის ცხოვრებაზე, რაც ჩვენამდის მოსულა, საწინააღმდეგოდა შესაძლებლობას არ იძლევიან მისი ბავშვობის, კვაბულობისა და დავაეცაცების წარმოსადგენად, მაგრამ, რაც მოღწეულია აქამდე, ცხადად მეტყველებს პოეტის გონების თვალსაწიერსა და იმ წყაროთა შესახებ, რითაც მას შეეძლო შეეცხო თავისი ცოდნა, თუ რას აქცევდა იგი ყურადღებას და რა შეიძლებოდა მისი გონების, აზრისა და გრძნობის წყარო ყოფილიყო.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი იქნებოდა ტრადიცია, რომლის წიაღშიც გაიზარდა ნ. ბარათაშვილი, ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა გავლენა დედისა — ეფემია ზურაბ ორბელიანის ასულისა, გრიგოლ ორბელიანის დისა, ეფემიას დედა — ხორეშან, ასული იყო ელენე ერეკლეს ასულისა. ხორეშანის ძმა იყო იმერეთის მეფე სო-

¹ „თხზულებანი“, V, გვ. 281, — „მცირე შენიშვნა“.

ლომონ მეორე. ეფემიას პირველი შვილი, პირშმო, ნ. ბარათაშვილი ხორეშან ანდრონიკაშვილის სახლში დაიბადა. მომავალი პოეტის ბაშვობამ ხორეშანის თვალწინ გაიარა, უფროსი შვილთშვილის გაზრდაში იგი გარდაცვალებამდის, 1833 წლამდის, მონაწილეობას იღებდა.

მოვუსმინოთ ნ. ბარათაშვილის თანამედროვეს და ამხანაგს კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილს, რომლის მოგონებაც გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“: „მამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა თ. მელიტონ სცხოვრობდა სიყმაწვილიდან თფილისში. მელიტონი იყო ქართულ ენაზე განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმიწევნით მცოდნე ქართული ლიტერატურისა. იმის სახლში ხანავდით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებს. იმათ შორის, თითქმის ყოველდღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი (მამა ჩვენის მწერლის პლატონ იოსელიანისა). ეგნატე იოსელიანმა ჩინებულათ იცოდა ქართული და სომხური ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენი საქართველოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში (XVIII საუკუნეში — ს. ზ.) მეფის ირაკლიდგან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ¹. მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ პოეტი (ღენ. — ლეიტენანტი) ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფალავანდიშვილები, სოლომონ მეითარი² თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინოვები³ (დისწულები მელიტონისა) და ბევრი მაშინდელის დროის განათლებულნი ქართველნი“⁴.

მაშინდელი არისტოკრატიული ქართველი ოჯახები, რომლებიც ტრადიციული კულტურით ცხოვრობდნენ, კარგი სკოლა იყო ახალგაზრდობისათვის. მოზარდი საკუთარ სახლში იძენდა განათლებას და საზოგადოებაში თავის დაკერის წესებს, ეცნობოდა მწიგნობრულ ძეგლებს, საოჯახო-საგვარეულო გადმოცემებს, წინაპართა პოლვაწეობასა და საქმიანობას.

¹ 1843 წლის 21 აგვისტოს ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს წერდა: „მამა ეგნატომ თავი დაგვიკრა იმიერ-სოფლითგან. ერთი თთვეა, რაც გარდაიცვალა საწყალის *Вот человек, который по положению в свете более всех страдал, Минувшее проходило перед ним и волновалось как море-океан*“.

² მეითარი — წარჩინებული მოხელე მეფის კარზე, რომლის მოვალეობა მეფისათვის ცხვირსახოცის მიწოდება იყო.

³ ალექსანდრე საგინაშვილის პირველი ცოლი იყო ბარბალე ორბელიანი, ნ. ბარათაშვილის ნათესავი და მეგობარი. დაქვრივებულმა ალექსანდრემ შემდეგ შეირთო ელისაბედ ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის და.

⁴ „დროება“, 1881 წ., № 206, 29 სექტემბერი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მოქალაქეობრივი გრძნობისა და შეგნების ჩამოყალიბებაში მცირე მნიშვნელობა არ ექნებოდა მისი მასწავლებლის, მაშინდელი ქართული გაზეთისა და ჟურნალის გამოცემელის, მწერლისა და ფილოსოფოსის სოლომონ დოდაშვილის გაკვეთილებს თბილისის გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში, სადაც 1832 წლის 10 დეკემბრამდე იგი ქართულ სიტყვიერებას ასწავლიდა. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ დოდაშვილი არა მხოლოდ თავის მოწაფეებს, არამედ მაშინდელ მთელ ქართველ ახალგაზრდობას ჰკუთხას ასწავლიდა და უღვიძებდა საზოგადო საქმიანობის ინტერესს. განათლებულ და მოაზროვნე მასწავლებელს 20-30-იანი წლების ახალგაზრდობა საშრომლოს სამსახურის გზაზე დაუყენებია. ეს სრულიად სარწმუნო აზრია, რადგან თვით ს. დოდაშვილის ბექდევური გამონათქვამები შეესაბამება ზ. ჭიჭინაძის ცნობას, მაგალითად, 1829 წლის 21 იანვარს, გაზეთში „ტფილისის უწყებანი“ დაიბეჭდა ს. დოდაშვილის შოწაფის ლუარსაბ არღუთაშვილ-მხარგრძელის წერილი „რაიმე რუსთაველისათვის“, რომელსაც გაზეთის ხელმძღვანელმა შემდეგი წერილი დაურთო: „შევრთე მუხლსა ამას განხალისებისა მისისა (ე. ი. წერილის ავტორისა — ს. ხ.) და კმაყოფილებისათვის მემამულეთა. სასურველ არს, რათა სხვანიცა შეუღდნენ მაგალითსა მისსა და აღანთონ გონებათა შინა თვისსა სანთელი მეცნიერებისა დიდებისათვის შაჰულისა...“ ესევე, როცა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათახი“-ს მეორე ნომერში დაიბეჭდა ალექსანდრე ორბელიანის ლექსი და გიორგი ერისათვის პოემა, ამ თხზულებათა ტექსტებს ს. დოდაშვილმა შემდეგი წარუძღვარა: „გამომცემელი ვალად პრაცხს განუცხადოს მთხზველთა მადლობა შემდგომთა ლექსთათვის... ღმერთმან იხებოს, რათა იხელოვნონ თხზულებათა შინა მრავალგვართა სტიხთათა და სასიამოვნო არს, რათა საშუალ მემამულეთა ჩვენთასა გამოჩნდნენ სხვანიცა მბაძველნი ესრეთა კეთილთა საქმეთანა“.

ს. დოდაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი იყო, სადაც მან უმაღლესი განათლება მიიღო ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე, იქ დაეწაფა მოწინავე რუსულ მეცნიერებას, იქ გაეცნო რუსეთის იმ ინტელიგენციას, რომელიც დიდი გადატრიალებისათვის ემზადებოდა. იგი იონა ხელაშვილის მეთვალყურეობითა და ხარჯით ცხოვრობდა იმპერიის დედაქალაქში, ნაცნობობა ჰქონდა იმ ქართველ ბატონიშვილებთან, პეტერბურგში რომ ცხოვრობდნენ და დიდ საგანმანათლებლო საქმეს აკეთებდნენ, მოღვაწეობდნენ მეცნიერებისა და მწერლობის სხვადასხვა დარგში,

წერდნენ და თარგმნიდნენ რუსულიდან და სხვა ენებიდან ქართულზე და თავის ნამოღვაწარ-ნამოქმედარს საქართველოში გზავნიდნენ. მარტო ერთი იოანე ბატონიშვილის „ხუმართ-სწავლა“ ანუ „კალმა-სობა“ რად ღირს!

იონა ხელაშვილი მაშინ ბაგრატ ბატონიშვილის ბინაზე ცხოვრობდა, მისი მღვდელი იყო, სოლომონ დოდაშვილიც მასთან ერთად იყო ვასილის კუნძულზე. როცა 1824 წლის გვიან შემოდგომაზე პეტერბურგში დიდი წყალდიდობა მოხდა, ბაგრატ ბატონიშვილის სახლი დაზიანდა. მაშინ ბაგრატი თავისი სახლეულობით თავის უმცროს ძმასთან — თეიმურაზ ბატონიშვილთან გადასახლდა და რამდენიმე თვე მის სახლში ცხოვრობდა. იონა ხელაშვილი და სოლომონ დოდაშვილიც იქ იყვნენ შეფარებულნი.

1825 წლის დეკემბერში სენატის მოედანზე, პეტრე პირველის ძეგლთან დეკემბრის აჯანყების მეთაური გამოვიდნენ და ჯარი გამოიყვანეს. მათ უნდოდათ იმპერატორი ნიკოლოზ პირველი დაეპატიმრებინათ და პოლიტიკური წყობილება შეეცვალათ. სოლომონ დოდაშვილმა, სტუდენტმა, თავისი თვალთ ნახა მოაჯანყენი, ტირანის წინააღმდეგ დარაზმულნი. დეკაბრისტების აჯანყებას დიდი რეზონანსი ჰქონდა რუსეთსა და უცხოეთში. სოლომონ დოდაშვილი, ეტყობა თვალს ადევნებდა დიდ ამბებს და ესმოდა პოლიტიკური დემონსტრაციის ხმა, მან ნახა მბორგაფი პეტერბურგი და იმის მოწმეც გახდა, როგორ დამარცხდნენ დეკაბრისტები და რა სასჯელით დასაჯა ისინი იმპერატორმა, ხუთი მეთაური, მაშინდელი რუსული ინტელიგენციის საუკეთესო წევრები, საღრჩობელაზე ჩამოჰკიდეს.

მაშინ ახალგაზრდობაში ხელიდან ხელში გადადიოდა დეკაბრისტთა ნაწერები, მათი ხელნაწერები. 1832 წელს, როცა თბილისში სოლომონ დოდაშვილი დააპატიმრეს და მისი ქაღალდები წაიღეს, მათ შორის ნახეს დეკაბრისტ კონდრატი რილეევის წერილის ასლი. რილეევი ჩამოღრჩობის წინა დამეს თავის მეუღლეს წერილი გამოუგზავნა საპრობილედან. ეს წერილი გავრცელდა, სოლომონ დოდაშვილსაც ჰქონია და თან ჩამოუტანია თბილისში.

ს. დოდაშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტში ევროპული ფილოსოფია შეისწავლა, 1827 წელს, უნივერსიტეტის კურსის შესრულებისათვის მან რუსულად გამოსცა თავისი ნაშრომი — „ფილოსოფიის კურსი, ლოგიკა“, რომელიც მაშინ რუსეთში ცნობილმა გამომცემელმა ალექსანდრე სმირდინმა დაბეჭდა. ს. დოდაშვილის წიგნის

გამოსვლას მაშინდელი რუსული პრესა გამოეხმაურა და ყველამ ერთხმად აღნიშნა სიახლე და ორიგინალობა კვლევისა.

ევროპულად განათლებული და რუსულად გამოცემული წიგნის ავტორი დაინიშნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებლად. 1827 წლიდან იგი შეუდგა კიდევ თავის მოვალეობის შესრულებას. 1828 წლის ივლისიდან იგი სამოქალაქო გუბერნატორის მიწვევით მუშაობდა მაშინდელი რუსული გაზეთის „ტფილისის უწყებების“ რედაქციაში. მისი მოვალეობა იყო გაზეთის ქართული ვარიანტის ხელმძღვანელობა. რაც ხანი ქართული გაზეთი გამოდიოდა, ს. დოდაშვილი მისი გამგებელი იყო. ამასთან, იგი სხვადასხვა სამეცნიერო და სახელმძღვანელო წიგნებს წერდა. 1830 წელს მან გამოუშვა ქართული გრამატიკის შემოკლებული კურსი, რომელიც გიმნაზიის მოსწავლეებისათვის იყო დაწერილი სახელმძღვანელოდ. დიდი განათლების მქონე მასწავლებელსა და მოღვაწეს კარგი უნარი ჰქონდა ახალგაზრდობასთან დაახლოვებისა, იგი მათი ხელმძღვანელი იყო, წარმართავდა არა მხოლოდ მათ აღზრდა-განათლებას, ხელსაც უწყობდა გამოექვეყნებინათ თავისი მოწაფური ნაწერები.

შემოქმედებითი კონტაქტი მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის ს. დოდაშვილის დაპატიმრება-გადასახლების შემდეგაც გაგრძელდა, როცა გიმნაზიელებმა ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალი — „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ გამოუშვეს, მათ რუსულ ენაზე თარგმნეს თავისი მასწავლებლის თხზულება — „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა“ და ჟურნალში შეიტანეს.

მასწავლებლის ნაწარმოები რუსულად თარგმნა მიხეილ თუმანიშვილმა (ფსევდონიმით გრაფ გორსკი).

ს. დოდაშვილი ნ. ბარათაშვილისა და მისი ამხანაგების საყვარელი აღმზრდელ-მასწავლებელი იყო რამდენიმე წლის განმავლობაში.

ასეთ ვითარებაში და გარემოცვაში გაიზარდა და დაგვიჟაკდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. პირველი ლექსი პოეტისა იყო „ბუღბუღი ვარდზედ“, დათარიღებული თვით ავტორისაგან: „წელსა 1834“.

რა იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, რამ უკარნახა ჩვენს ადრე დაღუპულ პოეტს ლექსების აზრი, რას უმღეროდა პოეტი თავისი მცირე, მაგრამ საოცრად შინაარსიანი შემოქმედებით, როგორი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია?

რადგანაც კაცნი გვმშენებენ...

ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი ვანი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ შიშართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარ ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა არა არს სუბუქა.

ილია ჭავჭავაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთ-ერთი მწვერვალია ქართული პოეზიისა. როგორც ჩვენი კავკასიონი მრავალი თოვლიან-ყინულიანი სიმაღლით არის დამშვენებული, ისე ქართული პოეზიაც, თავისი არსებობის მანძილზე, მრავალ პოეტურ სიმაღლეს ითვლის. ნ. ბარათაშვილი ერთ-ერთი იმ სიმაღლეთაგანია ქართული პოეზიისა, რომლის თვალსაწიერი მით უფრო დიდია, რაც უფრო მაღალია ეს მწვერვალი.

ნ. ბარათაშვილმა თავის ქვეყანასა და ერს ახალი დროის დადგომა ამცნო და ახალმა დრომ ნახა პირველი ანარეკლი და გამოსხივება ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. ნ. ბარათაშვილის პოეზია მაღალია, იგი უთანაბრდება თოვლიან-ყინულიან მწვერვალებს, მაგრამ ისეთი ცივი და მიუკარებელი არ არის, როგორც ის სიმაღლეა, ზევიდახ რომ დაჰყურებს თავის შემოგარენს. პირიქით, ნ. ბარათაშვილის პოეზია ცეცხლოვანია, მდულარეა, შეუჩერებელი და ყოველთვის წინმომსწრაფი. ნ. ბარათაშვილმა თავისი პოეზიით გამოხატა დაუმორჩილებლობა, მოძრაობა, ბრძოლა ჩამორჩენილობასთან, შეურიგებლო-

ბა არსებულთან, მისწრაფება უკეთესისაკენ, მაღლისაკენ, ადამიანურისაკენ.

ნ. ბარათაშვილმა ძლიერ ცოტა იცოცხლა, 1817 წელს დაბადებული 1845 წელს გარდაიცვალა 28 წლისა. ჩვენ არ ვიცით როგორი იყო უკანასკნელი დღეები ჩვენი დიდი რომანტიკოსი პოეტისა, რას ამბობდა, რას ნატრობდა სიკვდილის წინ, ვინ დაუხუჭა თვალი, რომელიც მას ყოველთვის მომავლისაკენ ჰქონდა მიმართული, რა დარჩა გარდაცვალების შემდეგ, სად წავიდა ის ნაწერები, მისი ქაღალდები, წერილები, რომლებიც მას აუცილებლად ექნებოდა და რომელთაც სათუთად ინახავდა ალბათ, როგორც სამშობლოდან მიღებულ მაცნეებს.

ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა, მაგრამ მშობლიური ლიტერატურის ნიადაგზე წარუშლელი კვალი დატოვა მან, გზათა სირთულე და სიძნელე გააადვილა, მომავლის სავალი გაკაფა და ამიტომაც შემდგომ თაობათა მოღვაწეობაში ცოცხლად დარჩა, მონაწილე გახდა მომავალ თაობათა საქმიანობისა, ფიქრისა, მისწრაფებებისა და შემართებისა.

ნ. ბარათაშვილისათვის მთავარი იყო არა იმისი ჩვენება თუ ასახვა, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, არამედ ძალისხმევა და ძალთა დარაზმვა იმის საწინააღმდეგოდ, რაც არსებობდა, რაც მას და მასთან ერთად საზოგადოებასაც ხელს უშლიდა ყოფიერების გარდაქმნაში, წინააღმდეგობათა დაძლევაში, აზრისა და გრძნობის გათავისუფლებაში. ნ. ბარათაშვილის მთელი პოეზია არის გამოხატულება სწრაფვისა შორეული მიზნისაკენ, სიმაღლისაკენ, სადაც ადამიანის სული იქნება უზაკველ, სადაც ადამიანის სურვილები აღსრულდებიან. ამ მიუწვდომელის ჰვერეტა მას ავიწყებდა ცხოვრების ყოველ სიმწარეს, პოეტის გულისთქმა მიუწვდომელის იქით ეძიებდა ზენაარსთა სამყოფ სადგურს, რომ აქ დაეტოვებინა ამოება მიწიერი არსებობისა და განწმენდილი სულით მიახლოვებოდა მას. პოეტისათვის ძნელი იყო ყველა მეგობრის, ნაცნობის თუ ნათესავის დატოვება, მაგრამ უფრო ძლიერი იყო ის მისწრაფება, რაც მას წინსვლას უკარნახებდა, რაც მისგან თავგანწირვას მოითხოვდა. სწორედ ამ მიუწვდომელის ძიებაში, ამ მისწრაფებაში გამოიხატა ნ. ბარათაშვილის, როგორც რომანტიკოსი პოეტის მთავარი აზრი, სწორედ ამიტომ იგი გაქდა წინამორბედი ქართული პოეზიის მომავალი განვითარებისა. ვინც გაიგო ნ. ბარათაშვილის პოეზიის სიმართლე, მან იწამა კიდევ იგი და მისი თავშეუკავებელი სიბოლა ჩათვალა წმინდა ბრძოლად უმადლესი მიზნის მიღწევაში. ბევრმა ვერ გაიგო ნ. ბარათაშვილის სიტყვის აზ-

რბ, და იგი „უსარგებლო“ პოეტად ჩათვალა, რომლის სტრიქონი და ლექსი „სარიელ კუქს“ ვერ ამოავსებდა (ანტონ ფურცელაძე).

ნ. ბარათაშვილი აზრის პოეტია. მას ჰქონდა მიზანი და იდეალი, იგი იყო თავისი მიზნის ერთგული დამცველი და მსახური, მიზნის მიღწევისათვის არაფერს ზოგავდა, თავგაპოვებული მებრძოლი იყო იდეის განხორციელების საქმეში. მისი მერანი გამოხატულებაა ქართველი მებრძოლი რომანტიკოსის მიზნისა, იგი არ იყო მხოლოდ სუბიექტურ განზრახვათა გამოქვეყნება. პოეტმა პროგრამა შექმნა ბრძოლისა, წინააღმდეგობათა დაძლევისა, მიზნის მიღწევისა. სწორედ ამიტომ, მისგან გამოთქმული აზრები აითვისა ქართველ მოღვაწეთა შემდეგმა თაობამ, ამიტომაც აქციეს მისი აზრი და სიტყვა დროშად ქართველმა სამოციანელებმა. მათ ნ. ბარათაშვილის პოეზიაში დაინახეს საკუთარ მისწრაფებათა რეალიზაცია, ამიტომ ირწმუნეს იგი და გაითავისეს მისი ბრწყინვალე შემოქმედება. მის პოეზიაში ხომ მკაფიოდ ჩანდა არსებულის დაგმობისა და მაღალ-ადამიანურ იდეათა სამყაროსაკენ მისწრაფება.

ნ. ბარათაშვილის ყრმობისდროინდელი ლექსები დათარიღებულია 1833 წლით, როცა იგი ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფე იყო. ესენია „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „კავკასიური მოთხრობა“, „ბულბული და ვარდი“. ამ ლექსებში პოეტს ვარდი და ია შეუდარებია ერთმანეთისათვის. უკვე ისმის დაუდგრომლობა დროისა, ქარბორბალასაგან ვარდის გაცრცენის, სილამაზისა და მიზიდულობის დაკარგვისაგან გამოწვეული წუხილი, გარეგანი ფეროვნების წარმავლობა. აქ პოეტი აზრის გამოხატვას აძლევს უპირატესობას. თანდათან იხვეწებოდა პოეტური სიტყვა და ფრაზა. ამ ლექსთაგან მნიშვნელოვანია „ბულბული ვარდზედ“, რომელსაც ადრე, 1833 წელს „ბულბული და ვარდი“ ერქვა. ნ. ბარათაშვილმაც ამ ლექსით ხარკი გადაუხადა XVIII საუკუნის მწერლობასო, ბესიკის დროის ქართულ პოეზიას და ახალ ეპოქაში ვარდბულბულიანის თემა ააუღერაო. მართლაც, ნაწარმოებში ვარდისა და ბულბულის ტრადიციული სიყვარულია გადმოცემული. დაუკმაყოფილებელი, სურვილშეუხრტლებელი ბულბული აულაპარაკებია მას. აქ არ არის დიალოგი ბულბულსა და ვარდს შორის, როგორც ტრადიციულ გაბაასებაშია. აქ ბულბულის ყეფა, მისი სურვილია ნაჩვენები — ბულბულს უნდა ვარდის გაშლა ნახოს, ამ დროს შესტრფის, მწუხრიდან განთიადამდე და განთიადიდან მწუხრამდე ზის იგი ვარდთან და ელოდება მის გაშლას, თან განუწყვეტლად გალობს. ბულბული დაიდალა ხვეწნითა და მუდარით და დაღ-

ლილს ჩაეძინა. ეს ჩაძინება საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, ვარდი მაშინ გაიშალა და მაშინ მოჰფინა სურნელება გარემოს, როცა დაღლილ ბულბულს ეძინა. განთიადს მთიები აღმობრწყინდა და ფრთოსნებმა მხიარული გალობა დაიწყეს, ამ ხმაზე გაიღვიძა ბულბულმა და დაინახა — ვარდი უკვე დამჰკნარიყო, დაფურცლულიყო. მაშინ სევდის საცემელი ჩაიცვა ბულბულის გულმა, ფრინველი აფრინდა და ღნობის ხმით მოუხმო ყოველთა სირთა და აუწყა მათ თავისი ებღურთი ბედი: შემებრალეთო, მისმინეთო, ვის მივმართო დაწყულულებული გულითო, მის კოკრობას შევეტოფოდი, არ დამიზოგიასიცოცნლე, უძილობა, გალობა. ერთი წადილი მქონდა — ვარდი მენახა გაფურჩქვნილი. რას ვიფიქრებდი, რომ ასე ადრე დაჰკნებოდა და ვარდის გაშლას ვერ ვნახავდი...

პოეტმა ბულბულის დაწყულულებული გული გამოხატა, გაცრუებული იმედი მისი, წადილი შეუსრულებელი მიჭნურისა.

15—16 წლის ჰაბუკი, ცხოვრების საფეხურზე ეს-ეს არის შემდვარი ახალგაზრდა უკვე იმედის დანთქმაზე მსჯელობს, ჯერაც ბავშობადაუსრულებელ ასაკში იგი ცხოვრებისეული მწვავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მართლაც, ჰაბუკმა პოეტმა განიცადა სუსხი სინამდვილისა, ჯერაც არ იყო ზრდადასრულებული, რომ მისი საყვარელი ადამიანები; მისი უფროსი მეგობრები და სათაყვანო მასწავლებელი 1832 წლის დეკემბერში ავლაბრის ყაზარმებში გამოამწყვდიეს. შეთქმულება გასცეს, ორი-სამი დღის განმავლობაში ბევრი ვინმე დააპატიმრეს, თბილისი დაიკალა ინტელიგენტთაგან, ნ. ბარათაშვილის ახლო ნათესაეთაგან, მის უფროს მეგობართაგან, ნაცნობთაგან. დასმენამ სამშობლოს გათავისუფლების საქმე ჩაშალა.

ნ. ბარათაშვილი იმ შემოდგომაზე 15 წლისა შესრულდა, დეკემბერში კი მისი მახლობლები დააპატიმრეს, გამოძიება გაგრძელდა, ჯერ თბილისშივე შექმნილი კომისია იძიებდა, შემდეგ პეტერბურგადან ჩამოსულმა მოჰკიდა ხელი გამოძიება-დაკითხვებს. რამდენიმე თვის განმავლობაში დაპატიმრებულთა პატრონები მძიმე განცდათა მოლოდინში იყვნენ. სწორედ ამ დროს დაწერა ნ. ბარათაშვილმა „ბულბული ვარდზედ“. რასაკვირველია, მას მაშინ ჰუცხულის და ვარდის სიყვარული კი არა, თავის ნაცნობ მასწავლებელ-მეგობართა იმედის ჩავარდნა აწუხებდა.

ლექსში, უნდა ვივარაუდოთ, ნ. ბარათაშვილმა გამოხატა წუხილი იმის გამო, რომ საქმე ჩაიშალა ძმათა გამყიდველობით, მიზანი მიუღწეველი დარჩა.

რასაკვირველია, ეს არ არის ტრადიციული ვარდ-ბულბულიანი, პოეტმა შეფარვით გამოხატა თავისი მეგობარ-ნათესაეების მიზნის შეუსრულებლობა.

ორიოდე წლის შემდეგ ნ. ბარათაშვილი კვლავ გაიხსენებს ამ ამბავს და თავის ბიძას — გრიგოლ ორბელიანს გაუგზავნის ლექსს „ღამე ყაბაზზედ“ თანდართული მიძღვნით „ძია გ...სთან“ და იქ იტყვის, რომ ძიას და მის თანამზრახველებს „სამშობლო... წაართვა ავის ენისა გესლმან“ და, რომ, ყაბაზის „სატრფონი მისნი შემოგარენი გარდახვეწილსა დაგიზო ეტლმან“. ავი ენის გესლიანობის გამო ვერ შეუსრულდა ბულბულს მწვავე სურვილი — ენახა ვარდის გაშლა მლინავი.

1835 წელს ნ. ბარათაშვილმა გიმნაზიის კურსი დაასრულა. საჭირო იყო შემდეგი ნაბიჯის გადადგმა, ცხოვრებაში შესვლა. პირველსავე ხანებში მას ვერც ერთი სურვილი ვერ შეუსრულდა. უნდოდა სამხედრო სამსახურში ჩადგომა, მისი ტოლებიდან ბევრი მსახურობდა უკვე, ჰგავს მას ხელი შეუშალა გიმნაზიაში სწავლისას ნატკენმა და დაწინაურებულმა ფეხმა. ასეთი ფიზიკური ნაკლით სამხედრო კარიერას ვერ მოიპოვებდა. გუნებაში გაივლო უმაღლეს სასწავლებელში წასვლა, ამისთვის საჭირო იქნებოდა რუსეთის რომელიმე ქალაქს გამგზავრება. ვერც ეს მოუხერხდა ხელმოკლეობის გამო. იმ ხანებში მისმა მამამ — მელიტიანმა დიდი ორსართულიანი სახლი და მშვენიერი ბაღი სოფელ შინდისში (თბილისთან ახლოს, კოჯრის მიმართულებით) ვალის დასაფარავად გაყიდა. ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა არ იყო ხელისშემწყობი გიმნაზიის კურსშესრულებული ახალგაზრდისათვის. იგი იძულებული გახდა სამოქალაქო სამსახურში შესულიყო და „საქართველოს უზენაესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში“ უბრალო მოხელედ შევიდა. თავისუფლების მაძიებელი პოეტი, 18 წლისა, მოხელედ იქცა. იჯდა საწერ მაგიდასთან და წერდა სხვადასხვა აქტებს, მიმართვებს, დადგენილებებს... ნ. ბარათაშვილი იყო „კოლეჯის რეგისტრატორი“, მაშინდელი წოდებათა ხარისხის მიხედვით უმაღლესი ხარისხის მქონე...

ბევრი ობიექტური და სუბიექტური ამბავი და მოვლენა მოხდა და დატრიალდა ნ. ბარათაშვილის ირგვლივ, მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის გზაზე, იგი ხედავდა არა მხოლოდ თავისი საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ დაკნინებას, არამედ მის ირგვლივ მცხოვრებთა ყოფისა და ვითარების დაწვრილმანებასაც. ნ. ბარათაშვილმა თავისი ხელით დაწერა შინდისის მამაპაპეული სახლ-

კარისა და ბაღ-ვენახების გაყიდვის საბუთი და ბარათაშვილების მამულის მფლობელი ვაჭრის ნაშეირი გურგინბეკოვი გახდა. რამდენმა შემთხვევამ და კრიტიკულმა გარემოებამ მოახდინა გავლენა მის შეგნებასა და გონებაზე, რამდენმა მოვლენამ გაავლო კვალი მის გრძობიერებას!

5. ბარათაშვილმა ყველაფერს თავისი ნაზრევით გასცა პასუხი, საზოგადოებრივ-ეროვნული და პირადული ყველაფერი ლექსებით გააზოხატა. ახალგაზრდონიდანვე იგემა მან სურვილთა და მიზანთა შესრულებლობის სიმწარე, ხშირად ყოფილა იგი გულნაკლული სხვადასხვა ამბავთა გამო, თუმცა იგი არ შეიძლებოდა მოღუნულიყო, მას მხოლოდ ქარიშხალი თუ გადაამტვრევდა მტკიცესა და მაგარს.

გიმნაზიაშივე გამოიჩინა მან სურვილი შემოქმედებისა სასკოლო ხელნაწერი ჟურნალის თანამონაწილე და თანამშრომელი იყო, ჩამოშლილი ახალგაზრდათა წრეში, მისი ლექსები სხვა პოეტების ნაწერებთან ერთად უკვე ანთოლოგიებში მოხვდა. თარგმანსაც მოჰკიდა ხელი, ბიბლიოთეკის დაარსებაშიც მიიღო მონაწილეობა, მოქმედებდა, საქმიანობდა, ქმნიდა, იბრძოდა, სიცოცხლისა და არსებობის პოეტი იყო, ცხოვრების მოვლენათა ღრმად მცნობი და გამგები. თავის ტოლებში იგი იყო მკაფიოდ მხედველი ადამიანთა შემოქმედი ძალებიანა და მათი შეზღუდვისა, ხედავდა პიროვნების სურვილთა დათრგუნვას, საზოგადოების უილაჯობას, ზოგთა და ზოგთა უნიათობას და შემდოვრებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

წავიკითხვით მისი პირადი წერილები და ენახავთ ახალგაზრდა პოეტის ფიქრთა, დაკვირვებათა და შექიჩვებათა სამყაროს. გესლი, ბიწიერება, სიაცე ყოფისა აღრევე შეიგრძნო პოეტმა, ადამიანთა შორის ნათიფ გრძობათა კავშირი დარღვეულია, რაც ყმაწვილობის გაუშლელ ვარდს აზრობს და აჰქნობს, სიცოცხლის ყვაილს სასტიკი ქარი ანადგურებს და ადამიანის ერთადერთ ნუგეშად რჩება „სხვა სოფელი“. პოეტი თავის პირველ ლექსებში გამოხატავდა კაცთა უფულობას, სჩიოდა უდროოდ მოკლულ სიყმაწვილებზე, გაუტანლობაზე, ჰკიცხავდა შურსა და ავი ენის შედეგს. ჯერ კიდევ 1935 წელს დაწერილ ლირიკულ ნაწარმოებში „ქეთევან“ ყველა ამის შესახებ ათქმევინა თავისი ლექსის გმირს, რომლისთვისაც მზაკვართა ენას სიცოცხლე გაუშხამებია, რის შედეგადაც ქეთევანი მდინარე ქსნის ტალღებს მიეცა.

1936 წელს ნ. ბარათაშვილმა დაწერა „შემოღამება მთაწმინდაზედ“. მისი საბოლოო რედაქცია მან დაამუშავა იმ წელიწადს, როცა

„მერანი“ დაწერა, 1842 წელს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ხაწარ-
მოები თანაბარი განცდით და გზნებით არის დაწერილი, გარეგნუ-
ლადაც ერთმანეთს ემსგავსებიან, როგორც ერთში, ისე მეორეში პო-
ეტი სხვადასხვა სალექსო ზომას მიმართავს, კერძოდ 20 და 14-მარცვ-
ლიან ტაეპებს. ერთი მეორის მიმდევარ სტროფებს ამ ზომის სტრი-
ქონებით წერს და ქმნის ტონის ამალეზა-დადაბლების საშუალებას,
ერთმანეთს უნაცვლებს აღწერასა და პათეტიკას და მღელღეზ-
ების ეფექტსა ქმნის. პოეტისაგან დანახული და დანახულის შეფასება
ერთმანეთს ენაცვლება, იგი ბუნების წიადშია, მაგრამ, ამასთანავე მი-
სი მკვრეტელი, მისი სიდიადით და დაუსრულებლობით მოჭადოებული
დგას საოცარი სამყაროს წინაშე, განიცდის მას, ჰკრეტს მას და ცა
და მიწა ერთად წარმოუდგება. მთაწმინდის მთის სიმაღლიდან იგი
ერთ მთლიანობაში აღიქვამს ზეცას და მიწას, მთელს სამყაროს. უც-
ქერის ბუნების უსაზღვროებას და საწუთრო ავიწყდება, ავიწყდება
მიწიერი ცხოვრება, მისი შემოსაზღვრული არსებობა და პოეტის სუ-
ლი, მისი გულის თქმა ამ შემოსაზღვრულის იქით ეძიებს სადგურს
თავისი სულისათვის, რომ აქ, მიწაზე დატოვოს ამაოება და შეუერთ-
დეს იმ უსაზღვროებას, რომელსაც ასე ნათლად და ხილულად განიც-
დის მთაწმინდის სიმაღლიდან. პოეტი თავის განწყობილებას გადმოგყ-
ცემს წმიდა ადგილის ხილვისას, ეს ადგილები ვერანანი და უდა-
ბურნი არიან და თანაც მშვენიერნი, განსაკუთრებით მაშინ, როცა
თანდათან ქრება დღის მნათობის სხივთა ძალა და შემოგარენს საი-
ღუმლოებრივი შუქ-ჩრდილები დაეფუფლებიან, მაშინ მთაწმინდის
არე-მარეში იღუმალობა დაისადგურებს და გამჭვირვალე ჰაერში მკა-
ფიოდ გამოჩნდება არა მარტო უდაბურება მთაწმინდისა, არამედ, პოე-
ტის წარმოსახვით, ის გზაც, რომელიც უნდა გაიაროს მიწიერი არ-
სებობით დადლილმა სულმა, რომ შეუერთდეს ბუნების წიადს, მუდ-
მივ არსებობას და დაუსრულებლობას. მიწიერი ცხოვრება გარშემო-
ყვარგლულია და შემოსალტული, ბუნება კი, განსაკუთრებით მაშინ.
როცა ადამიანის დადლილი სული წარსდგება მის წინაშე, სული მა-
ძიებელი, სული მებრძოლი და სული დაუშოშმინებელი, ბუნება მე-
ტად მიზიდველი და ჯადოსნური ხდება. სწორედ მისკენ მიისწრაფ-
ის ადამიანი, მაგრამ მას, ადამიანს არა აქვს საშუალება ხორციელი
არსებით შეუერთდეს ამ უსასრულო ბუნებას, მხოლოდ სულით თუ
მონახავს გზას და საშუალებას უსაზღვროებასთან დასაკავშირებლად.

შემოღამებისას მთაწმიდა უსაზომო სილამაზით არის შემკული.
მისი სიმაღლის წინაშე ლამაზი გელი წმიდა ტაბლასავით შემკულა

ყვაგილებით, რომელნიც სამადლოზელ გუნდრუკს აკმევენ ღვთაებრივი მთაწმიდის სიმაღლის მიმართ. ნაღვლიანი პოეტი ამისთანა საამო დროს, დაბინდულ კლდეთა შორის, ვიწრო ბილიკით ადის მაღლა და პოეტისავით მწუხარ და სევდიან საღამოს შესტრფის. ისეთი ლამაზი და ნაზი, მიმზიდველი და დაუვიწყარია მწუხრის, დაისის ეს სურათი, რომ იგი აღმოუფხვრელად პოეტის არსებობის თანამგზავრად ქმნილა. „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჭერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული“ და ამიტომაც, როცა პოეტის თვალნი მთაწმიდას ლაქვარდში იხილავს, მისი ფიქრები უმაღლესკენ გაეწრაფებიან, მაგრამ... ფიქრები ღვთაებრივ და საიდუმლოებრივი მთის სიმაღლემდე ჰაერში განიბნევიან და იქამდე ვერ აღწევენ. პოეტს მაშინ საწუთროება ავიწყდება და გულისტქმით მთაწმიდის სიმაღლეთა იქით ეძიებს სადგურს, ზენართ სამყოფს.

პოეტი მთაწმიდას ცოცხალი ადამიანის უნარს ანიჭებს, მის პერსონიფიციკრებას ახდენს, მაისის მწუხრზე დაფიქრებით მდგომი პოეტის წინაშე მთაწმიდის კალთები მღუპარებით ამოივსებიან, ღელეთა შორის ნიავე ამოიკვნესებს და შორი შემოგარენი პოეტის გულის ცემას შეუთანხმდებიან. მთაწმიდაც ცოცხლდება პოეტის შეგნებაში, იგი ხან იცინის, ხან ცრემლიანია, გულდახურულთა მეგობარია, ბინდში დაღუპებულთა. მთვარეს კი თან მისდევს მისი მიჯნური ერთი ვარსკვლავი, მთვარე, მომჯადოებელი პოეტური შედარებით, ლოცვით ჯაღლილ ქალწულსა ჰგავს, დისკო-გადახრილი და შუქ-მიბინდული.

პოეტის ყოფნა დაისის მთაწმიდის პირისპირ, ასეთ შემოღამებაში ხშირი არ არის, ამიტომაც ერთხელ განცდილი და ნახული აღმოუფხვრელ სურათად იკვეთება პოეტის ხსოვნაში, რადგან მხოლოდ მთაწმიდის ბუნებას შეუძლია მიუხვდეს პოეტს და მხოლოდ პოეტის გული გრძნობს, რაოდენ ზღაპრული შვება მიანიჭა მას მთაწმიდის დაისში. პოეტის არსებობა ნუგეშით და იმედით ივსება, „რომ გათენდება დილა ჰქიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

ამ დასკვნისათვის პოეტი დიდხანს ემზადება, თან მკითხველსაც ემზადებს იმისათვის, რომ ლექსის დასასრულს აღმოხდეს მზიანი დილის ღადგომისა და ყოველგვარი ბინდის გამანქრეველი მნათობის მოვლინება. იგი კონტრასტებს ქმნის. მათ იყენებს იმ დიდი აუცივილის საცნაურყოფად, რაც მას, როგორც სამშობლოს შვილს და მშობლიური ქვეყნის მომავლით შეპყრობილს გააჩნია. პოეტს კონკრეტულად აღარ წარმოუსახავს სურათი მთაწმიდისა (თაჯისი სამშობლოსი) მზის ამოსვლის შემდეგ, მაგრამ რომ მზე ამოვა და სინათლეს მოჰყენს, ეს მას ღრმად სჯერა, სწამს, დარწმუნებულია.

როცა ლექსს ვკითხულობთ, ვხედავთ, რომ პოეტის მთელი ყუ-
რადღება ბინდით მოცული მთაწმიდისაკენაა მიპყრობილი, ვხედავთ,
რომ დაღამების წინა ბინდში მოქცეული მთაწმიდა, მთვარის ობოლი
სული და ერთადერთი ვარსკვლავი ცაზე მიმზიდველია მისთვის და
უფრო უსანადება პოეტის განწყობილებას, მაგრამ მზე მაინც ამოვა
აუცილებლად. ეს კონტრასტები — ბინდი და მზის ამოსვლა, ერთმან-
ეთს ცვლიან. პოეტი ბუნების გარდაუვალი მოძრაობის მცოდნეა
და ამ კანონის სიმბოლიური ფეროვანებით აჩვენებს მზიანი დილის
ათენებას და ყოველი ბინდის გაფანტვას.

„შემოღამება მთაწმიდაზე“ დასაწყისია იმისა, რაც უნდა „ჟე-
რანში“ ითქვას. „მერანი“ დაწერილია 1842 წელს. პოეტის ხელნაწე-
რებში მას სათაური არა აქვს. პირველნაბეჭდში (იხ. უფრ. „ცისკარი“,
1860 წ., № 6) მას ჰქვია „ჩემს მერანს“, შემდეგ მიღებულია დღეს
გავრცელებული „მერანი“.

ამ ლექსის დაწერას თავისი ისტორია აქვს: 1842 წლის 20 მარტს
ნ. ბარათაშვილის დედის ძმა და პოეტის თანატოლი ილია ორბელიან-
ი თავისი უფროსის დავალებით დალესტანს გაემგზავრა. სოფელ
ყანიყუმუხში ლექებმა დაატყვევეს და შამილს მიჰგვარეს დარღოში.
ილიასთან შეხვედრისას შამილს, როგორც ნ. ბარათაშვილი წერს გრი-
გოლ ორბელიანს, ილიას თვალწინ ავარიის მმართველს აჰმედ ხან
პეხთულელისაგან გამოგზავნილი „დაწყებული ყმაწვილი ბიჭებისათ-
ვის“ თავები დაუყრევინებია. შამილი აჰმედ ხანზე ყოფილა გაჯავ-
რებული და მისი გაგზავნილი ოცი ახალგაზრდის მოკვლით უყრია
მისი ჯავრი. ილია ორბელიანს შამილისათვის უთქვამს, რომ ეს საქცი-
ელი არაა საკადრისი, ამით იგი ვერავის ვერ შეაშინებს, რადგან ყვე-
ლა სიკვდილის შვილები ვართ და დღეს თუ არა, ხვალ ყველას ბოლო
სიკვდილია. „შენს ხელში ყოფნას მეც სიკვდილი მიჩრჩენია“-ო —
უთქვამს მას შამილისათვის. „ილიკო ყოჩაღად ყოფილა. ის ახლა ნა-
ირ-ნაირი ანგდოტების (ანუ ამბების — ს. ხ.) საგანია. ზოგჯერ ამის-
თანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება
ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიკოს ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არ
უშავს რა. აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“ და შემდეგ
ნ. ბარათაშვილს გრიგოლ ორბელიანთან გაგზავნილ წერილში მთლიან-
ნად ჩაუწერია ლექსი... „არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება.
აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვა-
ზე. რასაკვირველია, იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და
არა მე. ილიას დაქერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შეგ-

წუხდი, ასე რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით, და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დაწერე და თითქოს ამან რაღაც შეება მომცაო“...

წერილი დაწერილია 1842 წლის 2 მაისს.

საინტერესო წერილია. სამი დღე გაბრუებული ყოფილა. ილიას ტყვეობამ მეტად შეაწუხა, მაგრამ ლექსის დაწერამ იგი დაამშვიდა, განმუხტა და შეება აგრძნობინა. თავის ბიძას — გრიგოლ ორბელიანს უკვე დამშვიდებული კილოთი ესაუბრება და სხვა ამბებსაც ატყობანებს.

ნ. ბარათაშვილის ფიქრებს ბიძგი მისცა ილია ორბელიანის დატყვევებამ. ამას, რაც დაწერე, ვითომ ილია ამბობსო, მას ვალაპარაკებო, — წერს ნ. ბარათაშვილი თავის უფროს ბიძას. მართლაც, პოეტის წარმოსახვით, დატყვევებულს შეიძლებოდა წარმოედგინა მერანი, რომელიც კლდე-ღრეს გადაუვლიდა, ქარსაც გაჰკვეთდა, მერანს შეეძლებოდა მოუთმენელის სავალნი დღენი შემოკლებინა. შამილს ამაყად შეჰყრია ილია ორბელიანი, აქამდე არ ემონა, არ დაემორჩილა მას და არც შემდეგ აპირებდა დამორჩილებას, პირიქით, ამხილა კიდევ თურმე შამილი სისასტიკეში და გაახსენა, რომ ადამიანი სიკვდილის შვილია და არ შეიძლება გაკაპასებულმა ოც ახალგაზრდას თავები შეუბრალებლად წააცალოს. თითქოს რაღაც რეალიები ჩნდება ლექსში, მაგრამ მთლიანად იგი რომანტიკოსი პოეტის განწყობილების მატარებელია და, მგონი არსად ისე მკაფიოდ და ისე მეტყველად პოეტს არ გამოუჩენია საკუთარი სულის მდგომარეობა, საკუთარი და პირადი განცდანი, დამოკიდებულება ცრუ და უღმობელ სოფელთან, არსად, არც ერთ ლექსში ასე მკაფიოდ არ უთქვამს პოეტს თავისი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანაზე საკაცობრიო სიკეთის სასარგებლოდ.

როცა წარმოვიდგინებ ნ. ბარათაშვილის მთელ შემოქმედებას, დაწყებული მისი პირველი ლექსებიდან „მერანამდე“, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ბოლოს და ბოლოს პოეტს უარი უნდა ეთქვა ყველაფერზე და ახალ, გამოურკვეველ და უცნობ, მაგრამ მაინც ახალ სამყაროში გადაშვებულყო.

როცა წარმოვიდგინებ, რომ პოეტს ყრმობიდანვე რაღაც იღუმალი ხმა მოუწოდებდა, მას შემდეგ რაც მან ყმაწვილობა დატოვა, დატოვა ის ადვილი, სადაც პირველად სცნა წუთისოფელი, უკან ჩამოიტოვა ის დრო, როცა ისწორებთან, თანაშეზრდილებთან და მეგობრებთან

იყო, მას შემდეგ რაც გამოუცნობი ხმა გაუხდა თანამდევად მის ზრახვათა და საწადელს, ცხადში თუ სიზმრად სულ ერთსა და იგივეს ჩააჩიჩინებდა თუ უჩურჩულებდა იგი ხმა — შენი ხვედრი და ბედი ეძიე და ეცადე შენი საშენი, ანუ შენი შესაფერისი იპოვო. მაგრამ პოეტს თავისი ხვედრი ვერ უპოვია, ამიტომ დაექვებულა ამ იღუმალი ხმის სურვილში და გამწარებული ფიქრობს, ვაი თუ ეს ხმა შეუწყალებელი სინდისის დევნის ხმა არისო. მაგრამ, როცა ანალიზს გაუკეთებდა თავის ცხოვრებას, თავისში ავს, აღსაშფოთებელს და საქენჯნავს ვერაფერს პოულობდა, მაშ, ვისი ხმა უნდა ყოფილიყო ეს ხმა იღუმალი, მფარველი ანგელოსისა თუ მაცდური ეშმაკისა, რის მოძახლეველი უნდა ყოფილიყო ეს ხმა — სიკეთისა და ლმობიერებისა იმ ბოროტებისა და გაუტანლობისა.

პოეტი ყოველთვის ფიქრში იყო. საფიქრებელი მისი იყო არა ყოველდღიური ცხოვრება, აღსავეს მრავალი დიდი თუ მცირე უსიამოვნებით, არამედ უფრო სხვანაირი, საყოველთაო და ბევრად რთული, ვიდრე ყოველდღიური საზრუნავი. მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი იყო ადამიანი, მისი დანიშნულება, მისი ადგილი სამყაროში. ფიქრთ გამრთველად კი პოეტს ბუნების წიაღი აქვს შერჩეული, ბუნებაში განმარტოებულს უფრო ეადვილება განსჯა და ფიქრი, მით უფრო, როცა ბუნებაც, მთაწმიდა იქნება თუ მტკვრის სანაპირო, ისეთივე განწყობილებითა და ხასიათით არის აღჭურვილი, როგორც თვით პოეტია. იგი ბუნებას ადამიანურ თვისებას ანიჭებს, როგორც თითონ, ისე ბუნებაც სევდიანი და მოწყენილია, ნუგეშის ცრემლი მას მხოლოდ ადამიანთაგან მოშორებით მოადგება თვალთ, სევდით აღსავეს პოეტი ნელად მღელვარე მტკვრის პირზე გამარტოვდება. უსებამო და დაუსრულებელია მტკვრის დინება, მისი ზედაპირი ლაქვარდ და ღრმა ცას აირეკლავს. პოეტი იდაყვზე დაყრდნობილი ყუბს უგდებს მდინარის ჩხრიალს, თვალები კი ცის დასავალისაკენ მიუპყრია. მდინარის დინებისა და ცის დაუსრულებლობაში პოეტს ცხოვრება ამაოებად და ფუჰად ეჩვენება, რადგან ადამიანის წუთისოფელი მხოლოდ აღუვსებელი საწყაულია, ადამიანის გული არასოდეს არ აივსება, მისთვის უცხოა დაკმაყოფილების გრძნობა, ვერც სიკეთე და ვერც ბოროტება დასასრულს ვერ პოულობენ და ადამიანიც ივიწყებს გარდაუვალ დასასრულს — ყველაფერი რომ სიკვდილით მთავრდება. „მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“ დასკვნა ერთია: ვერცერთი ცდა ადამიანისა ვერ მიიღწევა, ადამიანი მიზანს ვერ მიაღწევს. ძლიერი და აღბორცებული მეფე იმას ფიქ-

რობს, როგორმე ხელში ჩაიგდოს სხვისი სამეფო და აღიძვრება იმავე მიწისათვის, რაღაც დღეს თუ ხვალ თვით უნდა იქცეს. არც კეთილი ჰეფეა მოსვენებული, რადგან იგი ქვეშევრდომთათვის ზრუნვასა და კეთილმცდვლობაშია, სამეფოს წარმართვაში, რათა შთამომავლობას სიკეთე დაუტოვოს.

პოეტს აქ უნდა დაესვა წერტილი, რადგან ამომწურავად იფიქრა აღაპიანთა ზედზე მტკვრის პირზედ განმარტობულმა.

ამის შემდეგ პოეტს ხელნაწერში მრავალწერტილი დაუსვამს. ეს იმის ნიშანია, რომ ყველაფერი, რაზეც იფიქრა, დაუსრულებლად არსებობს, უსაზღვროა.

მაგრამ ამით არ ამთავრებს პოეტი. დასასრული სრულიად მოულოდნელია. და არ შეეფერება ფიქრთა ისეთ დინებას, რასაც მან „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ მიუძღვნა. პოეტში ჰარბობს მოქალაქეობრივი გრძნობა ია როგორც 1836 წელს დაწერილ ნაწარმოებში — „შემოღამება მთაწმიდაზედ“ დაასკვნა — „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“, ისე აქაც „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ პოეტმა დაამთავრა სტროფით, რომელშიც აღაპიანისა და მოქალაქის დანიშნულეზის თემა ჰარბობს:

„მაგრამ, რადგანაც კაცნი გვექიან — შეილნი სოფლისა,
უნდა კიდეთა მივსდიოთ მას, გვესმას მზობლისა,
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემგავსოს,
აჟოს სოფელში დ: სოფლისთვის არა მზრუნვოს.“

მივეყვებით ნ. ბარათაშვილის ლექსებს იმის მიხედვით, თუ როდის არიან დაწერილნი და ამით მივეყვებით მის ფიქრსა და ზრუნვას, მის განცდებსა და აზრებს და ჩვენს წინაშე იხატება სახე აღაპიანისა, რომელიც ხან ჩანგურს მიმართავს, ხან ვარსკვლავს, ხან ძლიერი აღაპიანის სახეს გააცოცხლებს, ხანაც ჩვილ ყრმას, ზოგჯერ მეგობრებს, აგრეთვე სატრფოს, ბოროტ სულსა თუ მეფე ერეკლეს საფლავს, ჩინარსა თუ ცის ფერს და ამრიგად გამოკვეთავს თავის დმოკიდებულეზას მახლობლებთან, საზოგადოებთან, სამშობლოსთან, ქვეყანასთან, სამყაროსთან.

ჩონგური პოეტისათვის მხოლოდ სევდის ხმას გამოსცემს და წარსულ დროზე ჩააფიქრებს. ჩონგური მას სევდის უკუმყრელად მიუჩნევია, მაგრამ როდის მოისმენს მისგან მხიარულ ხმას! ჩონგური პოეზიაა, რომელიც პოეტის გულის ოდენ ჩივილია.

პოეტის დაბინდული გულის მალხინებლად ბედის ვარსკვლავია

დანიშნული, მაგრამ იგი მრისხანებს, მოღრუბლულია და სევდითა კრთის. ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ შეიძლება პოეტის სატრფოც იგულისხმებოდეს და მისი ბედის ვარსკვლავიც. ამ ვარსკვლავის ნისლით გამობუუტვაც კი სიამეს მიაგებს პოეტს, ბედის ვარსკვლავი ყოველგვარი გამოვლინებით იცნობა, რადგან იგი მშვენიერი ცის გამთენებელი და დაბინდული გულის მალხინებელია. მშვენიერა აღიტერაციებით ასრულებს პოეტი ან ნაწარმოებს.

„მოციმიბდი, მოდი, გამომეღარე,
შენგან ბნელი გული გამომიღარე,
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაბერწყალო ეშხისა მომაყარე...“

ამგვარი პოეტური ჩვენებით ნათლად გამოისახება მრისხანე ვარსკვლავის სურათი, რომელსაც პოეტი მოწყალედას შესთხოვს.

რომანტიკოსები დიდი სიმპატიით წარმოდგენდნენ ძლიერ პიროვნებებს, რომელთაც უნარი შესწევთ ძლიერი შინაგანი ძალის გამოქვავებისა. მებრძოლი შეუპოვარი, ძლიერი ადამიანი იდეალაა რომანტიკოსისა. ასეთი პიროვნება თავისი შესაძლებლობებით ხშირად თვით ღვთაების დაწყობილებების წინაღმდეგია ღმერთთან მოკინალი, ღმერთით ყველაფრის შემძლებელი. ზოგი პოეტი მითების სამყაროდან იღებდა ძლიერი პიროვნების მოდელს, ზოგი რიტორიკის ნიშართავდა, პრომეთეოსი მსოფლიო რომანტიზმმა მიიღო, როგორც ღმერთების წინააღმდეგ ამხედრებული გმირი, რომლის სიკეთით ილსავსე გული კაცთა მოღვმისათვის ფეთქავს. ევროპელი და რუსი რომანტიკოსებისათვის მათი დროის ისტორიული პერსონაჟი იქცა ისეთ სახედ, რომლის გამოხატვაშიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პოეტები. ნ. ბარათაშვილმაც მიუძღვნა მას ლექსი — „ნაპოლეონი“, რომელშიც გამოხატა ღონიერი, ძლიერი, ზეადამიანური ძალის მქონე პიროვნება. ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებში ნაპოლეონი მონოლოგს წარმოსთქვამს. დიდების გზაზე სიარულისას მან დიდი მსხვერპლი შეიწირა, იგი თვალს გააყოლებს დიდების მწვერვალებისაკენ მიმავალ გზას, მოღრუბლულ შუბლზე რაღაც შუქი გადაეფენება და აუყვის: „ახლა კი კმარა, ჩემი სურვილი მიღწეულია, ჩემი სახელი მარად სასახლოა, ჩენი სიყვარულიც (იგულისხმება იმპერია) ძალით არც მოსილი და მრავალნი მონებენ მას. მაგრამ მბორგავი სული გვაშში აღარ მითავსდება, ბედი დიდების გვირგვინს მითხზავს, მე კი

იგი შარავანდებით უნდა შევმოსოთ, რადგან დრო ჩემია და ამ დროის იმედი მე ვარ“.

გულზვიად ინჰერატორს, დროსთან ერთად მარტოდ დარჩენილს, ეკვი ეპარება მუდმივ ბრწყინვალეობასა და სიმალღეში, ვაი თუ ბედმა სხვას დაადგას დიდების გვირგვინი, მაგრამ, არა, ბედი მას ვერ უღალატებს, რადგან მან, ზედმა გაზარდა იგი და თავის გაწვრთნილს რა-ღა მოუხერხებს?! გულზვიადი იმპერატორი დაასკვნის:

„ვერა გაუძლებს ნაპოლენ მეტოქეებსა!
რა გინდ ძლიერად, მეცნიერად ვინ ხელმწიფებდეს,
მიანც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,
თვითონ სამარეც მევიწროვოს, თუ ტოლი მყვანდესს..“

ნაპოლეონი ერთია, მას მეტოქე არ ჰყავს, ვინც არ უნდა იხელმწიფოს ცოდნით და ძალით, მიანც ვერ შეეთვისება იგი თანატოლს. ნაპოლეონს ცეცხლის სული და ზღვა გული ჰქონდა. იგი ერთადერთი იყო.

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში 1839 წელს ორი ნაწარმოები შეიქმნა, რომელთა ობიექტი ეკატერინე ჰავკავაძეა. ამ მშვენიერმა ბანოვანმა პოეტმა გული გაკენწლა, მოაჯადოვა მშვენიერი ხმით, ტკბილი სიმღერით, სულის მომლხენი ჰაეროვნებით, დაწყლულებული გულის ღიმილ-სალბუნებით. ლამაზი ასული სიამეს ჰფენს იმ არეს, სადაც გამოჩნდება. უმისოდ მხიარულება წარმოუდგენელია, ენითა და ლხენით იგი გულკეთილობას ავრცელებს, მცინარი სახით და სინარნარით პოეტის ობოლ სულს ესხივმფინარება.

მასთან ახლოს ყოფნით ნ. ბარათაშვილი თითქოს მშვიდდება, ამქვეყნიურ სიტუბოებას და ნეტარებას განიცდის. ყველაფერი, რაც დაკავშირებულია პირმცინარესთან და ყოველი მისი მოძრაობა საოცრად მიმზიდველად ეჩვენება პოეტს და შედარებებსაც არ იშურებს მისი სილამაზის დასახატად.

„ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.“

უცხოდ დასანახავი საყურე თავის ჩრდილს ეთამაშება და ეს საყურე ჰგავს ლამაზად აზიდულ სპეტაკ შროშანს, რომელსაც პეპელა

ნელა არხვეს. მკრად მკაფიო და სრულიად მოულოდნელი პოეტური შედარებაა, ამასთან იგი გვაგონოზინებს ნაზ, სათუთ მოძრაობას, რომელსაც აჩვენებს მშვენიერი და უცხოვ საყურებელი საყურე. საყურეების მოძრაობა ჩრდილსაც გამოსცემს და შერხვევისას სიოსაც მოჰბერს. რა სანეტაროა საყურის ჩრდილში სულის მობრუნება და მისი ოდნავი შერხვევით გულის სიცხის გაგრილება!

ხელშესახებად გამოხატავს პოეტი საყურის ციმციმით შექმნილ ჩრდილსა და სიოს ამოძრავებას.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსებში პოეტი ტრფობის გამოხატვისას უფრო გარეგნულ, ფიზიკურ მხარეებს წამოსწევენ წინ, ამ ტრფობაში სულის მოძრაობა არ იღებს მონაწილეობას, აქ ხელშესახები ღეტალებია წინ წამოწეული: საყურის რხევა, მისი თამაში საკუთარ აჩრდილთან, საყურის ამბორით დამტკბარი ბაგე, მშვენიერი ხმა, ტკბილი სიმღერა...

უძალ, ამ ლექსების შემდეგ იწერება „სული ობოლი“, რომელშიც უთვინტროზი, სულიერი ობლობის ვაება არის გამოხატული. აქ ვულო და !ული, ხორციელობა და გრძნობა უპირისპირდება ერთმანეთს. ნათესავს და მეგობარს მოკლებული გული სანაცვლოს მალე ჰპოვებს, დაობლებული სული კი ძნელადღა ჰპოვებს თავის სწორს. ობოლი სული მუდამ კრულია, უნუგეშო, უნდობელი, შეშინებული, მოკრძალებული, რადგან ხელმეორედ ნდობა აშინებს და დაფარული გრძნობის გამზიარებელიც ძნელად საპოვნელია. სულიერი ობლობის განმცდელი პოეტი დაასკვნის:

„ძნელი არის მარტობა სულისა,
მას ელტიან სიამენი სოფლისა,
ბ.რად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოჩგრა არის შვება უბედურისა!“

მაღალი გრძნობის პოეტი ნ. ბარათაშვილი თავისი ინტელექტით, ცოდნით მაღალ ღონეზე იდგა. რასაკვირველია, მან იცოდა, წაკითხული ჰქონდა ბევრი რამ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბევრ ცოდნას იგი მიიღებდა თავის სახლში, დედა ეფემიასაგან, დიდიდედა ხორეშანი-საგან, ბიძა გრიგოლ ორბელიანისაგან. ნ. ბარათაშვილი კარგად იცნობდა ეგნატე იოსელიანს, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის კარის ეკლესიის მოძღვარს, იცნობდა ეფრემ ალექსი-მესხიშვილს, განსწავლულ პიროვნებას, საერთო-სასულიერო მწერლობის მცოდნეს. ნ. ბარათაშვილის ლექსებში ჩანს საფუძვლიანი ცოდნა ძველი ქართული

პოეზიისა, პოეტური მეტყველების სიმდიდრისა და სილადისა. მრავალი შემხვედრი ადგილის დასახელება შეიძლება ნ. ბარათაშვილისა და მის წინარე ქართული პოეზიისა. ეს ადგილები მოსიარულე ფრაზები კი არაა, არამედ პოეტის მიერ ახლებურად გააზრებული; მის განცდასა და განწყობილებასთან შერწყმული.

ვკითხულობთ ნ. ბარათაშვილის ლექსს „ჩემი ლოცვა“ და სრულიად ცხადად ჩანს ის ადგილები, რომელთა შინაარსი პოეტს მის წინარე ქართული საერო თუ სასულიერო პოეტურ ნაწარმოებში ამოუკითხავს. ღმერთისათვის პოეტს რამდენიმე სინონიმი აქვს ნახმარი. ღმერთი მამაა, სახიერია, ცხოვრების წყაროა, გულთამხილავია. ლექსში ვნახავთ ამბავს, რომლის წყარო ბიბლიის ძველ თუ ახალ წიგნებშია მოთხრობილი, მაგ., შემცოდე შეილის დაბრუნება მაძრსეულ ხაზლში, ადამიანისაგან ჩადენილი ცოდვა, როცა მან დაივიწყა ღმერთის ნათქვამი და გადასცა მის მცნებას. პოეტი ლექსში ლოცვას ადავლენს და იყენებს ლექსიკას, რაც მას ამოუკითხავს თუ მოუხმენია ძველი პოეზიის გაცნობისას:

„ცხოვრების წყაროვ, მასვე წმიდათა წყალთაგან შენთა,
ღმინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა,
არა დაქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა...“

ყური დაუგდეთ: პოეტი მიმართავს ცხოვრების წყაროს და სთხოვს ასევე სამოთხის წმიდა წყალი, რომ დაუნთქას გულის ტკივილები, რომ მის (პოეტის) ნავს არ დაქროლოს სასტიკმა ქარმა, არამედ მისცეს მას მყუდრო სადგური განსასვენებლად. პოეტი ეძიებდა ისეთ სადგურს, სადაც ვნებული დაისვენებდა. იგი ხშირად გაივლებდა ოცნებაში ამისთანა წმიდა ადგილს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ვნების ქართაგან გადარჩენა, იგი ეძიებდა ასეთ სადგურს და ზოგჯერ ეს ნატვრა განხორციელებული ცოცხლად წარმოუდგებოდა. ერთ უსათაურო ლექსში, რომელიც იწყება ტაეპით — „ვპოვე ტაძარი შესაფარი“ აღსავსეა შინაგანი და გარეგანი რითმებით, რომელიც აგებულია ისეთი სიტყვიერი მასალით, რაც პოეტის განწყობილების შესაფერისია და სიტყვების შეხამების ისეთი მანერით, რაც ამ ლექსის ფრაზას სიძველის იერს სდებს, ნ. ბარათაშვილი წარმოიდგენს სადგურს, სადაც შეიძლება აფორიაქებული სული დაასვენოს. პოეტური ფანტაზია მას უდაბნოში ტაძარს წარმოუსახავს, რომელშიც უქრობელი წმიდა ლამპარი ანთია, ანგელოსნი დავითის ქნარს უკრავენ,

ძველ ებრაელთა მეფე-პოეტის დავითის ქნარს, ტაძრიდან მოისმის ციურ დასთა გალობა... ამქვეყნიური ცხოვრების მწირი, ცხოვრების მღელვარებით დაღლილი იმ ტაძარში ფიქრობდა წრფელი სურვილით განსვენებას, ბედითა და ადამიანთა სიავით მოკლული გულის გამთელებას. წმიდა სიყვარული უნდოდა პოეტს შეეწირა გუნდრუჟის ნაცვლად და საკურთხად სურდა საკუთარი სულისა და გულის მიტანა. თავდავიწყებასა და ნეტარებაში მყოფ პოეტს ეგონა, რომ სასუფეველში მზებდა, მაგრამ... გამოფხიზლება მწარეა, ოდნავი ბედნიერება და სულის დამშვიდება მალემსობოლია. რადგან საწუთრო დიდხანს არვის ახარებს. ოცნებაში აგებული თავშესაფარი გაჰქრა და ღარიბი უღაბნოსებური მღუმარება. გულში წაიშალა ნეტარების ნატვალა და მხოლოდ სევდა და წყვილიადა არის დასადგურებული. მსწრაფლ მოისპო და წაიშალა ნეტარი ტაძრის ჩრდილი, რადგან მას, სიკეთეს, ტაძარს, სულის სიმშვიდეს მოსძაგდა ეს სოფელი, ცრუ და მუხთალი და პოეტს მხოლოდღა დამქრალი ცეცხლი შერჩა ხელთ. საოცნებო ტაძრის აღდგენა აღარც სიყვარულს შეუძლია და აღარც რაიმე სხვა ძალას, უკუღმართმა ბედმა დაახშო ნუგეშის კარი და მიუწაფარი და ობოლი მგოსანი ისევ ობლად, მიუსაფრად დარჩა... საოცარი პოეტური ძალით აქვს ამ ნაწარმოებში გამოხატული ნ. ბარათაშვილს იმედის დანგრევის სურათი.

მაშინ იგი 24 წლისა იყო.

ასეთსავე იმედის დანთქმას გამოხატავს ნ. ბარათაშვილის „სუმბული და მწირი“. ნაწარმოები ალეგორიულია: მწირი ესაუბრება სათბურში გადანერგილ ყვავილს — სუმბულს, რომელსაც ამის გამო დაკარგული აქვს ჩვეული ფეროვანება. საამო და ნაზი სურნელოვანება, რითაც თავისუფლებაში ველ-მინდორს ათრობდა. სუმბულს თავისი იერი და შინაარსი დაკარგული აქვს, რადგან იგი ტყვეობაშია. მის ირგვლივ აღარ არიან მისნი სწორნი ყვავილები, მშვენიერი ცა და სატრფო ბულბული. ამის სანაცვლოდ იგი დახშულ და სევდიან სადგურში მოუქცევიათ და იმედი აქვს გადაწყვეტილი, რადგან თავის ტბილ მგოსანს ვეღარ იხილავს. სუმბულის ეს სადგური ოქროთი და ვერცხლით არის შემკული, მაგრამ იგი შაინც სევდის მომგვრელია და მიუხედავად სიმდიდრისა, თითქოს ოქროსა და ვერცხლს აღარ შეუძლიათ ბრჭყვიალება გამოსცენ. ოქრო-ვერცხლით შემკული სადგური სუმბულს ზნელ და დახშულ სადგომად მიუჩნევია. მაშ, ნეტარება სიმდიდრეში ყოფნა არ არის, არამედ თავისუფლებაში. დაკარგა სუმბულმა თავისუფლება, ვილაცამ იგი სათბურში მოაქცია, სადაც

არც გაზაფხულის ნაზი სიო შევა და არც ცივი, კამკამა წყარო მქო-
ველება ირგვლივ, დილის მასივოცხლებელი ნაში არ დაედინება და
აოც გრილი ნიაგი გადაუშლის მას ფურცლებს, მაყვლის ბუჩქი მზეს
აღარ უჩრდილავს და სუმბულის მშვენიერას ხშული ჰაერი ველარ
ჰგვრის ღიმილს. დიდმშვენიერი სახლი სუმბულისათვის საპყრობი-
ლედ გადაქცეულა. სუმბულმა იცის, რომ ზამთარი მუდმივი არ არის,
ყოველ ზამთარს გაზაფხული მოსდევს. ზამთრობით ბუნება არა
კვდება, მხოლოდ სევდით იმოსება, რათა გაზაფხულს ახალი ფეროვა-
ნებითა და სიტუტრფით შეხვდეს, ოქრო-ვერცხლით მორთულ სახლში
კი ყოველთვის ერთნაირი მომწამვლელი დახშული ჰაერია,

„ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბუღბული,
რომ განვიშალო კვლავ სიტუტრფით მისი სუმბული,“

გულაკენესებული წარმოსთქვამს სუმბული.

საზოგადოებრივი და პირადი ბედი, განცდა მკაფიოდ აქვს გამო-
ხატული პოეტს. ეს ნაწარმოები სამშობლოს მდგომარეობის ალგო-
რიული სურათიცაა და თვით პოეტის აკენესებული გულის ანაბეჭ-
დიც.

ადამიანის არსებობაში იგი ორ საწყისს ხედავდა: ხორციელსა და სუ-
ლიერს. ადამიანის ხორციელობა წარმავალია, ჭკნობადი და ცვალებ-
ბადი. იგი არაა მუდმივი, ყვაილსა ჰგავს, მიშზიდველად ლამაზს, რო-
მელიც მალე დაქნება. ხორციელების ნიჭიც — სილამაზე სწრაფ-
წარმავალია. კაციც არაა დასაყვედრებელი პირუტყიცოტისათვის,
სილამაზის ჭკნობასთან ერთად მისი სიყვარულიც თავდება.

გულისა და სულის განმანათლებელი ყოველი გრძნობა ზეცითაა
მოვლინებული, იგი მშვენიერებაა, ნათელი და უკვდავი, თვით უკვ-
დავება მშვენიერსა სულში მდგომარებს. მშვენიერ უკვდავ სულს
ვერც შემთხვევა და ვერც დროთა ტრიალი ხელს ვერ შეახებს, ვერ
დააბერებს. ასეთ უკვდავ სულთა კავშირი წარმოშობს ნამდვილ და
მარადიულ სიყვარულს, ზეციური მადლით დაუხსნელად დამტკიცე-
ბულს. ადამიანი ღვთაებობის კერძია, ე. ი. ნაწილია სულის უკვდა-
ვებისა, მშვენიერებისა, რომელიც არ ემორჩილება დროის დანებას.
საუკუნო სიყვარული შეიძლება მუდმივისა და არა ჭკნობადისა. ადა-
მიანი ზეცით მოსული მშვენიერებით, სულით უნდა დაუკავშირდეს
სატრფოს, რათა მიაღწიოს დაუხსნელად განმტკიცებულ სიყვარულს,
ზეგარდმო მადლით გასხივოსნებულს. უკვდავებით დაგვირგვინება

მხოლოდ ადამიანის სულის თვისებაა და ეს ღვთაების კერძობაა, სა-
უკუნო ტრფობაა.

ასე სწამდა ნ. ბარათაშვილს. ეს გამოხატა ლექსში „შემოღამება
მთაწმიდაზე“ („რომ დამთოს აქ ამაოება“) და ამაზე მსჯელობდა
უსათაურო ლექსში — „რად ჰყვედრი კაცსა..“

ასე მივიდა ნ. ბარათაშვილი „მერანთან“, რომელიც 1842 წელს
დაწერა.

აქაც, როგორც ლექსში „შემოღამება მთაწმიდაზე“ პოეტი სხვა-
დასხვა ზომის ტაეებს მიმართავს. პირველი, მეოთხე, მეშვიდე და
მეცხრე სტროფები 14-მარცვლიანი ტაეპია, მეორე, მესამე, მეხუთე,
მეექვსე და მერვე 20-მარცვლიანი. მარცვალთა რაოდენობის ცვლება-
დობა ტალღისებურ მოძრაობას ჰგავს, მივარდება ნაპირს აბობოქრე-
ბული ტალღა:

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უხელოდ ჩემი ჳერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანის
გასწი, მერანო, შენს ჳენებას არ აქვს სამძღვარი..“

და შემდეგ, მეორე მოვარდნამდე ლექსი მდორედ მიდის, ტაეპი 20-
მარცვლიანია, პოეტს თითქოს ისვენებს და განსჯისათვის, მსჯელო-
ბისათვის იყენებს პერიოდს მომდევნო ტალღის აჩქეფებამდე:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის...“

მოძრაობისა, განცდისა და მსჯელობის მონაცვლეობა ლექსს აძ-
ლევს თავისებურებას. გამომხატველობითი, ექსპრესიული ენაცვლე-
ბა შთამბეჭდაობითს — იმპრესიულს.

„მერანში“ ნ. ბარათაშვილმა ნერვიული სისტემის უმაღლესი და-
ძნებით გამოხატა თავგანწირულება. ეს იყო წლობით დაგროვებულ
ენერჯიის ამოფრქვევა, ეს იყო საზღვრამდე მისვლა, სიკვდილ-სიცო-
ცხლის შუა გავლებული ხაზი, ეს იყო მიჯნა, რომლის იქით იყო
სრბოლა ბედის საზღვრისაკენ, თავგანწირვა, უარყოფა ყველაფრი-
სა: მამულის, სწორის, მეგობრის, მშობელთა, ნათესავთა, ტკბილმო-
უბაზოთა, სატრფოსი; აქეთ კი რჩებოდა ახალგაზრდა ადამიანის შე-
უპარულებელი სურვილებით აღსავსე ყოფა... ეს იყო მანიფესტი ქარ-
თულ რომანტიზმისა, რომლითაც გამოიხატა ადამიანისაგან საკუთა-
რი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა, ჳვეყნის მომავლისა და მოძ-
მეთათვის თავისდადება. პოეტის განწირულ სულისკვეთებას მოძმე-
თათვის უნდა უკაღც გზა გაეკვალა სიძჩელის გასაადვილებლად. ამის-

თვის პოეტი მზად იყო ტიალ მინდორში დაესრულებინა სიცოცხლე, დეკ მძვინვარე ქარიშხალს ღრიალით მიეყარა მისთვის მიწა, ჯეე შაჯი ყორანი გამხდარიყო მისი საფლავის გამთხრელი, დეე ნუ დამარხებოდა თავის მამულში წინაპართ საფლავებს შორის, ოღონდ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა შეესრულებინა, სამომავლო ცხოვრების გზა და საშუალება გამოენახა.

პოეტმა ბრძოლა გამოუცხადა ყველას და ყველაფერს. ამირანული სული აბორგდა მის არსებაში და ამირანის მსგავსად მან თავი გასწირა სხვათა საკეთილდღეოდ.

„მერანი“ დიდი ეპოქა არის ქართული მხატვრული აზროვნებისა, მას შთაგონების ძალა არ მოჰკლებია, რადგან მომავალი თაობის სიცოცხლის ნაწილად იქცა და მათთვისაც პროგრამის მნიშვნელობა შეიძინა, მიმართველი ჯ. ს. და ქართული პოეტური აზროვნებისა და საზოგადოებრივი შეგნებისა.

ნ. ბარათაშვილმა 1839 წელს დაწერა პოემა „ბედი ქართლისა“. გადმოცემის მიხედვით იგი ავტორს წაუეკითხავს ალექსანდრე ქავკაჟაძის სახლში. რა შთაბეჭდილება დატოვა მსმენელებზე, ვინ რა თქვა, ვის რა აზრი გაუჩნდა მოსმენის შემდეგ, არაა ცნობილი. საერთოდ, ნ. ბარათაშვილის ლექსებზე გამოთქმული მის თანამედროვეთა მოსაზრებანი არ ჩანს. ეს პოეტის ბედის ერთი ნაწილია. „ბედი ქართლისა“ ივანე კერესელიძემ დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1858 წელს, ცენზურისაგან დამახინჯებული.

„ბედი ქართლისა“ ე. წ. ახალი პოემაა. მასში ერთი ამბავია განვითარებული, მოქმედ პირთა რიცხვიც მეტად მცირეა და ცენტრში დგას ერთი პიროვნება — მეფე ერეკლე. პოემის ისტორიული დრო კონკრეტულია: თბილისი, კრწანისის ველი, ალა-მაჰმად-ხანის დამანგრეველი ლაშქრობა 1795 წელს, თბილისის დანგრევა და გადაწვა 11 სექტემბერს. პოემის გეოგრაფიაც კონკრეტულია: კრწანისი, ანანური, ქსნის ხეობა. მოქმედ პირთა რიცხვიც მცირეა: მეფე ერეკლე, მისი მრჩეველი სოლომონ ლიონიძე და ამისი შეუღლე — სოფიო პოემაში არის მასიური სცენები, რომლებშიც მონაწილეობენ თბილისის დამცველები: მეფის ერეკლეს და სოლომონ მეორის ჯაჭები, სამასი არაგველი და მუტრიბ მაჩაბლის დასი, აგრეთვე სპარსელი თავდამსხმელნი. პოემის ამბავი გამოგონებული არ არის, პოეტური ფანტაზია მცირეა. ომიდან გავლილი იყო 45 წელიწადი, პოეტს მის შესახებ შეიძლებოდა ცნობები ცოცხალ მოწმეთაგანაც მიეღო, ამდენად, მეფის მიმართვა ჭარს, მებრძოლთა პასუხი მეფეს შეიძლება

გამონაგონი არ იყო, არამედ გადმოცემა ნამდვილი სიტუაციებისა. თემა პოემისა არის ქართლის, უკეთ მთელი საქართველოს ბედი: მტრის დამანგრეველი შემოსევა, ამის შედეგად მეფის გადაწყვეტილება — თავისი სამეფო დაუკავშიროს რუსეთს.

როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემ ხელშეკრულება დადო რუსეთის დედოფალთან, ეკატერინე მეორესთან (ხელმოწერილი იყო სიმაგრე გეორგიევსკში, ჩრდილო კავკასიაში, 1783 წელს). ერეკლემ 1784 წელს მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია. მეფე ერეკლე 1798 წელს გარდაიცვალა, როგორც ქართლ-კახეთის მეფე. გეორგიევსკის ტრაქტატმა სპარსეთი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ქართლმა და კახეთმა პირი ჩრდილოეთისაკენ ქნა და ამით კავშირი გაწყვიტა სპარსეთთან. ეს კი სპარსეთისათვის მიუღებელი იყო, რუსეთი სპარსეთის უშუალო მეზობელი ხდებოდა.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომის მიხედვით ოფიციალური ისტორია შემდეგს ამბობს: 1795 წელს სპარსეთის შაჰმა ალა-შაჰმად-ხანმა თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა. ვიდრე ტახტს მოიპოვებდა, იგი ერეკლე მეორეს „მეგობრობას“ სთავაზობდა, შემდეგ კი, როცა თავის ქვეყანაში გამეფდა, უკვე ქართლ-კახეთზე ბატონობის აღდგენა მოისურვა და ერეკლესაგან რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტას მოითხოვდა. ერეკლე კი ამ ხანებში მიმართავდა თვალს რუსეთისაკენ, დახმარების აღმოჩენას სთხოვდა. ქართულ უმაღლეს წრეებში ფიქრობდნენ, თუ რუსეთის დახმარებით ირანის საქმეებში ჩაეროდნენ, ბევრი საკითხის თავის სასარგებლოდ მოგვარებას შესძლებდნენ, მაგრამ რუსეთის მთავრობას ოსმალეთთან ომი ახალი დამთავრებული ჰქონდა და ახალი ომის დაწყება აღარ უნდოდა, ამიტომ მეფე ერეკლეს 1792 წელს აცნობეს, რომ ჯარს საქართველოსაკენ ვერ გამოგზავნიდნენ. 1794 წელს იანვარში ერეკლემ რუსეთს გარსევან ჰავჭავაძე გაგზავნა, რომელსაც იმპერატორისათვის საქართველოში ჯარის გამოგზავნა უნდა ეთხოვა. გარსევან ჰავჭავაძე ეკატერინე მეორეს ერეკლეს თხოვნას გადასცემდა, რომ საჭირო იყო დაუყოვნებელი დახმარება. 1795 წლის მაისში ალა-შაჰმად-ხანმა ჯარების შეგროვება დაიწყო, მას უნდოდა აზერბაიჯანის ყველა სახანოს და საქართველოს დაპყრობა. ტრაქტატის პირობათა მიხედვით მეფე ერეკლე სამი ათას კაცს თხოულობდა. გენერალმა გუდოვიჩმა, რუსის ჯარის მეთაურმა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში იღვა, თავის მთავრობას აცნობა ერეკლეს თხოვნა, მაგრამ მთავრობა არ

ჩქარობდა. 1795 წლის ივლისში ქართველი ელჩი რუსეთის კანცლერს მოაგონებდა, რომ ტრაქტატის მიხედვით საჭირო იყო ერეკლესათვის დახმარების აღმოჩენა. რუსეთის მთავრობამ ამის საპასუხოდ დუმილს არჩია. „როგორცა ჩანს. — წერია „ნარკვევცში“, — იგი (რუსეთის მთავრობა — ს. ხ.) ამიერკავკასიაში დაძაბული ვითარების ისეთ ფინალს მოელოდა, რომ ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა მისთვის უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო“. რუსეთის მთავრობა არ ფიქრობდა თავისი ხელმოწერილი ხელშეკრულების რეალიზაციას. ერეკლეს უხერხულად მიაჩნდა რუსეთის დაუკითხავად დამოუკიდებელი ზომებისათვის მიემართა და საამისო თანხმობასაც კი სთხოვდა დედოფალ ეკატერინეს.

1795 წლის ივლისში ალა-მაჰმად-ხანი საომრად უკვე მზად იყო. 4 აგვისტოს სპარსელებმა მდ. არაქსი გადმოიარეს. ჯარის დიდი ნაწილი, რომელსაც თვით შაჰი მოუძღოდა, შუშის ციხისაკენ დაიძრა, დანარჩენნი ბაქო-ყუბასა და ერევნისაკენ გაემართნენ. ალა-მაჰმად-ხანს აინტერესებდა, გამოუგზავნიდნენ თუ არა ერეკლეს დამხმარე ძალებს. ამასთან, მან ერეკლეს წინადადება მისცა, ხელი აეღო რუსეთთან კავშირზე. ერეკლე ყოველ ღონეს ხმარობდა დახმარებინ ქილებისათვის რუსეთიდან, მაგრამ ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა. რუსთა მთავრობამ მხოლოდ 1795 წლის 4 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება, მფარველობითი ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთის დასახმარებლად ორი სრული ბატალიონი გამოეგზავნა. ამის შესახებ განკარგულება გულოვიჩმა 1 ოქტომბერს მიიღო, როცა თაიღისი აოხრებული და გადამწვარი იყო. ალა-მაჰმად-ხანი მანამდე ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდა გენერალ გულოვიჩს.

1795 წელს, აგვისტოს ბოლოს ერეკლე და მისი შვილისშვილი, იმერთა მეფე სოლომონ მეორე ერევნის საშველად წავიდნენ. ალა-მაჰმად-ხანმა შუშაში ჯარის მცირე ნაწილი დატოვა და განჯის გამოვლით თბილისისაკენ წამოვიდა. მეფე ერეკლეს ყოფილი ქვეშევრდომი, განჯის ხანი თავისი ჯარით შაჰს მიემხრო, მასთან ერთად შაჰის მხარეს გადავიდნენ ყარაბახის სომეხი მელიქები. ალა-მაჰმად-ხანის თბილისისაკენ წამოსვლა ერეკლემ 4 სექტემბერს გაიგო. დამატებითი ჯარების შეკრება ვერ მოხერხდა, ეკატერინე დედოფლის დახმარება არ ჩანდა, სახელდახლოდ შეყრილი ხუთი ათასი კაცით ერეკლე უნდა გამკლავებოდა შვიდჯერ მეტ მტრის მოლაშქრეს. მეფე ერეკლემ 75 წლისა იყო მაშინ. 9 სექტემბერს მცირე ზრძოლა მოხდა სოლანლუთან, 10 სექტემბერს ტაბახმელასა და შინდისს შორის ქარ-

თველმა მეზარბაზნეებმა და დავით ბატონიშვილის ჯარებმა სპარსელთა მოწინავე ჯარის ნაწილი შემუსრეს. ალა-შაჰად-ხანმა შეიტყო, რომ ერეკლეს ლაშქარი მცირერიცხოვანი იყო. 11 სექტემბერს ბრძოლა დილის 7 საათზე დაიწყო, სპარსელები მტკვრის ვიწროებში დიდი მსხვერპლის ფასად მოიწვედნენ წინ...

ძლიერ შეთხელდა ქართველთა რაზმი. ავღარის ხიდით უნდა გასულიყო ისინსაკენ მეფე და 150 კაცი, რომელთაგან ბევრი იყო დაქრილი, ერთი კიდევ სცადა მეფემ მტრისათვის თავზარი დაეცა და ცხენის შეპოტრიალება ისურვა, მაგრამ შვილმა ვახტანგმა და შვილის შილმა იოანემ მეფეს გზა გადაუღობეს.

11 სექტემბერს ღამით თბილისი ცეცხლის ალში გაეხვა. ეპიკლემ მთიულეთს შეაფარა თავი.

ასეთია ისტორიული სინამდვილე, რომელიც პოეტმა გამოიყენა თავისი ლიტერატურული თხზულების მასალად. ეს მასალა კი ცხოველმყოფელი იყო, აქტუალური და, შეიძლება ითქვას, ასევე აქტუალური დარჩა პოემის დაწერის შემდეგაც ქართველთა ბევრი თაობისათვის. რა მოხდა, რატომ მოხდა ის, რაც ქვეყანას და ხალხს გადახდა — თაობები ამის პასუხს მოითხოვდნენ. 1832 წლის შეთქმულებაც ამ საკითხთან იყო დაკავშირებული: მსჯელობის საგანი იყო ყველა ის ფაქტი, რაც XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებში მოხდა საქართველოში. პოემაში გამოყვანილია მეფე ერეკლე, მისი უკანასკნელი ბრძოლა, ერთი იმათგანი, რაც ამ სახელოვან სამხედრო მოღვაწეს გადაუტანია. შეიძლება ითქვას, ეს იყო ყველაზე ტრაგიკულა ბრძოლა, რის შედეგადაც დაიღუპა მეფის რეზიდენცია და რამაც, პოემის მიხედვით, უშუალოდ გადაწყვიტა ქართლის ბედის საკითხი — დარჩეს ქვეყანა დამოუკიდებლად თუ სხვას გადაეცეს მართვა-გამგეობის საქმე! პოემაში არ არის ჩამოთვლილი ის პერიპეტეიები, რამაც ქართლის ბედის საკითხი გადაწყვიტა, ნაწარმოებში ამბავი მარტივად ვითარდება, მოხდა კრწანისის ომი, მეფე ერეკლე მთიულეთს წავიდა თავის მრჩეველთან ერთად, რომელთანაც მიმდინარეობს საუბარი და მეფე ამ საუბარში მრჩეველს გამოუცხადებს თავის გადაწყვეტილებას.

6. ბარათაშვილს არ შეეძლო სხვაგვარი აზრი ეთქმევინებინა ერეკლესათვის. მომხდარი ფაქტის შემდეგ საკმაოდ დრომ გაიარა. გაიარა დრომ არა მხოლოდ ტრაქტატის დადებიდან, არამედ 1798 და 1801 წლიდანაც. 1798 წელს მეფე ერეკლე გარდაიცვალა, 1801 წელს კი იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მანიფესტი გამოსცა ქართლ-ჯახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიისათვის მისი მი-

ერთების შესახებ. მეფე ერეკლე დამოუკიდებელი სამეფოს ბედს განსჯიდა, ხოლო ნ. ბარათაშვილი კი მომხდარი ფაქტის არტახებში იჯდა და სხვა, სხვანაირ განვითარებას პოემის სიუჟეტს ვერ მისცა. პოეტმა ნაწარმოებში ორი მოსაზრება დაუპირისპირა ურთიერთს, რაც მას პოემის შინაარსის განვითარებისათვის ესაჭიროებოდა, თორემ საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ნ. ბარათაშვილმა პოემა კახელებს მიუძღვნა, რადგანო ერეკლე თქვენში აღიზარდა მეფედ და გმირად, ამასთან, თქვენ გიყვართ მისთა ღრთ ხსენება, რადგან თქვენებური ლხენით ევლინებოდა მტერსაცო. პოემას იგი თვლის ერთსულობის, ვაჟკაცობისა და ლხინის საგნად, კახელთათვის არმალანად.

პოემის პირველ კარში ბატალური სცენებია აღწერილი, იწყება მეფე ერეკლეს ღმრთის მიმართ სიტყვით -- „მწყემსო, კეთილო...“ მტერი გამოჩნდა და მეფე თავის ჯარს ამხნევებს. როგორც ერთ-ერთი მებრძოლი სხვათა შორის ისიც იქნება -- „დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი, ვითა თქვენგანი, ერთი მხედარი“. პოეტი მეფისა და მხედრობის ერთიანობას უსვამს ხაზს, მეფე თავის ჯართანაა და მხედრობას გულმოცემულია ამით. ამ ამბით აღტაცებული ავტორი მცირე ლირიკულ გადახვევას მიმართავს და მეფე-მხედრობას შორის მამა-შვილურ დამოკიდებულებას აღნიშნავს. დაჰკრეს ნალარა და შეიქმნა მწარე, ძლიერი ომი. მტრის სისხლი მტკვარს შეუერთდა. მებრძოლნი ბინდმა გააცილა ერთმანეთს. გამარჯვება ქართველებს დარჩათ, მაგრამ ძვირად დაუჯდა მეფეს იგი:

„მრავალ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდევს აქ თავი მამულისათვის!“

ამას მოჰყვება მშვენიერი ლირიკული გადახვევა, რომელშიც წუხილია გაძოხატული დიდი მსხვერპლის გამო:

„აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის,
პაერში განქრა მათი სახელი
და არსად ეამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა:
დუმბილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!..
მაგრამ, ჰოა გმირნო, ნუ შეშფოთლებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის;
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
აღა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!“

მეორე დღეს თბილისს შავად ამოუვიდა მზე. მოლაღატემ დრო იპოვა და ქვეყანას სიმტკიცის ბჭეები აპყარა. ალა-მაჰმად-ხანი ქალაქში შევიდა და გაშმაგებით ეძებდა ერეკლეს, მაგრამ მეფე ერეკლე უკვე მთიულეთისაკენ მიდიოდა.

მეორე კარი იწყება აგრეთვე ლირიკული გადახვევით, რომლის აზრი არაგვის ხეობის მშვენიერების ჩვენებაა. დიდებული ბუნების ფონზე პოეტი შლის მეფისა და მისი მრჩეველის — სოლომონ ლიონიძის საუბარს, რომელიც ქართლის ბედის გადაწყვეტას ეხება. დამარცხებამ მეფე დაარწმუნა, რომ შინაგანი ძალებით ქვეყანას არსებობა აღარ შეუძლია, საჭიროა მძლავრი მფარველი. ასეთი კი რუსეთია. ამიტომ მეფეს უნდა რუსეთს მისცეს თავისი ქვეყანა.

სოლომონი მეფეს გაუბედავს და ეტყვის, რომ ამ საკითხში აჩქარება არ შეიძლება, მეფემ ეს აზრი არ უნდა გააგონოს ქართველთ. იმისთანა არაფერი მომხდარა, რომ ხალხმა და ქვეყანამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა დათმოს. ამასთანავე საკითხავია, იქნებიან ქართველნი ბედნიერნი რუსთა ხელში? ეროვნული თვისებანი უფრო რთულია, ვიდრე სარწმუნოებრივი ერთგვარობა. როგორ შეიწყნარებს ქართველთა სურვილს რუსთა მეფობა? ვაი თუ იღუმაღმა ტანჯვამ ძრავალ მართალ კაცს მოუკლას გული!

მეფეს ყველაფერი გათვალისწინებული აქვს, მაგრამ სხვა გამოსავალს იგი ვერ ხედავს, მას ამოქმედებს არა ყველაფრის მსხვერპლად მიტანა თავისი სურვილებისათვის, არამედ სიკეთე მამისა შვილის მიმართ. დროა საქართველომ სიმშვიდე მოიპოვოს, მხოლოდ რუსეთის მეოხებით ამოიყრის სპარსეთის ჯავრს საქართველო და ქრისტიანობის ხმაც მარად მოისმინება ჩვენს მამა-პაპათა საფლავებზე. — შენი განზრახვა მაკვირვებსო, — უპასუხა სოლომონმა ერეკლეს, — შენ კი იცი, თუ ქართველი თავისუფალია, მას არაფრად მიაჩნია უბედურებაო. მეფეს გაუძნელდა ამაზე პასუხი, მის მიერ გამოთქმული აზრი უკვე აღარ გამომდინარეობს საუბრიდან. მეფემ თქვა:

„დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიკავს რუსთ ხელმწიფება!“

მაგრამ, ეს პასუხი არ არის ისტორიული მეფისა, ეს არის პასუხი შემდეგი დროის საქართველოსი, როცა სულ სხვა პირობმა და სხვა პირობებში საქართველო რუსეთის ხელმწიფის გვირგვინ ქვეშ მოაქციეს.

შემდეგ მოდის პოემის ერთი მონაკვეთი, რომელიც ბატონის გულში აწლილ დარდებზე მიგვანიშნებს: ბადრი მთვარე ამოვიდა და სიამით მოჰვინა სხივი არეს. მთის ჰაერმა, ვარსკვლავებით მოჭედებულმა ცამ და თავისუფლად მოჩხრიალე არაგვის ხმაურმა ოხერა დამართეს მეფეს. რა ცეცხლი ტრიალებდა ამ დროს ორი პატრიოტის გულში, რა ვარამი და ბოღმა აწვა ორივეს... არაგვის ქალები, თავისუფლად მოჩხრიალე არაგვი და მთვარე თითქოს თავისთვის არიან, მათ კაცთა სიმწარე და ოხერა არად მიაჩნიათ. ბუნებას თავისი წესი აქვს, კაცთა ჭირი ვერ შეაფერხებს მის გზას. პოეტი კი უფრო მეტად უსვამს ხაზს თავისუფლებას და მის მომავალ დაკარგვას და ეს მწარე ფიქრი „თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა“ არაგვის ფონზე უფრო შთამბეჭდავი ხდება.

დილით ადრიან მეფის მრჩეველი არაგვის ხეობიდან ქსნის ხეობაში მიდის, რომ თბილისში ჩასვლამდე მოინახულოს თავისი მეუღლე. გზაზე ფიქრები მოეძალა სოლომონ ლიონიძეს. მეფის გადაწყვეტილებით სულიერად აღლუვებული თავისთვის მსჯელობს და უნდა რაღაც დასკვნა გამოიტანოს — რად ბრძანა მეფემ ქართლის ბედის სხვის ხელში ჩაგდებას მას ისეთი აზრები მოსდის, რაც აქამდინ არასდროს გასჩენია და ისინი სწორედ მეფის გადაწყვეტილების შედეგია. რატომაა, რომ ღვთის განგებით დანიშნული მეფე ყოველი უფლების მქონეა და მის ერთ სიტყვას მონებს ერი; რატომაა, რომ მეფე თავის ქვეშევრდომთა ბედს ისე ათამაშებს, როგორც კამათლებს; ვინ მისცა მეფეს ნება სხვებს მიუბოძოს ქვეშევრდომთა ცხოვრება; რად მისდევს მეფე თავის გულის კარნახს და თავისუფლებას უთრგუნავს თავის ყმათ? მეფეს ერი აძლევს ღირსებას, რათა დაიცვას ქვეშევრდომთა ყოფა-ცხოვრება, მაშ რად ივიწყებს მეფე, რომ მისი გულისთქმა ერის საკუთრებაა?

შესანიშნავი აზრები უტრიალებს სოლომონ ლიონიძეს, როცა იგი ასწონ-დასწონის ერეკლეს გადაწყვეტილების აზრს: მეფე მხოლოდ ხალხის გულისთქმის გამომხატველია, და რა უფლება აქვს მას ისე ათამაშოს ბედი ერისა, როგორც მოესურვება!

ხომ არ მოისმის სოლომონ ლიონიძის აზრებში ანარეკლი იმ სიტყვისა, რომელიც ნ. ბარათაშვილის საყვარელმა მასწავლებელმა — სოლომონ დოდაშვილმა 1828 წლის 6 ივნისს წარმოსთქვა კეთილშობილთა სასწავლებლის კურსშესრულებულთა წინაშე? ამ აზრს, ალბათ, იგი თავის სხვა მოწაფეთაც გაანდობდა!

სოლომონ დოდაშვილს უთქვამს: „ერთკერძო განუჭვრეტელო-

ბამან რომელთამე განმგებელთამან და ერთკერძო შეიწრებამან ძლიერთა ერთამან მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესევეითარ ხარისხადმდე დამდაბლებისა, რომელ დამვიწყებელი მოქალაქეებისა თავისუფლებისა და თანად წარმწყმედელი მადლისა მის წინაღინაძულეებისა კაცთა და მეფობისა, კნინდა უკვე არა განემხადებოდა მსხვერპლად მომყმართა ბარბაროსთა შემძლებლობისა და კვალად უმეტეს უმეტერებისა, რომელიცა არს სარწმუნო თანამოგზაური მონებისა...“ მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის დამდაბლება არის შედეგი ზოგიერთი გამგებელის განუქვრეტელობისა და ძლიერ მტერთა შემაჯიწროებელი თავდასხმებისა. მტრებში ს. დოდაშვილი გულისხმობდა მონღოლთა, სპარსთა, თურქთა და აღმოსავლეთ კავკასიის ხალხთა თარეშებს, მაგრამ, ვინ უნდა ყოფილიყო განუქვრეტელი გამგებელი ქვეყნის საქმეთა? რასაკვირველია, არა ერეკლე, რადგან მას არც გვირგვინი და არც კვერთხი მმართველობისა არავისთვის გადაუცია. მას რუსეთთან დაახლოებისათვის მხოლოდ ტრაქტატზე ჰქონდა ხელი მოწერილი, რაც საქართველოს დამოუკიდებლობას არ ემუქრებოდა, განუქვრეტელი მმართველი, ცხადია, სხვა არის. ეს განუქვრეტელობა საძიებელია ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ წარმოშობილ ინტრიგებში.

პოემის ერთი შესანიშნავი ადგილია სოლომონისა და მისი მეუღლის, სათნო სოფიო დავითის ასული ერისთავის საუბარი. ნ. ბართაშვილი გვეუბნება, რომ ახლაც ბევრს ახსოვსო სოფიოს ზრდილობა, მშვენიერება და გულკეთილობა. ამით პოეტი ხაზს უსვამს სოფიოს ნამდვილად ცნობილ გარეგნობას და ხასიათს, მის ადამიანურ თვისებას.

— რაღა გინდათო, — მიმართავს სოლომონი თავის მეუღლეს, — მეფეს გადაწყვეტილი აქვს სამეფო რუსთა ხელმწიფეს გადასცეს და, ჩაშინ ნახე ჩვენი ქალები პეტერბურგში რომ გადასახლდებიან. ხელმწიფეს კეთილ მამად მიიღებენ, დედოფალი დედას შეგიცვლით, არ მოგაკლდებათ არც განცხრომა, არც ფუფუნება, არც თავისუფლება. იმათ დიდ სასახლიმდე ვერ მოაღწევს ჩვენი ქვეყნის მტრის ხმა, ქალთა გასართობ პრავალ სიამოვნებას იხილავთ და ვიღას მოესურვება აჩუქული ქართლის ნახვაო.

ოთქოს გამოსცადოს უნდაო სოლომონს ქართველი ქალი და მოისმინოს მისგან პასუხი შიფის გადაწყვეტილებაზე.

„უწინამც დღე კი დამელევა. მე!
უცხოებაში რაა სიამე,

სადაცა ვერის იკარებს სულო
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელყურის პატიეს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული...
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება.“

ამას პოემაში მოსდევს ლირიკული გადახვევა. თავისი პოემის გმირი ქალის, ქართველი დედის მიერ სამშობლოს მტკიცე სიყვარულის გამოთქმით აღტაცებული თავის განცდებს გვიზიარებს. ამ ლირიკული გადახვევით პოეტი განმუხტავს დაძაბულ ვითარებას და, რაც მთავარია, ხოტბას ალაგვინს ქართველი ქალის ხასიათისა და სამშობლოს სიყვარულის მიმართ. ამასთან, ორი ეპოქის ქალებს უპირისპირებს ერთმანეთს — ერეკლეს დროის ქართველ ქალებს, წამასს დედას, რომელთაც თავისი ვაჟკაცები გამოგზავნეს საარაგვოდან ერეკლეს დასახმარებლად და თავის თანამედროვე ბანოვანთ, უკვე სხვა ენაზე მოტიკტიკეთ და სხვათა ცხოვრების თარგზე მცხოვრებთ. ეს ლირიკული განდგომა არის დახასიათება სოფიო დავით ერიათაშვილის ასულისა. სოლომონ ლიონიძის მეუღლისა, და, მასთან ერთად ყველა სამშობლოს მოყვარული ქართველი დედისა:

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნი
კურთხევა თქვენდა, ტბილ-სახსოვარნი
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგანი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!..“

როგორც ითქვა, მეფე ერეკლე ისე გარდაიცვალა, რომ მას არ უფიქრია ღინასტიის შეწყვეტა. პოემაში კი მეფე, კრწანისის ტრაგედიის შემდეგ გადაწყვეტით ლაპარაკობს, რომ უნდა რუსთ ხელმწიფეს გადასცეს თავისი სამეფოს მომავალი. მეფესა და მის მრჩეველს ამაზე აქვთ ლაპარაკი მთიულეთში, ამაზეა საუბარი სოლომონსა და სოფიოს შორის და, თვით თინალი პოემისა ხომ ამბობს:

„დღი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის!“

ეს კი აღარაა ისტორიული სინამდვილე. პოეტს ასეთი დასკვნა შეეძლო გაეკეთებინა არა ქართლ-კახეთის მეფის ცხოვრების ზუსტი წარმოსახვით, არამედ თავისი დროისა, პოეტის დროინდელი მდგომარეობის მიხედვით, რაც ჩვენს ქვეყანაში მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ მოხდა. ამრიგად, ნ. ბარათაშვილმა 1795 წლისა მის მოყოლილ დროის ამბებს მისცა ისეთი მიმართულება და დასასრული, რასაც მისი დროის ფაქტიური ვითარება უჩვენებდა. ნაწარმოებს „ბედი ქართლისა“ უწოდა იმის გამო, რომ ქვეყნისა და ერის ბედი შეტრიალდა იმის მიხედვით, რაც მოხდა XIX საუკუნის დასაწყისშივე. ამ ამბებში მეფე ერეკლე აღარ იღებდა მონაწილეობას.

„ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“ თემის გააზრებით ახლოს დგანან ერთმანეთთან. პოემაში ცენტრალური ფიგურა არის მეფე ერეკლე, ლექსში პოეტი მიმართავს მცხეთის სვეტიცხოველში დაუანებული მეფის ხსოვნას და მისგან ანდერძად დატოვებულს მიაქცევს ყურადღებას. ის, რაც პოემაში მან მეფეს ათქმევინა საქართველოს მომავალთან დაკავშირებით, ლექსში უკვე ხორცშესხმულია და რეალიზებული. მეფე პოემის მიხედვით თავისი ერისათვისა და ქვეყნისათვის მშვიდობიანობას ეძიებდა და ლექსში ეს მშვიდობიანობა არის ფიქსირებული. პოემაში ავტორმა თავისი ეპოქის თვალსაზრისით ააგო სიტუაციები და ისე ამოქმედებდა ისტორიულ პიროვნებებს, ლექსში ნ. ბარათაშვილი თავის თანამედროვეებზე მსჯელობს. აქაც პოეტმა თავისი ეპოქის ვითარება ერეკლეს მიაწერა და მეფის ნაანდერძევით მოხიბლული, მის საფლავს თავყანსა სცემს. თუ რა უანდერძა მეფემ თავის ქვეყანას, ვიგებთ პოემიდან. უნდა მივხვდეთ, რომ ეს ყოფილა რუსეთთან კავშირი, მაგრამ ამ კავშირზე მეფეს, გარდა ტრაქტატზე ხელის მოწერისა, სხვა არა უთქვამს რა!

ლექსი პოეტმა მიუძღვნა გარუსებულ ბარათაშვილს — მიხეილ ბარათაშვილს, რომლის წინაპრები საქართველოდან იყვნენ წასულნი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჟამთააღმართებით გარდახვეწილ“ შვილთა შორის ნ. ბარათაშვილი გულისხმობდა თავის შორეულ ნათესავს, მიხეილ ბარათაშვილსაც. აქ უნდა განვითვალისწინოთ სხვა გარემოებაც, რამაც ნ. ბარათაშვილს ათქმევინა — „შენ შვილთ მიდამო მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო“, „და მუნით ჰხიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად“. 1834 წელს თბილისიდან გადასახლებული შეთქმულების წევრნი ზაბდენი მე წლის გავლის შემდეგ იმპერატორმა შეიწყალა, სასჯელი შეუმჯობუქა და გადასახლებულები სამშობლოში დაბრუნდნენ. ნ. ბარათაშ-

ვილი როცა ამბობს, რომ „მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ“, ძიხვილ ბარატაევთან ერთად გულისხმობს ყოფილ შეთქმულთა დაბრუნებასაც სამშობლოში. მათმა ცოცხალი სიყვარულით აღსავსე გულმა ჩრდილოეთის ყინული გააღწო და მშობელ ქვეყანაში, მხურვალე ცის ქვეშ ერთი ათასად იმკიან იმას, რაც რუსეთში შეიძინეს და ისწავლეს.

მიხვილ ბარატაევმა მშვენიერი წიგნი გამოსცა საქართველოს ისტორიის დამხმარედ — „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები“. მაშასადამე, ჟამ-ვითარებით გადახვეწილმა საქართველოს შვილმა მამულში განათლება და სიკეთე ჩამოიტანა. ასევე, რუქობის დასავლეთ გუბერნიიდან დაბრუნდა გიორგი ერძთავი, ჩრდილოეთიდან დიმიტრი ყიფიანი, დაბრუნდნენ ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე... ლექსში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ მათ სამშობლოში მოიტანეს განათლების კეთილი ნაყოფი. ამასთან, ქართლს აღარ ერჩიან არც კასპიის (იგულისხმება სპარსეთი), არც შავი ზღვის (იგულისხმება თურქეთი) ზვირთნი, რადგან მტრების ნაცვლად ჩვენს მოყვრებს მოაყურებენ ჩვენსკენ. ასეთია ამ ლექსის აზრი, ასეთია ის ფაქტიური მდგომარეობა, რაც ნ. ბარათაშვილს წარმოუდგენია როგორც მეფე ერეკლეს ნაანდერძევის რეალიზაცია. ამიტომაც, რადგან ახლა მიხვდა ქართლი მეფის ანდერძის აზრს, „თაყვანს სცემს მის საფლავს, ცრემლით აღნაგსა“.

ნ. ბარათაშვილმა თავის პირველსავე ნაწარმოებში — „ბუღბუღო ვარდზედ“ დააყენა საკითხი — რატომ? ეს „რატომ“ გასდევს ნ. ბარათაშვილის მთელ შემოქმედებას. იგი ეძიებს პასუხს ამ კითხვაზე. ამისთვის სხვადასხვა ვითარებას და გარემოებას წარმოადგენს! რატომ ვერ შეისრულა ბუღბუღლმა სურვილი ვარდის შლილობის ნახვისა, რატომ არსებობენ ავ-ენანი, რომელნიც ქეთევანს მიიყვანენ თავის დაღრჩობამდე, რატომ არ შეუძლია ადამიანს მისი გულისთქმა შეუერთოს ზენაართ სადგომს, „რომ დაშთოს აქ ამაოება“, რატომ დასდევს მთელი სიცოცხლის სიგრძეზე იღუმალი ხმა და რატომ არ იცის პოეტმა ეს იღუმალეობა სიკეთისაა თუ ბოროტებისა, რატომ წაართვეს მის საყვარელ ბიძას სამშობლო, რატომ არის აღუვსებელი საწყაული წუთისოფელი და სხვანი. წამოყენებულ საკითხთა პასუხის ძიება აჩვენებს, რომ იგი ფიქრის, მსჯელობის, ძიების გამომხატველია, მისი შემოქმედება ფილოსოფიურია, მსჯელობის, განსჯის შემოქმედებაა. პოეტი თავისი ლექსებით მკითხველს ბიძგს აძლევს და-

ფიქრებისა, დაყენებული საკითხის ძიებისა. ნ. ბარათაშვილი იყო საკითხებს აყენებს, რომელნიც აფიქრებს არა მხოლოდ მას, არა მხოლოდ პოეტის დროს, მის თაობას, არამედ საერთოდ დგანან კაცობრიობის წინაშე და წამოჭრილია არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში! ნ. ბარათაშვილი ადამიანის ამქვეყნიური არსებობის აზრს, პიროვნების დანიშნულებასა და მიზანს ეძიებს. ეს ძიება მხოლოდ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას არ ახასიათებს. ასეთი იყო ის პოეზია, რომელსაც ნ. ბარათაშვილი იცნობდა, პოეზია პუშკინისა, ლერმონტოვისა, ადამ მიცკევიჩისა, ჯორჯ ბაირონისა, ლიზივეიცისა.

ნ. ბარათაშვილის აზრით ადამიანი არსებობს არა მხოლოდ როგორც სიცოცხლის გამგრძელებელი, არამედ როგორც დიდი სოციალური, საზოგადოებრივი დანიშნულების მატარებელი, არა მხოლოდ ფიზიკური არსებობაა მთავარი ადამიანისათვის, არამედ მისი აზრობრივი, გონებრივი არსებობა. ადამიანის დანიშნულებაზე არა ერთხელ გამოთქვა აზრი პოეტმა. აბა, ყური დაუგდეთ, რა უნდა პოეტს, რა ეჩვენება მას ადამიანის ძირითად დანიშნულებად და მოვალეობად, რისკენ მიილტვის იგი. ეს შესანიშნავად აქვს გამოთქმული სხვადასხვა ლექსში:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთა დღეთა ვარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო,
მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი,
მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო შევარხო, მდელსო სიცხითა დამკვნარი...“

ან კიდევ:

„მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა...“

ან:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსა.
იყოს სოფელშიც და სოფლისთვის არა იზრუნვოს...“

კიდევ:

„ტუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება...“

და სხვა.

პოეტი მუდმივ ძიებაში იმყოფებოდა, იგი ხედავდა, რომ ცხოვრების პირობები ზღუდავდა ადამიანის სურვილების შესრულებას, იგი

ხედავდა, რომ ადამიანის მისწრაფებანი ვერ არღვევდა იმ დამბარკო-
ლებელ ვითარებას, რომელიც პოეტს ყველაფრის შემზღუდველ ძა-
ლად ეჩვენებოდა, რაც პოეტის ფიქრებს, სურვილებს, მისწრაფებებს
ფრთებს აკვეცავდა. ნ. ბარათაშვილი თავისი დროის მიმართ, იმ წრის
მიმართ, იმ საზოგადოების მიმართ, რომელშიც იგი გარემოებამ თუ
ბედმა ჩააყენა, კონფლიქტში იმყოფებოდა, მისი შიშველი და მებრ-
ძოლი სული ვერ ეგუებოდა იმ სიეიწროვეს, რაც ობიექტურმა პი-
რობებმა შეუქმნეს. მოწყენილობა მისთვის ჩვეულებრივ მდგომარე-
ობად იქცა, სრულიად ახალგაზრდამ მარტობა და ობლობა იგრძ-
ნო. საოცარი წერილი მისწერა პოეტმა თავისი სწორსა და მეგობარს,
სურვილთა და ფიქრთა მოზიარეს მაიკო ორბელიანს 1842 წლის 31
ოქტომბერს: „ეს ღამეც წაყიდა ვითარცა სიზმარი. კიდევ მომნახა
ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ: ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სია-
მოგება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომე-
ლიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო, სი-
ცოცხლე მომძულეებია ამდენის მარტობით. შენ წარმოიდგინე, მაი-
კო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, ლე-
დაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერაყის მიჰკა-
რებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში... ჰემ-
მარტივად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია...“

„ძნელი არის მარტობა სულსა,
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხერა არის შვება უბედურისა!“

ეს წერილი თავისი აზრით ნ. ბარათაშვილის არც ერთ ლექსს არ
ჩამოუვარდებდა. ეს აღსარებბაა, ეს პოეტის განხნილი გულია, რომელ-
ზეც ეს საოცარი სიტყვებია ამოტვიფრული. „სხვათა ბედნიერებათა
უყურე გულგრილად, ამაყად და გწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი
არიანს...“

რომანტიზმი, რომლის წარმომადგენელი არის ნ. ბარათაშვილი,
დამოკიდებულია სინამდვილის ასახვაზე მხატვრულ შემოქმედებაში.
იგი ემყარება ხილულ ქვეყანას, ბუნებას, ადამიანთა საზოგადოებას,
თვით პოეტის ცხოვრებას, მის განცდას და გრძნობებს, მაგრამ რეა-
ლურ სინამდვილესთან ამ ურთიერთობაში რომანტიკოსს აინტერე-
სებს არა რეალური ყოფის, ნამდვილი ბუნების ფაქტები, არამედ ამ
ფაქტებთან დამოკიდებულება, საგნებისაგან გამოწვეული განცდები

და ის გრძნობები, ემოციები, რომლებიც გამომდინარეობენ პიროვნებასა და ამ საგნების ურთიერთშეხებიდან.

ნ. ბარათაშვილმა სრულიად ორიგინალური და ეროვნულად მკლერი ლიტერატურული მემკვიდრეობა შექმნა, გამომდინარე მშობლიური ქვეყნისა და ერის მდგომარეობის ღრმად შეგნებიდან და გაანალიზებიდან. მან უხვად ისარგებლა ქართული ძველი საერო და სასულიერო პოეზიის მაღალი ტრადიციით, საერთოდ ქართული ლიტერატურის გამოცდილებით. თავის თანამედროვე სხვა რომანტიკოსებთან ერთად მან ხელი შეუწყო ეროვნული გრძნობის გაძლიერებას, იგი აცოცხლებდა წარსულს, რომელსაც თავის დროსა და ეპოქის აქტუალურ საკითხთა წინ წამოწევით აფერადებდა. მან თავისი თხზულებების მკითხველს მომავლის ძიების მძაფრი იმპულსი მისცა.

ნ. ბარათაშვილი ხშირად მიმართავდა ენის ძველ ფორმებს, მას ლექსიკაში უხვად არის შესული ძველი ქართული პოეზიის დამახასიათებელი ელემენტები, მან მოხდენილად გამოიყენა განწყობილების შესაფერისი სალექსო ფორმები და ტაქტა ზომები, რითაც ლექსის ექსპრესიასაც აძლიერებდა და სულის მღელვარებასაც გაძლიერებდა. იგი დიდ ყურადღებას არ აქცევდა რითმულ სიმდიდრეს, ანტივირტუოზობა დაუჩემებია, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ლექსისა და სტრიქონის რიტმი, რითაც მიღწეულია ნაწარმოების ძლიერობა. ნ. ბარათაშვილის ლექსი მკითხველის გულთან ადვილად მიდის და ასევე ადვილად მიაქვს ნაწარმოების იდეა და შინაარსი.

ნ. ბარათაშვილის პოეზია გრძნობის პოეზიაა, მის შემოქმედებაში უხვია სინამდვილით გამოწვეული სურათები, აზრები და ფიქრები. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ქართული ლიტერატურა შემდეგში ხშირად სარგებლობდა და იყენებდა მის პოეტურ მიღწევებს, ქართული ლიტერატურის შემდეგმა განვითარებამ ნ. ბარათაშვილის შემოქმედება მიიღო როგორც შემადგენელი და ორგანული ნაწილი საკუთარი შესედეულებებისა.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ჩანს, რომ სიხარული მხოლოდ მოქმედების შედეგი შეიძლება იყოს, მისი პოეზია წარმავალთა და მკვდართა პოეზია არ არის, არამედ ცოცხალთა და მომავლისა. იგი გულხელდაკრეფილი კი არ ხვდება მძიმე და აუტანელი ცხოვრების დარტყმებს, არამედ მოქმედებს და იბრძვის, მისი პოეზიის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრებისაგან მიყენებული ტანჯვა, იმავე ცხოვრებაში უნდა იქნეს დაძლეული ბრძოლით, მოქმედებით.

ნ. ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ამაღლებული

და მოწინავე, რაც კი შეიქმნა მის დროს, XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისა და ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ადგილის განსაზღვრა ილია ჭავჭავაძემ იკისრა ყველაფერი ეს მან გამოხატა იმ სიტყვაში, რომელიც წარმოაჩვენა 1893 წლის 25 აპრილს დიდუბეში.

ნ. ბარათაშვილი ი. ჭავჭავაძემ ჩათვალა საქართველოსი და ქართველი ერის ღვთის წყალობად, პოეზიის მაღლით ცხებულად, ერის ღირსებისა და სიდიადის საბუთად, ერის მნიშვნელობის საწყაოდ. ნ. ბარათაშვილის პოეზია მან აღიარა დიდ ნიჭად, რომელიც რჩეულთ ეძლევათ მხოლოდ, თუმცა ეს ნიჭი მძიმე ტვირთადაც აღიარა, რადგან პოეტი მოვლენილ იყო ამ ქვეყნად კაცთა სიცოცხლის დაპირილი გულიდან მომდინარე სისხლის შემწყვეტად. პოეზიის ტვირთის ტარებას დიდი ძალა და ღონე, სულისა და ხორცის მთლიანობა ესაჭიროება, რაც ქართველთა სანუგეშოდ და თავმოსაწონებლად პოეტში უხვად იყო მოცემული. მას ენა ჰქონდა ნაკურთხი სამეტყველოდ, თვალნი კი სამშობლოს წარსულის, აწმყოსი და მომავლის სახილველად, ყურნი მშობლიურ ხმათა მოსასმენად, ხოლო ცეცხლოვანი გული კაცთა გულების გასათბობად. ნ. ბარათაშვილი ზეგარდმო სული იყო, ცის დანიშნული უზენაესი მცნების კაცთათვის მისატანად.

პოეტმა „მერანში“ იწინასწარმეტყველა — ნუ დავიმარხო ჩემსა მამულშიო და ეს გაუმართლდა — იგი უცხო ქვეყანაში ჩაესვენა, მას თავისი ქვეყნის ცის ნამი არ ღირსებია აღსასრულისას. მხოლოდღა ნეშტი და მტკერი მისი დაუბრუნდა სამშობლოს და ამიერიდან მშობლიური ცა მის ნეშტს ცრემლს ზედ დაადენს. სამშობლოს მიწამ გული გადაიხსნა მისი მტკრის მისაღებად და მისაბარებლად, მისდაგანსასწენებლად და ქართველთა სალოცავად.

მართალია მისი სიკვდილიდან ორმოცდაშვიდი წლის შემდეგ დაუბრუნდა მისი მტკერი სამშობლოს, მაგრამ უკვდავებისათვის ეს წლები არაფერია. რადგან ნ. ბარათაშვილი უკვდავია, ამიტომაც უკვდავებისათვის არაფერი არც დაგვიანებულა, არც ნაადრევი.

ნ. ბარათაშვილის სამშობლოს გულში ჩასვენება არის დიდებული წამი, რადგან მან, პოეტის სულმა სრულიად საქართველო შემოიკრიბა. ეს კი ნიშანია ერის გულგაწმენდილობისა და ჰკუთავახსნილობისა, რაშიც ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასაც უღევს წილი. ამიტომ დააფასა სრულიად საქართველომ თავისი პოეტი.

დიდბუნებოვანი იყო ნ. ბარათაშვილი და ამან ათქმევინა: ცუდად ზომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება...

ეს გზა უვალი ყოველი ქართველის გულია, რომელზეც აიოიტი-ვიფრა პოეტის ნაანდერძევი... ვერავითარი ხელთუქმნილი ძეგლი ვერ შეედრება ქართველთა გულებს, სადაც პოეტმა ხელთუქმნილი ძეგლი აიგო. ვიდრე ქართველი აღამიანის გული ფეთქავს, ნ. ბარათაშვილიც უკვდავი იქნება.

აღსრულდა პოეტის ნათქვამი—სატრფოს ცრემლი წილ დამეცე-მა ციური ცვარი და ნათესავთა გლოვის ნაცვლად სევანი მკვივარნი მივალალებნო. ეს იყო მაშინ, როცა პოეტი გარდაიცვალა. დღეს კი,—ასკვნინდა ილია ჭავჭავაძე, — მის კუბოს, მის ნეშტს, მის მტვერს. მის საფლავს დასტირიან მისნი ტრფიალნიც, მისნი ნათესავნიც და „ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი“.

ი. ჭავჭავაძის აზრით ნ. ბარათაშვილის პოეზიის უპირველესი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი სრულიად საქართველოს უბადლო პოეტი იყო და სამშობლოს მიწაში ჩასვენებისას სრულიად საქართველო შემოკრბა მის ნეშტთან.

დადგენილები და გამგრძელობა

„[ილია ჭავჭავაძის] ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიზობით ჩვენი ბულ-ბულები ნაწერში, რომელშიაც პოეზი-აც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი და მიზებიც ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველს დღურს კეშმარტებას, ჩვენს ნაკლულევანებას და ჩვენს საკო-როებას და ამისთვის მოგვეწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც“... „გამოჩნდა ილია ჭავჭავა-ძე და შეუდგა ზარათაშვილის კვალს... ჭავჭავაძე არის ზარათაშვილის მოკანა-ნახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული“.

აკაკი წერეთელი — რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ (1866 წ.)

1865 წლის ეურნალ „ცისკრის“ სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის წერილი, რომელიც ეხებოდა პეტერბურგში გამო-ცემულ ქართული პოეზიის ანთოლოგიას „ჩანგურს“. ანთოლოგიის შემდგენელმა კირილე ლორთქიფანიძემ თავი მოუყარა ნიკოლოზ ზა-რათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, აგრეთვე რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ორბელიანის ლექსებს და თავის რუსულიდან გადმოთარგმნილ ნ. ნეკრასოვის პოემას „პოეტი და მოქალაქე“ და დაბეჭდა ანთოლოგიაში. ამ წიგნზე დაბეჭდა წერილი „ცისკარში“-აკაკი წერეთელმა.

რეცენზენტმა ამ ანთოლოგიას „ხეირიანი წიგნი“ უწოდა, სასიხა-რულო და გულწრფელ გამოცემად ჩათვალა და წიგნის გამოჩენის სიხარული შეადარა პირმშოს ძეობით გამოწვეულ სიხარულს. სი-ტყუა „პირმშო“ იმისათვის იხმარა ა. წერეთელმა, რომ ანთოლოგია მან ჩათვალა პირველ წიგნად, „რომელსაც ასხია ქართული ხორცი, ნ. ს. ხუციშვილი

უდგია ქართული სული, სტირის და ჰვენესის ქართველების კვენსით და მაშ რაღა საეჰვოა, რომ ყოველ ქართველ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება“. მიზეზად ამ სიხარულისა ა. წერეთელმა ჩათვალა ნ. ბარათაშვილისა და ი. ჰვენესის თხზულებების შეტანა, ამ ანთოლოგიაში, მათი ავტორები მოიხსენია ღირსებით პირველ მწერლებად და ხაზი გაუსვა მათი ლექსების საკმაო რაოდენობით გამოქვეყნებას.

იმის გამო, რომ ი. ჰვენესი ა. წერეთელმა „პირველ“ პოეტად მოიხსენია. მაშინვე თქვა, რომ მკითხველი წყალობის თვალთ ვერ შეხედავდა ავტორს, რადგან ი. ჰვენესი პირველთა შორის ჩათვალა და თქვა — მკითხველი იკითხავს — ილია ჰვენესი, ჰპან-წყვეტით ლექსების მწერალი, რომლის ლექსებშიც არც სულის გამაცოცხლებელი პოეზიაა და არც სმენის დამტკბობი სიტყვა, როგორ შეიძლება ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად იყოს ნახსენებო. ა. წერეთელი ამ „გაჯავრებულ“ მკითხველს უპასუხებს, რომ ყველასგან ნაქები და შემკული ნ. ბარათაშვილი და ი. ჰვენესი სწორედ ერთ ტახტზე ერთად სხდომის ღირსნი არიან, რადგან მათ ერთგვაროდ დამსახურება აქვთ ქართულ ლიტერატურაში, ერთნაირად დაუვიწყარია მათი სახელები, ერთი ჯაჰვით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი უერთმანეთოდ გაგება ძნელია. ერთი სიტყვით, ა. წერეთელი აკაკი წერეთელი, ნ. ბარათაშვილი და ი. ჰვენესი არიან მოსე და აარონი ქართული ლიტერატურისა, ანუ ერთნაირად დამწყებნი და ერთნაირად საფუძველჩამყრელნი მისი. მკითხველი გაიკვირვებს, რომ ი. ჰვენესი პირველი მწერალი ვთქვიო და იკითხავს — ალბათ ამის დამწერს არაფერი წაუკითხავს და ამიტომ ი. ჰვენესი პირველ მწერლად მოუხსენებიაო. ა. წერეთელი მკითხველს არწმუნებდა, რომ კარგად იცის ლექსები ბესიკისა, რომლებსაც მეც ვლილინებდი თავის დროზეო. ბესიკის ლექსებს ალტაცებაში მოჰყავდა მკითხველი, მაგრამ ა. წერეთელს არ შეუძლია დაფაროს, რომ ახლა ბესიკის ლექსები მხოლოდ მოცლილი კაცის სასიხარულს ატკბობენ. ბესიკისა და მის მსგავსთა პოეზიაში მხოლოდ ცარიელი სტვენა იმის, მათ არაფერი დაუმსახურებიათ პოეზიაში. ა. წერეთელი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს შედგენელ ისტორიას, რამაც ადამიანს დაავიწყა ფიქრი და ზრუნვა ხვალისდელი დღისათვის. იმ ვითარებამ ქართველ ადამიანს და ქართულ პოეზიას გამოაცალეს სიაცოცხლის ძარღვი. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ერი, როცა გაჩნდა ნ. ბარათაშვილი; რომელსაც დემონურმა ძალამ (ა. წერეთელი მას კეთილ სულს უწოდებს — ს. ხ.) ჩასძახა: ყრმაო, ეძიე შენ შენი

ბედი. მიიხედ-მოიხედე, დაინახე, რომ ამ მშვენიერ ბუნებაში ხალხი ცხოვრობს, გამოიძიე — რას აკეთებს იგი, რა ეჭირება კეთილდღეობისათვის... პოეტმა უსმინა ამ ხმას, მიიხედ-მოიხედა და დაინახა უუფლებო ადამიანი. ვერ მოითმინა პოეტმა ეს მდგომარეობა და განუდგა მათ, ადამიანებს და აქედან დაიწყო მისი ტანჯვა: ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას... საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი. დაობლებულმა და უდაბნოში მყოფმა თავისი მდგომარეობა გამოხატა სიტყვებით: არღარ აქვს მას ნდობა ამა სოფლის, ეშინიან, ეკრძალები, არღა რცის. ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა.

ა. წერეთელი ამ აზრის შესატყვისს პოულობდა ი. ჭავჭავაძის ლექსში:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ია არის,
ის არის მხოლოდ სატირელი და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაუუზიარო...“

ამ აზრებით დაახლოვდნენ ნ. ბარათაშვილი და ი. ჭავჭავაძე.“

ა. წერეთელი აგრძელებს: ნ. ბარათაშვილისათვის სულით ობლობა იყო უდიდესი ტანჯვა, მოიგონა ის დემონი, რომელიც მას აღრე სა-
ნუგეშოდ გამოეცხადა და მას, ამ სულს უსაყვედურა: სულო ბორო-
ტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად? დიდი ტანჯვის ფასად ნ. ბა-
რათაშვილმა მიაგნო აზრს — არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარ-
სა ემსგავსოს, ხელი ჩასჭიდა მას, მაგრამ დაინახა, რომ აწმყო უბე-
დურია. დემონურმა სულმა მას უკარნახა, რომ პოეტს უნდა ეფიქრა
თავისი ქვეყნის მომავალზე. პოეტმა აიტაცა ეს რჩევა და ზეწამომდ-
გარმა და ამალღებულმა დაწერა „მერანი“ და საქართველოს გადმოს-
ძახა — ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვე-
თება... მაგრამ, დიდხანს აღარ დასცალდა პოეტს, თავის აზრთა აღს-
რულებას ველარ მოესწრო.

გამგრძელებელი ქართული პოეზიისა ნ. ბარათაშვილის შემდეგ ბევრი გამოჩნდა, მაგრამ მის გონების გზაზე კი არავის უვლია და აი, ბოლოს მოვიდა ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძე, რომელიც შეუდგა ნ. ბარათაშვილის გზას. იგი, როგორც სასტიკი მსაჯული, ამხილებს ადამიანთა ცოდვებს. ი. ჭავჭავაძის ლექსში ოცნება კი არ არის გამოხატული, არამედ ყოველდღიური სინამდვილე, ჩვენი სა-
ზოგადოების ნაკლი და ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება. მართალია, — ამბობს ა. წერეთელი, — ი. ჭავჭავაძის ლექსებში ლექსი არსად ჩანს,

მაგრამ ამის უბო სტრუქტურას, „ფუტობით რომ მიბოძოთ, ჩვენი ბულ-
ტულეების ნაწერებში, რომელშიც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და
რითმებიც, არ გავცვლი“. ი. ჭავჭავაძისა ა. წერეთელს მოსწონს ის,
რომ იგი ამხილებს ნაკლოვანებებს და ქვეყნის საჭიროებაზე მსჯე-
ლობს. ი. ჭავჭავაძის ლექსებში იგი ეძებდა გონიერ აზრებს და კი-
დეც კითხულობდა მათ. ა. წერეთელს მიაჩნდა, რომ ის, რაც თქვა
ი. ჭავჭავაძემ ლექსში „პოეტი“, არავის უთქვამს სხვას, რომ „პოეტი“
არის ნიშანი კაცობისა, რაც ნ. ბარათაშვილის შემდეგ აღარავის გა-
მოუმჯღღავებია ქართულ პოეზიაში და საერთოდ ქართულ ლიტერა-
ტურაში.

ა. წერეთელა არ დაერიდა ზოგიერთთა გულისწყრომას და ი. ჭავ-
ჭავაძე ნ. ბარათაშვილის გვერდით დააყენა, მან ისინი განუწყვეტა-
ლი ჯაკვით დაკავშირებულებად ჩათვალა, რომ ერთი-მეორის გარე-
შე მათი გაგება არ შეიძლება, მან შესანიშნავად და მოსწრებულად
დაამტყია. რომ ნ. ბარათაშვილი არის ი. ჭავჭავაძის იდეურა წინა-
პარი, რომ გულისტკივილი ბარათაშვილისა, არის გულისტკივილი
ი. ჭავჭავაძისა, რომ ისინი არიან საფუძველჩამყრელნი ჩვენი ახალა
ლიტერატურისა. ა. წერეთელმა დაასკვნა, რომ ი. ჭავჭავაძესაც ის
აწუხებდა, რაც ნ. ბარათაშვილს, იგიც იმავე მოქალაქეობრივი გრძნო-
ბით იყო აღსაყესე, რითაც ნ. ბარათაშვილი. რის თქმაც ნ. ბარათაშ-
ვილმა ვერ მოასწრო უდროო სიკვდილის გამო, ის თქვა ი. ჭავჭავა-
ძემო, ი. ჭავჭავაძის სიტყვები და აზრი — „მაგრამ, მამულო, ჩემი
ტანჯვა მხოლოდ ის არის“ — ეკუთვნის ნ. ბარათაშვილსაცო.


ა. წერეთლის ეს მშვენიერი და შინაარსიანი წერილი გვიდასტუ-
რებს, რომ ქართველ სამოციანელთა მეთაურებს — ილია ჭავჭავაძესა
და აკაკი წერეთელს ერთნაირი აზრი და შეხედულება ჰქონიათ არა
მხოლოდ პოეზიისა და ლიტერატურაზე, პოეტის სამშობლოსა და
ქრისათვის სამსახურზე საერთოდ, არამედ პოეტის დანიშნულეზაზე.
რაც თთავარია, ამ ორმა სამოციანელმა — ილია ჭავჭავაძემ და აკაკი
წერეთელმა დადასტურა უწყვეტობა ეპოქათა შორის, მათ გამოძებ-
ნეს დამაკავშირებელი რგოლი ნ. ბარათაშვილთან, როგორც ქართვე-
ლი ერისა და მისი გონიერი აზრის მატარებელთან და იგი მიიღეს
როგორც იდეური წინაპარი, ჩადგნენ იმ კვალში, ქართულ საზოგადო-
ებრივ აზრსა და ლიტერატურაში რომ გაკვეთა ნ. ბარათაშვილმა თავისი
„მერანითა“ და მთელი პოეზიით.

ილია ჭავჭავაძე იყო მემკვიდრე ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

ილია ჭავჭავაძე


მარად და ყველგან, საქართველოე, მე
ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევნი,
მკვდავი სული.

ილია ჭავჭავაძე — „აჩრდილი“.



„საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი
მეუღლე...“ 1907 წლის 31 აგვისტოს ეს საზარელი ამბავი აცნობა ქარ-
თველ საზოგადოებას გაზეთმა „ისარი“.

მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე! დაუჭერებელი ცნობა ელვის სისწრა-
ფით მოედო თბილისს და მთელ საქართველოს. პირველი პატარა
ცნობის შემდეგ გაზეთი „ისარი“ წერდა: „საზარელი ამბავი ილია ჭავ-
ჭავაძის მოკვლის შესახებ ტფილისში 30 აგვისტოს საღამოს 6 საათზე
მოვიდა; „ისარი“ რედაქციამ კი დებეშა მიიღო მეცხრე საათზე, როცა
გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო და პროვინციაში წასაღებად უკვე



ილია ჭავჭავაძის ძეგლი მთაწმინდაზე, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე ძეგლი გაიხსნა
1913 წელს.

სადგურზე გაგზავნილი. ამიტომ თვით სტამბაში მოესწროთ ორი სტრიქონის ჩამატება და იხილეთ ტფილისის ხელისმომწერლებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ისრის“ თანამშრომელს, შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფს, რედაქციისათვის დეპეშა ნაშუადღევს 4 საათზე გამოუგზავნა, რედაქციაში კი საღამოს მეცხრე საათზე მიიღეს! დაუჭერებელი ამბავი იმ საღამოსვე მსწრაფლ მოედო მთელ ტფილისის ქართველობას და თავზარი დასცა ყველას“.

ილია ჭავჭავაძე მოუკლავთ!

ოლღა ჭავჭავაძე, თავგატეხილი და ვასისხლიანებული ყვიროდა, შველას ითხოვდა — ვითომც ეკლესია აგიშენებიათ, აგვიყვანეთ, წაგვიყვანეთო. ცოტა ხანს გონს მოსულა, უთქვამს: „ურჩიეთ ილიას, არ წავიდეს, საშიშია!“

„ვერავის ვერ წარმოვდგინა, რომ მსცოვან მოღვაწეს, ქართველი ჟრის სასიქადულო შვილს საქართველოს ნიადავზე ვინმე ხელს შეაჭებდა!.. თვალთ მნახველმა დაგვარწმუნა, რომ საზარელი მკვლელობა ნამდვილად მოხდა“...

„ილია ჭავჭავაძის შუბლი ბერდანის ტყვიით არის ჩანგრეული, ის შუბლი, რომლის ნაფიქრსაც არა ერთის და ორის თაობისათვის ახალი ფიქრები აღუძრია; ბერდანის ტყვიით არის განგმირული ილია ჭავჭავაძის გული, რომლის ნაგრძობასაც ქართველთა მრავალი თაობისათვის გული აღუძგრებია და თვალთავან ცრემლი უღვრევინებია. და ამის ჩამდენი საბედისწერო ტყვია ქართველის ვასროლილია!

ი. ჭავჭავაძის მეუღლეს არაფერი არ ახსოვს, გარდა იმისა, რომ ილიას დაუძახია — რას სჩადიხართო“...

„მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე! საოცარია და დაუჭერებელი, მაგრამ ფაქტია უკვე, საშინელი ფაქტი. არა გვერია, რომ იყო ისეთი შეგნებული ქართველი, რომელსაც ცოტა რამ უღვივის გულში და სინიდისი შერჩენია, რომ არ აღშფოთდეს და არ შემძრუნდეს ამ საშინელების გაგონებაზე. ეს რა დღეს მოვესწარიო! ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს!..“

„ეს ხომ ჩვენი პირველხარისხოვანი მწერალი იყო, რომელმაც შექმნა ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში და რომლის თხზულებებზე პირველი მოქალაქეობრივი აღზრდა მიიღო ორმა თაობამ მაინც! ეს ზომ ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც პირველად გააქაფა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი და თავის ამხანაგების პატარა წრის დახმარებით დაგვიარსა ყველა ჩვენი საკულტურო დაწესებულებანი. ეს ხომ იმ პატარა ჯგუფის პირველი რიგში იდგა, რომ

შელმაც მესამოცე წლების ხანა შექქენა ჩვენში — ხანა განახლებისა და აღორძინებისა“.

„როცა ქვეყნის სამსახურში მოიქანცა, დაუძღურდა, დაბერდა და ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა, ასე დავაჯილდოვეთ, ასე დავაფასეთ მისი წარსული ღვაწლი და სამსახური...“

„რა ვთქვათ, რით ვიმართლოთ თავი უცხოთა წინაშე? მათ წინაშე, ვინც ილიასთანა მოღვაწეებს დიდების გვირგვინით უმკობენ შუბლს“....

„დღეს მთელმა ქართველმა ერმა უნდა იგლოვოს არა მარტო ილია ჭავჭავაძე, უაზროდ და ვერაგულად მოკლული და ბარბაროსულად დასჯილი, არამედ მთელი ჩვენი აწმყო, სრულიად დაშლილი და მოსპობის გზაზე დამდგარი. საღ მივდივართ, რად ვითხრით სამარეს ჩვენისავე ხელებით! განა წარსულის ასე ბარბაროსულად უარყოფა და მოსპობა სრულიად გადაკვარების ნიშანი არ არის?“...

მიხეილ ჭავჭავაძის წერდა: „კალამი მითრთის... ენა მეგმის... აზრი მერყევა... ტყვიით განგმირეს მსცოვანი გული მსცოვანის პოეტისა და გვამი მისი დააგდეს მტკრიან შარა გზაზე. განგმირეს ის გული, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენთვის იწვოდა ღვთაებრივ ცეცხლის ალზე, ჩვენთვის თრთოდა და ჩვენთვის ფეთქავდა. მოჰალეს პოეტი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავის კისრით ატარებდა ქართულ ლიტერატურას, რომელმაც შექქენა ქართული ენა, ქართული პრესა, ქართული მწერლობა. მოჰკლეს და შარა გზაზე დააგდეს ის ილია, რომელიც 40 წლის განმავლობაში ბატონობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ეროვნულ იდეას...“

მოკვდა პოეტი! მოკვდა სხეული, მაგრამ არ მომკვდარა მისი სახელი და დიდება და არც მოკვდება იმ დრომდის, სანამ სძგერს გულთქართველისა, სანამ არსებობს თვითონ ქართველი, სანამ არსებობს მისი ენა, ილიასგან გაფაქიზებული და ქართული კალამი და წიგნი, ილიასგანვე გამტკიცებული და გააუფთავებული. მსცოვანო პოეტო, „უღვთო იყო შენი სიკვდილი“.

მიხეილ წერეთელი: „საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის სიკვდილისა მეხვიით დაატყდა თავს მთელ საქართველოს! მოჰკლეს ვინ — ილია ჭავჭავაძე! არავინ თავის დღეში ფიქრადაც არ გაივლებდა ასეთ რამე საზარელს, საზიზღარს და უცნაურს! ადამიანი, რომელმაც თავისი გული ჩონგურად აქცია და რომელიც ამ ჩონგურის სიმეშს საქართველოსათვის აქლერებდა ტკბილად და ძლიერად; ადამიანი, რომელმაც თავისი თავი, უმაღლესი გონების ჭურჭელი ნახევარი საუკუნის

განმავლობაში ამუშავა საქართველოს ერის გულისათვის; ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიმტკიცე და ძალა შესწირა ჩვენის დაბეჩავებულის ცხოვრების ოდგენას, გამშვენიერებასა და განსპეტაკებას, — ეს ადამიანი წარიტაცა დღეს ვილაციის მურტალმა ხელმა!

ჭუთაისი: „ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი მეხივით დაეცა ყველას. 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ქალაქში აქა-იქ გავრცელდა მკვლელობის ამბავი, მაგრამ არავის სჯეროდა ასეთი ველური ამბავი. გამოკითხვას შემდეგ გაიგეს საზიზღარი მკვლელობის შესახებ. ეჭვო აღარ იყო. ყველა აღშფოთდა და გაოცდა“.

ვაჟა-ფშაველა: „ილია რომ მოჰკლეს!“ — მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი. თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა: ვინ მოკლავდა, ნეტავ ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანის მოკვლა? ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავისი ერისათვის მოპირნახულე ადამიანს? იქნება უცხოელებს შეშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთად-ერთი ბურჯი ჩვენი ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით? ათასი ამითანა კითხვა დამებდა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა. ვიცი მუ და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი, რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენი მწერლობის სულის ჩამდგენელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველი ერისა“...

ალექსანდრე ხახანაშვილი: „საშინელი ამბავია! ავანაკის ხელი არ შეკრთა და გული გაუბო დატანჯულ და განადგურებულ საქართველოს ერთ საუკეთესო შეილთავანს! მოჰკლეს ადამიანი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავში უღვა სამშობლო ქვეყნის საზოგადოებრივ აზრსა და მოღვაწეობას“..

სამსონ ფირცხალავა: „მკვლელს“. დღეს ასაფლავებენ იმას. ვინაც შეახე უწმინდური ხელი და მოჰკალი ვერაგულად. მოუსპე სიცოცხლე, ვინც არასოდეს არ მოკვდება; დაადუმე ენა, რომელიც იმეტყველებს თავის ნაწერებით ქვეყნის დასასრულამდე, გაჰგმირუ და ჩააჩუმე გული, რომელსაც აუბგერებია ასი ათასი გული გაციანკროვნებულის აზრით და მალალის ადამიანურის მისწრაფებით. ასაფლავებენ მამულიშვილს, რომლის სიკვდილინა დააობლა ერი. მისი გვამის ირგვლივ შემოკრებილა მთელი საქართველო, მისი კუბო მორთულია ცრემლებისაგან დანამებულის ყვავილებით, გზა იმის გასველებსა ბრწყინავს დიდებითა და სიყვარულით...“

ქართველი დედაკაცი: „ილია მოჰკლეს, მოჰკლეს ილია! გესმით, ქართველნი? ილია მოჰკლეს, მხეცთ დაგვინვრიეს ტაძარი დიდი, სოსხლით შესვარჯს, წანების გვირგვინი არგეს ჩვენ სადიდებელ მთავარ-მკონანსა! ილია მოჰკლეს, გული გაუბეს, წაგვართვეს, მოსპეს ჩვენი სიძლიდრე, ამპარტავნება. ილია მოჰკლეს, გული გაუბეს; გაუბეს ის წყლული გული, ის დიდი გული და ქართველობის ვაებით აღაფსვ, რომელიც ორშოცდაათი წელიწადი მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის იღაუბოდა! ილია მოჰკლეს, მოჰკვეთეს წმინდა წყარო. წესწყვიტეს მიდრეკანი ცხოველმყოფელი მისის ბრწყინვალე შჰერმეტყველებისა! აღარა გვყავს ილია, ქართველებო! გჰერათ ეს თქვენ, შეგიძლიანთ ამ საშინელ, უღმობელ აზრს შეურიგდეთ? შეგიძლიანთ ილია გულედან მოისხლიტოთ, უიმისოდ ჩვენი არსება წარმოვიღვინოთ?! აღარ გვყავს ილია? დიდი ილია, ჩვენი დამამშვენებელი, აღარ გვყავს ილია, ჩვენი მქადაგებელი, აღარ გვყავს ილია, ჩვენი ზედშაობის ჩამკონებელი, აღარ გვყავს ილია, ჩვენი აღმაფრენი, წარაგანდედით მოსილი მკოსანი?... აღარ გვყავს ილია, ის დიდი ილია, რომელზედაც ამპარტავნობით ვუთითებდით ყველა იმათ, ვინც გაპაზედავდა და ექვს შეიტანდა ქართველთა სულიერს და ჭონებრივს ძლიერებაში... ვიტეროთ ილია, ქართველებო, ვივაგლახოთ, თავში ზელი ვიცეთ, ვიჭირისუფლოთ და მის საფლავზე კავშირი შევკრათ ძმობისა, ერთობისა, ხალხში მოფენით მისი მცნებანი და მით დავუტკბოთ, დავარწმუნოთ, რომ ერი მისი მომწიფებული არის, რომ ერმა მისმა შეისმინა, მიუხვდა ნათქვამს, ნათქვარას, თვით დუმილსაცა და როგორც შეილი ერთგული გულში ჩაიკრა და თავის მღუღარება გულის ნაკუნის ზედ დააფრქვია...

აკაკი წერეთელი: „ახალ-მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწადმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძეგს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხებრებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, ნუშხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ჯეღარას ვამბობ და ვადავდივარ სპირადოზე. მშვიდობით ძმაო! — გარემოებამ გადაგვება ჩვენ ერთმანეთზე, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ, ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი, შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარა-

დისოდ. ამიერიდან ეკუთვნის ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ, იმათ ჩვეულებრივი მიტქმა-მოტქმა ველარც არას დააკლებს და ველარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარა ნახავი როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზი ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავ-მოყრილნი გეხვევიან გარსს... და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მიანც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით ძმოს! საუკუნოდ იყო! ხსენება შენი“.

ბევრმა, ძლიერ ბევრმა გამოთქვა დიდი ვალალება და მწუხარება იმ კონებადაბნელებული ადამიანების საქციელის გამო, ვინც შეამზადა და ვინც შეასრულა უბოროტესი აქტი, 1907 წლის 30 აგვისტოს ტრაგედია წიწამურთან. საქართველოში არ დარჩენილა რამდენადმე ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, რომ ილია ჭავჭავაძის ვერაჯული მკვლელობა არ განეცადოს, როგორც მახვილის მოჭნევა ქართველი ერის საუკეთესო ზრახვათა წინააღმდეგ. არ დარჩენილა პოეტი. მწერალი თუ სხვა მოაზროვნე, რომ თავისი საპროტესტო სიტყვა არ ეთქვას ამ ველური საქციელის გამო. ილია ჭავჭავაძის ხსოვნა, მის სახელს, მის მოღვაწეობას იგონებდა და აფასებდა ქართველ მწერალთა ის თაობა, რომელიც ი. ჭავჭავაძის აზრებით გამოიზარდა, აგრეთვე ქართველ მწერალთა შემდეგი თაობანი, რომელთაც ენახათ, მოესმინათ და განეცადათ ი. ჭავჭავაძის აზრი და ასე, მომდევნოთა მომდევნონი, ი. ჭავჭავაძის გზით მავალნი ქართული მწერლობის გზაზე. ჩვენი თანამედროვე ქართული მწერლობაც ი. ჭავჭავაძის სახელსა და მოღვაწეობას აღიღებს და შარავანდელით მოსაჯს. აკაკი წერეთლის სიტყვთამებრ, ი. ჭავჭავაძის სახელი ცოცხალია მის ცოცხალ სამშობლოში, შოქმედია და მოქალქეობით აღსავსეა. ამის დასტურია ის დიდი სამზადისი, რაც დაისახა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების 150 წლის თავის აღსანიშნავად.

რა იყო და ვინ იყო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თავის თანამედროვეთა შეგნებაში ასეთი ღრმა კვალი დატოვა; რით მოვიდა ილია ჭავჭავაძე თავის მომდევნო თაობათა მსოფლმხედველობამდის და რატომ არის სიცოცხლით აღსავსე მისი ფიქრი და აზრი, მისი ლექსი და მოთხრობა, მისი პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერილი?

ილია ჭავჭავაძე ქართული მოაზროვნე ინტელიგენციის იმ თაობის წევრია, რომელნიც ცნობილი არიან „თერგდალეულების“, „სამოცინანელთა“ სახელით. ილია ჭავჭავაძე ერთი იმათგანი იყო, გონების ამოძრავებისთანავე რომ თავისი მშობლიური ქვეყნისა და ერის ისტორიასა და აწმყო თვალსა და გონებას ადევნებენ, ზალხის ყოფისა და ცხოვრების წიალს ზწვდებიან, სწავლობენ და გამოცდილებას იყენებენ აწმყო დროისა და მომავლის გასაკეთილშობილებლად, ერის ცხოვრების წარმატებისათვის, ხალხთა შორის ჯანსაღი ურთიერთობა-კავშირისათვის, ადამიანის გონიერი და სულიერი აღორძინებისათვის. ი. ჭავჭავაძის თაობამ განიცადა უზამსობა მონარქიული სისტემის კოლონიური მმართველობისა, ეროვნული ღირსებისა და ღირებულების წინააღმდეგ ლაშქრობისა. ის თაობა კარგად ხედავდა თვითმპყრობელობის უსამართლობას ეროვნებათა სულიერი და ინტელექტუალური არსებობის მიმართ, თუ რა გულმოდგინებით შლიდა და არღვევდა ეროვნული შეკავშირებლ საფუძვლებს — ენას და ისტორიას.

ი. ჭავჭავაძე ერთი იმ მოღვაწეთაგანია, შეგნებულად რომ დაუპირისპირდა უსამართლობას და მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვა და აზროვნება ერის გამოსაფხიზლებლად, გასაძლიერებლად და გათავისუფლებისათვის გამოიყენა. არა ერთი და ორი წლის, არამედ ნახევარი საუკუნის განმავლობაში იგი წარმართავდა ქართულ მხატვრულ აზროვნებას, მის სახელთან იყო დაკავშირებული ყველა ეროვნულ-კულტურულ-მეცნიერული საქმიანობა და მიღწევა XIX საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში.

ი. ჭავჭავაძე იყო მეთაური ეროვნული და გამათავისუფლებელი მოძრაობისა საქართველოში, ორჯანიზატორი ქართული პრესისა, ხელოვნებისა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა. მასში გაერთიანებული იყო სრულიად ქართველი ერის ლიტერატორები და არისტოკრატები, იყო მეთაური და წინამძღოლი ქართველი ერის შემოქმედებითი ძალებსა. იგი იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოლემისტი. ყველა ეს დარგი მას დაკავშირებული ჰქონდა ჩვენი ქვეყნისა და ერის სასიცოცხლო და სამომავლო პრობლემებთან; იყო მეთაური საზოგადოებრივი აზროვნებისა, უპირველესი ადამიანი, დამცველი თავის ქვეყნის სახელისა და პრესტიჟისა რუსი თუ ევროპელი საზოგადო მოღვაწეების, მწერლებისა თუ მეცნიერთა წინაშე.

ამიტომ იყო, რომ 1907 წლის აგვისტოში, როცა სამოცდაათი წლის დიდი ქართველი, მწერალი და მოღვაწე ველური ხელით გა-

ნიგმირა, მთელმა ერმა ი. ჭავჭავაძის სიკვდილი ჩათვალა ქართველთა ეროვნული ღირსების შელახვად და შეურაცხყოფად. იმ საზარელი გასროლის ხმა, რომელიც გაისმა სოფელ წიწამურთან და სადაც ახლა თეთრი მაღალი სვეტი დგას, რომელიც გამვლელს გაახსენებს იმ უაღამიანო გამოხდომას, რაც გამოიხატება ქვეყნის იდეური მეთაურის მკვლელობაში. ის ხმა ჯერაც არ ჩამქრალა და მეოცე საუკუნეს, მისი დასაწყისიდან დღევანდლამდის მოჰყვება როგორც ხმა ღვთისა, რითაც იგი მიმართავს მკვლელს: „კაენ, სადაა ძმა შენი?“

1907 წლის 30 აგვისტოს გასროლის ექო კიდევ დიდხანს იტრიალებს საქართველოს ციხე თაღების ქვეშ და ყოველ ახალ თაობას გაახსენებს უგვან და უგუნურ ადამიანთა არსებობას, რომელთაც არ დაინდეს თავის ქვეყნისა და ერის წმიდათაწმიდა, ხატი და უმაღლესი გრძნობა-გონება.

1857 წელს ილია ჭავჭავაძემ დაწერა ლექსი „ყვარლის მთებს“. იგი იმ წელიწადს უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგს, იქაურ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შესასვლელად. ოცი წლის ახალგაზრდა პირველად ემზადებოდა შორი გზისათვის და მის წინაშე დადგა საკითხი — სად მიდის და რად მიდის ჩრდილოეთში, რა ამოქმედებს მას ასეთი შორი მანძილის დასაძლევად. აღსანიშნავია ამ ნაწარმოებში გამოხატული გრძნობა მშობლიური მთების სიყვარულისა და, რაც მთავარია, თანდათანობითი განვითარება ამ სიყვარულისა, დაწყებული პოეტის ყრმობიდან.

ყვარლის მთები სიმბოლიური სურათია სამშობლოსი, საქართველოსი. ამ მთებთან არის დაკავშირებული მათი შვილი, ახალგაზრდა კაცი, მათთან გამოთხოვების უამს ფიცს რომ აძლევს ქვეყანას, რომ მას არასოდეს დაივიწყებს, რომ მშობლიური მთები მასთან იქნებიან ვით მისი გული, რადგან ეს მთები და მისი არსება ბუნებით არიან შეუღლებულნი. სამშობლოს შვილი თავის ქვეყანასთან ბუნებით არის დაკავშირებული და როგორც საკუთარ გულს, ქვეყნის შვილი, ისე უნდა ატარებდეს სამშობლოს სიყვარულს.

სამშობლოს მათა სიდიადე ყრმობიდანვე კანკალსა და ჟრჟოლას განაცდევინებდა მას, მაგრამ ეს არ იყო შიშისაგან გამოწვეული კანკალი. არა! ყრმობიდანვე იგი თრთოლვით შესცქეროდა მათ სიმაღლეს და ბავშვური სურვილით შენატროდა მათა ზემო მხარეს, სადაც ღრუბლებიც კი ვერ ბედავდნენ სრბოლას, სადაც გრიგალთა ქროლვას ამაყად იმენდნენ ცადაზიდული მთები, სადაც წეროთა ქარავანი ძლივს გაუთანაბრდება ხოლმე ამ მწვერვალებს. ყრმობის მარტივი

ნატურით ენატრებოდა მას ფრენა, გრიგალთა მსგავსად, ამ მათათა მწვერვალებში, ნატრობდა თავისუფალი არწივის ფრთას, რომ მათათა სიმაღლეს გადაეფლებოდა. სასტიკ ქართა ქროლვას, რომელნიც დაპირილ ლომთა გვრგვინვსა ჰგავდა, ყურს მიუპყრობდა, რადგან ამ ხეიმში რალაც ნაცნობსა და მშობლიურს ისმენდა. ახლა პოეტს თავი მოსწონა, რომ ამ მთების შვილია და ქართველად არის გაზრდილი გრიგალთა, მებთა და ქუხილთ შორის. ბავშვური და ახალგაზრდული მწუხარებისას, როცა ცრემლს ღვრიდა, მაშინაც მშობლიურ მთებს შესტროდა და შესჩიოდა, თუმცა მთანი მტირალს ნუგემს ვერ სცემდნენ, სამაგიეროდ ხაოცნებო წარსულის წამნი სამუდამოდ დაიმარხა საკუთარ გულში.

ახლა წუთთოფლის ვალი მათ ამორებს, ამ მათათა წილში აღზრდილი შორს მიემგზავრება და, ეს არის სამშობლოს შვილისათვის უდიდესი სასჯელი.

„მშვიდობით, ჩემო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა, უცხოეთილამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა; კვლავ გაგიღიებთ შორ ქვეყნილამ თქვენ ჩემი სული, და, დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული“.

წუთთოფლის სამსახური ათმობინებს სამშობლოს, ავალებს წავიდეს უცხოეთში გონების გასავითარებლად. სამშობლო არის სტიმული მისი მოქმედებისა და ახალგაზრდამაც ფიცი მისცა თავის ქვეყნას, რომ მთელი თავისი არსებით შეასრულებდა ერის შვილისა და მოქალაქის მოვალეობას.

სწორედ ასეთი ლექსი უნდა დაეწერა ილია ჭავჭავაძეს. მისთვის, მართალია, ძნელი იყო წარმოდგენა მომავალი სამოღვაწეო გზისა, მაგრამ, მას თავიდანვე ჰქონდა ჩანერგილი აზრი, რომ შვილი მოვალეა შრომითა და მოღვაწეობით ემსახუროს ქვეყანასა და ერს.

ი. ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობა იყო სამშობლოსათვის მიცემული წმინდა ფიცის განხორციელება.

ლირიკულ ლექსთა უმეტესობა ი. ჭავჭავაძეს პეტერბურგში აქვს დაწერილი. იქ დაიწერა აგრეთვე პოემა „აჩრდილი“, „ქართვლის დედა“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებილამ“, „გლახის ნაამბობი“. რუსეთში ყოფნისას თარგმნა ვალტერ სკოტის, შილერის, ბაირონის, პუშკინის, ჰაინეს, რიუკერტის, ლერმონტოვის, ანდრე შენიეს ნაწარმოებები. ე. წ. „პეტერბურგის პერიოდი“ ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა მდიდარი და მრავალფეროვანია.

ყურადღებას იქცევს ი. ჰავეჰავაძის პეტერბურგში ცხოვრების პირველ ხანებში დაწერილი ლექსები. ერთი მხრით იქმნება ისეთი თხზულებები, რომლებიც დიდი და სერიოზული მსჯელობის, შინაგანო თვითდაჯერებულებისა და ფიქრის გამომხატველნი არიან, მაგ., „ხმა სამარიდამ“, „გუთნის დედა“, „ქართლის დედას“ და სხვ., ამათ პარალელურად, 1857-1858 წლებში მას დაწერილი აქვს ლექსები, რომლებშიც დიდი ცხოვრების პირსპირ დგომისაგან გამოწვეული შეკრთომა, ან მარტოობის მწვავე განცდა გამოჩანს. 1857 წლის დეკემბრით არის დათარიღებული ლექსი „სანთელი“, ნაღვლიანი განწყობილებით, უღიმღამო არსებობით გამოწვეული, სევდით აღსავსე ნაწარმოები. მიბუტუთული სანთელი გასაქრობად არის მიწურვილი, სიკვდილს ებრძვის და მალე ჩაქრება, დაისადგურებს სიბნელე, შუქისა და სინათლისაგან მხოლოდღა დამწვარი პატრუქი დარჩება. მიმკრთალებული სანთელი კაცის სიცოცხლეს არის შედარებული. მეტად მინორული ტონი ხშიანობს ლექსში „ვაზაფხული“. სევდიანია, თითქმის უიმედოა იგი, თვით ვაზაფხულის დაბრუნებაც აღარ უხარია. ვაზაფხულმა აამწვანა ველები, ყველა სულდგმული უგალობს განახლებას, ყველაფერი სიცოცხლეს იწყებს, მაგრამ ერთხელ მოკლული გული კი „არც აყვავდება, არც გაცოცხლდება“. თავისუფალი ჩიტი ქვეყანას გალობით ატკობს, დაფრინავს იგი ხშირ ტყეში და ცის ლაქვარდში, მაგრამ მას გალიაში ჩასვამენ, სადაც იგი, დანადვლიანებული და ფრთებჩამოყრილი სიკვდილს მოელოდება. პოეტი ხშირად ფიქრობს უხეშ ცხოვრებაზე, წუთისოფლის ზვირთად ეჩვენება მოწყვნილი სიცოცხლეს მდინარე, რომელიც, ვინ იცის რას უქადის მის მომავალს. აწმყო საკეთილოს არას ამბობს, წარსულიც მას ეთანხმება, მომავლის ვარსკვლავი არ ჩანს და ცხოვრების მდინარეს დიდ ზღვაში მიაქვს პოეტის ნავი. ზღვა დალუპავს ნავს და ურგები კვალაც წაიშლება ზღვის ტალღებში. პოეტი იწყევლის დაბადების ეამს, ებრალება ზღვის სიღრმეში ჩასანთქმელად გამზადებული სიცოცხლე და მდინარეს ემუდარება — მე და ჩემს ნავს დიდ ზღვაში ზუ შეგვიტანო.

საშინელი სიზმრების რკალშია მოქცეული პოეტი: ბნელი უფსკრული ესიზმრა. ჯოჯოხეთის სიბნელე იხილა, უსაზომო სიღრმეში ქვეყანათა წანგრევებს ჰკრეტდა. განწირულ ქვეყანათა თანამგზავრი იყო წყევლა, შეჩვენება, განგდება, იქაური მზე სისხლით სავსე ფიალას ჰგავდა, კოსმოსიც სისხლს ჰგავდა, უსაზღვრო ცის სივრცეში ჯოჯოხეთი ტრიალებდა, იღვა ღვთის რისხვის ხმა, უგზო-უკვლო

ქვეყნები წყველით ტრიალებდნენ და ისმოდა მხოლოდ: „წყველიმც იყავ“. ყველაფერი ეს დემონთა ლხინი იყო, კაცები დემონთა მსგავსად ერთმანეთს კბილით გლეჯდნენ, თვით სიკვდილი უღონო იყო, რომ ამ ვაებისათვის მოელო ბოლო.

პოეტის ურვით მოკლული გული მწუხარედ ტირის თითქოს იმისთვის, რომ სხვა ზეცის კალთების ქვეშ მოქცეულა და სხვათა უფერული ვარსკვლავები კიაფობენ სხვათა ცაზე. სამშობლოს ზეცა სხვანაირად არის გაბრწყინებული და სულ სხვა რიგადაა დამშვენებული.

უმაღლეს ძალას შესთხოვდა პოეტი, ნუ მიმცემო ბედის ტრიალს და ნუ დამაწაფებო დემონის ფიალას, უკუ-თქმისა და მაცდურობის საწამლაოვით რომ ლიცლიცებდა. მაგრამ, თუ უმაღლეს ძალას სურს უამოცდა პოეტის სულისა, მაშინ დეე უფალის ხმის ქვეშ გაჰქრნენ მისი, პოეტის სურვილნი.

ეჩვენებოდა, რომ ცხოვრების ზღვაში მარტოკა დასცურავდა და მის გულს ქართა გრიალში აღარაფერი საიმედოდ აღარ ეჩვენებოდა. გამოუცდელს ზღვის ზვირთნი აქეთ და იქით აწყვეტენ, თითქოს მისი შთანთქმა აქეთ გადაწყვეტილი — ნუ ატირდებო, — მიმართავს პოეტი ვილაცას, თუ ჩემი ურგები კვალი წყლის სივრცეში დაიკარგება.

ასე მიჰყვება ერთმანეთს მისი ლექსები, რომლებშიც მარტოობის ვანცდა, ცხოვრების ზღვასთან ბრძოლა, საკუთარ შესაძლებლობათა არარაობა არის გამოთქმული.

შემდეგ იცვლება მისი შემოქმედების აზრი, ახალი შეგნება ჩნდება. სიკვდილი უკვე აღარ აშინებს მას, მაგრამ ერთი სურვილი უჩნდება — მისი კვალი დარჩეს ამ ქვეყნად და ამის მიხედვით მომავლის აღმანიანებმა თქვან — მას თავისი მოვალეობა შეუსრულდება, მის ქნარს შორს, ჩრდილოეთში ამოდ არ უკვნესია, არამედ რაღაც სასარგებლო შეუქმნია თავის თანამემამულეთათვის.

ამავე დროს მის ლირიკაში სიყვარულის თემა ჩნდება. სიყვარული ჭერ გაუბედავია, „მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა მე შენთვის კოცნა ვერ გამებედოს“. სატრფოს გულისცემა ლოცვის ბგერებად ეჩვენება და ცოდვილ ფიქრთა მორევას სიყვარულის სიწმინდით იგერიებს. სიყვარული ცრემლს უჩენს თვალბში, იგი ტანჯვასა ჰბადებს, მაგრამ, სწორედ ეს არის სრული სიცოცხლე. ნაზი ბუღბუღი გაგიჟებული სიყვარულს სტვენს. დიდხანს ეძებს ამ ბუღბუღს იგი, მაგრამ ვერსად პოულობს. ბუღბუღი თურმე მის გულში სტვენდა სიყვარულს. წრფელია და წმინდა ეს სიყვარული, იგი მის არსე-

ბობას ამტკიცებს, აღონიერებს, იმ შეკრთომას ავიწყებს, ცოტა ადრე რომ აწვალებდა და აფიქრებდა მას, გაბედულებას ანიჭებს და სწორედ ამ დროს წერს ი. ჭავჭავაძე შემართებულ ლექსს „გავსწორდეთ, ბედო“. „გავსწორდეთო“ — მიმართავს პოეტი ბედს, ჩემს სიცოცხლეში შენს ნებაზე და შენი კარნახით ვთამაშობდი, ბევრი ნუგეში მოვისპია ჩემთვის, ბევრი ტკბილი ოცნება გავითელია, სისხლის ცრემლებით ამოგიწვავს ჩემი თვალები, შენი ბრწყალების კვალი გულზე მაქვს დაჩნეული. გეყო! მოვიდა ანგარიშის გასწორების დრო, უნდა გავსწორდეთ მე და შენ. შენი უფლებისა და ბატონობის დრო წავიდა, უნდა ადგილები გაცვალათ, აქამდე შენს ნებაზე დავდიოდი, ახლა კი მე მიჭირავს დუღუკი, მე დავუქრვა და შენ კი იხტუნე!

ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგი იგრძნო, გამხნევედა, გამაგრდა. აღარ ეშინია ბედისა, თავისი ცხოვრების გზისა...

ყვარლის მთებს უწერდა ი. ჭავჭავაძე: „თვალში ცრემლით განებებთ თავსა, უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდნენ ჩემს გულს და თვალსა“. ჩრდილოეთში ყოფნისას გულისყურიდან და გონების თვალიდან არ მოუცილებია თავისი სამშობლო, მის აწმყოზე, მის კეთილდღეობაზე ფიქრობდა და ოცნებობდა და, თუ უღონობაზე ან შეუძლებლობაზე წერდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, ვაი თუ ჩემს ქვეყანას ვერა რა ვარგო, ვერაფრით გამოვადგეო. სამშობლოზე ფიქრი არასოდეს შეუწყვეტია. იქ დაწერა მან „გუთნის დედა“. მას თავისი მოძმე, თავისი ქვეყნის ადამიანი ჰყავდა მხედველობაში, როცა ლაპარაკობდა, რომ ბუნების გვირგვინს, ადამიანს წართმეული აქვს უფლება მაღლა ახედვისა, რომ ადამიანს ადამიანობა აღკვეთილი აქვს, იგი პირუტყვის დარად უღელშია გაბმული, უუფლებოა, უსინარულოა. ადამიანისათვის ძალით წაურთმევიათ უფლებანი, აღუკვეთიათ სიმართლის თქმის ნება. მას, ადამიანს, თავის ჰირისა და წუხილის გამოთქმის საშუალება არ გააჩნია. ადამიანსა და მის ერთგულ პირუტყვს შორის განსხვავება არ არის, ადამიანი თავის ზართან ერთად არის შებმული უღელში, რაც სწორედ ადამიანობის დაკარგვის, მისი აღკვეთის ნიშანი არის. მისი ხმალი — ენა სიმართლისათვის დაჩლუნგებულია, ადამიანობის ნიშანს — ენას, აზრის გამოთქმის საშუალებას აღარ ანებებენ. ამიტომაც, რომ შოაზროვნე ადამიანისათვის უფრო მძიმეა ის უღელი; ვიდრე პირუტყვისათვის.

ი. ჭავჭავაძე, რასაკვირველია, თავის ქვეყნის, თავისი ხალხის ვითარებაზე ლაპარაკობდა.

შესანიშნავია თავისი აზრით ი. ჭავჭავაძის ლექსი, დაწერილი პე-

ტერბურგში — „ქართლის დედას“. ეს ნაწარმოები იმათ რიგში დგას, რომლებშიც ავტორი, მოაზროვნე და პოეტი, საეროვნო საკითხებს აყენებს. თავისი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვან მხარეებზე ნაწელივს. ეს ლექსი სამოქმედო გზაა, მისი, როგორც სამშობლოს მოქალაქის, შიზნების ჩვენებაა, სამშობლოს განვითარების პერსპექტივის მიმთითებელია, ქართველი დედის დანიშნულების მაჩვენებელი. სრულიად დასაშვებია, რომ ი. ჭავჭავაძემ ამ ლექსის შექმნისას ნ. ბარათაშვილის პოემის პერსონაჟის, ქართველი ქალის სახე ეღვა თვალწინ. ნ. ბარათაშვილის პოემა „ციცქარში“ დაიბეჭდა 1358 წლის სექტემბრის ნომერში, ი. ჭავჭავაძემ ეს ლექსი დაწერა იმ წლის დეკემბერში.

ი. ჭავჭავაძემ, პირველმა ქართველ სამოციანელთაგან, დააყენა საკითხი აწყობის სამსახურისა მომავალი ცხოვრების გაუკეთების მიზნით. შესანიშნავი და გმირულ-ვაჟკაცური იყო ქართველი ხალხის წახსული. მაგრამ იგი ვეღარ დაბრუნდებოდა, წარსული დიდება ვეღარ აღსდებოდა, ამიტომ მასზე ფიქრი, მისი დაკარგვით გამოწვეული ცრემლი და ვაება ვერაფერსა არაგებდა სამუდამოდ დაკარგულს. წარსულზე ტირილი უზარობაა, ჩვენმა ახალმა დრომ, სამშობლოს მომავალმა ახალ ვარსკვლავს უნდა მისდიოს, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

ი. ჭავჭავაძემ, როგორც ახალთაობის წარმომადგენელმა, დიდი ტვირთი იტარა: ხალხის მომავალი ცხოვრების აგება, მისი მოწყობა, ამ ახალ ცხოვრებაში ადამიანობის დამკვიდრება, კაცთათვის ადამიანურ უფლებათა მოპოვება. ქართველ დედას ახალი მოვალეობის აღსრულება დააკისრა პოეტმა, მას, დედას სულით ძლიერი შვილი უნდა აღეზარდა, დედას შვილისათვის უნდა ჩაეგონებინა ძმობის, ერთობის, თავისუფლების იდეები, შვილის გული სიკეთის ქმნისაყენ უნდა მიემართა, მამულისათვის მებრძოლად უნდა აღეზარდა და მაშინ ქართლის დედა მიიღებდა ნაყოფს, მიიღებდა კაცურ კაცს, სამშობლოს მოყვარულ შვილს, მოქალაქეს, მზრუნველს, ერისათვის გულატკეპებულს. ქართველი დედის ვალი იყო აღეზარდა ისეთი შვილი, რომელსაც ჭეშმარიტება წინ გაუძღვებოდა და თავის შემდეგ განათლებულ კვალს დატოვებდა.

ასე ზრუნავდა ახალგაზრდა ი. ჭავჭავაძე თავისი ქვეყნის და ერის მომავლისათვის, დაკარგული ძალის აღდგენისათვის. ძმობა, ერთობა, და თავისუფლება უნდა ყოფილიყო მომავალი ქართველის შეგნების საფუძველი. ამ საფუძველის შექმნა კი ქართველის დედას ეკისრებოდა.

ასეთივე აზრი ამოქმედებდა პოეტს, როცა წერდა ლექსს „ნანა“. აქაც ქართველი მოქალაქის სამოქმედო პროგრამაა გაშლილი, აქაც დედისა და შვილის მოვალეობაზეა მსჯელობა. პატარას, ყრმას ჯერ არა ესმის რა და წინამორბედი გრძნობა მას ღვთიურ ვალს ქართველთა, სამშობლოს მიმართ ჯერ ვერ უხატავს, მაგრამ მოვა დრო, გაიზრდება პატარა, მკლავი ვაჟმაგრდება და ყრმობის სიზმრები სინამდვილით შეეცვლება. მიხვდება მაშინ მამულის ვითარებას, შეისმენს მის მწარე კვნესას და მშობლისაგან დალოცვის გული აუღვლდება, დედის ნანა ჰპლის უღერით შეეცვლება, მიხვდება ერის ბედშავობას, წმინდარ და დათრგუნვილ დიდებას და გმირობას, დაინახავს დაობლებულ მამულს. მაშინ უნდა აინთოს გული, მტერს მეხად დაეცეს და, როგორც ერთგულმა შვილმა მტერი უნდა მოსპოს და მამულს მსხვერპლად შეეწიროს. დედის გული, ჩვეულებრივ ჩვილი და ნაზი, მამულის მდგომარეობით საღ კლდედ იქცევა, რადგან დედას შვილი მამულის მსხვერპლად უნდა. ვაი იმ დედას, რომელიც შვილს სამშობლოს დამცველად და გამათავისუფლებლად ვერ გაზრდის, ამისთანა დედას შვილი არ ჰყვარებია.

„ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისი სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტბილი
შხამდაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!“

მამულისთვის სიკვდილი დიდი რამ არის. მამულისთვის მკვდარი უკვდავებას ჰპოვებს.

თითქოს წინასწარმეტყველურად თქვა ეს პოეტმა. სწორედ ხუთი ათეული წლის შემდეგ ამ სიტყვათა მთქმელი თავის მამულში დასცეს, რითაც მან უკვდავების კარი შეაღო!

მშობლიური ქვეყანა ყოველთვის თვალწინ ედგა მწერალს, მისი ბუნება, შორი მთების თეთრი ზოლი, საქართველოს ლაქვარდი ცა. მამულის მდგომარეობა სულს უგუბებდა, შორიდან ეტრფოდა მას, ნატრობდა მის გამოფხიზლებას. სუნთქვა ეკროდა პოეტს, როცა თავისი ქვეყნის მდგომარეობას წარმოიდგენდა. სხვადასხვა შხატერული სახე და სურათი შექმნა მიყუჩებული, უმოქმედო, ძალაწართმეული სამშობლოსი.

„მკრთალი ნათელი სახე შეფარისა
 მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
 და თეთრი ზოლი შორის მთებისა
 ლაქვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.
 არსაიდან ხმა, არსით ძახილი,
 მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
 ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
 ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!
 ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
 კვლავ ჩემს ქვეყნის ძილს ეალერსება...
 ოხ, ღმერთო ჩემო სულ ძილი, ძილი,
 როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

ისევ ნ. ბარათაშვილისებური სახე და აზრი ჩნდება ი. ჭავჭავაძის პოეზიაში. 1859 წელს პეტერბურგიდან დროებით ჩამოსული წერს ლექსს „მტკვრის პირას“. ეს არის ფიქრი მტკვრის პირას. მტკვრის დინება მშობლიური ქვეყნის ცხოვრებას აგონებს ი. ჭავჭავაძეს, ზვირთთა მღერა წუხილით ავსებს მის გულს, ჩვეული ფიქრის ამ-შლელია მდინარის დენა, მტკვარი ნეტარ დროთა მესაიდუმლედ და უსახავს პოეტს.

ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის დადგინება პეტერბურგის პერიოდში მოხდა. რასაკვირველია, ამის საფუძველი მას სამშობლოდან გაჰყვა. პეტერბურგი სააზროვნო ცენტრი იყო, რუსული ლიტერატურისა, დემოკრატიული პრესის კერა, იქ ცხოვრობდნენ რუსული მეცნიერებს, ხელოვნების, განათლების, ლიტერატურის მესვეურები და წარმომადგენლები. რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების დიდი მიმმართველი და ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩერნიშევსკი პეტერბურგში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ჩერნიშევსკი მაშინდელი ახალგაზრდობის გონების მეთაური, ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორი, ყველაზე სახელოვანი მოღვაწე იყო. მის მრავალრიცხოვან მიმდევართა და დამფასებელთა შორის ბევრი ქართველ ახალგაზრდა ერიო. ჩერნიშევსკის მთელი მოღვაწეობა ერთი მიზნისაკენ მიემართებოდა — რევოლუციური ბრძოლა ბატონყმობისა და მონარქიის წინააღმდეგ. მისი ლიტერატურული და ესთეტიკური შეხედულებანი, აზრები ხელოვნების დანიშნულებაზე და მიზანზე ამ იდეას ემსახურებოდა. რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხის გონებრივ განვითარებაში. იგი პრინციპული წინააღმდეგი იყო იმ შეხედულებებისა, რომელიც ზღუდავდა ხელოვნების გავლენის სფეროს. ხელოვნებას იგი ანიჭებდა მასწავლებ-

ლის როლს, რომელსაც ხალხისათვის უნდა ესწავლებინა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთკავშირი, ლიტერატურა ცხოვრებისეული ფორმით უნდა გამოეხატა სინამდვილე, ცოცხალი ფაქტებისა და ნიმუშების მეშვეობით. იგი აფასებდა პატრიოტული გმირობის სილამაზეს, რევოლუციური ბრძოლის ამალღებულ პათოსს. ხელოვნებას და ლიტერატურას, როგორც საზოგადოებრივ შეგნებას, მოძველებულისა და უვარგისისათვის განაჩენი უნდა გამოეტანა, რაც ისტორიულად მოძველებული და განწირული იყო, ადამიანთა საზოგადოებას ხელს უშლიდა ცხოვრების სილამაზით დატკბობაში, დასაგომბი და უარსაყოფი იყო. ხელოვნების ფუნქცია ამ პროცესში მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რადგან მას ცხოვრების სახელმძღვანელოდ თვლიდა. ნამდვილი ხელოვნებაო, ამბობდა იგი, თავის იდეურ ძალას მოიპოვებს ხალხისა და სამშობლოს სამსახურში. რუსული ლიტერატურის ახალ ეტაპად მას მიაჩნდა ნ. გოგოლის შემოქმედება, რადგან მასში მოცემული იყო ისტორიულად განწირული თვითმპყრობელურ-ბატონყმური ცხოვრების საფუძვლებისა და საყრდენების კრიტიკა, ამ წერილის შემოქმედების ღირებულებას იგი ხედავდა კრიტიკული მიმართულების დამკვიდრებაში. ნ. გოგოლის შემოქმედებითი ტრადიციებისათვის ბრძოლა, ამისთან ერთად, იყო ბესარიონ ბელინსკის კრიტიკის დემოკრატიული ტრადიციების დაცვა. ნ. ჩერნიშევსკი ბ. ბელინსკის შემოქმედებას ისტორიულ მოვლენად თვლიდა, სახელმძღვანელო მაგალითად. ადამიანის პიროვნება უნდა შეფასებულყო საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების მიხედვით, ცხოვრების კრიტიკული ასახვა ნიშნავდა ბოროტების მიზეზებისა და წყაროების ძიება-აჩხნას.

ბ. ბელინსკისა და ნ. ჩერნიშევსკის შემოქმედებამ და შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინა XIX საუკუნის 50—60-იანი წლების ახალგაზრდობაზე. ამისი ცოცხალი მაგალითია ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის შეხედულებათა ფორმირება, მათი მხატვრულ-პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებები.

ი. ჭავჭავაძემ პეტერბურგში დაწერა ლექსი „პოეტი“, რომელშიც გამოხატა პოეტის დანიშნულების იდეა და თემა: პოეტი დედამიწაზე გამოგზავნა ცამ არა ტკბილი სიმღერისათვის, პოეტს ნიშნავს ცა, ე. ი. პოეტური ნიჭი უმადლესია, იგი უნდა კვებოს მიწიერმა საქმეებმა. პოეზიასთან კავშირი, ე. ი. ღმერთთან ლაპარაკი პოეტს ესაჭიროება ერის საწინამძღვროდ. დიდი ღმერთის საკურთხევლის ცეცხლი, ე. ი. პოეზია, პოეტური ნიჭი იმისთვის ღვივის პოეტში, რომ იგი, პოეტი,

ერის მოძმე იყოს როგორც ლხინში, ისე ჰირში. ერის, სამშობლოს ტყვილი პოეტს უნდა სტიოდეს და ერის ტანჯვით სული უნდა ეტანებოდეს, ერის ბედნიერება და უბედურება პოეტის გული უნდა ხედებოდეს და, როცა პოეტის გული მტკიცედ დაუკავშირდება ერის ცხოვრებას, სიხარულს, გაჭირვებას, მაშინ ციური ნაპერწკალი, ანუ პოეტური ნიჭი პოეტის გულში ცეცხლს გააჩენს და პოეტს შესძლებს ერს ტანჯვის ცრემლი შეუმშრალოს.

ლექსში „პოეტი“ ასე გამოხატა ი. ჭავჭავაძემ პოეტის დანიშნულება, მისი საზოგადოებრივი ფუნქცია ერის ცხოვრებაში. ასე დაუკავშირდა ი. ჭავჭავაძე თავის იდეურ მასწავლებლებს — რუსული რევოლუციური დემოკრატიის აზროვნების წინამძღვრებს — ბესარიონ ბელინსკის და ნ. ჩერნიშევსკის.

ეროვნული და გამათავისუფლებელი ბრძოლა იყო მიზანი ი. ჭავჭავაძისა, ამისათვის ემზადებოდა პეტერბურგში ყოფნისას. სწორედ ამ დროს დაემთხვა იტალიის ეროვნული გათავისუფლებისათვის მოძრაობა ჯუზეპე გარიბალდისა და ჯუზეპე მაძინის (მაცინას) მოთავეობით. ამ მოძრაობის გამოძახილია ი. ჭავჭავაძის ლექსი, რომელშიც ხალხთა ბორკილის მტკრევის ხმით აღტაცებული პოეტი თავის სამშობლოშიც ნატრობს მსგავსი ხმის მოსმენას:

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტბილი
გამაგონე ჩემს მამულში“.

ქართველ სტუდენტთა სახელით პოეტმა გამოხატა მზადყოფნა დიდი საქვეყნო საქმეების შესასრულებლად: ძმურად გამოსადეგნი ვართ, — ამბობენ ახალგაზრდები, — ჰირში გაჭირვებულს დავესმარებთ, ფიქრისა და საქმის დროს ბრძენსაც არ დავუვარდებით, დიდს არ გავეჭვლივინებით, პატარას მხარეს მივცემთ, ძალას გულდაგულ დავხვდებით, სამართლიანობას თაყვანსა ვცემთ, წინსვლაში არ დავიხვევთ, უკან დარჩენილს დავხმარებთ, რადგან ვიცით, რომ ყლონოსა და დავრდომილს დახმარება უნდა, უანგაროდ ვივლით წინ და ის გვექნება ფიქრად, რომ წინა კაცი უკანა კაცის ხილია. მამულის შვილები ვართ და ამიტომაც ვიზრდით სულს, რომ დაობლებულ ჩვენს მამულს გამოვადგეთ, თუ იგი ბრძოლად გვიხმობს — ასეთი იყო ვანწყობილება ქართველი ახალგაზრდობისა, ი. ჭავჭავაძისთან ერთად განათლებას რომ იღებდნენ, თანდათან იკრეფდნენ ძალას შრომისა, მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის. შათ მიზანი იცოდნენ და მის მისაღწევადაც მზად იყვნენ.

ამ ხანებში დაწერა ი. ჭავჭავაძემ „გაზაფხული“ (ტყემ მოისხა ფოთოლი), „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“...

1860 წელს მან პეტერბურგიდან თბილისში ჟურნალ „ცისკარს“ გამოუგზავნა წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“. სულ მალე თითონაც დაბრუნდა საქართველოში. მას უნივერსიტეტის კურსი ბოლომდე არ მოუხმენია, იძულებული იყო სამშობლოში დაბრუნებულიყო, რადგან პეტერბურგში მზადდებოდა რეპრესიები სტუდენტების წინააღმდეგ. მდგომარეობა მეტად დაძაბული შეიქმნა და დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო სერიოზული წინააღმდეგობა ნიავრობასა და სტუდენტურ ახალგაზრდობას შორის.

ი. ჭავჭავაძე დაბრუნდა საქართველოში და სწორედ იმ ხანებში დაიბეჭდა პეტერბურგიდან გამოგზავნილი მისი წერილი. ი. ჭავჭავაძე მაშინ 23 წლის იყო. ეს წერილი სრულიად დროული იყო და თავისი მიზანდასახულობით სრულიად გამართლებული, მან დიდი როლი შეასრულა ქართული მწერლობის ისტორიაში, ლიტერატურული კრიტიკის დადგინებაში და, საერთოდ, საზოგადოებრივ აზროვნებაში. წერილს დიდი გამოხმაურება ჰქონდა, იგი იყო სრულიად ახალი სიტყვა, ვაბედული, პრინციპული, სიმართლითა და შემართებით დანუბტული, დაწერილი ისეთი შეგნებით, რომ იგი უნდა ყოფილიყო მიჯნა ძველსა და ახალს შორის, რომელსაც უნდა შეეცვალა აზროვნების მიმართულება. ცხადია, ი. ჭავჭავაძეს შეგნებული ჰქონდა პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის მნიშვნელობა და ისიც, თუ რას გამოიწვევდა იგი, რა მოჰყვებოდა ჩამორჩენილობის, შეზღუდული გონების და მოძველებული ესთეტიკის მხილებას, უარყოფას არა მხოლოდ ერთი თხზულებისა, არამედ უარყოფას ლიტერატურის სასიათის, ტრადიციის, რომელთა შერყევასაც მისი დამცველები არავის აპატიებდნენ.

ი. ჭავჭავაძის წერილი გამოქვეყნდა 1861 წლის აპრილის თვის „ცისკარში“, ეს იყო შემდეგ არაერთხელ ნახსენები „აპრილის სტატია“, რომელშიც უარყოფილი და გკრიტიკებული იყო თვით „ცისკარის“ პოზიციაც, მისი ლიტერატურული კრედიტო.

ი. ჭავჭავაძემ თავისი წერილის მასალად გამოიყენა ერთი რუსი პოეტის — ივანე კოზლოვის (1779—1840) პოემის „შეშლილის“ ქართული თარგმანი, რომლის მთარგმნელი იყო ჟურნალის თანამშრომე-

ლი ჩვენს შალვას ძე ერისთავი. პოემის თარგმანი დაიბეჭდა 1860 წლის „ცისკრის“ მეათე ნომერში.

ივანე კოზლოვი სამხედრო მოხელე იყო, მაგრამ 1821 წელს მხედველობა დაკარგა, დასწრულდა და დამბლა დაეცა. ამის შემდეგ მიჰყო ხელი პოეტურ შემოქმედებას და დაწერა ლექსები და პოემები, რომელთა შორის ისეთებიც იყო, რომელთაც მას სახელი მოუპოვეს. ა. პუშკინს მოსწონდა კოზლოვის ლექსები, ლექსიც კი უძღვნა მას. 30-იან წლებში მან დაწერა პოემა „შეშლილი“, რომანტიკულ-სენტიმენტალისტური გაშფოთილებით აღსავსე ნაწარმოები.

კოზლოვის პოემის ქართული თარგმანი დაიბეჭდა 30 წლის შემდეგ, როცა რუსულ ლიტერატურაში უკვე სხვა სტილი და სხვა განწყობილება იყო განმტკიცებული და რომანტიკულ-სენტიმენტალურ ნაწარმოებებს არც გასავალი ჰქონდა და აღარც იწერებოდა.

ი. ჭავჭავაძემ განიხილა ამ ნაწარმოების ქართული თარგმანის შინაარსი, იღეა და თარგმანის პოეტური ღირსებანი.

ამასთან ერთად, წერილის დასაწყისშივე ი. ჭავჭავაძემ შენიშნა, რომ ჩვი წერილში არ იხმარდა ქართული ანბანის იმ ასოებს, რომელთაც მაშინ ფონეტიკური საფუძვლები აღარ გააჩნდა, ე. ი. ხალხის მეტყველებაში აღარ იხმარებოდა, მხოლოდ მწერლობაში, უმთავრესად სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებში თუ გამოჩნდებოდა, ეს ასოები იყო: ჟ, ჳ, ჴ, ჵ და უ და თან დააყოლა: „თუ, ვინცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოვუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ“.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე როგორც პოემის რუს ავტორს, ისე მთარგმნელს მეტად მკაცრად მოეპყრო. კოზლოვის დამსახურება რუსული ლიტერატურის წინაშე, სრულიად უგულვებელყოფილია ი. ჭავჭავაძისაგან. რეალისტური შემოქმედების პრინციპების დაცვისას იგი არაფერს არ თმობდა, თუ ლიტერატურული მემკვიდრეობა უღვევანდელი დღისათვის სარგებლობის მომტანი არ იყო.

ი. ჭავჭავაძემ წერილი დაიწყო ივანე კოზლოვის შემოქმედებისა და მხატვრული მეთოდის ანალიზით და დაასკვნა: „ეს გრძელი შესავალი იმითმ გაუკეთეთ ჩვენს სტატიასა, რომ თუ, ვინცობაა, „ცისკრის“ მკითხველი ბევრს რამეს ელოდა თავად ერისთავის „შეშლილი“- თარგმანისაგან და ვერა ჰპოვა რა, მაგის მიზეზი თითონ კოზლოვი იყო... კოზლოვის ლექსები თვით რუსეთში ჩაჰბარდნენ პატრონა და ქართველებს რად გვინდა?“

ამის შემდეგ მან ხელი მიჰყო თარგმანის შეფასებას და მკითხველი

მიიყვანა დასკვნამდის, რომ თარგმანი შორსაა დედნისაგან. „რაც უნდა ცუდი იყოს, მაინც თუ კაცმა იცისრა მისი გადმოთარგმნა, გულმოდგინედ და მსგავსად უნდა გადმოეთარგმნა და არა ისე უწყალოდ გაეფუჭებინა, როგორც თავად ერისთავს გაუფუჭებია. მისი თარგმანი ასეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოთქმულ სიტუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალ მწერლებს“. ი. ჭავჭავაძემ აჩვენა თარგმანის უზუსტობა და, რაც მთავარია, ქართული წინადადების წყობისა და ენის ელემენტური უვიცობის ფაქტები, რის დასასაბუთებლად ასეთი მაგალითები ამოწერა თარგმანინდან:

„იმის ამბავი შენ მომიტანე, თუ სატრფოს თავი ჩემზედ
რას ჰფიქრობს“...

„დილით თუ ღამით ვფიქრობ მასზედა, ცრემლი არ შშრება
არც ერთ თვალზედა“...

„მის საშინელსა ჩემსა ტანჯვასა“...

„ან სვინდისის მე ყვედრებაში რისთვის ჩავეარდი ვფიქრობ
ჩემს თავში“... და ა. შ.

ი. ჭავჭავაძე აცხადებდა: თარგმანი ბოლომდე ვერ წავიკითხე, დავიღალე, დავიქანცე, დავყრუვდი რითმების უთავბოლო რახარუხითო. „სწორედ მეოცდამეერთე თავის თუ მუხლის მეხუთე სტრიქონზე შევდექით! კიდევ ბარაქალა ჩვენ ბიჭობას, რომ იქამდი მივსულვართ!“

წერილის დასკვნაში ი. ჭავჭავაძე წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაკაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

თავის პირველ წერილში ი. ჭავჭავაძე მხოლოდ რუსულიდან თარგმნილ ნაწარმოებს შეეხო, განიხილა მისი იდეა, სრულიად მიუღებელი მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურისათვის თარგმანის ენა, დროის შეუფერებელი თგმა და განაცხადა, რომ ენა ეროვნული საუნჯეა, წინაპართაგან გადმოცემული, რომელსაც ვაფრთხილება და შეურვეობა ეჭირვება, ენა ეკუთვნის ხალხს და მისი უდიერად ხმარება დანაშაულია ერის წინაშე.

ბუნებრივია, ი. ჭავჭავაძის კრიტიკულმა წერილმა გამოხმაურება

ვამოიწვია. მოხდა ისე, რომ ერთი მხრით იდგა ი. ჭავჭავაძე, მეორე მხრით კი რამდენიმე თანამშრომელი „ცისკარისა“: ბარბარე ჯორჯაძისა, გიორგი ბარათაშვილი, რევაზ ერისთავი და სხვანი. მოხდა აზრთა, შეხედულებათა, ესთეტიკის, მსოფლმხედველობის დაპირისპირება, ვამოიკვეთა ორი ბანაკი, ორი პოზიცია. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა იმის შემდეგ, რაც ცისკარში დაიბეჭდა პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილები „თერგდალეულების“ ხელმოწერით. ამ წერილთა ავტორები და ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა დამცველები იყვნენ: კირილე ლორთქიფანიძე, აკაკი წერეთელი და სამსონ აბაშიძე. ი. ჭავჭავაძესთან ერთად ისინი დაუპირისპირდნენ იმათ, ვინც ცდილობდა ძველი ესთეტიკურ-ლიტერატურულ და საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვას. ი. ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეთა წერილები დაიბეჭდა „ცისკარის“ მეხუთე და მეექვსე ნომერებში და შემდეგაც, ხოლო ი. ჭავჭავაძემ თავის კრიტიკოსებს პასუხი გასცა იმავე, 1861 წლის ურნალს მეექვსე ნომერში დაბეჭდილი წერილით: „პასუხი“.

ი. ჭავჭავაძეს მოუხდა განმარტება მიეცა მოკამათებისათვის, თუ რა არის ხელოვნება („ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა; მუსიკა, მხატვრობა, პოეზია—ესენი სულ საჭეში გამოთქვამენ იდეიას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა—ხმასა, მხატვრობა—ხაზსა, პოეზია—სიტყვასა“), რა არის კრიტიკა („კრიტიკა არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად“). მან ყველას გასაგონად თქვა, რომ ენის შემქმნელი არის ხალხი, ის არის კანონმდებელი ენისა და არა რაღაც „ანბანთ თეორეტიკა“, რომ ლიტერატურის ენა უნდა ხალხისას ემყარებოდეს.

ი. ჭავჭავაძისა და მის თანამდგომთა შემოქმედებასა და მოღვაწეობაში, აგრეთვე, ქართული კულტურის ისტორიაში, განსაკუთრებით ურნალისტიკაში, ღირსმნიშვნელოვანი იყო 1863 წელი, როცა ი. ჭავჭავაძემ დაიწყო ურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ნიკო ნიკოლაძე ამ ურნალზე წერდა: „რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მამულის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს... დღეს ჩვენ ყველა ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 წელს იყო ეს დაფარული ვინმესთვის, ყველა გრძნობდა, ყველა ხედავდა. რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაებერა ჩვენი ახალგაზრდობისათვის დროების სული,

ერვენი. ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი — მამულს, საზოგადოების სიკეთე და ღირსება“.

ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ იყო მისი და სანიმუშო ორგანო შემდეგი დროის ქართული ჟურნალისტიკისათვის.

პირველი ნომრის პირველ გვერდზე ი. ჭავჭავაძემ დაბეჭდა ნ. ბარათაშვილის ლექსი „შემოღამება მთაწმიდაზედ“. ამით მან გამოხატა ნ. ბარათაშვილის შემოქმედების დიდი სიყვარული და დაფასება. იმ ადგილზე, სადაც სარედაქციო წერილი იბეჭდება, რომელიც ჟურნალის რედაქციის პოზიციას და მიზნებს შეიცავს, ჟურნალის რედაქტორმა ნ. ბარათაშვილის თხოვნა დაბეჭდა. ჟურნალის თანამშრომლები იყვნენ, ძირითადად, ახალგაზრდა ძალები — „თერგდალეულები“. აქ დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლის, ვახტანგ თელავის, კირილე ლორთქიფანიძის, პეტრე ნაკაშიძის, ილია ოქროშვილის და სხვათა ნაწარმოებები. ჟურნალის დანიშნულებისა და მისი პროგრამის შესახებ რედაქტორმა პირველ ნომერში დაბეჭდა წერილი „საქართველოს მოამბეზედ“, რომლითაც მან მკითხველს რამდენიმე საკითხი განუმარტა, რომ ცხოვრება მოძრავი უა განვითარებადი, ისიც იმ უნივერსალურ კანონს ექვემდებარება, რასაც ყველაფერი რეალურად, მატერიალურად არსებული. ცხოვრება იბადება, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე კვდება, რათა ახალ თესვზე ახალი ნაყოფი ამოვიდეს. ცხოვრების შესაცნობად და გასაგებად არსებობენ მეცნიერება და ხელოვნება, რომელთაც თავისი საშუალებებით გააჩნიათ ცხოვრების კანონების ასახსნელად. ორივეს მიზანი კი ერთია. ლიტერატურა უშუაშაალია მეცნიერებასა და ხალხს შორის, ამიტომ ამ ლიტერატურის ენა გასაგები უნდა იყოს ხალხისათვის, რათა ადვილად შესძლოს მეცნიერების მიღწევათა ხალხში გატანა. ლიტერატურის ენა არ უნდა შორდებოდეს ხალხს ენას. ეს ევალება საზოგადო ჟურნალს, რისთვისაც არის გამოიწველი „საქართველოს მოამბე“. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჭობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“. რედაქტორმა ჟურნალს მიზნად დაუსახა გაფაციცებით თვალ-ყურის დევნება ქართველი ხალხის ცხოვრების სინამდვილისა. ხელოვნება მოვალეა ცხოვრების სიღრმეში ჩავიდეს, იქ მონახოს აზრი თავისი სურათებისათვის, ცხოვრებაში აღმოაჩინოს ხელოვნება მარვალიტებს და უფრო მეტს ლექსა და ლაფს. ხელოვნებამ ერთგვარი ძალით უნდა გამოხატოს კარგიც და ავიც. არც ერთის გამოთქმა არ უნდა აშინებდეს ლიტერატურას, ჟურნალს. არავის უნდა ეწყინოს, როცა

ქურნალი ხელოვნების საშუალებით ახდილად იტყვის ქართველი კაცის ავსა და კარგს, ამხილებს ცუდსა და საზიზღარს, ეცდება მათი წარმოშობის მიზეზების გამორკვევას. ი. ჭავჭავაძე წერდა: „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევინ, რაც ჩვენი ქურნალი საჭევეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში უარყოფითია... საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ქართველში კვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია...“

ი. ჭავჭავაძემ ქურნალში დაიწყო ბეჭედა „გლახის ნაამბობისა“, „კაცია ადამიანისა“, დაბეჭდა თავები პოემისა „აჩრდილი“, „კაკო ყაჩალი“, რითაც მან ქართველი ხალხის ცხოვრების მახინჯი მხარეები წარმოაჩინა. იგი არ მოერიდა არავის და არაფერს და ამხილა ის ვითარება, რამაც წარმოშვა ლუარსაბ თათქარიძე, „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟი თავადისშვილი დათიკო და სხვ., თუმცა ავტორმა ვერ შესძლო ყველა თხზულება დაებეჭდა, ხელისუფლება თავისი ცენზურით ხელს უშლიდა ყველაფერი ეთქვა და ემხილებინა ყველა მახინჯი მხარე საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ი. ჭავჭავაძემ ვერ მოახერხა დაეძლია ცენზურის შემზღვეველი რეჟიმი, ამიტომ ქურნალის გამოცემა შეწყვიტა. „საქართველოს მოამბე“ გამოვიდა მხოლოდ 1863 წელს და დაიბეჭდა თორმეტი ნომერი. მან ვერ მოახერხა პოემა „აჩრდილი“ მთლიანად დაებეჭდა, არ მისცეს საშუალება კაკო ყაჩალის ამბავი მთლიანად გამოექვეყნებინა, ასევე „გლახის ნაამბობიც“. რაც მოახერხა, ისიც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „საქართველოს მოამბე“ და ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა თანამედროვეებსა და შემდეგი პერიოდის ქართული ქურნალისტის წარმომადგენლებსაც ელიარებინათ უპირველეს და გაბედულ ნაბიჯებად.

„აჩრდილი“ ერთ-ერთი უმთავრესი თხზულებაა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა. მისი რამდენიმე თავი გამოქვეყნდა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“, მთლიანად დაბეჭედა კი ავტორმა ვერ შესძლო. პოემის წერა ი. ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას დაიწყო.

ავტორმა „აჩრდილს“ ეპიგრაფად შოთა რუსთაველის ორი ტაეპი წარუძღვარა — „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჟღენაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. ამით პოეტმა გამოხატა სიცოცხლის მუდმივობა და დროთა ცვალებადობა. ავტორი სა-

ქართველოს დიადი დღეების აჩრდილს ამეტყველებს, მისი თვალით ხედავს წარსულსა და აწმყოს. აჩრდილი ამბობს:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევნი, უკვდავი სული,
შენთა შვილთ სიხლით გული სრულად გადამებნა,
ამ გულში მე მკეს შენი აწმყო, შენი წარსული“.

საქართველოს ეს უკვდავი თანამდევნი სული ქვეყნისა და ერის ცხოვრების მოწმეა, მათთან ერთად განუცდია ტანჯვა და ვაება, მას ახსოვს წარსულის დიდება, ახსოვს ქვეყნის ძალი — თავისუფლება. ახლა კი ეს თავისუფლება აღარაა, განწარულება დაუფლებიათ სამშობლოს შვილებს და აუღკენის იმედაც თითქმის გამქრალა. ტანჯვისგან რწმენა დაუქარგავს ქვეყნის შვილს. ასე იქნება, ვიდრე შვილები გზას არ გაიკვლევენ და გონებით არ განსჭვრეტენ საყოველთაო ცხოვრების დენას. აჩრდილი შეწუხებულია, რომ არც დიდს და არც პატარას გული აღარ შესტკივა ქვეყნისათვის, ყველას დავიწყებული აქვს უპირველესი მცნება, რომ ცას აღამიანისათვის მიუნიჭებდა სამშობლო. ახლა ქვეყნის შვილებს აღარ აგონდებათ მამულისათვის თავის დადების გრძნობა. აჩრდილი — საქართველოს თანამდევნი უკვდავი სული შეძრწუნებულია, რადგან ქართველებს აღარ ჰყავთ გმირი, საგმირო ასპარეზიც ჯავით ავსილა, გმირის წარმოშობის საგანი — სამშობლოსათვის ზრუნვა და თავისდადება ახლანდელ ქართველში მოსპობილია და წაწყმედილა. მამული უცხო კალთასაა შეფარებული, რადგან შვილებმა დაჰკმეს იგი. არა და,

„ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა“.

ახლა ქედმოდრეკილია.

შიგა და შიგ ამ დავრდომილ აღამიანთა შორის გამოკრთება ღვთის ნაპერწკალი, მაგრამ, რადგან ქვეყნის შვილებს ერთურთს შორის შური და ქიშპი განუზრახავთ, ეს განგების ნაპერწკალი ძალას ჰქარგავს. აჩრდილი საშინელ სურათებსა ჰვრეტს თანამედროვე საქართველოში: აგერ უფალი და მისი მონა რა მწუხარებას შეუპყრია დამონებული მშრომელი. იგი, ბედშავი, დღე და ღამ ოფლში ცურავს, შრომობს, მაგრამ ვერაფერი ბედუნაა დამონებული აღამიანის შრომის შედეგი — ვინა შრომობდა და ვინა ძლება, ღმერთო, სად არის აქ სა-

მართალია?!“ დამონებულ ადამიანს კაცური ღირსება ახდელი აქვს, უწმინდესი ხელით თხრიან დედის გულიდან უკეთეს გრძობას, შვილის სიყვარულს ცოდვად უთვლიან და დედის ძუძუდან მოგლეჯილ, ვინ იცის, სიღამ საღ გაჰყიდიან... გაამწარებენ მონას, მის შვილს შეუბრალებლად ნამუსს მოუკლავენ, წრფელ გულში ნაღველს ჩაუხსამენ. უმანკო პირზე საზარელი დალი დააჩნდება და როცა უფლება და შეილწართმეული თავის მომავალს დაინახავს შეგინებულსა და შეუარაცხყოფილს, მაშინ იტყვის: „ნეტავი გველად, გველის წიწილად მე მომცემოდი, რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრეგლად შენ, ჩემო შვილო, არ გამხდომოდი“. დარბაისელი დიდკაცი განცხრო-მაშია. როცა მისი საწყალი მოძმე სასოწარკვეთილია და დამონებუ-ლი. ცბერძი ვაჭარი მოძმეთ ატყუილებს და არ ენაღველება მათი შიმ-შილი. თვით ხალხის მამასაც — მღვდელს გულხელი დაუკრეფია და სიყვარულისა და სიმართლის სიტყვას ველარ ამბობს.

თბილისსაც დაუკარგავს თავისი ფერი, ერთი შეხედვით, თითქოს ქალაქი ცოცხალია, „პლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ, ჰფიქრობენ, ჰგრძობენ და ჰმოქმედებენ“, ფაციფუცში არიან, ყველგან უღივილია, მაგრამ მათ გრძობასა და მოქმედებას „ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი“, ყველა თვალთმაქცობს, იქ აღარც სიცოცხლეა, აღარც გემოვნება. ის, რაც წინათ მამათა ნაღვაწი და სადარდებელი იყო, დღეს ის მათ შვილებს არაფრად უღირთ:

„გრძობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე — პატიოსნებას
და დაეანგებულ ბორკილზე სცელიან
თავის მამულის თავისუფლებას“.

ქართველ გმირთა საეანე მცხეთა? დიდი ცხოვრების დიდი აკლდა-მა? ქართველს მორკმულმა შვილებმა იქ ჩარგეს თავისუფლების ნერგი, იქ ჰყვაროდა ხე ცხოვრებისა, იქ კდიოდა წყარო შვებისა, გად-მოდროდა ნაძვის სურნელება, ქართველის ტკივილი ყუჩღებოდა...“, ახლა:

„...აღარა სჩქედს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამქანარა
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა,
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრებთს წმინდა ალაგნი
პირუტყვთ ქელვითა შეგინებულა“.

რამდენი ვაება გადახდენია ქართველის სამკვიდროს „ჯვარცმულსა დეტისთვის თვით ჯვარცმულსა და წამებულსა ეკლიან გზაზე“, რამდენი შემზარავი ბრძოლა გადაუხდია, მაგრამ გადარჩენია ყოველ განსაცდელს. მას ჰყავდა გულმტკივნეული შვილები, ფარნავაზის მსგავსნი, რომელნიც ქვეყანას მზის სხივივით ფენდენ თაეისუფლებას. ახლა?!

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტურად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება,
აწ იგი თითქოს თვის დენაში შეყენებულა...“

ეს მიმოხილვა წარსულისა და აწმყოსი ი. ქავჭავაძეს გამილილო აქვს საქართველოს შესანიშნავი, ბრწყინვალე ბუნების ფონზე:

„აღმობრწყინდა შუე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასიის მთების წვერთა ძალათა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი,
აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ.
იგივე ზეიადი, იგივე მძინვარი.
იგივე დიდებულ და დაღუპებულ.
ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მდგრად
ცის გასარღვევად აღმოხიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქოს განგებით შეყენებულა...“

რა ხელმა დახატა ეს დიდებული მშვენიერება ქვესკნელის ძალთაგან მიწის წიაღიდან ამოვარდნილი, რომლის ყინულით ნაკვეთი თავი მზის ოქროს სხივებით არის მორთული.

ამ ამაყი სიმაღლის ფონზე მოევილინება პოეტს „კაცი დიდი, მყინვარზე ჯ მდგომი მოხუცებული... მარჯვენა ზელით ეჩრდილნა თვალნი, ყურადღებითა შორს გაჰყურებდა, მის გარეშემო შვენოდნენ მთანი და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყუფდა, თერგი მრისხანე, თერგი მბღღვინვარე ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა, ვით შმაგი ლომი დაჭრილი, ცხარე, პრბოდა, ბლაოდა, მიღრიალებდა, სჭექდა და ჰქუხდა...“

1857 წლის ზაფხულში ნახული სურათი მყინვარისა და თერგისა, როცა ი. ქავჭავაძე პეტერბურგს მიემგზავრებოდა პირველად, თან გაჰყვა ახალგაზრდა კაცს და შემდეგ მყინვარი და თერგი მისი შემოქმედების სიმბოლურ ხატებად დარჩნენ.

ასე ატარებს ი. ჭავჭავაძე თავის მკითხველს საქართველოს წარსულში, ასეთ სურათებს უჩვენებს დასავლობი აწმყოსი. პოეტი აქ არ ჩერდება. მას წარსულთან და აწმყოსთან ერთად უფრო მომავალი აფიქრებს და, ამ მომავლის დადგომას ი. ჭავჭავაძე ბრწყინვალე სიმბოლური სურათებით გამოხატავს. „აჩრდილის“ უკანასკნელ თავებში, სადაც იგი მიმართავს მაჟორულ ხმებს იმის დასარღვევად, რაც არსებობს მშობლიურ მხარეში, რაც შედეგია ძალმომრეობისა, ადამიანისათვის საარსებო საშუალებათა წართმევისა, ერის თავისუფლების დაკარგვისა, ხალხის კისერზე დადებული, დაუანგებული დიდი ხნის ბორკილისა. საჭიროა ზეციური, ღვთაებრივი ძალები, რომლებიც საძირკვლიანად შესძრავენ არსებულ მომაკვდინებელ მდგომარეობას, ამისთვის საჭიროა კატაკლიზმი, დიდი ზებუნებრივი ძალა, რათა აღიკვეთს პირისაგან მიწისა უსამართლობა, უუფლებობა, ადამიანისაგან ადამიანის დამონება, ავკაცობა, ბიწიერება და სიმშაგე ადამიანთათვის მშვენიერი, მომხიბვლელი ყოფის დადგინებისათვის. და პოემაში ი. ჭავჭავაძე ასეთ სურათს ხატავს: იმ დროს, როცა ყოველი ღონე და ძლიერება წამხდარია, როცა ახოვანი ცხოვრება მტვრად ქცეულა, შეჩერებულა და წინათ ფართო გზაზე მავალი ახლა შეყენებულა. როცა ამ ცხოვრებას ზედ ამჩნევია ქართველის ტკივილი, როცა შური და მტრობა, ერთურობის ბძარვა თხრიდა სიკეთეს, როცა ყოველგვარი შფოთის, ლალვის, უადამიანობის, წამების ფილა ლიტლიცებს, სწორედ მაშინ „ქუხილმა დაიგრილა, გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში, ცაზედ ელვამ გაიკრიალა და გაანათა მდინარე ხევში“, მაშინ ცა შავი ღრუბლებით მოიგრაგნა, მთანი და ველნი ნისლში დაინთქნენ, ქარმა მთის ხეებს დაჰლმუელა და ბუქი სვეტივით აატრიალა, ქარიშხალმა რისხვით დაგლიჯა კლდენი და ღრენი და ზვავმაც მალლიდან დაიგრილა, ბუნება ჯოჯოხეთად იქცა და ერთმანეთში აირია წყალი, ცეცხლი, მებხი და ქუხილი. აი, მაშინ, ქართა ღმუილი და მებთა ტეხა შეწყდა, „გამოიღიმა ნათლად მთამაცა, და მზისა სხივით გაბრწყინებული კვლავ დაეინახე მოხუცებული“, გამოჩნდა ისევ საქართველოს თანამდევი უკვდავი სული — მოხუცებული, რომელსაც ცისკენ აღეპყრნა ათრთოლებული ხელები და მუხლიც მოედრიკა... იგი მოხუცი, საქართველოს თანამდევი უკვდავი სული, ღვთის ღედას ევედრებოდა:

„ღედავ, ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა;
საღმართოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,

ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯად ეყოფა,
მოეცი ძალი დაერდომილსა კელაჲ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შეილსა.
ძლიერო დმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიენი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განაელე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..”

ცის ლაქვარდში გადმოეშვა შეიდფეროვანი ცისარტყელა და
სამშობლოს ვადაეფინა...

პოემა „აჩრდილი“ დაწერილია მაღალი მოქალაქეობრივი გრძნო-
ბით, სამშობლოს ღრმა და უსაზღვრო სიყვარულით, პოეტური სიღ-
რმითა და გატაცებით, ი. ჭავჭავაძის საყვარელი მხატვრული ხერხის —
შედარების, დაპირისპირების გამოყენებით. პოემა წამკითხველს
უნერგავს მომავლის რწმენას, საეროვნო, საქვეყნო საქმიანობისათ-
ვის ზრუნვის სურვილს, სამშობლოსათვის თავის დადების გრძნობას.
პოეტი არ ერიდება საზოგადოებრივი ნაკლის ჩვენებას. პირიქით,
კონტრასტული სურათებით იგი საკმაოდ მუქად ხატავს მათ, რათა
მკითხველში მათ მიმართ მართებული რეაქცია გამოიწვიოს, ხოლო
უფრო მიმზიდველად საოცნებო და სამომავლო ვითარებას გაუსვას
ხაზი.

სწორედ აქ არის გასახსენებელი 1861 წლის ოქტომბერში ევა-
რელში დაწერილი ლექსი — „ჩემო კალამო...“, რომელშიც ი. ჭავჭა-
ვაძე ამბობს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!“

ი. ჭავჭავაძე არ დაერიდა თავისი ქვეყნისა და ერის ცუდის ჩვე-
ნებას. მას ამ დროს ამოქმედებდა აზრი, რომ უარყოფითის ჩვენება
სამშობლოს დიდი სიყვარულით იყო ნაკარნახები.

პოემა „აჩრდილი“ საინტერესოა სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახ-
ბ. ს. ხუციშვილი

ველობითი პოეტური ხერხების გამოყენების თვალსაზრისითაც. ავტორი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავს ნაწარმოების აზრის მკაფიოდ გადმოსაცემად. შთაბეჭდილებებსა და ემოციის გასაძლიერებლად მას ოსტატურად აქვს შერწყმული ერთმანეთში პოემის იდეურ-შინაარსობლივი და გარეგანი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი. ნაწარმოების კითხვისას იგრძნობა მისი ტემპის სხვადასხვაობა, ტონალობა იცვლება, რაც დაკავშირებულია სტრიქონთა მარცვლების რაოდენობის ცვლილებასთან. პოემა ორატორიას ჰგავს, იგი აღსავსეა ეპიკური და დრამატიული პასაჟებით, პოეტის ლირიკული განდგომებით, რეჩიტატივებით, საგალობლებით. პოემა აღწერილობითია, რაც ავტორს საშუალებას აძლევს საფუძვლიანად დაახასიათოს ზოგიერთი ჰოვლენა თუ ფაქტი, პოემის შინაარსის გადმოცემას პოეტი ხან მდორედ წარმართავს, ხან აჩქარებულად, იმის მიხედვით, თუ რა სიტუაციაა გადმოსაცემი, ამისთვის სტრიქონთა სხვადასხვა ზომებია გამოყენებული — ათ და თოთხმეტმარცვლიანი ტაქტები. ამ ზომითა მონაცვლეობა ცვლის მბობის ტონს და ექსპრესიის სხვადასხვა სახეობა იქმნება. ბუნების მოვლენების გადმოცემისას პოეტი მათ შესაფერის ბგერებს მიმართავს და ხმოვანებით ილუზიას აძლიერებს. ამის საჩვენებლად პოემის XXV და XXVII თავებია საინტერესო, პირველში ბუნების ძალთა ხმაური მოისმის, ხოლო მეორეში იმავე ბუნების სხვა მდგომარეობაა აღწერილი. პოემის ტექსტი პოეტური ხელოვნების სხვადასხვა საშუალებების შემდეგნაირ სურათსა ქმნის: მეტაფორა. ტროპის ეს სახე ი. ჰავჭავაძეს „აჩრდილში“ უხვად აქვს გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოები მთლიანად მეტაფორას წარმოადგენს, რადგან პოეტს გადატანითი მნიშვნელობით შეურჩევია სათაური ნაწარმოებისათვის, გადატანითი მნიშვნელობით გამოუხატავს „კაცი დიდი, მყინვარზედ მდგომი, მოხუცებული“. გადატანითი მნიშვნელობა აქვს მიცემული ქუხილს, გვრგვინვასა და გრივალს. ასეთივე მნიშვნელოანისაა „შვიდფეროვანი სარტყელი ცისა“.

„აჩრდილში“ უხვად არის გამოყენებული სხვადასხვა ტროპი, სხვადასხვა გამოხასხველი საშუალება, რომელთა კრებადობა არის შედეგი ნაწარმოების ძირთადი და მთავარი იდეისა, ხოლო ისინი ამ იდეის მხატვრულად გამოსახვას ემსახურებიან.

„აჩრდილში“ რომელიმე კონკრეტული საკითხი არ არის დამუშავებული. ნაწარმოებში განზოგადებულად არის წარმოდგენილი სამშობლოს პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა. პოემა იშლება

დროის სამივე განზომილებაში, ასახულია სამშობლოს წარსული, აწმყო ვითარება და მდგომარეობა და პოეტის მისწრაფება, მიზანი, სამშობლოს მომავალი.

ი. ჭავჭავაძისათვის, პატრიოტული გზნების მწერლისათვის, მშობლიური ქვეყნის წარსულის, აწმყოს და მომავლის ჩვენება-დაპირისპირება ხელსაყრელი იყო, იგი ცხადად აჩვენებდა იმ განსხვავებას, რაც პოეტის წარმოდგენით, წარსულს განასხვავებდა მისი თანამედროვეობისაგან. თანამედროვეობის მიმართ პოეტი შემართებულ განწყობილებას ამჟღავნებს.

ი. ჭავჭავაძის მეტაფორებს გარკვეული იდეური დატვირთვა აქვთ, მათი მეშვეობით მწერალი მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს მკითხველს განცდებსა და ემოციებთან, იგი მას დააფიქრებს და თავისუფლად შეიყვანს ენის სამყაროში.

მეტაფორულია მყინვარზე მდგომი მოხუცებული კაცის სახე, რომელიც ქვეყნის მსგავსად უძრავად, უხმოდ, მშვიდად დაფიქრებულად, მარჯვენა ხელით თვალნი ეჩრდილა და შორს ყურადღებით იცქირებოდა. ამ დიდებულ მოხუცს ათქმევინებს პოეტი: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!.. მე ვარო შენი თანამდევნი უკვდავი სული“. ეს უკვდავი, საქართველოს თანამდევნი სული მეტად რთული მხატვრული სახეა. უპირველესად ყოვლისა, იგი თვით ჩვენი ქვეყანაა, რომელსაც გაუვლია წარსული, არსებობს უნიათო აწმყოში და იცქირება მომავლისაკენ, ეს არის, ამასთანავე, სამშობლოს არსებობის იდეა, ის მძლავრი ეროვნული არაი, რაც დამახასიათებელი მხარეა თითოეული ეროვნული ერთეულისა, როცა ამ ერთეულს თავისი ხანგრძლივი არსებობის ტრადიცია შეუმუშავებია და ეს ტრადიცია ისტორიული მოვლენებით, ტერიტორიით, ენით და ამ ენაზე შექმნილი კულტურით გამდიდრებულია. ამასთან ერთად, ამ მხატვრულ სახეში თვით ავტორიც მოჩანს, რომელსაც ჭერ კადევ 1857 წელს ჰქონდა ნათქვამი: „სამშობლო მთებო!... თქვენ ხსოვნა მე ვერ მივცემ დავიწყებასა, თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული...“

რადგან მყინვარზე მდგომი დიდებული კაცი რთული მხატვრული სახეა, თვით საქართველოს არსებობის სახეა, მეტაფორული ხატია, ამიტომაც მისი მეტყველება, რაც ნაწარმოების უდიდეს ნაწილს მოიცავს, მისგან აღნუსხული ვითარება მრავალგან მეტაფორულია.

პოემის პირველი თავი ექსპრესიულობით არის აღნიშნული. იქორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარება — სიმშვიდე და რისხვა-

მუქარა არის გაერთიანებული: მზის დიდებული აღმობრწყინება და ბნელი ქვეყნის განათება, კავკასიონის მწვერვალთა ოქროს ნათლით გაბრწყინება და ცასა და ქვეყანას შუა დაკიდებული, ზვიადი მყინვარი, ზვიადი და მძვინვარე, ქვესკნელის ძალთაგან ცის გასარღვევად ამოზიდული; რომლის ზეავემა, განკითხვის დღის მოლოდინში უნდა რისხვითა და მუქარით დაიგრიალოს, ხმელეთს დაეცეს, ქვესკნელში ჩავარდეს და ყველაფერი თან ჩაიტანოს. დაპირისპირებულ მხარეთა ხატვაში მოძრაობა და მოქმედებაა მოცემული, მზის ამოსვლაში და ზეავეს მუქარასა და რისხვაშიც. ბუნება გაცოცხლებულია, ამოძრავებულია და პოეტს ეს ყველაფერი მეტაფორულად აქვს გამოხატული.

საქართველო ქვეყნის ანუ სამყაროს მარგალიტია — „იგი მოხუცი მას დააცქერდა, ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა სიყვარულითა იგი დამზერდა“. საქართველო ობოლი მარგალიტია, ანუ მეტად კარგია, არაჩვეულებრივი, ძვირფასი, საუკეთესო, იშვიათი და უბადლო ქვეყანაა, „ხმელეთის თვალი, დიდი სამოთხის კუთხე პატარა“.

ასეთი მეტაფორული სურათი უპირისპირდება მეორეს. საქართველო ობოლი მარგალიტია, მაგრამ იქ გმირის საპსპარეზო მოედანი ჯაგით ავსილა, ვერანად ქმნილა. ეს კონტრასტული მეტაფორული სახეები ამკვეთრებს პირველსაც და მეორესაც.

მეტაფორებით გამოთქვამს პოეტი თავის ალტაცებას, მაღალი საკაცობრივ იდეის განხორციელების მოლოდინს:

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ქეშმარიტების მის ძილერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით...“

შრომის სუფევა თანასწორად მოფენს ნიქს ანუ სიკეთეს და

„მის მაღლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვლეს ცხვარი და მგელი“.

ძმობა, ერთობა და თავისუფლება, რომლებიც ახლა ეკლის გვირგვინს ატარებენ, მომავალში კაცთმოყვარეობისა და სათნოების გვირგვინს დაადგამენ.

გმირული წარსული და განადგურებული აწმყო ერთმანეთთანათვის დაუპირისპირებია „საქართველონ თანმდევ სულს“. საქართველოს

ორი უძველესი დედაქალაქის — მცხეთისა და თბილისის სახით იგი ორ ეპოქას ახასიათებს. მცხეთა დღეს სამიკიტნო დაბად ქცეულა, ადრე იყო „სავანე გმირთა, დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების“. მამა-პაპათა სამოღვაწეო ასპარეზი შვილთათვის აღარაფერს წარმოადგენს, შეგინებულა დიდებული დრო და დღეს: „შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა“. ამ ნაწარმოების მეტაფორები ავტორის მსოფლმხედველობისა, საქართველოს წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან მისი დამოკიდებულების გამომხატველნი არიან.

რიტორიკული ფიგურები. პოემის რიტორიკული ხასიათი განსაზღვრა პოეტის დამოკიდებულებამ სამშობლოსთან, იმ სურვილმა, რომ მკითხველს ეგრძნო ძალა და მნიშვნელობა დროის სამი განზომილების დაპირობპირებისა, დაენახა წარსულის სიღიადე, შეეფასებინა თანამედროვეობის უარყოფითი მხარეები. პოეტი პოემაში ახორციელებს მკითხველთან უშუალო დამოკიდებულების კავშირს, მას მიმართავს, მიუთითებს, მოუწოდებს, უხსნის და აჩვენებს წარსულს, თანამედროვეობას და ახედებს მომავლისაკენ. ეს კონტრაქტი მკითხველთან პოემაში ხორციელდება ხანგრძლივად და უწყვეტად.

პოემის I—IV თავები ექსპოზიციისათვის აქვს გამოყენებული ავტორის, V თავი, რომელიც მან „ცისკარში“ დაბეჭდა 1859 წელს (№ 11) სათაურით „არაგვი“ (აქედან კირილე ლორთქიფანიძემ გადაბეჭდა „ჩონგურში“ 1864 წ.), წარმოადგენს მიმართავს. ეს თავი ნაწარმოების სტრუქტურაში ექსპოზიციურ ნაწილს უშუალოდ უკავშირებს ძირითადი თემის გაშლას. იგი არის სკერცო, თუმცა არა აჩქარებული, რომელიც ხსნის ნაწარმოების აზრს და მკითხველს აჩვენებს თბზულების ძირითად იდეას. ლირიკული ტონით პოეტი საქართველოს ტრაგიკულ ისტორიას წარმოადგენს, რომელიც მისი სამშობლო ქვეყნის მდინარის ნაპირებზე გათამაშებულა. ასეთი ტრაგედიის მოწმეა საქართველოს თითქმის ყველა მდინარე, მაგრამ ი. ჭავჭავაძე არჩევს არაგვს, რამდენადაც იგი მცხეთასთანაა დაკავშირებული, რადგან იქ, სადაც არაგვი მტკვარს შეერთვის:

„იქ ერთხელ ქართლის სიციცხლე ჯდულდა,
იქ მამულისთვის ქართველის ხმა ჰქუხდა...“

არაგვის დენაში პოეტი საქართველოს წარსულის დანახვას, მდინარის ნაპირებთან დაღუპული მამულის ხილვას ცდილა.

პოემის ეს თავი (V თავი) რიტორული მიმართვის ნიმუშია. ეს

ნაღვლიანი გახსენებაა ქვეყნის ისტორიისა (აღსანიშნავია რემინის-
ცენცია ნ. ბარათაშვილის ლექსთან „ფიქრნი მტკვრის პირზედ“. ორი-
ვე თხზულებაში მდინარეები მოწმენი არიან ქართვლის ცხოვრებისა,
ამასთან, ორივე პოეტი — ერთი მტკვრისაგან და მეორე არაგვისაგან
უპასუხონი რჩებიან):

„ჩვენო არაგვო რა რიგ მიყვარხარ
ქართვლის ცხოვრების მოწამელ შენ ხარ...
შენს კიდებზედ ჩემი მამული
იყო ერთ ღროსა გამშვენებულის
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენს წმინდა თვალ-წინ აყვავებულა;
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ — შენს კიდებზე დაბადებულა...“

VII თავი, მოხუცის დიდებული ხმა, მთლიანად რიტორული მი-
მართვება, ოღონდ იგი ავტორისაგან სხვისი ნათქვამის ო-ნით არის
გადმოცემული — „მე ვარო შენი თანამდევნი...“

რიტორული მიმართვის ხასიათს ხაზს უსვამს ორი სიტყვა — „სა-
ქართველოვ“ და „წამებულო“. საქართველო და წამებული სინონიმე-
ბია:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“

და

„მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა“.

ჩითაც პოეტმა თავისი ქვეყნის ბედი ზუსტად, ორიოდვე სიტყვით
დაახასიათა.

ეს რიტორული მიმართვა ორმაგი შინაარსით არის გამოყენებული:
ასე მიმართავს საქართველოს მისი თანამდევნი უკვდავი სული და ასე-
ვე ი. ჰავჭავაძე, რომელმაც აქ გაიმეორა აზრი, გამოთქმული ადრე
ლექსში „ყვარლის მთებს“ (შეადარე — „თქვენ ჩემთან ივლით გა-
ნუყრელად, ვით ჩემი გული..“ და „მარად და ყველგან, საქართვე-
ლოვ, მე ვარ შენთანა“).

პოემის უდიდესი ნაწილი (VII—XXIV თავები) რიტორული მი-
მართვება, რომლითაც საქართველოს უკვდავი და თანამდევნი სული
უკავშირდება თვით საქართველოს. მიმართვითი რიტორული ფიგურ-
რებს („ჩვენო არაგვო“, „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ
შენთანა“, „მაგრამ, ქართველო“, „შრომისა შვილო“, „ქართლის სამ-“

კვიდროვ“...) გვერდით ი. ჰავაივამე მიმართავს ჩვენებით რიტორულ ფიგურასაც, სადაც, რასაკვირველია, ნაგულისხმევია მიმართვა, მაგრამ აღწერილობით-ჩვენებითი ფორმა არის გამოყენებული, მაგ., VIII თავი: — „აქ არვის — დიდსა თუ პატარასა, — ქვეყნის ტყვილით არ სტკივა გული...“ XI თავი — „აგერ უფალი და მისი მონა...“, XV თავი — „აგერ დიდკაცი, დარბაისელი...“, XVI თავი — „აგერ ტფილისიც“, XVII თავი — „აგერა მცხეთაც“ და სხვ. პოემის XIII თავი — „შრომისა შვილო“, წარმოადგენს მშრომელის მიმართ მიძღვნილ რიტორულ ტირადას და, ამასთანავე ერთად, მიმართვის ფორმით. აქაა ტყვედ პყრობილი შრომის დახასიათება და აღტყინებული სურვილი ანუ წინასწარჭვრეტა კაცთა ცხოვრების შემტერხებელი ბორკილის მსხვერვისა და შრომის სუფევის ქეშმარიტებით გაძლიერებული დადგინებისა, როცა იგი სუფევა თანასწორად მოაქვნის ნიჭს და ახლა უკმ სიტყვებს — ძმობას, ერთობას, თავისუფლებას შინაარსი მიეცემა, განცხოველდებიან აზრით და სათნობასა და კაცთმოყვარეობას ეკლის გვირგვინს მოხსნიან. ამის შემდეგ პოეტი რიტორული მიმართვით მაშვრალს მიმართავს და უხბატავს კაცობის აღდგომის სურათს. XV თავში ი. ჰავაივამეს ჩვენებითი რიტორული ფიგურები ზედიზედ აქვს გამოყენებული „აგერ დიდკაცი“, „აგერ ვაჭარიც“, „აგერა მღვდელიც“, რომლებითაც დახასიათებულნი არიან მოქალაქეობრივი ფუნქციების შესრულებისაგან შორს მდგომნი. ამ რიტორული ჩვენებების შემდეგ პოეტი რიტორიკულ შეკითხვათა რიგს სთავაზობს მკითხველს, ოღონდ ეს შეკითხვები პასუხის გაცემას არ საჭიროებენ, რადგან ავტორი იქვე იძლევა შეკითხვათა პასუხს:

„სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
საყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ზაფეთგან არ მომდინარობს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
სად არის იგი მლაღადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ქეშმარიტება?
სად არის იგი ბიწის მღვწელი
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?“

პოემის XVIII თავი ხოტბაა სამშობლოსი, აქ საქართველო და მაცხოვარი ერთ დონეზე დაუყენებია პოეტს. საქართველო, „ქართლის სამკივდრო“, „ქვეყნის თვალად დაბადებული“ ჯვარცმული და წამებულია, იგი ეკლიან გზაზე მოარულია... პოეტი თვალს გადა-

ავლებს თავისი ქვეყნის წარსულს, გაითვალისწინებს მისი ეკლით მოსილ ისტორიულ გზას და ჰიპერბოლური რიტორული მიმართებით ამბობს აღფრთოვანებული:

„შენ ხარ, მარტო შენი.. მაგალითი სხვა არსად არის,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს...“

ხოლო პოემის XIX თავი, რომელშიც პოეტი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობას ეხება, თავისი დროის ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკას იმპერიაში შემავალი ზალხების ეროვნული გადაგვარების ტენდენციას — რიტორიკული მიმართებითა და დახასიათებით გამოხატავს. აქ იგი ეროვნული თვითმყოფობის გრანდიოზულ სურათს ხატავს:

„...შეგირყია დიდ ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი
შენმა მოძულემ და მოლაღემ უცხო მთავარმა.
სძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეყრა ხელთა,
სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...
ვერა, ვერ მართონ ეერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქეთ ერის სიუვარული და შეწყნარება,
ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი
მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩეარებრ

ჰქელვიდა,

ერის იმედის, სასოების, ნიჟოს მმუსერელი
თვით ერის ენას — მაგ ერის განძს — იგი სდევნიდა“.

განუკითხავ მმართველს სძაგდა ის ენა, რომელშიც ერის ღირსება და სულიერი ძალა მდგომარეობს, რაც ერის ნიჭის ამსახველი და გამომხატველი იყო, რაშიც ერის დიდება და პატიოსნება სუფევდა, რისთვისაც მამა-პაპათა გული და ხელი დაშვრა...
პოემის XXVI თავი რიტორიკული ვედრებაა, იგი მომდევნო აპოთეოზის დასაწყისია, ლოგიკური დამთავრებაა პოემისა, რომელშიც საქართველოს ბედი და უბედობა არის გამოხატული. ამ ნაწილს უკანასკნელი სტრიქონებიც მიმართავა, რომელშიც ი. ჭავჭავაძე ნ. ბართაშვილისეულ სინონიმს მიმართავს — „ჰოი, სახიერო ცისარტყელა განაელე ცასა...“

ლირიკული წიაღსვლა. „აჩრდილი“ პოემაა, მაგრამ არა ნორმატიული. იგი უგმირო და უსიუყეტოა, ღირიკული განწყობილებითა და პატრიოტული პათოსით შექმნილი. პოემის ღირიკული გმირი ავტორია,

დიდებული მოხუცის სახით გამოხატული. პოემის ამბავი საქართველოს ამბავია პიროვნებათა დაუსახლებლად. პოემის სიუჟეტი არის მსჯელობა საქართველოს წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე. მთელი ნაწარმოები ლირიკულია, ამიტომ ძნელდება ლირიკულ წიაღსვლათა გამოყოფა. ამ მხრივ საინტერესოა პოემის V თავი — „ჩვენო არაგვო“, რიტორიკული მიმართვა, რომელიც ავტორის მაღალ პატრიოტულ განწყობას გამოხატავს და ლირიკული წიაღსვლის ფუნქციას ასრულებს. აქ ავტორს უშუალო კავშირი აქვს დამყარებული სიყვარულის ობიექტთან — სამშობლოსთან, რომელსაც პირდაპირ და უშუალოდ მიმართავს მდინარე არაგვში განსახიერებულს.

გაპიროვნება. კავკასიონის დიდებული სახლს შექმნისას პოემის დასაწყისშივე მიმართავს ი. ჭავჭავაძე გაპიროვნებას, პირველივე სტრიქონები ამალღებული სურათების ხატვას ემსახურება: „აღმობრწყინდა მზე დიდებულადა“ და კავკასიონის მწვერვალებს ოქროს ნათელი გადააფინა. მზის ამოსვლა და მიდამოსათვის სხივების მიფენა ყოველდღიური მოვლენაა, მაგრამ ამ ყოველდღიური და პროზაული ანბის გადმოააცემად განსაკუთრებული სიტყვიერი კონტექსტით ამალღებული განწყობილება იქმნება: მზემ ოქროს ნათელი გადააფინა მთის მწვერვალებს, ამ დროს მათაა ზემოთ გამოიკვეთა მყინვარი, დაიდებული ცასა და ქვეყანას შუა, ზვიადი, დიდებული და დაღუმებული. პოეტმა ერთმანეთს დაუკავშირა ბუნების ორი ბრწყინვალე მოვლენა — დიდებულად ამოსვლა მზისა და ცასა და ქვეყანას შუა დაიდებული მყინვარი — მიწის საოცრება და ორივეს მიაკუთვნა სიცოცხლის, მოძრაობის თვისებები.

დილის მადლის ძალა პოეტმა დაუპირისპირა მყინვარის მძვინვარებას, ზარსა და რისხვას, ამ მადლს ყველაფერი დაემორჩილა. ქვეყანა დაღუმებული ყურს უკვდებს ცას და ცაც, უღრუბლო და მოკიაფე, ქვეყანას აცისკროვნებს. გაპიროვნების საშუალებით პოეტმა გრძნობით აღსავსე სამყარო წარმოადგინა.

პოემის IV თავში პოეტს თავისი ფიქრი და ზრუნვა აქვს გამოხატული მყინვარზე მდგომი დიდებული მოხუცებულის სახით. ეს არის იდეის გაპიროვნება, იდეის ამოქმედება და ამეტყველება, განყენებული აზრისათვის სიცოცხლის მიცემა. ამ განყენებულ აზრს, სამშობლოს იდეას, გაპიროვნებულს დიდებულ მოხუცში, „მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი, ყურადღებითა შორს გაჰყურებდა“. მის ფერხთა ქვეშ თერგი ჰყეფდა ბრისხანებით, რბოდა დაჭრილი ლომით, ბლაოდა, მიღრიალებდა, სქექდა და ჰქუხდა. მადლიანი დილის

ფონზე თერგის ბლავილი მიმზიდველ კონტრასტულ სურათსა ქმნის. განთიადის პროცესი ერთობ გაცოცხლებული, მოძრავი, ფიქრთა და აზრთა გამომთქმელ ბუნების ცოცხალ ანსამბლსა ქმნის.

თავისი თანამედროვე საქართველოს მდგომარეობისათვის პოეტს, აგრეთვე, გაპიროვნების ხერხი გამოუყენებია — სამშობლო მხარე საწყლად ქედმოდრეკილია და შეილთაგან დაგდებულ-მიტოვებული დაწყლულებულია. იგი, ობოლი, უცხო კალთას შეფარებია. ამ გაპიროვნებით პოეტმა ხაზი გაუსვა ზოგიერთ შეილთა უმადურობას, მოქალაქეობრივი შეგნების უქონლობას, საზოგადო საზრუნვათაგან განგებ თვალის არიდებას, დაახასიათა ისინი, ვისაც ყველას და ყველაფრის მიმართ შეგუების ინსტინქტი გაევითარებინა, ვინც საეროვნო საქმეს უგულვებელყოფდა.

XIV თავში პოეტი აღთქმული ქვეყნის სიკეთეს და მაშვრალის განკაცების იდეას გამოხატავს, ამასთანავე, მან განსაზღვრა XIX საუკუნის როლი კაცთმოყვარეობის დადგინების საქმეში:

„და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შეას იგი შრომის სუფევა...“

და შემდეგ:

„ეგ სიმღერა ვით ლოცვა ტკბილი..
მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი
შენის ლხენითა ვანიხარებენ,
შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილ სიმღერას ბანს გამოსცემენ“.

თანამედროვე ცხოვრების ერთფეროვნება და სასიცოცხლო უნარის მოღუენება პოეტმა გამოხატა სიტყვებით:

„აქ დღე ჰრბის დღესა, ვით გუშინ ჰრბოდა
ერთნაირად და უფერულადა...“

ხოლო ქართველოს სამკვიდროს დასახასიათებლად ი. ჭავჭავაძე საქართველოს ჭვარცმულთან აიგივებს და ამ ვითარებას ხაზგასმით გამოთქვამს:

„ქართველს სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზედა გადაუვლია..
ჭვარცმულს ღვთისათვის თვით ჭვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხეასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ითასთ წელთ ბრძოლა მდგარი
გამოველოს და სრულიად მტერად არ აღგვიდოყოს?“

მეტაფორა, გაპიროვნება, რიტორული მიმართვა ერთურთს ერ-
წყმის XXI თავში, სადაც ავტორი ფარნავაზის შემდეგდროინდელი
ქართლის — საქართველოს თავდაცვით ბრძოლებს ახასიათებს:

„მას აქეთია, ქართლო, შენს შეილსა
არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი...
შენზედ მოიქცა ძველის ქვეყნისა
გაუმადლარი და ხარბი თვალი,
მას აქეთია ოთხ-კუთხივ მტერნი
შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ...
იყო დრო, რას შენს ძახილზედ, ხმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა...“

ლონე და ძლიერება, ახოვანი ცხოვრება ახლა მტკრად ქმნილა, იგი
თავის დენაში შეყენებულა და ეს დრო:

„ოდესდაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ,
ბევრჯერ უსაგნოდ, ბევრჯერ აზრით აღლევებულა...
ქართლის ტკივილი ყოველთვის კი სჩნევია მას ზედ,
დენილა იგი ტანჯვით შორის და სიამეთა,
ხან დაცემულა და მიმქალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა, ერთურთ ლაღვა სთხრიდა კიდეთა,
რომელთ შორისაც ის ცხოვრება მძლავრი შიზილა...“

და შემდეგ მეტაფორა-გაპიროვნებით პოეტი ახასიათებს ცხოვრების
ძლიერ ზვირთთა აღქაფებას, სხვადასხვა ტოტებად დანაწილებას, სის-
ხლით მორწყულ წინაპართა შრომის ზვირთთაგან დანთქმას. ისევე
მეტაფორითა და გაპიროვნებით ი ქვეყანაზე გამოხატავს ნატვრას
ტოტებად დანაწილებული მდინარის შეერთების თაობაზე, როცა
ცად მიღწეული კავკასიის ტომნი ერთი ფიქრითა და აზრით განდი-
დდებიან და ქართველობა სიქადულად ექნება ქვეყნის წინაშე ყოველს
ქართველის შვილს.

XXV თავში ი. ქვეყანაზე კვლავ შედარებას მიმართავს ნისლში
შთაცვივდნენ მთანი და ველნი, ქარმა დაჰლმუვლა ხევ-ხუცსა, მთებსა,
ბუქი სვეტსავით აატრიალა, რისხვითა ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა,
ზვავმაც მაღლიდან დაიგრაილა... ბუნების მშვიდი ღუმილი ბნელ
ჯოჯონეთად იქცა, ერთმანეთში აირია წყალი, ცეცხლი, მეხი, ქუხილი...
ამ კატაკლიზმური სურათის შემდეგ შედარების მეორე მხარეს პოეტი
ასეთი გაპიროვნებით გამოხატავს:

„ძირე ხანს შენდევ გადიწობდა ცა,
გამოლომა ნათლად მთამაცა
და მზისა სხივით გაბრწყინებული
ეკლავ დავინახე მოხუცებული.
ცისკენ აღეპყრნა თრთოლითა ხელნი
და მოედრიება მუხლნი ძლიერნი...
თურმე მოხუცი ის ქლოცულობდა...“

ალსანიშნავია ი. ჭავჭავაძის ალტრუიზმი, რაც მას ნაჩვენები აქვს ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისშივე. იგი გამოჩნდა „ახრდილოშიც“. ი. ჭავჭავაძე ვერ ურიგდებოდა ერთი ხალხისაგან მეორის დაპყრობას. რასაკვირველია, პოეტს პირველ რიგში თავისი სამშობლოს მდგომარეობა ჰქონდა წარმოდგენილი. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრისაგან საქართველოს შემოსვლის მაგალითზე ი. ჭავჭავაძე ახასიათებდა ძველსა და ახალ დამპყრობლებს, რომლებიც არყევდნენ დაპყრობილი ერის სამკვიდრო ბჭეს. დამპყრობელს სძულდა დაპყრობილი და ცდილობდა მის თვისებათა წაშლას, უპირველეს ყოვლისა, ერის უპირველეს თვისებას — ენას ეტანებოდა მის დასათრგუნავად, რის უამრავი მაგალითიც ი. ჭავჭავაძეს თავის ქვეყანაში ჰქონდა.

ეროვნებანი მას მიაჩნდა ერთ ძირზე ამოსულ ტოტებად, განსაკუთრებით კი, როცა იგი კავკასიაზე მსჯელობდა. როდის იქნებაო, ამბობდა იგი, რომ მძლავრი კავკასიის ტომები. ერთი აზრით, ერთი ფიქრით და იდეით გაერთიანდებიან. როცა ეს მოხდება, მაშინ თავისუფლება მშვენიერ სხივთა ელვარებით დაადნობდა მონობის ბორკილს. ასევე მსჯელობდა ი. ჭავჭავაძის „ქართველის დედის“ პერსონაჟი — დედა, დასნეულებული და დასუსტებული, ოღონდ ხალხის გათავისუფლების ბრძოლით ძალმოცემული იგი მამულის, სამშობლოს გაცოცხლების იმედით სუნთქავდა, ალტაცებული იყო ხალხის გამოფხიზლებით. „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს“ — და ეს ფიქრია მთელი კავკასიის გათავისუფლება.

ალტრუისტულია ი. ჭავჭავაძის გრძნობა, მას თავისი ხალხის თავისუფლება სწყურია, ამასთან სხვა ხალხთაგან თავისუფლების მოპოვებაც ასიცოცხლებს. ამ ალტრუისტულმა გრძნობამ დააწერინა მას პატარა ლექსი: „მესმის, მესმის“. ამავე გრძნობის შედეგია 1871 წლის 29 მაისს დაწერილი ლექსი „1871 წელი 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“. პარიზის კომუნის დაცემა ი. ჭავჭავაძემ ისტორიის შეფერხე-

ბად აღიქვა, რადგან მტარვალთ გაიმაჩვენეს და დაბლა დასცეს ტვირთ-
მძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი დროშა ის ერი — ფრანგები, საო-
ცარნი თავისი რევოლუციური აღტყინებით, — ის საოცარი ერი
კვლავ ეწაბა მოყვასთათვის და კვლავ წამების გვირგვინი დაიდგა
თავს. პარიზის კომუნის დამარცხების ფაქტში ი. ჭავჭავაძემ დაინახა
ქვეყნისათვის დაღვრილი სისხლი.

საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებათა ჩვენების სურვილი
ი. ჭავჭავაძემ მკაფიოდ გამოხატა „აჩრდილში“. ამავე მიზანს ემსა-
ხურება მისი პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები —
„ორიოდე სიტყვა...“ და „პასუხი“, ამავე საკითხის გადაწყვეტას ემსა-
ხურებოდნენ მისი სხვა თხზულებებიც, რომელთაც იგი პეტერბურგ-
ში ქმნიდა. პირველ რიგში უნდა ითქვას დრამატიულ პოემებზე „ქარ-
თვლის დედა“ ეს არის თავისუფლების, ეროვნული გათავისუფ-
ლების სიმღერა, ჰიმნი, რომელსაც ავტორმა დაარქვა „სცენა მომავა-
ლის ცხოვრებიდან“. ავტორმა იგი მიუძღვნა ჭაბუკობისა და ახალ-
გაზრდობის მეგობარს პეტრე ნაკაშიძეს. მიძღვნაში ი. ჭავჭავაძე წერ-
და: აქ აღწერილი ამბავი არისო ერთი სურათი, ერთი სახე, ამოღე-
ბული ჩვენი სამშობლოს მომავალი ცხოვრებიდან, რომელზედაც ჩვენ
უცხოეთში გვიოცნებია და დღესაც, როგორც მტკიცე რჩული და
რწმენა, გულში გვიღვივისო.

„მყობადს აეხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე, — მომრევე მე სითამაჟე...
ეს არს ნაყოფი აწმოსაგან შობილ დარდისა...“

ეს დარდი ფიქრია მომავალზე, ქართველი ერის ხვალისდელ დღეზე.
ნაწარმოებში ი. ჭავჭავაძემ შექმნა სახე ქართველი დედისა, დაფიქ-
რებული სამშობლოსა და პირად ბედზე. სამშობლო თუ საკუთარი სი-
ცოცხლე! ვის ეკუთვნის მისი ერთად-ერთი ვაჟკაცი კიაზო, დედასა
თუ სამშობლოს! რა არის დანიშნულება და მიზანი დედისა, დასნეუ-
ლებული, სიკვდილის პირზე მიმდგარი ქართველი ქალისა, რომელსაც
ერთი შვილი გაუზრდია იმედად მოხუცებულობისა! ქართველმა
დედამ იცის და შეგნებული აქვს, რომ დიდი რამეა ხალხისათვის თა-
ვისუფლება — შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, — ამბობს ქართველი
ქალი და დედა თავისუფლებაზე, — შენ ხარ ჩაგრულის, წვალებუ-
ლის წმინდა საფარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა... თავისუფლე-
ბა მშვიდობის ღვთაებაა, მაგრამ მის მისაღწევად ზღვა სისხლი იქცევა.

o- ჰავჭავაძემ დახატა სრულქმნილი ადამიანის სახე და ხასიათი, იგია დედა და მოქალაქე. მან ერთადერთი საყრდენი თავისი მოხუცებულობისა, დედის ერთა ბრძოლად გაგზავნა. იგი დედაა, რომლისთვისაც გაყრა ერთადერთ შვილთან სიკვდილის მომასწავებელია. ნაწარმოებში მთავრდება დედის მოკლე მონოლოგით, რომელიც გამოხატავს სრულყოფილ და სრულქმნილი ქართველი დედის მონუმენტურ სახე-ხასიათს, დედას საქართველოსი, დედას ერთი შვილისა. „არა ყოფილა ძნელი სიკვდილი, — ამბობს დედა, — როცა შენ შენი აღასრულე...“ წინადადებას სიკვდილი აღარ ამთავრებინებს, მხოლოდ ორი სიტყვადა თქვა სულის ამოსვლისას დედამ: „მამული... შვილი...“

სიცოცხლის სამშობლოსათვის მსხვერპლად მიტანის თემა ი. ჰავჭავაძემ ცოტა გვიან დაამუშავა პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1878 წ.).

დიმიტრი თავდადებული ისტორიული პიროვნებაა და პოემაში აღწერილი ამბავიც ნამდვილია. ი. ჰავჭავაძეს დიმიტრის სახე აინტერესებს არა როგორც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტის ანარეკლი, არამედ როგორც მისაბაძი ნიმუში და სახე თავისი თანამედროვეობისათვის. სამშობლოს ხსნას უნდა რადიკალური ნაბიჯის გადადგმა და მსხვერპლი. უამისოდ საქვეყნო საშვილიშვილო საქმე არ გაკეთდება. ამასთან ერთად ი. ჰავჭავაძემ მეფე დიმიტრის თავგადასავლის აღწერაში გამოხატა ერის მთლიანობის იდეა — სამშობლოს მსხვერპლად ეწირება არა მხოლოდ მეფე, უბრალო ადამიანიც მზად არის გაიღოს დიდი მსხვერპლი ქვეყნისა და ერის გადასარჩენად. პოემაში ი. ჰავჭავაძემ დიმიტრი თავდადებულთან ერთად უკვდავი სახე შექმნა ერთი უსახელო და უბრალო ქართველი ადამიანისა, მოხუცი კაცისა, რომელმაც მეფეს თავისი ორი ვაჟკაცი წარუდგინა და სთხოვა — მე, დავრდომილს შენი და ქვეყნის სამსახური აღარ შემიძლია და ესენი იმსახურეო.

„მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით“ — დაიწყო ბრმა მეფანტურემ, როცა მას, უქმე დღეს, საყდრის წინ მოგროვილ დამაშვრალთა და ტვირთმძიმეთა წარმომადგენელმა მიმართა — გვიამბე რამე გულის ჟანგის მოსაშორებლადო. ბრმა მეფანტურემ დიმიტრი თავდადებულის თავგადასავალი შესთავაზა მსმენელთა და საქართველოს შავბნელი ისტორიის — მონღოლთა შემოსევის დროის ერთი ტრაგიკული ეპიზოდი მოუთხრო — როგორ გადაწყვიტა მეფე დიმიტრიმ თამარ მეფის შვილისშვილისშვილმა თავი დასდოს სამეფოსათვის, თავი

გამეტოს და ხალხი იხსნა ამოწყვეტისაგან. ი. ჭავჭავაძემ ეს სასიქადულო ამბავი სასიქადულო ისტორიული პიროვნებისა, ხალხის წარმომადგენელს, ბრმა მეფანტურეს ათქმევინა და ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ სამშობლოს ტყვილი და ქვეყნის გადარჩენის სურვილი სწორედ ხალხში ინახება, ხალხში ტრიალებს და ხალხს ამოქმედებს.

მწერალმა თავისი მხატვრული შემოქმედება თავიდანვე ხალხის სამსახურში ჩააყენა. მან გამოთქვა ხომ მოსაზრება, რომ ხელოვნება, ლიტერატურა უნდა ჩაღრმავებულიყო ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების სიღრმეში, არ უნდა შემკრთალიყო ლაფით და ლექით, რაც ხალხის ცხოვრებაშია დაგროვებული. ხელოვნებამ ავიც უნდა აჩვენოს ადამიანს და კარგიცო.

ჯერ კიდევ პეტერბურგში იყო ი. ჭავჭავაძე, როცა შეუდგა ყაჩაღის თავგადასავლის აღწერას. ნაწარმოების დასაწყისში ალაზნის ველია აღწერილი, როცა სამშობლოს მწუხრის ზეწარი, — ეს მოხდენილი მეტაფორა ღამისა, — გადაეფარა და როცა მუდამ მკმუნავი ღამის გუშაგი ცაზე მეფურად დადის და თან ყინულოვან მწვერვალებს ესაუბრება. შორნი მნათობნი მწუხრის ღამეში მღუპარ ქვეყანას სხივებს ესვრიან, მშვენიერ ველს სძინავს და მხოლოდ ნიავე ღამ ზღანდარობს ფოთლებთან. შეუპოვარი ალაზანი რაღაცას ბუტბუტებს და დაფიქრებული მთა ყურს უგდებს მის ჩქაფუნს. რამდენიმე კალმის მოსმით შექმნილი ეს ღამის ბრწყინვალე პეიზაჟი გარკვეულ განწყობილებას უქმნის მკითხველს. მწუხრის ზეწარი გადაჰფარები ილაზნის ველს, საერთოდ ხალხის ცხოვრებას, მთელს ქვეყანას, დაღლილს არა მხოლოდ შრომით, არამედ იმ უაღამიანო დამოკიდებულებით, რის სურათიც უნდა დახატოს მწერალმა. მკითხველის ყურადღება მწერალს ზოგადი წუხილიდან ერთი პიროვნების წუხილზე გადააქვს. ღამის სიჩუმეში ურემი მიჭრიალებს და მეურმე ნაღვლიან სიმღერას ღუღუნებს. მწუხარების სურათი უფრო დააკონკრეტა მწერალმა და გრძნობა მორეულმა, რომ ამისთანა სიმღერა მასაც მოუსმენია, რომ ამისთანა სიმღერაში თვით ხალხის გონება, გრძნობა, სული და გული ჩანს, შეაჩერა თბრობა და ლირიკული წიაღსვლა შემოგვთავაზა თავის შთაბეჭდილებათა გადმოსაცემად:

„ღუღუნნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის ვით გლოვის ზარი.
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს.
უკუ-პურის კიდევ ვით ღრუბელს ქარი.“

ა. ჰავეკვაძე ცხოვრებიდან გარიყულ ორ ახალგაზრდა გლეხს წარმოგვიდგენს პოემაში — კაკოს და ზაქროს. კაკო ყაჩაღია, მისი სახელი, არსენა ყაჩაღის სახელის ძსგავსად, შორს გავარდნილა. არსენა ხომ „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“, — საყვარელი გმირია დიხაგრული და უფლებააყრილი გლეხკაცობისა. კაკო ტყეშია გავარდნილი, სადაც უღამდება, იქ უთენდება, ძნელია და აუტანელი იმისი ყოფა, მაგრამ „იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენა ვართ ჩვენი ბატონი!“-ო ამბობს იგი.

ამ აზრს, რომ დიდი გასაჭირი ადვილი ასატანია, თუ ჩვენი თავი ჩვენ გვახლავს, ჩვენი თავის პატრონნი ჩვენვე ვართ, ი. ჰავეკვაძე ნ. ბარათაშვილის პოემაშიც ამოიკითხავდა, სადაც ადამიანები სხვა ვითარებაში გამოთქვამენ ამგვარ აზრს. ი. ჰავეკვაძე ამას სხვაგანაც გამოათქმევინებს თავის ერთ პერსონაჟს, კერძოდ „მგზავრის წერილებში“, სადაც მოხვეუ ლელთ ღუნია იტყვის — ადამიანს, ერს თავისუფლება უნდა ჰქონდესო!

ყაჩაღად გასულ კაკოსთან ვინმე მხედარი მივიდა და ძმობა შეჰფიცა. ეს მხედარია ზაქრო, უსამართლობას რომ გამოექცა ისევე, როგორც კაკო. შეხვედრისასა მათ ერთმანეთი თვალით ასწონ-გაზომეს და ერთ-ერთი მოეწონათ. კაკომ ზაქროს გაუზიარა „თავისუფლება“ ტყეში და სთხოვა ეამბნა თავგადასავალი. ზაქრომაც უამბო. უამბო ჩვეულებრივი თავგადასავალი ყოველი გლეხისა, ბატონ-ყმობის პირობებში რომ არის მოქცეული, უამბო ამბავი ყმის, რომელიც ბატონის ხელში იმყოფება, როცა ყმას ყოველგვარი უფლება აყრილი აქვს, პირუტყვ ღაბასავით რომ არის შებმული მძიმე უღელში, როცა მას საკუთარი არაფერი არ გააჩნია, გარდა ძალ-ღონისა, რაც ბატონს უნდა მოახმაროს.

ბატონყმობა იყო სახალხო უბედურება, ყოველგვარი ბოროტების წყარო, ყველაზე დიდი სასჯელი ხალხისათვის, რაც კი ადამიანს მოუგონებია. ბატონყმობა იყო უთანაბრო ურთიერთობა ფეოდალებსა და გლეხებს შორის, როცა გლეხი მიწაზე იყო მიმდგრებული, აკრძალული ჰქონდა თვითნებურად წასვლა ან იმ მიწის სხვისათვის გადაცემა, რომელზეც იყო მიმდგრებული. მიწის მეპატრონეს მინიჭებული ჰქონდა შეუზღუდველი უფლება გლეხზე, მის ოჯახზე, მის პიროვნებაზე, ქონებაზე; გლეხებს ყიდდნენ მიწით, უმიწოდ, გაქცეულებს ძალდატანებით უკან აბრუნებდნენ. გლეხი ვალდებული იყო მორჩილი ყოფილიყო ბატონისა. ამისთანა ვითარებამ ათქმევინა ზაქროს თავისი ბატონის მიმართ: „თავადის შვილი (ანუ ბატონი) კარგი რა არის, ავი

რა იყოს!“ ასეთი ავი ბატონის ხელში იყო ზაქროს მამის ოჯახი. „ზაქრომ კაკოს უამბო თავისი თავგადასავალი ანუ მიზეზი, რატომ მივიდა ტყეში კაკოსთან. ავმა ბატონმა ზაქროს მამა თავის ყმებს აცემინა იმისათვის, რომ მოხუცმა მამამ ბატონს სთხოვა სახლში დაებრუნებინა მის კარზე წაყვანილი ზაქრო, რათა ოჯახს მარჩენალი ჰყოლოდა. თავმოყურე გლეხმა ბატონს სიტყვა და ხელი შეუბრუნა... ზაქრომ მოკლა თავისი მამის მკვლელი, გულქვა ბატონი და ყაჩაღად გავარდა. ასე მივიდა იგი კაკოსთან ტყეში და მისი ბედი გაიზიარა, უამბო მას თავისი მწარე, „ჯოჯოხეთურად მოსაგონებელი“ თავგადასავალი.


ამბის მოყოლის შემდეგ ზაქრო:

„პირქვე დაეცა დაღუმებული;
დიდ ხანსა ეგლო ეგრე მღუპარედ,
გულში ვაების ცეცხლმოდებული.
ამ საწყალს შეიღზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა...
ამ ორს გულში რაც ბაღამი ღულდა,
წარმოიდგინოს თითონ მკითხველმა“,

დაამთავრა ი. ჭავჭავაძემ ქართველი გლეხობის ვაებით აღსავსე ცხოვრების აღწერა.

ი. ჭავჭავაძემ ამხილა უაღამიანო წესი, მან თავისი მხატვრული შემოქმედებით, სიტყვის ხელოვნებით სიმართლე თქვა, ხალხის ცხოვრების ფსკერიდან ლაფი და ლექი ამოიღო და მკითხველს დაანახა. ერთი ამბის მეშვეობით მწერალმა ზოგადი ვითარება აღწერა, გამოამჟღურა, პირმოუფერებლად სიმართლე დაწერა. ასე ამსახურა ი. ჭავჭავაძემ მხატვრული ლიტერატურა ხალხის ცხოვრების უარყოფითი მხარეების გამომჟღავნება-ჩვენებას.

ასე მოიქცა ი. ჭავჭავაძე მოთხრობებში „გლახის ნაამბობი“, „კაცია აღამიანი?!“. არც იქ დაინდო უაღამიანო დამოკიდებულება მშრომელთა მიმართ, მწვავე სატირით გამოხატა მან ლუარსაბ თათქარიძე, გაუნათლებელი, კაცობადაკარგული ბატონი, ყმებისა და მამულის პატრონი, მაგრამ ზარმაცი, უაზრობისა და სისულელის მიჯნამდე მისული, მოკლებული ყოველგვარ კაცურ დანიშნულებას და აზრს. ბატონის უფლებამ მიიყვანა თავადი დათიკო („გლახის ნაამბობი“) თავისი სიყრმის მეგობრისა და თანაშეზრდილის გაბრიელის პიროვნებისა და გრძნობის გაქელვამდე, ბატონის შეუზღუდველმა უფლე-



ილია
ჭავჭავაძის

მიხედვით

ტომი I

1914

ტფილისი

მისიელ გეგეანიშვილის გამოცემა

ილია ჭავჭავაძის თხზულებების მ. გეგეანიშვილისეული გამოცემის სატიტულო გვერდი.

ბამ დააკარგვინა მას წესიერი, ადამიანური განსჯის უნარი და იგი გადაიქცა თავნება, უნებისყოფო ეგოისტად, რისთვისაც მას წესა-
ევირი სამაგიერო მიუზღო ყმა-გლეხმა გაბრიელმა.

ჩოდესაც არ უნდა იყოს დაწერილი ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წე-
რილები“, იგი თავისი ხასიათითა და აზრით აუცილებლად დგას მწერ-
ლისაგან აღრე დაწერილ თხზულებათა წყებაში. ეს ადგილი ამ ნა-
წარმოებს უჭირავს თავისი პრობლემატიკით, მასში დაყენებული სა-
კითხვებით და იმ ნაბიჯების აღწერით, რაც უნივერსიტეტ-დამთავრე-
ბულმა ი. ჭავჭავაძემ გადადგა ოთხი წლის შემდეგ რუსეთიდან სამ-
შობლოში დაბრუნებულმა. მართლაც ეს ნაწარმოები ცოტა გვიან,
70-იან წლებში დაიბეჭდა, მაგრამ თავისი პათოსით იგი ეკუთვნის
„თერგდალეულ“ ი. ჭავჭავაძეს, სამშობლოსაკენ გამომგზავრებულ,
უმაღლეს სწავლა-მიღებულ ახალგაზრდას, რომელიც ახალი
მსოფლომხედველობით არის აღჭურვილი ღა ემზადება თავისი სანუ-
კვარ ქვეყანასთან შესახვედრად.

„მგზავრის წერილებს“ აქვს ქვესათაური „ვლადიკავკასილამ ტფი-
ლისამდე“ და ეხება იმ მომენტს, როცა პეტერბურგიდან დაბრუნე-
ბულმა ი. ჭავჭავაძემ ჩრდილოეთ კავკასიის ამ ქალაქამდე ჩამოაღწია
და ახლა უნდა საქართველოს საზღვრებში შემოვიდეს (დღეს ამ ქა-
ლაქს ორჯონიკიძე ჰქვია, ადგილობრივი მცხოვრებლები მას ძაუგს
უწოდებენ. ამ სახელითაა ეს ქალაქი ნახსენები ალექსანდრე ყაზბე-
გის თხზულებებში). ერთი შეხედვით ეს ნაწარმოები თითქოს მგზავ-
რის შთაბეჭდილებაა ნანახსა და გაგონილზე, აი ისეთი, როგორიც
XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბევრი იწერებოდა რუს თუ უცხო-
ელ მოგზაურთაგან, რომელთაც თერგისა და არაგვის გზით ჩვენს
ქვეყანაში შემოულწევიათ. არა! ეს არის ი. ჭავჭავაძის სამოქმედო
და სამოღვაწეო გეგმის მხატვრული გამოსახვა, რომელშიც მან გა-
მოთქვა თავისი და თავისი თანატოლების გრძნობა და სიყვარული
სამშობლოს მიმართ, გამოთქვა შზადყოფნის სურვილი სამშობლოს
სამსახურისა, გამოხატა თავისი შეხედულებანი ხელოვნების დანიშ-
ნულების თაობაზე, გვაჩვენა განწყობილება იმ მოქალაქისა, რომელ-
საც ღრმად შეუგნია თავისი ხალხის, ქვეყნისა და ერის რაობა-მდგო-
მარეობა და მისი დახმარებისათვის გადაუდვია თავი. ყველაფერი
ამის გამოხატვა მხატვრულ ნაწარმოებში მოითხოვდა დიდ გამბედა-
ობას და მოქალაქეობრივი ძალ-ღონის დაძაბვას. სწორედ ამის გამო
ი. ჭავჭავაძის ეს ნაწარმოები ავტორისათვის სასურველი სისრულით
ვერ გამოქვეყნდა მაშინდელი ცენზურის გამო.

ი. ჭავჭავაძემ ამ ნაწარმოებით დაგმო ჩამორჩენილობა, უკულტურობა, სიზნანტე, არა მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათა, არამედ მთელი მაშინდელი ყოფისა, მმართველობის წესისა. მან მძაფრად გაილაშქრა უმოდრაობის წინააღმდეგ და ერთადერთ ხსნად აღიარა მოძრაობა, განვითარება და რევოლუციური გარდაქმნა.

ი. ჭავჭავაძემ ამ ნაწარმოებში გამოიყენა თავისი მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელი ხერხი დაპირისპირებისა. მან აქ ერთმანეთს დაუპირისპირა ადამიანები, ბუნების მოვლენანი, საზოგადოებრივი შეგნება და მკითხველს საშუალება მისცა თვით გარკვეულიყო ამქვეყნიური ცხოვრების ავ-კარგში. მან აჩვენა ღრსი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდგომისა და ცხოვრების ორომტრიალში აქტიური მონაწილეობის მიღების აუცილებლობისა. ი. ჭავჭავაძე განმსკვალულია საზოგადოებრივი ინტერესებით და თავისი მკითხველის შეგნებასაც მიმართავს.

ავტორი ნაწარმოების დასაწყისშივე აყენებს მოსაზრებას: რას გამოხატავს, როგორ და რას აჩვენებს ხელოვნება? „რუსი მხატვრების სურათებზე ლამაზად არის გამოყვანილი“ მეეტლე, რომელიც დილით ადრე გამოცხადდა იმ სასტუმროსთან, რომელშიც გაჩერებული იყო ავტორი სამშობლოში გამომგზავრებისას. პირდაუბანელი, თმადაუვარცხნელი, სქელ-კისერა, ოყრაყული სანახაობისა, მიღუნ-მოდუნებული ზღაზვნით, უადამიანო და პირუტყველი მიხერა-მოხვრით... ეს არის სინამდვილე. „საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი“ აი ის მეეტლე. რა არის საერთო სინამდვილესა და მხატვრობის შორის? სრულიად არაფერი! სინამდვილე თავისთვისაა, ხოლო მხატვრობა ეყრდნობა არა სინამდვილეს, არამედ შემოქმედის თავისუფალ ფანტაზიას. ხელოვნება არ უკავშირდება სინამდვილეს. „რამდენადაც სურათია (ე. ი. ხელოვნება-ს. ხ.) კარგი, ორი იმდენად საძაგელია ნამდვილი (ე. ი. სინამდვილე, ცხოვრება-ს. ხ.). ცხადია, ამგვარი ყალბი ხელოვნებით ხელმძღვანელობა ცხოვრების შესწავლის საქმეში მხოლოდ ყალბი იქნება.

ვლადიკავკასთან გაეკეხებული და გამინდვრებული თერგი უხმაუროდ და მიმკვდარი მიედინება. თუ გრიგოლ ორბელიანს ამ თერგს ათქმევინა: „თერგი რბის, თერგი ღრიალებს. კლდენი ბანს ეუბნებიან“, აქ, ვაკეზე, იგი ასეთი აღარაა! ი. ჭავჭავაძე მშვენიერ შედარებას მიმართავს: თერგი აქ ჭავს გაროზგილ ადამიანს, ან იმ კაცს, რომელსაც დიდი ხარისხი მიუღია და თავის გარშემო ველარაფის და ვერაფერს ამჩნევს. არ ვარგა, როცა ადამიანი იჭაურ ქუდს იხურავს, სა-

დაც მივა, ე. ი. როცა ადამიანი ფლიდობს, იცვლება იმის მიხედვით, თუ სად როგორ მოუხდება პირადად მას. თერგი იქ არის შთამბეჭდავი, სადაც მას ქუხილიანი ბრძოლა უხდება ქვა-კლდე-ღრესთან, თითქოს დიდი სურვილ-წადილი ვიწრო სადინარში ვერ მოუთავსებიაო.

ლარსის სადგურში დასვენებისას ავტორი მსჯელობს რუსეთში გატარებული ოთხი წლის შესახებ, აფასებს, განსჯის ამ წლებს. ეს ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, მაშინ ჩნდება ქაბუჯი ადამიანის შეგნებაში და მუშავდება გეგმა სამოღვაწეო გზისა და მასთან დაკავშირებულ სიძნელეთა დაძლევის საშუალებათა ძიებისა. ძვირფასია ოთხი წელიწადი გონების სსიკეთოდ და გასავითარებლად გამოყენებული. ამ ოთხი წლის განმავლობაში ქაბუჯის გონებაში ის კვირტი უნდა გამოიკვანძოს, რომლიდანაც ძალსურძენაც შეიძლება გამოვიდეს და მშვენიერი მტევანიც. იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ გამოიყენებს და წარძართავს გაღვიძებული გონების ძალას.

ლარსის სადგურში, როცა ჭერ კიდევ არ შემოსულა სამშობლოს საზღვრებში, იგი მსჯელობს ყველაზე მთავარ საკითხზე: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... რას ვეტყვი ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე...“ ქვეყანას ესაჭიროება თავისი შვილისაგან ღვიძლი სიტყვა, გულისტივილის გაგება, დავრღომილისათვის ხელის გწვდენა, უნუგეშოსათვის ნუგეშის მიცემა, მტირალისათვის ცრემლის შესრობა, მშრომელისათვის შრომის შემსუბუქება.

მეზავრს გონებაში მრავალი საკითხი აღძვრის და მრავალს უნდა გაეცეს პასუხი არა სიტყვით, არამედ საქმით. იგი დარწმუნებულია, რომ მშობელი ქვეყანა მას გაუგებს, რადგან დედას შვილისა ყველაფერი ესმის...

ი. ჰავჭავაძე ნატურიდან გადაღებულ სურათს ხატავს ცხრა მთას იქიდან მოსული უფროსისა, ჩლუნგი და ბლაგვი ჰკუა-გონების ოცეულს მეთაურისა, ვინმე პოდპორუჩიკისა, ხელისუფლების წარმომადგენლისა. მისი ხასიათის შემოტანით ნაწარმოებში ი. ჰავჭავაძე ააშკარავებს მაშინდელ ადმინისტრაციას, ნილაბსა ხდის მოჩვენებით ადამიანობას, მოჩვენებით განსწავლულობას. ნამდვილად იგი ყურმოკრული. ამბებით განმსჯელია, უვიცი, თავხედი და არაფრის მცოდნეა. აი, ვინ არის უფროსი, აი, ვისა აქვს მინიჭებული უფლება, აი, შინაარსი სახელმწიფოებრივი სისტემისა!

ნაწარმოების IV, V და VI თავები ი. ჰავჭავაძემ კვლავ მსჯელობასა და ფიქრს დაუთმო. აქაც, დაპირისპირების ხერხის გამოყენებით, მწერალი განყენებული სილამაზისა და ხელშესახები მოძრაობის

შედარებას მიიმართავს. ბრწყინვალე სურათია დახატული მყინვარის სიდიადისა. მყინვარი სიმბოლოა მიუწვდომელი, გამოუყენებელი სილამაზისა. იგი საოცრებაა, დიდებულია, მაგრამ უმოძრაოა. ცისკენ წასული თავის სიდიადეში შეჩერებულა მძლავრი, მაღალი, მიუკარებელი, აუმღვრეველი, თეთრი და ცივი. მისი სიძაღლეს ნიშნადაც ერთადერთი ვარსკვლავია, თავზე რომ დანათის მყინვარს.

მყინვარი დიდებულია და საკვირველი, მაგრამ მისი შეყვარება არ შეიძლება, დიდებულია, მაგრამ მის სიმაღლეს ქვეყნის ხმაური ვერ სწვდება, მიწიერი ცხოვრების ქარიშხალი და ავ-კარგი მის მაღალ შუბლზე ერთ ძარღვს არ შეაჩხვებს, იგი განზე გასდგომია ქვეყნის მოთხოვნილებებს და ტკივილებს, თავი ცისათვის მიუბჯენია. „აბა, რად მინდა მისი დიდება?... არ მიყვარს არც მაგისთანა მოუკარებლობა... რად მინდა მისი სიმაღლე, თუ იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება“. და მგზავრი დაასკვნის: „არა, არ მიყვარს მყინვარი...“

თერგი! აი ნიშანი მოძრაობისა, ბრძოლისა, დრტინვისა, ვაი-ვაგ-ლახისა, გაღვიძებული ადამიანის ცხოვრებისა, ამაღლევებელი და ღირსსაცნობი სახე, მთელი ქვეყნის ნაცარ-ტუტის ამსახველი, მღვრიე, შავი კლდის გულიდან გადმომსკლარი, ზარიანი, გამალებული, მჩქეფარე მდინარე, „მოდის და მობლავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა“ და, დასასრულს, შესანიშნავი დასკვნა: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

ი. ჭავჭავაძე ვერ ფარავს თავის აღტაცებას თერგის დინებისაგან გამოწვეულს, მან განიცადა ის დიადი წუთი თავისი არსებობისა, როცა იგი და ბუნება ერთურთს აზრებს ავებინებენ.

ლამემ თავის კალთა გადააფარა მიდამოს, მაგრამ თერგის ხმა არ წყდება და მგზავრი საკუთარ აზრებსა და თერგის ხივილს შორის კავშირს აბამს, იღუმალნი კავშირით უკავშირდება თერგის ხმაურს. ბუნების დაუღდეგარ შეილთან თანხმობა აღმოაჩინა და. თერგის ჩივილში თავისი გულისთქმა ამოიკნო. ამ თანხმობამ მას გული შეუთამაშა და მკლავი აუთრთოლა სამოქმედოდ, სამოძრაოდ, ქვეყნის სასიკეთოდ. „დროს დავაცადოთო“ — უპასუხა თავის თავს ღამის სიბნელეში თერგის ხმაურთან მარტოდ დარჩენილმა მგზავრმა.

ი. ჭავჭავაძე კიდევ ერთ მშვენიერ შედარებას გვთავაზობს — დღისა და ღამისა. ღამე ადამიანის ფეხის ხმა აღარ ისმის, აღარ ხმაურობს მისი ზრუნვა და წადილი. ეს სავსე ქვეყანა ღამით, უადამიანოდ, ცარიელია, ამიტომაცო „წარიღეთ ეს მშვიდობიანი ღამე

თავისი ძილითა და სიზმრებით და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვითა და წვალებით, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით“... „ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ“.

VI და VII თავები ამ თხზულებისა მოხევესთან საუბარს შეიცავს. ის, რაც ი. ჭავჭავაძემ ლელთ ღუნისას ათქმევინა, რასაკვირველია, თვით მწერლის აზრია. ამ აზრს გამოთქვამს მოხევე, ქართველი ადამიანი, შრომელი, ერის წარმომადგენელი. მოხევე ბრძენია, ღრმა აზრიანი, რადგან ხალხში აქვს საფუძველი და დასაყრდენი, იგი გონიერია, რადგან მხოლოდ საკუთარს კი არა, საერთო შეხედულებას გამოხატავს. უბრალო შრომელმა ადამიანმა იცის თავისი ქვეყნისა და ხალხის წარსული. ლელთ ღუნია იმ პოდპორუჩიკის ანტიპოდი, რომელიც თავისი ქვეყნის ხსნას ბუზებით ვაჭრობაში ხედავს, თავისი სამშობლოსათვის „ზრუნავს“ და ქურდობის წამალსაც ეძებს. იგი ხალხის კულტურა-ცივილიზაციას გენერლების ჩაოდენობით ზომავს. ლელთ ღუნისას ხალხის და ქვეყნის მდგომარეობა აწუხებს და მგზავრთან ბაასში გამოთქვამს კიდევც თავის შეხედულებას: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნენ, მით იყვის უკედ“.

ეს არის მთავარი ლელთ ღუნისათვის. მას ხალხის თავისუფლების დაკარგვა მიაჩნია ყოველგვარი ბოროტებისა და მანკიერების გავრცელების სათავედ.

მგზავრი დასძენს: „მივიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეთი“... ლელთ ღუნისას ნათქვამმა ტვინიდან გულამდის გაუარა მგზავრს, გულში გაითხარა სამარე და დიდი ტკივილი დაუტოვა მას. „როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი“.

შექმნილმა მდგომარეობამ პიროვნებაზეც იმოქმედა და საზოგადოებაზეც. „აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის“. ეს ვრცელდება როგორც მთაზე, ისე ბარზე. საზოგადოების მთლიანობა გაბზარულია. ბზარი სულ იზრდება, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა წყდება, მოქალაქეობრივი ინტერესები ირღვევა, ეგოისტური სურვილები იჭერენ საზოგადოებრივი საქმიანობის ადგილს. კაცი აღარ კაცობს, ქალი აღარ ქალობს, ადამიანი ადამიანისათვის მგლად იქცა, მორიდება, პატივისცემა, კაცთმოყვარეობა კლებულობს, თუ ასე გაგრძელდა, მტრობა და უპატიოსნება დაისადგურებს ამ ქვეყნად, აღარ იქნება განკითხვა, სიბრალეული, დაინგრევა სიყვარულით აშენებული ქვეყანა.

1879 წელს ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა მოთხრობა „სარჩობელაზედ“. მკითხველს ავტორმა წარუდგინა გლეხი პეტრე. იგი აღარაა ყმა.

თავის საქმეზე მგზავრობს ქალაქს, სოფლელთა ქარავნის მეთაურია, როგორც გამოცდილი და ნავალი მეურმე. იგი აღზევანსაც არის ნამყოფი მარილის მოსატანად. ამჯერადაც მისი მეთაურობით მიდის ღვინის ურმების ქარავანი თბილისს. ლოჭინის ხევის პირას ორი ყმაწვილი გადაეყარა ქარავანს. ისინი ძმები იყვნენ, თექვსმეტობედ და თოთხმეტობედ წლისანი. ქარავნის უფროსს შესჩივლეს გასაჭირი: ვილაცას გაურიგდნენ, რომ საბარგულით ქალაქს ჩაეყვანა, მან ყმაწვილებს ფული გამოართვა, დაითრო, ისინი გადმოყარა, წავიდა და ფულიც გაიყოლა და მათი ბარგიც. უფროსი ყმაწვილის სიტყვით, ამ უცხო ქვეყანაში დაყარა ისინი. პეტრემ იწყინა — უცხო ქვეყანაში რათა, ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში — საქართველოში ხართ, არც შიმშილით დაგხოცავთ და კიდევაც გიპატრონებთ — გაგიმასპინძლებით და ცივ ნიავსაც არ მოგაკარებთო. თბილისს რომ მიიტანეს სალამოთი, საქონელი ურმებიდან გამოუშვეს, ღამე ქალაქგარეთ გაატარეს. პეტრემ თავისი ნაბადი გაუშალა ყმაწვილებს და დააძინა.

მეორე დღით პეტრემ ყმაწვილები ველარ ნახა, მისთვის ჯიბეებო დაექრათ და წასულიყვნენ. პეტრე იმის გამო შეწუხდა, რომ ჯერ კიდევ პირზე რძეშეუშრობელმა ბავშვებმა მოატყუეს, გაქურდეს, ადამიანური გრძნობები არად ჩაუგდეს, პირიქით, გულკეთილობისათვის დასცინეს, ჯიბეები დააქრეს. მართალია, ბევრი არაფერი წაუღიათ, მაგრამ გამოცდილ და ნავალ პეტრეს სასირცხვილოდ ისიც ეყოფა, რომ ბალებს დაუჭერა, მათ კი გააწბილეს. გულუბრყვილობით უფროსი ბიჭის ნათქვამი დაიჭრა. პეტრეს ვერ წარმოედგინა სიცრუე, სხვისი პიროვნების არად ჩაგდება. პეტრეს უნდა ხუმრობაში გაატაროს ჯიბეების დაჭრის ამბავი, გულში კი, ნამდვილად შეურაცხყოფილს, სცხვენია...

ოთხი წლის შემდეგ პეტრე ისევ ჩამოვიდა ქალაქს. ახლა მისი შვილია მექარავნე. ისევ ღვინო ჩამოიტანეს კახელებმა, ისევ ავლაბრის ბაქებში გაჩერდნენ. პეტრეს დრო ბევრი ჰქონდა და ავლაბრის ბაზარზე სიარულისას ერთ ამბავს მოჰკრა ყური, ზარბაზანი გავარდნა თუ არა, მახათაზე კაცი უნდა ჩამოახრჩონო. თურმე ადამიანის პატარა გულში ბევრი ცოდვა-მადლი ტრიალებს. პეტრეს სულმა წასძლია და სხვებთან ერთად ისიც გაეშურა მახათა მთისაკენ. იქ ბევრე ქალი და კაცი დახვდა პეტრეს, სეირის საყურებლად ამოსულიყო ყველა... ამ დუნდგო ხალხმა სანახაობას უყურა, მათ წინაშე ჯალათმა ადამიანს ყულფში თავი გააყოფინა და სახრჩობელაზე ჩამოჰკიდა. ადამიანი ჩამოახრჩვეს...

წუთის წინათ სულგანაბულმა ხალხმა მხიარული ყაყანი შექმნა, ზოგიერთი ლაზღანდარობდა კიდევ. ხალხის გროვა დაიშალა და ქალაქისაკენ დაიწყო დენა. გაკვირვებულმა პეტრემ ეს „თამაში“ უსარგებლოდ ჩათვალა და გულში თავისი თავს გაუწყრა — რად წამოვედიო. უგუნებოდ დაბრუნდა უკან, რადგან ვერ გარკვეულიყო — ნამდვილად ჩამოაღრჩევს ადამიანი თუ ქალაქელების ჩვეულებრივი თვალთმაქცობა იყო. თუ ადამიანი ჩამოაღრჩევს, მაშ ამდენი ხალხი რატომ შეიკრება ამის სანახავად, თანაც ქალებიც. თუ მართლა ადამიანის სიკვდილი იყო, ეს ამოდენა ხალხი ერთ ცრემლს მაინც არ ჩამოაგდებდა?! დაეკვებულნი პეტრე ღუქანში შევიდა დასანახებლად და, როცა იქიდან გამოდიოდა, ვიღაცამ ხელში ქალაღი შეაჩეჩა. იქიდან გაიგო პეტრემ, რომ მახათაზე ნამდვილად ადამიანი ჩამოუღრჩევიათო. „მაშ ხალხი რალას ჰხარხარებდა!“ — წამოიძახა პეტრემ, როცას მისმა შვილმა ეს ცნობა ამოიკითხა წერილში. წერილი დაწერილი იყო ოთხი წლის შემდეგ იმ ამბიდან, რაც ლოჭინის ხეჯთან მოხდა, როცა მექარავნე პეტრეს ღამე ჭიბეები დააჭრეს თექვსმეტოდე და თოთხმეტოდე წლის ბიჭებმა. ამ თოთხმეტოდე წლისამ ოთხი წლის შემდეგ სხვებთან ერთად უყურა თავისი ერთაერთი მახლობელი ადამიანის — ძმის ჩამოღრჩობას და პეტრეს მიმართა საბრალმდებლო წერილით, რომლითაც ჩამოღრჩობილის ძმამ ბრალი დასდო ყველას! დედას, მამინაცვალს, შინამოსამსახურებს, შინაურსა და უცხოს, ყველას და, მათ შორის პეტრესაც, როგორც საზოგადოების წევრს. ბავშვებზე ძალა იხმარა მამინაცვალმა და არავინ ქვეყანაზე არ აღმოჩნდა, რომელიც დაჩაგრულ პატარებს დახმარებას აღმოუჩინდა, ადამიანურ გულს უჩვენებდა, მოეფერებოდა, მწარე ბედს შეუმსუბუქებდა. პირიქით, მამინაცვლისაგან დაჯაბნებულებისათვის დედაც კი აღარა დედობდა, შინაურმა თუ გარეშემ ყველამ დაჩაგრა ყმაწვილები, შემბრალებელი და ადამიანურად ტკბილი სიტყვის მთქმელი აღარავინ გამოჩნდა. ბიჭებმაც ბოროტებას, ქურდობა-ყაჩაღობას მიჰყვეს ხელი თითქოს ამით ყველას სამაგიეროს უხდიდნენ, ბოლოს პოლიციამ მოახერხა უფროსი ძმის ხელში ჩაგდება და უმცროსი დღეს მოწმე შეიქმნა იმისა, თუ როგორ ჩამოუხრჩევს ერთადერთი მახლობელი ადამიანი მახათაზე. „დღეს ჩემი თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთადერთი ძმა, ერთადერთი კეთილის მყოფელი კატის კნუტივით ჩამომიჩრჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით. მე კი ვიდექი და ვიწოლი...“ ბრბო სეირს უყურებდა, უმცროსი ძმა კი იწვოდა. ამ ბრბომ საშინელი ამბის — ადამიანის ჩამოხრჩობის შემდეგ მხიარული ყაყანი და

ლაზლანდარობა დაიწყო. „თუ როდესმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე“ — ასეთი სასტიკი განაჩენი გამოუტანა ჩამოხრჩობილის უმცროსმა ძმამ საზოგადოებას, მათ შორის პეტრესაც.

„— მე რა შუაში ვარ?“ — წამოიძახა კვენისით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ.

„მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს!“ — ამთავრებს ამ მოთხრობას ი. ჰავჭავაძე.

კერძოდ პეტრე არ არის დამნაშავე, მაგრამ პიროვნებათაგან შემდგარი საზოგადოებაა დამნაშავე, რომელსაც გული დაუხურავს ადამიანთა უბედურებაზე, გულთან ახლოს არ მიუტანიათ სხვისი დარდი და გასაკირი, ყველა გამოცალკაებულა, საერთო სურვილი აღმოფხვრილა და ხალხის საერთო ძარღვიც აღარა სცემს. აღარ არის გამაერთიანებელი ძალა ადამიანთა შორის, ყველა გუგოისტებულა, დაუკარგავს საზოგადოებრივი შეგნება, დაუხშვია გრძნობისა და გონების კარი, სხვისი გაჭირვება არად ჩაუგდია, განმარტოებულა, საზოგადოებრივი კავშირი ადამიანთა შორის უგულვებელუყვია და ახ შედეგიც „ოცი თუ ოცდაერთი წლის ყმაწვილი ბიჭი, წვერ-ულვამ ახლად გამოშვებული, სახეზედ ზაფრანას ფერიანი“ დღეს მახათაზე ჩამოაღრჩევს.

საზოგადოება და პიროვნება ერთმანეთს დასცილდა. საზოგადოების დაშლა-დაკნინება ფაქტია. ი. ჰავჭავაძე ამას სწუხდა და ამაზე ჯალალეზდა. ეს ერის მთლიანობის ძირის გამოთხრა იყო, საზოგადოებრივი ცხოვრების დაკნინება, დანაშაულის ჩადენისათვის წაქეზება. „მე რა, მე ხომ არ მეხება, რა ჩემი საქმეა“ — ასე მსჯელობს ყველა და ასეთი ინერტულობით ზრდის იმ ბზარს, რომელიც პიროვნებასა და მის ირგვლივ მყოფთა შორის გაჩენილა.

ერთუროთის გაგება აღარ არსებობს, ერთუროთის ტკივილისა და წუხილის გაგების სურვილი აღმოფხვრელია. თვით განათლებულ და წიგნის ადამიანებსაც კი, რომელთაც ბევრი რამ ამოუკითხავთ წიგნებიდან, არ შესწევთ უნარი სხვისი გრძნობების, სხვისი განცდების გაგებასა, სხვის გულში და სულში ჩაწვდენისა.

საქართველოში ბატონყმობა გადავარდა 1864 წელს. იმის შემდეგ დრო გავიდა, სხვაგვარი გახდა ყოფილი ბატონი და ყოფილი ყმაც. მათ შორის ურთიერთობა ძირეულად შეიცვალა. ახალი ბატონი აღარა ჰგავს თავის წინაპარს. ი. ჰავჭავაძის არჩილი და კესო სრულიად აღარ მოგვაგონებენ მისსავე ზაქროს ბატონს, ან ლუარსაბ თათქარიძეს

და მის მეუღლეს — კნენა დარეჯანს. ახალი ადამიანები განათლებულ-
ლებიც არიან, ნაკითხნიც, შრომაც უყვართ და მეურნეობის გაძლო-
ლის სურვილიც აქვთ, გლეხობასთან დამოკიდებულებაც შეცვლილია,
მათ შორის უფრო ადამიანური ურთიერთობა არსებობს, მაგრამ...

რა გაკეთდა ორი სოციალური ფენის ურთიერთობის გამყარების
საქმეში, როგორ იმოქმედა რეფორმის გატარებამ და ეკონომიური
დამოკიდებულების შეცვლამ მათ ურთიერთობაზე, როგორ იმოქმედა
განათლების შექმნა ცხოვრების პრაქტიკულად გარდაქმნის საქმეში და
რა შედეგი მოჰყვა ყველაფერს იმას, რაც რამდენიმე წლის განმავლო-
ბაში — ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ხდებოდა.

ი. ჭავჭავაძე იძულებულია თქვას, რომ ორ ფენას შორის, რომელ-
ნიც ადრე მტრულ ურთიერთობაში იყვნენ, ერთურობის გაგება, ერთ-
ურობის ღირსების შეცნობა არ არის. დიდი და ღრმა ზღვსკრული,
საუკუნეთა განმავლობაში რომ იზრდებოდა ორ ფენას შორის, ადვი-
ლი ამოსავსები არ ყოფილა, მისი სიღრმე ვერ ამოავსო ვერც წიგნმა,
ვერც განათლებამ, ვერც ვითომცდა კაცთმოყვარეობამ. ერთნი ისევ
აქეთ დარჩნენ, მეორენი კი უფსკრულის მეორე მხარეს და საექვთა-
მდინარედ ქცეულმა ცრემლმა ხე მოიტანოს, რომელიც უფსკრულის
ორ ნაპირს ხილად გაედება. ამისი იმედი ჰქონდა განათლებულ თა-
ვად არჩილს, როცა მის სახლში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ
თავის ატირებულ დას — კესოს ესაუბრებოდა.

„ოთარაანთ ქვრივით“ მწერალმა საზოგადოებრივი ფენების ისე-
თივე დაპირისპრება გამოხატა, როგორც „გლახის ნაამბობით“, „რამ-
დენიმე ეპიზოდით...“ იქ იყვნენ ბატონი და ყმა, აქ არიან თავადი
და გლეხი. შეიცვალა ფორმა მათი კავშირისა, არ შეცვლილა შინაარ-
სი. არც მაშინ უგებდნენ ერთმანეთს და არც ახლა ესმით ურთი-
ერთისა. ლუარსაბ თათქარიძე ამბობდა, რა კაცის საქმეა წიგნიო, ის
ამაყობდა და იკვებნიდა კიდევ, იმით, რომ სკოლაში არ ესწავლა,
განათლება, მისი აზრით, აჰლექებდა ადამიანს, ფერ-ხორცს უკარგავ-
და. თავადმა დათიკომაც ძლივს მიაღწია მეოთხე კლასამდის და შემ-
დეგ მიეცა უზრუნველ ცხოვრებას. ლუარსაბისა და დათიკოსათვის,
ამ თავნება და განებივრებული ადამიანებისათვის არ არსებობს
სხვისი პიროვნება, სხვისი გრძნობა. ერთის ეგოიზმი იმით გამოი-
ხატება, რომ თავის მუცელს ანებივრებს, დღე და ღამ საქმელ-სასმელ-
ზე ფიქრობს, მეორეს კი თავისი ინსტინქტებისათვის ლაგაში მიუშვია
და თავისუფლად დაპარპაშებს მახლობელ და ადამიანთა გრძნობათა
გასაქვლად.

ახლა ასეთი ინსტიტუტები შეცვლილია უფრო დახვეწილი, მეცნიერებითა და სწავლით გასხივოსნებული ცოდნით, უმაღლესი სწავლითა და წიგნი გადაქცეულა არჩილისა და კესოს სასიცოცხლო ძალად. გლეხებს პატივისცემით ეკიდებიან, აფასებენ მათს შრომას, მათს ხასიათს, მაგრამ შედეგი ისეთივეა, როგორიც იყო ძველად.

ჩატეხილი ხიდის მდინარედ ქცეული ცრემლისაგან მოტანილი ზით გამთელება არჩილის ფანტაზიაა. ამიტომაც, რომ დაძმის საუზარო და მსჯელობა მწერალმა რიტორიკული ტონით ჩაატარა, რაღაც საზვიამო ელფერი ადევს არჩილისა და კესოს ფრაზებს, წიგნებიდან ამოღებული და დაზეპირებული ფრაზებისა. მათ სხვაგვარად მოქცევა და სხვაგვარად მტყუვლება არ შეუძლიათ. არჩილი და კესო ვერ შევიდოდნენ ცხოვრების იმ დუხჭირ მორევში, რომელშიც გაიარა ოთარაანთ ქვრივმა, ისინი უცბად მოიღუნებოდნენ და ცხოვრებისეული პირველივე წინააღმდეგობა მათ მოღრეკდა. ოთარაანთ ქვრივმა კი რას არ გაუძლო! ვერ გაუძლო ერთადერთი დასაყრდენის დანგრევას!

ი. ჭავჭავაძემ არჩილისა და კესოს წიგნიერი კამათის შემდეგ მკთხველი ისევ წყევლიან-კრულვიან საკითხს დაუბრუნა, რათა მისთვის ეჩვენებინა ისეთი დასასრული, რაც შედეგი იყო გაუგებარი ურთიერთობისა და რაც დაძაბული ემოციურობით განვითარდა ნაწარმოებში.

ჭრისტეს შობის ღამეს დაიბადა გიორგი. დასნეულებულმა და ლოგინად ჩავარდნილმა ოთარაანთ ქვრივმა, შვილის დაბადების დღეს, უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და დეკემბრის თოვლიან ღამეს სასაფლაოზე წავიდა. დედის ფიქრები, მისი გამოსაუბრება მკვდარ შვილთან და სახლიდან გასვლა მწერალმა დედის განცდათა და გრძობათა ღრმა ცოდნით გამოხატა.

მეორე დღეს შემთხვევით ნახეს ოთარაანთ ქვრივი: „საფლავზედ გარდიგარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინათითის წვერებითა და ორივე ხელი ოქით პირას გადაეკიდნა, თითქოს სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხევენით გულში ჩაეკრაო“.

კესომ, ნაკითხმა და განათლებულმა ქალმა, რომელმაც ძლიერ კარგად იცის ცხოვრება წიგნში ამოკითხულის მიხედვით, ვერაფერი გაუგო გიორგის, ოთარაანთ ქვრივის შვილს, რომელმაც წესიერად აწყობილი ოჯახი დატოვა და თავმოყვარე ახალგაზრდა არჩილთან მოჯამაგირედ დადგა. წიგნში რომ ამოკითხნათ განათლებულ დაძმას ასეთი ამბავი, გასაგები იქნებოდა მათთვის. მაგრამ, ნამდვილად

მომხდარი, რომ გიორგი გადაშლილი წიგნი იყო, ცხოვრებისაგან დაწერილი, ეს ვერ გაიგეს, ვერ მიხვდნენ, არც დაინტერესებულან, ეკითხათ ოთარაანთ ქვრივისათვის, როცა იგი არჩილთან მივიდა და შვილის განზრახვა განაცხადა — თქვენთან უნდა მოჯამაგირედ დადგოძაო. არც მაშინ, როცა რამდენიმე თვე გიორგი მათთან იყო მოჯამაგირედ, ვერ ჰკითხეს, ვერ გაიგეს, ვერ მიხვდნენ რა ამოქმედებდა გიორგის, რამ გადაადგმევინა ასეთი ნაბიჯი. კესო ვერც მაშინ მიხვდა, როცა გიორგის რომელიღაც წიგნიდან ამოხატული ყვავილნარის გეგმა აჩვენა და უთხრა — ამის მიხედვით მინდა სახლის წინ ბაღში ბილიკები გავიყვანო და ყვავილნარი გავაკეთოო. როცა გიორგი მარტო აღმოჩნდა კესოსთან ოთახში, მას გული შეუღონდა, წაბარბაცდა, თითქოს ფეხების ძარღვები ჰქონებოდეს დაჭრილი, რაღაცა ძალამ იმოქმედა, დაჯანა ეს ახალგაზრდა და ძლიეს, ლულულულით უპასუხა ქალს და საცოდავი ხმით შესთხოვა — ახლა დამითხოვე და სხვა დროს კილაპარაკოთო. კესო ვერ მიუხვდა გიორგის დიდ სიყვარულს, რამაც მას დედა დაატოვებინა და მოჯამაგირედ მიიყვანა არჩილთან. კესომ გიორგის ამ მდგომარეობას გულის ჰიდილი უწოდა! არა-და, გიორგის ერთი სიმღერა ჰქონდა ამოჩემებული, ღიღინშიც და თავიწ გულში იმას ამბობდა: „ეს სოფელი მისთვის მინდა, შენ გიყურო, ჩემო მზეო!“

მერე მიხვდნენ მხოლოდ არჩილი და კესო, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო ყველაფერი. გიორგი ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა არჩილთან მოჯამაგირეობისას.

ი. ჰავკავაძემ ოთარაანთ ქვრივის მონუმენტური სახე შექმნა, მწერლის დაკვირვებული გრძნობით და გონებით არის იგი დახასიათებული, ყოველი მხრით არის იგი ჩამოქნილი, ოჯახის და შვილის ერთგული, მშრომელი, მრავალ ჭირნახული მტკიცე ხასიათისა, გულთბილი და დავრდომილის შემბრალებელი, კუშტი და მკვანხე, მაგრამ სხვებისათვის გადასაცემი სითბოთი აღსავსე. მთელი სოფელი ოთარაანთ ქვრივის სახელით იცნობს და მწერალმაც არა გვითხრა რა — რა ერქვა ამ ქალს. ეგაა, მიგვახვედრა, რომ იგი ორმოციოდე წლისაა. გიორგიმ ახლა ოცი-ოცდაერთი წლისა იყო.

გიორგის მამა ადრე მოუკვდა, არც ახსოვდა იგი. დედამ გაზარდა, დაავაჟიკა, მან ჩაუნერგა სინდის-პატიოსნება, მუყაითობა და ადამიანობა, კაცობა. ყველა ამ თვისებას ოთარაანთ ქვრივი უხვად ფლობდა, ეს თვისება ახასიათებდა ორივეს. ოთარაანთ ქვრივმა, ადრე დაქვრივებულმა, ოჯახი არ მოშალა, დიდი შრომა და ჯაფა გასწია, რომ

შვილი გამოეზარდა, სახლ-კარი რიგზე ჰქონოდა, სახნავ-სათესი და ბალ-ვენახი დაემუშავებინა. გაიდებდა თოხს მხარზე და წავიდოდა სამუშაოდ. სასიხარულო ცოტა რამ ჰქონდა, შვილის გაზრდაში, შრომა-გაგრძაში, სახლ-კარის პატრონობაში გაილია მისი დღე. ოთარაანთ ქვრივი თავისას არავის დაუთმობდა და ქარის შემოტანილიც არასოდეს მიუღია. რაც გააკეთა, თავისი შრომით, ადამიანობით, გონებით გააკეთა, ნასწავლი არ იყო, მაგრამ შესანიშნავი სკოლა გაიარა მკაცრი ცხოვრებისა. წყევლა-კრულვას არ დააკლებდა ზარმაცსა და დონდლო-უქნარას, თუმცა დახმარებისათვის არავისთვის უარი არ უთქვამს, სამართლიანი იყო სხვის მიმართა და თავის მიმართაც ყველასაგან სამართლიანობას მოითხოვდა. თუ მოხდებოდა რამე და მას უწყესობას დაატეხდნენ, არავის შეარჩენდა, იტყოდა ხოლმე: „რკინის ჯოხს ავიღებ, რკინის ქალამნებს ჩავუცვამ და ხელმწიფედმდის ვივლიო“. ამჟამად იყო და მიუტყარებელი, ერთხელ ნათქვამს პირს არ შეუშლიდა, სინდისიერად შეინახა თავი და ოჯახიც და კილვის მოყვარულთ საბაზი არ მისცა მის საქციელზე ეჭვის შეტანისა. ოთარაანთ ქვრივი მთლიანი პიროვნება იყო. საუკუნეებში გამოვლილი ქართველი დედაკაციის სახე, რომლის შესაქმნელად ი. ჯეჯევაძემ არა დაუშურებია რა.

მრავალ განსაცდელსა და ხიფათს გაუძლო ოთარაანთ ქვრივმა. პედმა მაინც საშინელი და ძნელად ასატანი რამ შეახვედრა. დედის ერთას სიკვდილმა მისი მტკიცე და ყოვლისგამძლე არსებობა დაასუსტა და დააკნინა, ლოგინად ჩავარდნილმა უკანასკნელი ღონე მოიკრიფა და წავიდა სიკვდილთან, რომელსაც თავისი შვილის საფლავზე შეხვედა. ამბობდნენ კიდევ სოფლელები: „გაპტყდა ეს რკინის დედაკაცი, ეს ფესვმაგარი ხეც წაიქცა... დედისერთა შვილის დაკარგვა ძნელია, მერე რა შვილისა. აქი ეს გაუტეხელი დედაკაციც გატეხა და გაანადგურა...“

ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი შეეწირნენ გონებაშეზღუდულობას, რაც საზოგადოებას დასჩემდა. ამან გამოიწვია თავანკარა და ძვირფასი მსხვერპლი.

ნ. ბარათაშვილისაგან გამოხატული იდეა ლექსებში „შემოღამებამთაწმიდაზე“ („მწუხრი გულისა, სევდა გულისა — ნუგეშსა ამან შენგან მიიღებს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“), „ფიქრნი მტკვრის პირას“ („არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“), უსათაურო ლექსში „არ უკიჟინო“ („მინდა მზე ვიყო... საღამოს მისთვის შთავიდდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო...“) და

გამოცემა (მამო ხალარობის დახმარებით) ბაქოს

ქართველთა ამხანაგობის „კალამი“-სა

№ 9.

ილია ჭავჭავაძის

სიკვდილი და დასაფლავება.

რედაქცია „მინისა“ (ს. თ. ს. ს. ს. ს. ს. ს. ს.)

250/ი ამ გამოცემის შემოხველითა გადაიდება ილიას
სახელთანაჲც განზარაბულ „ეროვნულ ფონდისათვის“.

თბილისი

სტამბა „ლიტერ“ (მ. დ. კინძიას). ნიკოლოზის ქუჩა № 8.

1907

(ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება)

„ცუდად ზომ მაინც არა ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“, ი. ჭავჭავაძის აზროვნებაში გადავიდა და პირველად „მგზავრის წერილებში“ ჰპოვა გამოძახილი. ეს იდეა მკაფიოდ გამოხატა აგრეთვე პოემაში „განდეგილი“. იგი დაწერილია 1883 წელს.

„განდეგილს“ დიდი გამოძახილი ჰქონდა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. ბევრმა კრიტიკოსმა მართებულად გაიგო ავტორის ჩანაფიქრი, ბევრმაც ვერ გაიგო, ხოლო ზოგიერთმა ისეთი აზრი გამოთქვა პოემაზე, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა მის მთავარ და ძირითად აზრს. ისეთი გონიერი და საქმეში ჩახედული კრიტიკოსი, როგორც ბოსლეველი (ესტატე მკედლიძე) იყო, მაგალითად, წერდა, რომ „განდეგილი“ ჭადაგებს მიწიერი ცხოვრების თავის დანებებას, უარყოფას და იმ მწირივით ცხოვრებდნენ განდგომასო.

„განდეგილი“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში საერთოდ და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში კერძოდ. ზოეტს, დაბრძენებულსა და გამოცდილს, გარკვეული მიზანი ჰქონდა. იგი დაჰფიქრებია, შეუსწავლია და დაჰკვირვებია ამქვეყნიური ცხოვრებიდან განდგომილ ადამიანებზე დაწერილ ნაწარმოებებსა და თავისი განზრახულობის მიხედვით წარმართავს სიუჟეტის განვითარებას. ნაწარმოებში იგი წარმოადგენს ერთმანეთის საპირისპირო კონცეფციას, გადმოსცემს მათ აზრსა და შინაარსს და განსჯას აღებულ თემაზე ანდობს თვით მკითხველს.

ი. ჭავჭავაძემ „განდეგილს“ ლეგენდა უწოდა და თავისი ცხოვრების თანამგზავრს — ოლა ჭავჭავაძეს მიუძღვნა.

ამ ნაწარმოებშიც, როგორც საერთოდ, ავტორმა დაპირისპირების ხერხი აირჩია, მთელი თხზულება წარმოადგენს შეხედულებათა დაპირისპირებას.

პოემას ავტორი ამაღლებული რიტორული სტილით იწყებს, აღწერს დიდებულ მყინვარს, მიუქარებელ სიმაღლეს, რომელსაც არწივნიც კი ვერ შეხებიან, სადაც ყინულის სამეფოა და უბედურ კაცთა ყრიაშული ვერ სწვდება, სადაც მხოლოდ ციურ მოვლენათა, ქექა-ქუხილთა სამეფოა. იქ იმ სიმაღლეზე, კაცთაგან დაშორებულ ყინულიან კლდეში მონასტერია გამოქვაბული, რომელიც მიწიერ სამყაროსთან მხოლოდ ჯაჭვითაა დაკავშირებული. იმ ტაძარს ოდესღაც მეუდაბნოე შეკედლებია, მას სააქაო დაუთმია, როგორც ცოდვილთა

10. ს. ხუციშვილი

სადგური, როგორც ეშმაკეულთა და ცდომილებათა სამყარო. სადაც მხოლოდ ცოდვის ხელი ტრიალებს და მხოლოდ რყვნა, წაწყმედა და ლალატია, სადაც ძმისაგან ძმის სისხლი იქცევა, სადაც ყოველი ნიჭი მაცდურებაა, ხოლო სიტურფე და სათნოება ეშმაკის ბაძვა და ცდუნებაა. მეუღაბნოეს ადამიანთა სამყოფელი დაუტოვებია, განდევნილა, განშორებია ამ ქვეყანასა და ხალხს, ყინულებში მარტოდ-მარტო დაუყუდებულა და იმის შემდეგ მიწიერ ცხოვრებაზე ფიქრი და ზრუნვა გულიდან ამოუღია, ქვეყნიური ზრუნვა და წადილი დაუეწიყებია და მოუსურვებია უფლის მსჯავრის წინაშე წარდგომისას სული ჰქონოდა, გაწმენდილი და განბანილი მიწიერი ცხოვრების ყოველი ბიწისა და ცდუნებისაგან.

შესანიშნავი მეტაფორებით აღწერს ავტორი მეუღაბნოეს გარდასახვის გზას, მის დასახსნიათებლად ფსალმუნს მიმართავს და ჰქმნის მიწიერ ცხოვრებას მოცილებული სულიერი სიწმინდით ამაღლებული ადამიანის სახეს.

ღმერთს შეუსმენია მეუღაბნოეს ლოცვა: მას გარეგნულადაც ჰქონდა მიღებული შინაგანი, სულიერად განწმენდილობის იერი; მაღალ შუბლზე შარავანდელი გადაჰფენოდა, ღრმა თვალთა მეტყველება წყნარი და ტკბილი ჰქონდა და მრავალტანჯვაგამოვლილი წმინდანსა ჰკავდა, რომელსაც თავისში დაეთრგუნა ყველაფერი მიწიერ-ხორციელი.

ყველა ამ წამებათა და რუდუნებათა შედეგად ღმერთსაც მისთვის ნიშანი მიეცა — მისი სენაკის საარკმელში მზისა და მთვარის ნათელი შემოდიოდა და მზის სნივი თურმე ზედ შეირჩენდა ლოცვანს, რომელსაც განდევნილი დააყრდნობდა.

პოემის VII და VIII თავებში მოცემულია ბუნების საოცარი მშვენიერების სურათი, რომელიც მეუღაბნოეს ლოცვით დალღილ სულს ელამუნება:

ერთხელ საღამოს ლოცვით დაღლილი,
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა,
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
მწვანით დაფენილ მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ ვით ცეცხლის ბორბალი
ირგვლივ სხივავალით ანთებულოცო.
ცისა ლაქვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუვოდა

და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში კითროდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვენილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისასა
შესტკვარდა მზესა განცვიფრებული...“

მაგონებ, უეცრად ქარი ამოვარდა, დაჰბერა კლდეებს და ნაპრალებს, მყინვარიდან შავი ვეშაბივით ღრუბელი დაიძრა, ცაჲს განერთხა და გაიშალა და თითქოს მტერს შეეჯახაო, ატყდა ჰეჰა-ჰუხილი, ცა და ქვეყანა ირყეოდა ელვა-ჰეჰა-ჰუხილით, ქარაშოტით და წვიმა-სეტყვით, ქარი ზარითა და ზათქით კლდეებში ჰქროდა, თითქოს ცა დედა-მიწას სჭიდა თავისი რისხვით და საშინელი განკითხვის წინაშე აყენებდა ყველაფერს.

მშვენიერი, ნზოს ჩამავალი სხივებით შემკული საღამოს შეცვლა ქარიშხალითა და ქვეყნის წარღვნით ი. ჰავჰავადეს მოცემული აქვს როგორც წინასიტყვაობა იმ შეძრწუნებისა, რომელშიც მოექცევა განდევნილი, როცა მასთან სენაკში შევა ახალგაზრდა მწყემსი ქალი და მოხდება შეხვედრა ადამიანისა, რომელმაც უარყო ყველაფერი მიწიერი და მშვენიერი, სიცოცხლით სავსე ქალისა, რომლისთვისაც სრულიად გაუგებარია მიწიერი ცხოვრების უარყოფა და დათმობა და სადღაც, ყინულის სამყაროში თავის შეფარება, ხალხისაგან განდევნა.

ლამაზი ქალი სიმბოლოა იმ ცხოვრებისა, რომელსაც ახასიათებს შრომა, ბრძოლა, მოძრაობა, მარცხი, გამარჯვება, სიყვარული, სიძულვილი, თეთრი და შავი. განდევნილი კი ნიშანია სულის განდიდებისა, ხორციელ-მიწიერის დათრგუნვისა, უმოძრაობისა, საკუთარ სურვილთა გარსში ჩაკეტვისა. ეს ორი ერთმანეთს დაპირისპირებული პირობა შეხვდა ერთმანეთს და განდევნილმა, რომელმაც დიდი თმენითა და ლოცვა-ტანჯვით დასძლია ქვეყნიური, მიწიერი და ღვთისაგან მიჩნეულ მადლს მიუერთდა, ვერ გაუძლო მწყემსი ქალის მიწიერ მშვენიერებას, რომელიც მის სულში იმ ქარიშხალივით შეიჭრა, მწყემსი ქალი სენაკში რომ შემოიყვანა. მწყემს ქალს, დადლილს ჩაეძინა. განდევნილმა მისი მშვენიერება რომ დაინახა:

„ფები წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლადის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯაღო

ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...

და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...

განდევილს დიდი ხნის და მრავალი წლის მცდელობა უცბად გაუქარწყლდა, დაეცა მისი სიწმინდე, გაცამტვერდა რუღუნებით მოპოვებული სიმაღლე სულისა, საკმარისი აღმოჩნდა სულ მცირე შეხება ამქვეყნიურ არსებობასთან, რომ დანგრეულიყო ის, რაც ვერ ეთვისება ამქვეყნიურობას. მწყემს ქალთან საუბარში განდევილმა თავის ბედს უბედური უწოდა იგი თურმე უბედური იყო, მაგრამ მოჩვენებითი სიძლიერე სულისა მას ხელოვნურად აბრმავებდა, უხშობდა გონებას და ბუნებრივი არსებობის გრძნობას.

და, როცა მეორე დღით მზის სხივმა აღარ დაიჭირა მისი ლოცვანი:

„გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბლაღლა ღმერთსა
და იქვე სხივ-ქვეშ უტივა სული...“

ილია ჭავჭავაძე აპოლოგეტი იყო შემოქმედებითი ცხოვრებისა, მოღვაწეობისა, მოძრაობისა, სიცოცხლისა, საზოგადოებრივი ყოფის გაუმჯობესებისა, მისი აზრით ადამიანის დანიშნულება მდგომარეობდა მოქმედებასა და განუწყვეტელ ზრუნვაში ქვეყნისა და ერის ცხოვრების განვითარების, გაძლიერების, გამრავალფეროვანების მიზნით. მოქალაქის დანიშნულება არ შეიძლებოდა შემოფარგლულიყო ვიწრო, სუბიექტური წრით, ეგოისტური ინტერესებით. იგი ამბობდა, რომ გუთანს ღრმა კვალი უნდა გაეკლო, რათა შოსაეალი უბჭვი და კარგი ყოფილიყო. ადამიანის დანიშნულება საზოგადოებრივი ხასიათისა და მნიშვნელობისა უნდა, ცოცხალი ადამიანისაგან იგი მოითხოვდა შრომას, ზრუნვას, აზრისა და გონების მოძრაობას. საზოგადოების წევრი აქტიური მებრძოლი უნდა ყოფილიყო ქვეყნისა და ერის ცხოვრების გარდაქმნისა, ადამიანი შემოქმედებისათვის უნდა ყოფილიყო დანიშნული, არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, მან თავისი არსებობით რაღაც უნდა არგოს ქვეყანას, რაღაც უნდა გააკეთოს ხალხისათვის. ადამიანის სულიერი სიმაღლე გაიზომებოდა იმის მიხედვით, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლებოდა მას სინამდვილისათვის, მხოლოდ შემოქმედებითი, საზოგადოებისათვის სასარგებლო და გამოსაყენებელი შრომა შეიძლებოდა

დაფასებულიყო და არა ცხოვრებიდან გაწზე განდგომა, თუნდაც იგი ამალღებულად ლამაზი ყოფილიყო. მისი მსჯელობა, რასაკვირველია, სათავეს იღებდა სამშობლოს ვითარებიდან, მშობლიური ხალხის მდგომარეობიდან. პოეტი და მოქალაქე მთლიანად მომავლის იმედით სულდგმულობდა, ქვეყნის აწმყო მრავალმხრივ მიუღებელი იყო მისთვის, ამიტომაც არ მოუცილებია ზრუნვა საუკეთესო მომავლისათვის, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ — მიმართავდა იგი სამშობლოს, — ძილი და შვება გამიკრთაო. ერთად-ერთი დანიშნულება მისი იყო ფიქრი სამშობლოზე, მას დიდი იმედი ჰქონდა ერის ცხოვრების მომავლისა, დარწმუნებული იყო, რომ ერის შვილები ვულმტკიცედ შეებმოდნენ ქვეყნის გაუკეთესების საქმეს. „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზღდ მოგიწყენია, ამწყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია... წვრილ შვილნი წამოგვესწრნენ... მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები, არ გიმტყუნებენ შენა, თუკი მათ მიენდობი“. სახელოვანი ვაჟკაცი დასწვდებოდა აკვანს იმ ყრმისა, რომლის სახელი არ ითქმის, მაგრამ რომლის მოვლინებასაც ყოველი ქართველი ჩუმი ნატკრითა ნატრობს... სამოთხე ვარო, — უპასუხებს მშობლიური მხარე პოეტს, — საყვარელი, მადლით სავსე, მდიდარი, სამოთხის წალკოტი, მაგრამო, — ამბობდა სამშობლო, — თქვენ კი ჩემი ბედრკული, უსუსური შვილები ხართ, სიყვარულის ნაცვლად ერთმანეთის წყველა-კრულვას არ წყვეტთ. თქვენში ცოდვას მადლი დაუძლევია, მე ცხოვრების წყაროს გაწვდით, თქვენ კი ერთმანეთის სისხლსა სვამთ, რადგან მართალი სული და წრფელი გული ჩაგქრობიათო. იცოდა პოეტმა და მოქალაქემ, ზომ მთლიანობა აკლდა მის სამოთხისებურ ქვეყანას, აკლდა მტკიცე კავშირი სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა მთლიანობას, ისიც იცოდა, რომ:

„წუთისოფელი ასეა,
ღამე ღღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუტყვევია —
სიყვარულს უშენებია.“

ამიტომ მოუწოდებდა მოყვასს:

„ჩაად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად. დარტყე:
ყოველ ღღესა შენს თავს ჰკითხო:
აბა, ღღეს მე ვის რა ვარგე?“

1892 წლის დასაწყისში ი. ჭავჭავაძემ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც მან მიმოიხილა მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა. ამ მიმოხილვაში იგი მსჯელობდა ძველი და ახალი თაობის შესახებ და მოკლე დახასიათება დაწერა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ამ წერილის ზოგიერთი ნაწილი მან თავის „ივერიაში“ დაბეჭდა. მაშინ გამოუქვეყნებლად დარჩენილი პავლე ინგოროყვამ შეიტანა ილია ჭავჭავაძის თხზულებების თავისეულ გამოცემაში და მწერლის მიმოხილვებსაც მანვე მისცა სათაურად — „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაზე“.

ი. ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილზე წერდა: „იგი ობოლი მარგალიტი, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში, არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მიმდევრი“.

ი. ჭავჭავაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის დახასიათებას იქვე მიაცოლლა: „მართალია, ამ უკანასკნელ ხანებში ერთმა ახალგაზრდამ და, ჩვენის ფიქრით, დიდ-საიმედო პოეტმა ორიოდე სასახელო მაგალითი გვიჩვენა, რომ აპირებს მის კვალში ჩადგომას, მისთა აზრთა სფეროში განმარტებას, მაგრამ თითო-ოროლა მაგალითი ჯერ საკმაო საბუთი არ არის ეს ახლად გამოსული მწერალი ნ. ბარათაშვილის შემკვიდრედ მივიჩინოთ“.

ი. ჭავჭავაძე ფრთხილად ეძებდა ახალგაზრდათა შორის ნ. ბარათაშვილის კვალში ჩამდგომთ და მხოლოდ ერთი შენიშნა, თუმცა ჯერ აღრეა მასზე ლაჰარაკიო. ეს „ერთი“ 90-იანი წლების დასაწყისში, „თითო-ოროლა მაგალითის“ მომცემი ვაჟა-ფშაველა იყო.

ი. ჭავჭავაძეს საბუთად ექნებოდა ის ლექსები, რომლებიც ვაჟა-ფშაველამ „ივერიაში“ დაბეჭდა და მისი რედაქტორის ხელში იყვნენ გავლილნი. ვაჟა-ფშაველა „ივერიის“ თანამშრომელი გახდა 1886 წლიდან, როცა ი. ჭავჭავაძემ იგი ყოველდღიურ გაზეთად გადააქცია. ვაჟას 1892 წლამდის ბევრად მეტი ნაწარმოები ჰქონდა დაბეჭდილი, ვიდრე ნ. ბარათაშვილის მთელი შემოქმედებაა. ვაჟა-ფშაველამ „ივერიაში“ დაბეჭდა ლექსები, მოთხრობები, პოემები (მათ შორის „გოგოთურ და აფშინა“, „სულა და კურდღელა“, „ალუდა ქეთელაური“, „კოპალა“, „დაჭრილი ვეფხვი“, „ეთერი“ და აგრეთვე მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და სხვ.). ი. ჭავჭავაძემ მაინც თქვა, რომ ეს „თითო-ოროლა მაგალითიაო“. მაშ, რამდენად უფრო მაღლა იყნებდა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას, შედარებით ვაჟა-ფშაველას ლექსებსა, პოემებსა და მოთხრობა-ნარკვევებთან, გამოკვეყნე-

ბულთ 1892 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა გამოთქვა თავისი მოსაზრება იმედის მომცემ ერთ ახალგაზრდა პოეტზე რომელიც ნ. ბარათაშვილის კვალში აპირებდა ჩადგომას. ამ დროისათვის ი. ჭავჭავაძე კარგად იცნობდა ვაჟა-ფშაველას და მის შემოქმედებას.

იაკობ მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში გადმოგვცემს, თუ რა შთაბეჭდილება მოუხდენია ვაჟა-ფშაველას ისტორიულ პოემას „მოხუცის ნათქვამს“ ი. ჭავჭავაძეზე. „ივერიის“ რედაქტორს უთქვამს: „კოქებზედვე ეტყობა, რა ვაჟაც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟასაგან, შორს წავა, შორს!“.

ი. ჭავჭავაძის მეგობარი და ვაჟა-ფშაველას კარგად მცნობი ავსტრიელი მწერალი ართურ ლაისტიც გადმოგვცემს ი. ჭავჭავაძის ერთი მოსაზრების შესახებ ვაჟა-ფშაველაზე: „ილიას ჩემთვის უთქვამს, რომ ვაჟა-ფშაველა არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით გამოირჩევა თანამედროვე პოეტებისაგანო“.

ისიც ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძეს ეთქვას ერთხელ, როცა „ივერიის“ რედაქციაში ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები წაიკითხეს: „ჩვენ ახლა ძველებმა კალამი უნდა ძირს დავდოთ და გზა ახალგაზრდას დავუთმოთ“.

ი. ჭავჭავაძისვე ეკუთვნოდა აზრი, რომელიც მან წარუდგინა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ვაჟა-ფშაველასაგან ფრიდრიხ შილერის „ორლეანელი ქალის“ თარგმანის თაობაზე: „ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება“.

ყველაფერს ამას, რაც მაჩვენებელია ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებისა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან, უნდა დაეუმატოთ ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) მოწმობაც. ა. ყიფშიძე ი. ჭავჭავაძის გაზეთის რედაქციის თანამშრომელი იყო. 1907 წელს, ი. ჭავჭავაძის მოკვლის დღეებში მან მოგონებათა რამდენიმე ეპიზოდი დაბეჭდა, რომელთაგან ერთი შემდეგი იყო: „როცა ნიჭიერი მთის პოეტის ვაჟა-ფშაველას პირველი დიდი ნაწარმოები გამოჩნდა („გოგოთურ და აფშინა“, „ბახტრიონი“), ილია ჭავჭავაძე მათ გულწრფელი აღტაცებით შეხვდა. მას უყვარდა ამ ეპიურ პოემათა მოსმენა, როცა ჩემი უფროსი ძმა — გრიგოლ ყიფშიძე, „ივერიის“ ბურჯი, როგორც მას ამ გაზეთის რედაქციაში მოიხსნებოდნენ ხოლმე, — კითხულობდა ილია ხშირად სთხოვდა გრიგოლს ხმამაღლა წაეკითხა ეს „უბადლო“ პოემები. გრიგოლიც არ დააყოვნებდა, უცბათ აიღებდა შესაფერის კილოს

და მაღალი, გამომეტყველი ხმით შეუდგებოდა კითხვას. ჩემი ძმა ყოველთვის მალე შედიოდა კითხვის ეშხში, სანხლოებს გადაიწევდა და თხზულებების შესაფერის ადგილებზე ხელებს ხან მალა ასწევდა, ხან დაბლა ჩამოსწევდა, ხოლო წარბებს საოცარი სისწრაფით ათამაშებდა. ამ დროს უნდა შეგეხებათ ილია ჭავჭავაძისათვის კემმარიტი სისხარული და გამოუთქმელი სიამოვნება იხატებოდა მის სახეზე. მარჯვენა ხელზე თავდაყრდნობილი იგი ისმენდა გრიგოლისაგან საზეიმო პლასტიკურობით წაკითხულ გმირულ პოემებს და დაძაბული ყურადღებით აღტაცებასაგან ნამდვილად გაირინდებოდა ხოლმე. ახლა, — განაგრძობს ალექსანდრე ყიფშიძე, — დიდი მწუხარებისა და სულიერი მღელვარების შთაბეჭდილებათა გავლენით, რაც მეუფლება ძვირფასი ჩვენი ილიას, ჩვენი საუკეთესო აღმზრდელისა და სულიერი ბელადის გახსენებისას, აღარ შემოიძლიან მოვიგონო თუ, ყველაზე მეტად რა იტაცებდა მას ვაჟა-ფშაველას ამ ეპიკურ პოემაში. ერთი კი ნამდვილად შემოიძლიან ვთქვა, რომ ილია ჭავჭავაძის პოეტურ სულზე მოქმედებდა პოემის გმირთა იდეალების წმინდა, ზნეობრივი სისპეტაკე და მსწრაფებანი. პოემების წაკითხვის შემდეგ იგი ჩვეულებრივ იტყოდა ხოლმე: „ასეთი მარგალიტებისა და შედევრების შემდეგ, სირცხვილია კალამს ხელი მოჰკიდო და ლექსები სწერო!“.

ალექსანდრე ყიფშიძე თავის მცირე მოგონებას ასე ამთავრებს: „პოეტურ შემოქმედებაში იგი თავს დამარცხებულად სცნობდა და პირველობას იგი უდრტუნველად ანიჭებდა ახალგაზრდა პოეტს.“-ო.

დიდ წინაპართა დიდი მემკვიდრე



მშვიდობა უნს ნეშტს, მგოსანო,
ქართლისა წულულთა მოზარე,
მშვიდობა, სულთ ძლიერო,
თავის სამშობლოს მოყვარე....

ვაჟა-ფშაველა — „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს“.

ვაჟა-ფშაველა თავის სახლს წინ
ჩარგალში,

ვაჟა-ფშაველა ნიკოლოზ ბარათაშვილის საუფლოს სრულიად ახალ-გაზრდა მიეახლა. ჯერ კიდევ გორის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლე იყო, როცა სემინარიის მასწავლებლის დავალებით ვაჟა-ფშაველამ, მაშინ ლუკა რაზიკაშვილმა დაწერა საშინაო თხზულება „ლექსი „მერანი“, როგორც ბარათაშვილის მსოფლმხედველობის გამომხატველი“. „მასწავლებელს ბაირონის უესახებ მასალები თითონ მიეცა მოსწავლისათვის“ — გადმოგვცემს მისი ჭაბუკობის მეგობარი ალექსანდრე გარსევანიშვილი.

ეს ყოფილა 1882 წელს.

თავისი სასკოლო ნაშრომი ვაჟა-ფშაველას შემდეგ გაუვრცია და იმავე წელს, ივნისში, ვასო მელვინეთუხუცესიშვილის სახლში, სოფელ ხიდისთავში რეფერატი წაუკითხავს ამხანაგთა წრეში. რეფერატის მოსმენის შთაბეჭდილებები შემდეგ ალექსანდრე გარსევანიშვილმა გაიხსენა და გადმოგვცა, რომ ვაჟა-ფშაველას ნიკოლოზ ბარათაშვილი უღიარებია დიდებულ ქართველ მგოსნად, რომლისთვისაც ქართულ კრიტიკას და მკითხველ საზოგადოებას „ქართველი ბაირონი“ უწოდებიათ, ეს სახელი რამდენადაც საპატიოდ მიუჩნევია ვაჟა-ფშაველას, იმდენად სადავოდაც ჰქონია წარმოდგენილი, რადგან ბაირონის პოეზიას უკიდურესი პესიმიზმით გამსჭვალულად თვლიდა, ჩვენი პოეტი კი სასოწარკვეთილობამდე არ მიდის. ვაჟა-ფშაველას დაუხსნიათებია XVIII საუკუნის ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა და კულტურა და გაუკეთებია ბაირონის შემოქმედების გამომწვევე მიზეზთა ანალიზი, რის შემდეგაც იგი გადასულა დებულებაზე, რომ სულ სხვა მიმართულებისა და საფუძვლების მქონეა ბარათაშვილის შემოქმედება. ნ. ბარათაშვილი განიცდის სულიერ ობლობას და მარტობას, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ ეძლევა. იგი ეძიებს ამ მდგომარეობიდან გამოსავალს და პიროვნების ხსნის საშუალებასაც პოულობს. პოეტს ეს გამოუხატავს ლექსში „მერანი“ რომელშიც ნაჩვენებია პოეტისაგან სწორი გზის გამონახვა და ამ გზით სიარულმა მხედარი იხსნა უიმედობისაგან.

ვაჟა-ფშაველას გაუკეთებია დასკვნა:

მე ღრმა რწმენით და შეგნებით ვადასტურებ შემდეგ იდეას: ნიკო ბარათაშვილი, ჩვენი ცხოვრების პესიმიზტურად დამფასებელი, მატარებელია საღი ოპტიმიზმისა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. „ქართველი ბაირონის“ აჩრდილი ჩემ თვალწინ იხატება, როგორც იდეური მებრძოლი, რომელიც უსამართლობას და ბოროტებას წინააღმდეგება და მათ სამუდამოდ მოსპობას ცდილობდა. მართალია, მგოსნის „ობოლმა სულმა“ ბევრი ტანჯვა-ვაება გამოიარა ცხოვრებაში, მაგრამ მისგან გაკაფულმა გზამ ჩვენ ძალიან გაგვიადვილა ბრძოლა ყოველგვარი უკანონობის წინააღმდეგ...

ასე მიუღია ვაჟა-ფშაველას ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების პათოსი. ასე აღუქვამს მას თავისი არცთუ შორეული წინაპარი.

დიალ, წინაპარი, რადგან 1893 წელს როცა ვაჟა-ფშაველა მიესალმა ნ. ბარათაშვილის ნეშტის სამშობლოში დაბრუნებას, მან თქვა:

„დიდება შენს ჩანგს, რომ ბევრჯელ
თვალზე ცრემლები ნომგვარე...“

შენი მერანი კვლავაც არის,
მისი ნავალიც შთენილა,
უმადლოდ არ დაკარგულა,
თუ ოდეს ცრემლი დენილა.
მიიღე ჩემი სალამიც,
გამოგზავნილი მთიღამა...“

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურაში რამდენიმე სალოცავი ხატი ეგულებოდა, რომელთა შემოქმედებას იგი თავისი გონებისა და პოეტური მისწრაფებების საფუძვლად თვლიდა. უპირველესი მისი სკოლა იყო ოჯახი და სოფელი ჩარვალი, სადაც დაიბადა და სადაც თავისი სიცოცხლის ბევრი დღე გაატარა. გადავიკითხოთ ერთხელ კიდევ მისი ავტობიოგრაფიული თხზულება — „ჩემი წუთისოფელი“, რომელიც მან მიუძღვნა თავის მშობლების — დედის გულქანის და მამის პავლეს ხსოვნას (ისინი ერთ წელიწადს, დედა 1890 წლის 16 სექტემბერს, ხოლო მამა 22 ოქტომბერს გარდაიცვალნენ) და ვნახავთ როგორ და რამდენად იმოქმედა ოჯახისა და სოფლის გარემომ მისი ნიჭისა და გონების მიმართულებაზე. შემდეგ კი როცა წიგნში დაწერილის აზრისა და შინაარსის გაგება შესძლო, მის შეგნებაში გარკვეული აღგილი დაიჭირა რამდენიმე ქართველმა მწერალმა, რომელთა შემოქმედების აზრმა წარმართა მისი საკუთარი პოეტური შეხედულებანი და შემოქმედებითი ინტერესები.

ქართული პოეზიის ბჭე რუსთაველია, რომელსაც ვაჟა-ფშაველა „საქართველოს მგოსანს“ უწოდებს, ჩვენი ქვეყნის მომავლის დამწერს, ქართველ მოღვაწეთა და სამშობლოსათვის თავდადებულთა მაკურთხებელს, რომლის ნაანდერძევიც ხორციელდება და ცხადდება. დიდი პოეტისაგან მომდევნოთათვის გადაცემული აზრებით აღჭურვილი არწივ-ქორებსა ჰგვანან და ლომი ტარიელივით ნესტანისათვის თავსა სწირავენ, ივერიის დიდების სახელი შორს გააქვთ. ჩასაქოლად განწირული ხალხი აღსდგა და ცამდის ამაღლდა. რუსთაველის აზრთა ხილრმე ჰკვებავს მისი ქვეყნის ცხოვრებას, მისგან თქმული სიბრძნით აღჭურვილია მისი შთამომავალი და ვაჟა-ფშაველას უხარია, რომ ისიც შოთა რუსთაველის ნაშვირია.

დავით გურამიშვილს პირდაპირ მიმართავს ვაჟა-ფშაველა და წინამორბედს უწოდებს, ნამდვილ მამულიშვილს, სამშობლოს ეკლის მკაღვას.

„შენ, ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!
შენს აჩრდილს ვეამბორები,

ლექსიკ რამ დამიჩხაპარ...
შენის ცრემლებით ზოვხარზე
ჩემის გრძნობების ფაფაო."

რაფიელ ერისთავისა ვაჟა-ფშაველას მოსწონდა ლექსების ნაერთო კილო, მის ფშავეურს რომ ემსგავსებოდა. აკი რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზე ვაჟა-ფშაველამ 1901 წელს დაწერა:

"ეურთხულიმც ხარ სულითა,
ღმერთმა გიკურთხოს ჭაღარა,
მთა-ბარს გულს აუჩქროლებდა
შენი ხმა, შენი ნაღარა,
სამშობლომ ხეესურისაჲ
ყველაის გული დაღალა..."

აკაკი წერეთელი ვაჟა-ფშაველასათვის იყო მშობელი ქვეყნის მოზარე, მისი ჭირის გამზიარებელი, საქართველოს წყლულების გამგები. შენმა ტირილმა მეც ხშირად ამბტირაო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მე და შენ ერთი საგანი გვაქვს საფიქრებელი, ორივეს ერთი სატყფარი გვაწუხებსო. რადაგან აკაკი წერეთელიც იგივეს გრძნობდა და განიცდიდა, რასაც ვაჟა-ფშაველა, ხოლო გრძნობისა და განცდის საბაზი იყო სამშობლო, ამიტომო, მიმართავდა ვაჟა-ფშაველა აკაკი წერეთელს:

"ნეტაი, ბუერი გაზარდოს
შენისთანეზი დედამა!..
რომ მიყვარს ნამულეშვილი,
დაე იცოდეს ყველამა
გადაგვარების მოსურნე
შაკამოს ტურა-მელამა!..
მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ღენამა —
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა..."

ილია ჭავჭავაძე ვაჟა-ფშაველასათვის სულ სხვა რამ იყო, სხვა ფასი და ღირებულება ჰქონდა. თვით ვაჟამ აღიარა, — როცა პოემა „მოხუცის ნათქვამს“ ეწერდი, ილია ჭავჭავაძის „ღიმიტრი თავდადებულს“ ჰქონდა ჩემზე გველენა, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლიტერატურის ნაწარმოებსო. 1907 წლის ტრაგედია დაწერიდა ვაჟა-ფშაველას ლექსი „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“, ზადაც სიზუსტით არის დახა-

სიათებული ილია ჭავჭავაძის ადგილი ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან, გამოთქმულია ღრმა მწუხარება იმ ადამიანის დაკარგვის გამო, რომელმაც საძირკვლად აზრი ჩააგდო და ზედ გრძნობის ტაძარი ააშენა სამშობლოს გასაბრწყინებლად. არაგვის ნაპირებზე დაინთხა სამშობლოს ყარაულის სისხლი.

„ვერაფერს ვიტჯვი, ენა სღუმს,
თაუზე დაგეჩხაეის ყორანი,
გალმა გასელისა მსურველთა
უქულნა მიგეყავს ბორანი;
გავეიბატონდა, მგოსანო,
სირეგვენ შეუწონარო.“

ი. ჭავჭავაძის სიკვდილს მიუძღვნა მან წერილი „ვერ მოჰკლეს!“.
მისი ცხედრის წინ ნათქვამ სიტყვაში მან თქვა: „დიდო მგოსანო!
ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს. წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა,
რომ შენ მიერ აფრიალებული ღროშა არ დაეწიოთ დაბლა, არამედ
ევი გვეჭიროს მადლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაან-
დერძებ იდეალებს — ძმობას, ერთობას, თავისუფლებას და სიყვარულს
მტკიცედ, შეუდრეკლად. ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაი-
ვიწყებს საქართველოს და სხვა გმირებთან ერთად დაჰხედავს, ათას-
ში ერთხელ მაინც გაიგოს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, — გავიზარდენით,
ავმალლდით, ავმალლდით თუ დავეციოთ უარესად და დავეკინდით...“

1909 წელს კვლავ შეჰფიცა ვაჟა-ფშაველამ ი. ჭავჭავაძის ხსოვნას:

„ნუ ეკობ, მაინც შენი ვარ,
ვიდრე სულს ვლაფავ ტანჯულსა,
მანამდე სამუდამოდა
ჩემს შუეს არ ნახავ ჩასულსა,
მაშინაც ვერ მომიშორებ
შენს გულს და გონში ჩაქსულსა,
ნუ ფიქრობ, ტანჯვით ცხოვრებამ
მომიკლას შენი ტრფიალი...“

ჟადგილო არ იქნება ვაჟა-ფშაველას ოჯახის წევრებისაგანაც მოვისპინოთ, რა დამოკიდებულებაში იყო იგი ი. ჭავჭავაძისთან. მეუღლეს და შვილებს თვით ვაჟასაგან მოუსმენიათ, ან დაუნახავთ ის მოწიწება, რასაც ვაჟა ი. ჭავჭავაძის ხსენებისას გამოხატავდა.

თამარ რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას მეუღლე:

„ილია ჭავჭავაძის დაკარგვას მისტიროდა ყოველთვის: რა კაცი დავლუბეთ, რა კაცი მოგვკალითო...“

თამარ რაზიკაშვილი - ბეწუქელი, შვილი: „მე მგონია ვაჟის მშობლები ისე არ უყვარდა, როგორც ილია. ეს მისთვის ყველაზე ძვირფასი სახელი იყო სამშობლოს შემდეგ. მას ის საკუთარ მამად სთვლიდა და ალტაცებით გველაპარაკებოდა მასზე, ხშირად ზეპირად წაგვიკითხავდა ადგილებს „აჩრდილიდან“, „განდეგილს“ და გვინერგავდა გულში მის ღრმა სიყვარულს, როცა ილიას საზარელი მკვლელობის ამბავი შეიტყო, მწარედ აჰკვითინდა და თბილისისაკენ გაეშურა“.

ვაჟა-ფშაველა ყოველთვის მზად იყო სულიერი კავშირისათვის ი. ჭავჭავაძესთან, ეამაყებოდა მის ეპოქაში ცხოვრება და შემოქმედება, ეთაყვანებოდა მას, როგორც მეთაურს, მასწავლებელსა და გზის მიმმართველს.

ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა

„გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის საკუთრებაა, როგორც მეცნიერება“.

ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

ვაჯა-ფშაველას, როგორც პიროვნებას, ინდივიდს ჰქონდა სამშობლოში საკუთარი ხატი, რომელსაც ეთაყვანებოდა და რომლის სიყვარული ამოქმედებდა მის კალამს, მის ნიჭს და მის კაცობას საერთოდ. სათაყვანებელი სამშობლო იყო მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი, მისი ბედი პოეტმა ადრევე გაისიგრაძეგანა, ჭაბუკობაშივე გაეცნო მის წარსულს, მისი აწმყოს მომღერლად იქცა და მომავალი ბედნიერების მსურველი მიეხარა თავისი ქვეყნის შიწას.

ვაჯა-ფშაველაზე ამბობდნენ, ვითომც განზე ყოფილიყოს გამდგარი ქართველი ერის ცხოვრების მიმდინარეობისაგან, ვითომ ვიწრო სახედველი ჰქონდეს ამორჩეული ფშავში ჩაკეტილს და საერთოდ სამშობლოსათვის ყური არ ეგდოს. ერთხელ ისიც კი ითქვა, რომ ვაჯა-ფშაველა ჩამორჩენილი აღამიანი იყო იმდენად, რომ მის ღრობს ქვეყნიერების საქმეებს თვალს ვერ უსწორებდაო. ამიტომაც ჩაიკეტა მთის, კერძოდ ფშავ-ხევსურეთის ზეობებში და იმის იქით არც არაფრის დანახვა უნდოდა და არც არჩევდა რამესო.

საერთოდ ვაჯა-ფშაველაზე, მის შემოქმედებაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. ბევრმა უარა ირგვლივ შისი შემოქმედების ციხე-დარბაზს და იშვიათად თუ ვინმე მიაღწევდა მის სიმაღლეს, მის ბრწყინალებას და იმ საოცარ არქიტექტონიკას, რაც ამ ციხე-დარბაზის ლიბოში იყო ჩადებული.

ვაჯა-ფშაველას სახით ჩვენს წინაშე დგას ადამიანი, შეგნებული

ცხოვრების დასაწყისიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდის დაისრულდა სამშობლოს ვითარებით, გამომხატველი კაცობრიობის გულსტიკივლისა. ვაჟა-ფშაველას პოეზია ამოზიდულია ქართული მთიანეთის, ქართული ლიტერატურის წიაღიდან და გამსჭვალულია კაცობრიობის ცხოვრების გაუქვთესების სურვილით, იგი აღსავსეა მაღალი კაცთმოყვარული იდეებით, იგი ადამიანობისა და კაცობრიობის უმაღლესი დანიშნულების მქადაგებელია.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის ხალხურობაში, როგორც შემოქმედების უმაღლეს და უნატიფეს ღირებულებაში, ბევრმა მისმა შემფასებელმა მხოლოდ ქართული მთიანეთის ხალხური შემოქმედების ანარეკლი და გამოვრება დაინახა და ვერ შენიშნა ის სრულიად ორიგინალური პოეტური ხმა, რაც მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ახასიათებდა და რაც ხალხურზე დაყრდნობით და მისი გამოყენებით ატანალი იყო მეტად მაღალი, ორიგინალური პოეტური აზროვნებისა და ძლერადობის რეგისტრამდის.

ვაჟა-ფშაველას მკვიდრო კავშირი ჰქონდა თავისი სამშობლოსთან და ერთან, მის ჰქონდა გამომუშავებული მოქმედებისა და მოღვაწეობის პროგრამა, რისთვისაც გზიდან არ გადაუხვევია. ვაჟა-ფშაველას აზრით, პოეზია შუამავალია ცასა და ქვეყანას შუა და მისი დანიშნულებაა ქვეყნიური ცხოვრების მოწესრიგებისათვის ზრუნვა და სამსახური.

ვაჟა-ფშაველას ნაწერები დიდი პოეტური აზრისა და ფორმის ნაჭრითა, ფიქრისა და სამყაროს შეცნობის შედეგია. მის შემოქმედებაში ზოგად-საქაცობრიო და ყოველდღიური ამბები, მოვლენები და ურთიერთობანი მაღალი პოეტური გზნებით არიან აღბეჭდილნი. მიზი შემოქმედების ანალიზი გვიჩვენებს განუყოფელი და თვითმყოფ პოეტურ ფაქტებს, მათი თქმის ორიგინალურ ხერხებსა და საშუალებებს, სიმარტივეს ლექსიკური მასალისა და სიდიადეს ქართული პოეზიისა.

ერთი ხელის დადება სოფელი ჩარგალი, სადაც დაიბადა ლუკა რაზიკაშვილი. ლუკა აღიზარდა ფშავეური ტრადიციებითა და დაუწყა ჩილი წესებით, საუკუნიდან საუკუნეს რომ გადმოეცემოდა. ეს ტრადიციები დამყარებულნი იყვნენ მისი მშობლების ოჯახშიც, მის დროის საზოგადოებაშიც... ცარგვალის შეცნობის შემდეგ ლუკამ თანდათან გაიფართოვა ცოდნა. პირველმა მასწავლებელმა, მისმა მამამ, მაშინ დიაკვანმა პაულე რაზიკაშვილმა, ლუკას ანბანი შეასწავლა, დედამ — გულქანმა, იგი აზიარა, ფშავეურ ხალხურ შემოქმედებასა და

ფხიკლანთ პარასკევას ლექს-შაირებს. გორის საოსტატო (სამასწავ-
ლებლო) სემინარიაში სწავლა მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ყოფი-
ლა, რადგან ვაჟაკობაში ფეხმედგმულმა ლუკამ აქ გამოიჩინა სურ-
ვილი სხვადასხვა ხალხის მხატვრული ნააზრევის გაცნობისა და შეს-
წავლისა. გორში სწავლისას ლუკა გაეცნო და დაუახლოვდა მასწავ-
ლებლებსა და გორელ მწერლებს — ნიკო ლომოურს, ანტონ ფურცე-
ლაძეს, მიხეილ (მიშო) ყიფიანს, არისტო ქუთათელაძეს, სოფროშ
მგალობლიშვილს, სემინარიის დირექტორს დიმიტრი სემიონოვს, რომ-
ლის პედაგოგიური პრაქტიკა უშინსკის პედაგოგიურ სისტემასთან იყო
დაკავშირებული. მათმა რჩევამ, თბილმა მოპყრობამ და სიტყვამ
ახალგაზრდის გონება შემოქმედებისა და სამყაროს დამოუკიდებლო
წყდომისაკენ მიმართეს.

ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა „შელის ნუკ-
რის ნაამბობით“ და იმ დღიდან ქართულ ლიტერატურულ კრიტი-
კასა და ქართული ლიტერატურის შესწავლას ვაჟა-ფშაველას სახე-
ლი აღარ მოსცილებია. ვერც მოსცილდება, რადგან ვაჟა-ფშაველას
პოეზია მტკიცედ არის დაკავშირებული საქართველოსთან და ნათელ
საკაცობრიო მისწრაფებებთან!

თანდათან აღიოდა ვაჟა-ფშაველა ქართული პოეზიის საფეხურებ-
ზე და უახლოვდებოდა მხატვრული აზროვნების იმ მწვერვალებს,
რომელთაც იგი ეთაყვანებოდა და თავის დიდ წინაპრებად თვლიდა...

1915 წელს, ვაჟა-ფშაველას დასაფლავების შემდეგ ჩარგალში,
პოეტის სახლთან ის მოტირალნი მივიდნენ თურმე, რომელთაც თბი-
ლისში ჩამოსვლა ვერ მოეხერხებინათ მის დასაფლავებაზე. ვაჟას
ჩოხა და ხანჯალი ელაგა დასატირებლად სახლის წინ. ჩარგელ ქალს
— ბეროთ ნათელას დატირებისას უთქვამს: „ეს თუ არი ჩვენი ლუკაი,
ბადალი მთელი ხმელეთისაო“. რა იცოდა ბეროთ ნათელამ 1915
წელს, რომ იმ დღიდან ოთხი ათეული წლის შემდეგ ცივილიზებულ
სამყარო წარმოსთქვამდა ვაჟა-ფშაველას, მხატვრული აზროვნების
დამამშვენებლის სახელს.

ვაჟა-ფშაველას ქებას სრული საფუძველი აქვს, რადგან, პოეტისა
არ იყოს, „კენტი ხარ, აბა ტოლი ვინ არი?“ (ი. გრიშაშვილი), რადგან
„სულ მარგალიტად ქცეულა, რაც ვაჟას ცრემლი სდენია“ (გ. ლეონი-
ძე), რადგან არ შეიძლება „დამშვიდება და ვაჟა“ (გ. ტაბიძე). ამიტო-
შაა იერომირ იედლიჩკას, ჩეხი მეცნიერისა და ქართველოლოგის
აზრი მნიშვნელოვანი: „მსოფლიო პოეზიაში ცოტაა ისეთი პოეტი,
რომელიც გაუტოლდებოდეს ვაჟა-ფშაველას. ასეთი პოეტი მხოლოდ

კავკასიონის მწვერვალებთან უნდა დაბადებულიყო“, აგრეთვე აზრო-
რუმინელი მწერლის ვიქტორ კერნბახისა: „თავისი ხალხის წალიდან
გამოსული ვაჟა-ფშაველა დასტიროდა მშობელი ხალხის მაშინდელ
ბედს, მაგრამ იბრძოდა ახალი ბედისათვის. აი, რაშია ვაჟას სიღაღღე-
აი, რატომ არის იგი საამაყო არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არა-
მედ მთელი მსოფლიოსათვის“.

1895 წელს, კრწანისის ბრძოლის ასი წლის თავზე, ილია ჭავჭავა-
ძემ „ივერიაში“ წერილი დაბეჭდა სამშობლოსათვის თავდადებულ
გმირთა და მათი მეფის ერეკლეს მოსაგონებლად. წერილში ილიამ
დაახასიათა საქართველოს უკანასკნელი ომი და მის მონაწილეთა შე-
სახებ თქვა: „ყველა იქ მყოფი ჰკრძნობდა, რომ იმდღევანდელი გა-
მარჯვება თუ დამარცხება უქმად არ ჩაუვლიდა სამშობლო ქვეყანას-
ყველა ჰხედავდა, რომ იმ დღის გამარჯვება მარტო მოგებახ ომისაჲ
არ მოასწავებდა ვაჟაკათა თავმოსაწონებლად, არამედ ხსნას ქვეყნისა
წარწყმენდისა და დამხობისაგან“. ამ წერილის საილუსტრაციო მა-
სალად ი. ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილის პოემასთან ერთად გამოყენე-
ბული აქვს ვაჟა-ფშაველას პოეზიაც და ბარათაშვილის დარად მსაც
ეყრდნობა კრწანისის ეპოპეის ასაწერად.

ვაჟა ფშაველა არასოდეს არ ყოფილა დამშვიდებული და უზრუნ-
ველი. მან შექმნა მარტივი და უბრალო, ეული და ობოლი პოეტური
სიტყვა და იმით გავიდა ღიდ ასპარეზზე. ამ სიტყვაზე წერდა პოეტ-

„სიტყვა გადვადე ერშია.
სიტყვა, რას სიტყვა? — ეული,
ტანჯულის გულის ნაცრემლი,
ვარპით ნაკევი, სნეული,
გულგამირული, ბეჩავი,
თავს მანდილჩამოხეული!
ასე წვა-დაგვით გაზრდილმა,
რას ვიფიქრებდი, იხარა...
წვერს მარგალიტი მოისხა,
ტანი ზურმუხტით იფარა,
ნთელს ქვეყანაზე სხივსა ჰფენს,
როგორც ცამ გამოიღარა,
დაბრძანდა ოქროს ტახტზედა,
ვით მეფე, ქვეყნის მპყრობელი:
ისაა ქვეყნის ნუგეში,
იმას შეჰხარის სოფელი:
მე ჩემთვის ჩუნად ვცენი.
მისი კეთილისმყოფელი

ვიცინი... იმას, ქვეყანას,
ან რა საქმე აქვთ ჩემთანა?
მახარის, ჩემმა გაზრდილმა,
რომ ბინა ჰპოვა ერთანა, —
ერთმა საწაღმა სატყვემა,
ბოროტ ქაცთაგან წყუელმა,
ბეჩაუმა, ცრემლით ნაბანმა,
თავს მანდილჩამოხეულმა...“

ამ იული მაგრამ სიბრძნით ნაგები და პოეზიით აღსავსე სიტყვით
ავიდა ვაჟ-ფშაველა მალლა... „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდგე...“

ლუკა რაზიკაშვილის წინაპრები გამორჩეული ადამიანები ყოფი-
ლან; მათი ხსოვნა დიდხანს ინახებოდა ხალხში. ლუკას პაპის მამამ,
პაპამ და მამამ თანასოფლელთა პატრისცემა მოიბოვეს გონიერებითა
და თავდაპერილობით. იმედი რაზიკაშვილი, ვაჟას წინაპარი, ჰკვიანი
კაცი ყოფილა. ამასთან ჯიუტიც. „შენ ორი მითხარი, მაგრამ მესამე ჩე-
მიც დიიჯერო“, — შეუბედია მას ერთხელ მეფე ერეკლესათვის. იმედი
ლუკებთან შერკინების არც ერთ შემთხვევას თურმე არ გაუშვებდა. პირ-
ველი დაძახებისთანავე თავისი თეთრათი ვაეშურებოდა. იმისი ცხენი
ხშირ ტყეში მთვარის გამოჩენას ჰგაედაო. იმედის ვაჟი ბერო ჯა შვი-
ლისშვილი გივი ყოჩალი და ღონიერი კაცები ყოფილან. სიტყვა ტინივით
მტკიცე და დაურღვეველი ჰქონიათ. ბერომ სიცოცხლე ცხვარში —
დარში თუ ავდარში ყოფნით აასრულა. გივის სამი ვაჟი ჰყოლია.
უფროსს-ბეროს, თავგამოდებულ მონადირეს, სახლში ჯდომა არ ჰყვა-
რებია, ტყე-ღრეში დასდევდა ნადირს. მეორე შვილი იყო პავლე —
ვაჟას მამა, მოუსვენარი და თანასოფლელთაგან იშვიათი საქმიანობით
გამორჩეული. მან დიაკნობა ირჩია, შემდეგ მღვდლად ეკურთხა. იგი პა-
ტიოსანი მრჩეველი და დამრიგებელი ყოფილა და ხალხსაც შეუყვარებია
და პატივცემული იყო. ბავშვობაში, მწყემსობისას, უბით უტარებია
წიგნებ. სახნავშიც არ იშორებდა: ერთხელ მამამ, გივი რაზიკაშვილმა
უდროთ დროს წაასწრო კითხვაზე და გაუწერა. პავლე კახეთს გაქცე-
ულა, იქ სადღაც ბერებს შეკედლებია. მამასთან უთანხმოებამ პავ-
ლეს სხვა გზა აარჩევინა. მალე მალაროსკარში დიაკნობა მიიღო.
ბოლოს ჩარგალში მღვდლად მსახურობდა. გაიხდიდა მღვდლის ტან-
საცმელს და დაატრიალებდა ნამგალს ბალახისა და ქერის მკაში. იგი
არც ძენწი ყოფილა და არც ხარბი. ლუკმა პურის ძებნაშიც თავისე-
ბური იუმორი შეჰქონდა, მის თაროზე ერთად იდო ქართველ კლასი-
კოსთა წიგნები, ნათარგმნი ისტორიული რომანები, სახარება და საან-

გარიშრო, რომელსაც საღამოობით აჩხაკუნებდა დე შემოსავალ-გასავალს აჯამებდა. იგი თავის სამწყსოსათვისაც ზრუნავდა, ანათლებდა მას, ებრძოდა ცრუმორწმუნეობას, უყვარდა სხვადასხვა ჭვეყნებისა და იქაური წესების აღწერათა კითხვა.

ლუკა რაზიკაშვილის დედა — ბარბალე, რომელსაც შინაურობაში გულქანს უწოდებდნენ, გონიერი ქალი იყო, მშვიდი და მეოცნებე, სიყვარულითა და სიბრალულით აღსავსე გული ჰქონდა, იგი მთელი არსებით უთანაგრძნობდა გამოგონილ ამბავთა თუ გადმოცემათა გმირებს, ცოცხალი ადამიანებივით ეცოდებოდა ისინი და ცრემლსაც კი ღვრიდა მათ უბედურებაზე.

გულქანის ნათესაობაში რამდენიმე სახელგანთქმული მოღვესე იყო, რომელთა შორის პარასკევა გაბიდოური ყველაზე სახელოვანი ხმის პოეტად ჩანდა ნიჭითა და ენაწყლიანობით. ფხიკლანთ პარასკევას ლექსებს ფშავსა და ჭევსურეთში ხშირად იტყოდნენ.

გულქანისა და პავლეს შვილებმა დედისაგან მგრძნობიარე წარმოსახვა და გულის სიუხვე იმეყვიდრეს, მამისაგან კი — აზრიანობა, დაკვირვებულება, და სიცოცხლის სიყვარული. ამ გრძნობათა ნაერთმა სამი პოეტი მისცა ერს — ლუკა, ნიკო და თედო.

როცა ლუკამ კითხვა ისწავლა, მამის თაროს შეეჩვია. მისი საყვარელი წიგნები ყოფილა „მზეჭაბუკისა და ჭიშმედის ამბავი“ და „ვეფხისტყაოსანი“. ზოგ საკითხავ წიგნს ლუკა მეზობლის ბიჭებში შოულობდა, რომელთაც ხშიადთან ერთად წიგნიც ეღოთ აბგაში, როცა საქონელს აძოვებდნენ. პავლე მღვდლის ბიბლიოთეკა ბატარა იყო და თანაც კრელი. ქართლის ცხოვრებასთან ერთად ვიქტორ ჰიუგოს და ჟორჟ სანდის რომანებაც ჰქონდა, სახარების წიგნთან ი. ქავკავაძისა და ა. წერეთლის ნაწერებიც იღო თაროზე. თხზულებებში ასახულ ამბავთა დრო ერთმანეთში იყო არეული. ჰიუგოს მიერ დახატული პარიზი არანაკლებ ზღაპრული იყო მზეჭაბუკის ამბავზე.

ვაჟა-ფშაველა თავის ბავშვობის გახსენებისას იტყოდა: „ბედნიერი დღე იყო ის ჩემ სიცოცხლეში და ესე ვერ მოვიგონებ, ერთხელ მაინც არ ამოვიხსნო“. ბავშვობა იქცა საძირკველად ჩემი შემოქმედებისათვის, — ამბობდა იგი, — აღრეული ბავშვობის დრო გმირული გადმოცემებით, მონადირეთა თავგადასავლით, ბუნებასთან სიახლოვით.

ლუკამ სამ სასწავლებელში ისწავლა: თელავის სასულიერო სასწავლებელში, თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსამზადებელ საქალაქო სასწავლებელში და გორის სამასწავლებლო სემინარიაში.

1879 წელს, სემინარიაში შესვლის წელს ლუკამ დაწერა პირველი უთნოგრაფიული ნარკვევები: „წერილები ხევსურეთიდან“, „ფშავის ხევიდან“, „სოფელი ხახმატი“. ეს ნარკვევები გაზეთმა „დროებამ“ დაბეჭდა.

ლუკამ საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ლიტერატურა, გაეცნო ანტიკურ ფილოსოფიას, ყურადღებით წაიკითხა პლატონი, გაიტაცა ეპიკურემ, სწავლობდა დრეპერს, სპენსერს. გოეთეს „მცენარეთა მეტამორფოზამ“ განაცვიფრა, წაიკითხა „ფაუსტი“, შემდეგ დანტეს „ლუთაებრივი კომედია“, გაეცნო მილტონის, შექსპირის, ბაირონის თხზულებებს.

ვაჟა-ფშაველას პირველი ლექსები ქურნალ „იმედში“ და გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ისინი დათარიღებულია 1878—1881 წლებით. სიჭაბუკოს ლექსებში ჭერ არ ჩანდა ვაჟა-ფშაველას ხელი, თუმცა შემოქმედებითი ინტერესები უკვე ჩანს, პოეტის სამოღვაწეო პროგრამა ფკვეთება. ამ ლექსების ენა მწიგნობრულია და ფორმაც ჭერ არ არის ჯამომუშავებული. იგი წერდა, რომ მოწაფეობაში ბევრი იცოდა ფშაველას და ხევსურული ლექსები, რომ ამ კუთხეთა მცხოვრებლების კილო უყვარდა და მის გულში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. შამინაც ვწერდი ლუქსებს, მაგრამ საერო კილოზე ვერ ვბედავდი, რადგან ლიტერატურაში მიღებული არ იყო, ხოლო როცა ქართულ პოეზიაში რაფიელ ერისთავმა ხალხური კილო დაამკვიდრა, მეც გაბედულეზა მომემატაო.

როცა ვაჟა-ფშაველას ცხოვრების პირობებს წარმოვიდგენთ და თვალს გაეაყოლებთ მის ყოველდღიურ ყოფას, აღსაესეს მრავალი უსიამოვნებით, შევიწროვებითა და გაჭირვებით, შეიძლება წარმოვიდგინოთ ის გმირულ-ვაჟკაცური შემართება, რის შედეგიც არის საოცრად ღრმა და თვალმიუწვდენელი მისი პოეზია. გასაკვირველია, როგორ შესაძლო მეტად პრიმიტიულ პირობებში არა მხოლოდ ფიზიკური არსებობა, არამედ შექმნა თავისი პოეზიისა. ძლიერ ხშირად მას შესაძლებლობა არ ჰქონდა უზრუნველყო ოჯახი, შვილებისათვის მიეცა მინიმუმი იმისა, რაც საჭირო იყო მათი სწავლა-აღზრდისათვის, ხშირად მას საშუალება არ ჰქონდა ნავთის სანათი ან სანთელი ჰქონოდა ზამთრის გრძელი ღამეების შესამოკლებლად. ხელმოკლეობას უჩიოდა ხშირად ვაჟა-ფშაველა. მიუხედავად ამისა, ნაკადი მისი შემოქმედებისა არ შეწყვეტილა უკანასკნელ ამოსუნთქვამდის.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ინტენსივობა ზღვის ტალღათა მოქცევა-უკუქცევასა ჰგავს, ტალღათა შეუკავებელ მოძრაობას. როგორც

ეს მოძრაობა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც ხან უხვია, ხანაც შე-
დარებით მცირე.

ახალგაზრდული აღმაფრენა განსაკუთრებით მღელვარე იყო. 1885
წელს ვაჟა-ფშაველამ რამდენიმე ლექსი და საკმაოდ ბევრი საგაზეთო
კორესპონდენცია დაწერა. უცბათ, თითქოს მზემ დააცხუნა და თოვ-
ლი ლანჩქრად წამოვიდაო — ასეთი იყო მისი შემოქმედება 1886 წელს.
სასიყვარულო ლირიკის რამდენიმე ნიმუში შეიქმნა ამ დროს, სისხლ-
სავსე, იმედიანი, ხან შმაგი, ვაჟკაცური ვნებით აღსავსე. მისი სასი-
ყვარულო ლირიკა უშუალო გაგრძელებაა ფშავეური ხალხური სასი-
ყვარულო პოეზიისა, მაგრამ უფრო რთული. მის ლექსებში სიტყვის
მალალი კულტურა ჩანს უკვე და ამით განსხვავდება ხალხური წინა-
მორბედებისაგან.

მთის ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, რომელიც სიყმაწვილი-
დანვე შეიწოვა ვაჟა-ფშაველამ, მრავალი თემა არის დამუშავებული
და აღბეჭდილი მალალი მხატვრულობით. მალალი ხალხური მორალის
მატარებელია და-ძმობის ფიცი. ქალი ნამდვილ დობას გაუწევს ძმო-
ბილს, თუ ვაჟმა ამ გრძნობას მოუარა, მისი კაცობა საქვეყნოდ ითქმის.
ქალი სიყვარულს უმღერის და თავსაც გასწირავს სიყვარულისათვის.
თუ იგი ბრძანებს, ვაჟი წყალშიც უნდა გადავარდეს და ცეცხლსაც
უნდა მისცეს თავი. ხალხურ ნაწარმოებში აზვთებულები სიყვარულია
ჯამოხატული და იგი თავისი ხმით რბილი ემოციების ქლერადობას
ახშობს. ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ თემაზე შექმნილი ლექსები
„ირმის მყვირალობას“ ჰგავს. ვაჟა-ფშაველა ადამიანის ამ გრძნობას
მთელი სირთულითა და სიღრმით გამოხატავს, მაგრამ ზომიერებასა
და ტაქტს იცავს, თავშეკავებულია სიყვარულის გამოთქმაში. ამ ლექ-
სებში („ისევ შენ, ისევ, ქალაო“, „მწყემსი ქალი“, „ეს გაზაფხულიც
შოვიდა“, „მწყემსის სიმღერა“, „რამ გაგაჩინა, ქალაო“, „თუ მამკლავ,
ჩსევ შენ მამკლავ...“) პოეტი არ გაუბრბის არც მგზნებარების ჰიპერ-
ბოლიზაციას, არც სენტიმენტალურობას და ზოგჯერ ირონიასაც მი-
მართავს.

ხუტუქთმოან ლამაზმანს ჩასძინებია:

„ნეტავი გამაგებინა,
რა გესიზმრება, ლეთიანო?...
ფეხთ ქალამნები აციო,
ტანთ კაბა გაცვეთილიო,
თავი უღვია მკლავზედა,
უჩანს თითები თლილიო.“

თუმც დალილს დასძინებია,
მითც სუნთქვა მესმის ბთხილიო,
ზურგზედა გულა კიილიო,
თავით კობალი უძევსო“.

ეს სურათი მწყემსი ქალისა ზეცის მიმართ დადადისში გადადის,
ვაჟა-ფშაველა მთლიანად ბუნებას, ხეებს, წყროებს მიმართავს „ე.გო-
გო — ჩემი სიცოცხლე არაფრით დამიზიანო“.

ქალს სიყვარული აკრთობს და წასვლით იმუქრება:

იტყუილად ჰფრთხები, ქალო,
კიდეუ მოალის ზაფხული,
მოგანდომებენ ჯალაფნი,
ჩემთან იქონო სულ-გული.
როცა გებუვიან, ქალთა-მზევ,
აღუ, გარეუე ცხვარიო,
საშუბის ყელებს უმარჯვე,
არ დაანებო თავიო,
მეუ იქ დაგვხვდები ფოცხვერა,
გაკრული გორის პირადა,
მალუ გაგოწყვეტ საკინძსა,
ჩაგეტოლები ძნელადა,
ცხვარს ვინდა უგდებს მაშინ ყურს,
თუნდ ტყეც-ყო იქცეს მგელადა?!”

ეს ცრემლებად დაღვრილი გულის სიმღერებია, როცა გაზაფხულში
აა ამოდის და თიბვისას ხარ-ირემი ბლავილით მოუწოდებს სწორს-
უშუალო, პირდაპირ-მიმართულ გრძნობას გამოთქვამს იგი „სამეფო-
სიმღერაში“. ბუნების შვილთა შორის მიმართებაში არავინ ერევა,
თვით განიცდიან სიახლოვეს და სისპეტაკეს და მიმართვის ფორმა-
ცა მამკვირვალე და წრფელია:

„ქალო, ვნახე ფეხშიშველა,
გამოჰგოგდი ეზოშია;
გენაცვალე, კაკაბს ჰვეანდი,
მოსეირნეს ფერდობშია.
ვისი ძუძუ გიწოვინია,
იისა თუ ვარდისაო!
გენაცვალე, შავ-თვალ-წარბავ,
გულა ჩემის დარდისაო!
გამოგონე, სად მირბიხარ,
შე უჯიშოს გვარისაო?!”

შენ თუნდ ფრჩხილიც ნუ აგტკივა, —
სიკვდილს მიეცემ სიცოცხლესა
ერთხელ კიდევ დაშინახე,
ღმერთი დედას გიცოცხლებსა!..

სიყვარულის საბედისწერო ძალაც გალექსა პოეტმა. შეყვარებულთ ვაჟკაცის განწყობილება დახატა ლექსში „ფშავლის სიყვარული“ — წმილასავით წვრილა, ტან-მომცრო ქალმა, ლაშარში ნახულმა, თვალი თვალში გაუყარა და ვაჟის გულის საფარი გატეხა. აქამდე ბიჭი ამბობდა, ჩემი გულისთქმა ჩემი ნებააო, მაგრამ, ასე არ მოხდა. იმ ტან-მომცრომ გულში ალი დაუნთო ფშაველს, მერე კი სადღაც გადაენტხვია უკვალოდ, „ღმერთმა დასწყევლოს დიაცი, მემრე — ლამაზი ქალიო“. უხანჯლოდ დაქრილი შუაქაცებს უგზავნის, თან ემუდარება: „ქალ, ნუ მიმირბი შორადა... გული გამხდია ორადა, რად დამქერ, თუკი მორჩენით არ გამიხდიდი მონადა?“ ერთი გზალა დარჩენია ზაზულიაი ხარს, წავა და სადაც ხევში საკრეფი წყალია, იქ ჩამოვიღის. თინიბეჟაის ქალი, გადაუხტება გზაში, ცხარე სიტყვას ესვრის, გიშრის ნაწნავს დასტაცებს ხელს, გულს ხანჯალს დააბჯენს, ცხენის გავაზე მოიგდებს მწარედ ატირებულს, შუალამისას ჩარგალს ჯვარს დაიწერს. და „მემრე მოიღეს სადაოდ თუნდა ოსმალოს ჯარიო, — ქალს არვის წააყვანინებს ზაზულიაი ხარიო!“

ვაჟა-ფშაველას ლექსები აღსავსე იყო ახალგაზრდული ბედნიერებით, სიძლიერით და გარეგნობითაც!

წარმტაცი სიყვარულის გრძნობას შეანელებდა ხოლმე უსამართლობა, უუფლებობა, სიღარიბე, რომელთა დაძლევა არ იყო იოლი. სულ მცირე სურვილი ჰქონდა მას — თავისუფლება და მოცალეობა, მაგრამ ეს მცირედიც ხელიდან წაუვიდა, კომმარტული ძილი ჩამოღვა, ხევებში ნისლი ჩაწვა, ერთმანეთზე მიქადლებულ-მცურდნობილი მთები განზე დაყრილან, ცას მთვარეც გასწყრომია, ხევის ხზრიალა წყალსაც სული ამოხდა, ორბნი და არწივნი და სხვა ფრინველნი მთების კლდიან ლოგინს შეჰკედლებიან და სძინავთ, შავი მანდილით შეკრულ ხეებესა და მთის ყელებს ნელ-სხივები გველების მსგავსად მისდევინ. აღარც ცეცხლი ანთია სადმე და არც გულშაგები ჩანან. ვარსკვლავები მთის წვერებს ნანას ეუბნებიან: „თქვენს მტერსამც მაჰკლავს სიკვდილი, ყელშიც დასცემენ დანასა, თქვენს მეტი არვინ გვიამბობს ხმელეთის, წყლეთის ამბავსა...“ ეს ვითარება ვაჟა-ფშაველასათვის გაუგებარია, ეს თავისებურ პარმონია ძილისა, როცა ცაზე ვარსკვლავნიც კი ქრებიან, მიწაზე კი მთის თავები მკვდართა სულების

შსგავსი ნიღბებით იფარებიან, სრულიად გაუგებარი და გაუგონარი ამბავია — „ალაჩა გამიგია რა აქ გასაველი გზებისა!.. მთათ სძინავთ, არ იღვიძებენ, შიში არა აქვთ მტრებისა!..“

ვაჟა-ფშაველას ეს უშფოთველი ძილი აღელვებდა.

სწორედ ამ ხანებში დაიწერა „არწივი“. ეს ლექსი უყვარდა პოეტს, ძიამოვნებითაც წარმოსთქვამდა. მსმენელთაც უყვარდათ იგი და, კარგადაც ესმოდათ დაქრილი არწივის კენესა.

„არწივი ვნახე დაქრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა,
ცალ მხარს მიწაზე მიითრეეს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ ღროს ჩაგიგდაეთ ხელადა,
თორო ვნახავდით თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!“

ამ „ცუდ ღროშიც“ ვაჟაკად რჩება არწივი, ეგაა ახლა დაქრილია და არა იმედ-გადაწურული. „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე :შადგომა“...

წინ არის წამოწეული ვაჟაკობის თემა ლექსში „გიგი“. იგი ხალხისა, ოჯახისა და თავისი ცხენის საუბედუროდ დაიღუპა. როცა მის ამბას — თინიბექს აცნობეს გიგის სიკვდილი, გულზე მჭილი დაირტყა, პირზე ალი ავარდა და კბილებში გამოსცრა: „რად არ აცალეს რაჯულ-ძაღლთა ვეფხვს ერთხელ გასმა კბილისა? მოკლან, თუ მოკლეს, რაღა ვქნა, წეს ეგ არიო გმირისა!“

ვაჟაკობა აღრითვანვე მოსდგამდათ გმირებს. ვაჟაკს მოვალეობა აწევა: „ნუ დაისვენებ, ებრძოლე მტერს, მინამ გიდგა სულიო“.

დალოცვილია უშიშარი შვილის გამზრდელი დედის ძეძუ. ნაბრძოლი მახარე დარიალში იწვა. „ლაღის მდინარის პირზედა“. მაცნემ დედას ამბავი მოუტანა — ხმლების წკრიალი ავტეხეთ, (მტერს) თავ-ზედ ალი დაეხვიეთ, ჩვენი მტრის ბევრი თმა-თაფლა, თეთრი ქალი ატირდება. ღვინოდ ვაქციეთ ერთიან თერგის წყალიო... მებრძოლს ფარსა და ხმალზე დიდების ანარეკლი ადგას...

ვაჟაკობა და სიმტკიცე სხვა გრძნობებს იმორჩილებენ, ადამიანის შეგნებად ჩამოყალიბდებიან, ხალხის ზნეობად იქცევიან.

ვაჟაკს არც ცრემლი აშინებს, არც თავისი და სხვისი სიკვდილი,

პირიქით, სიკვდილის გახსენებისას სისხლი ძარღვებში უფრო აუჩქამდება, განშორების ქამს მთა და ბარი განსაკუთრებულად მკაფიო მზის ათინათით აკიაფდება. ჭაბუკიც, ვაჟკაციც და მოხუციც ერთნაირად ფიქრობენ სამშობლოს ბედზე. სამშობლო სიცოცხლეშივე ასაჩუქრებს თავის შვილს, ხოლო სიკვდილის შემდეგ კი უკვდავებას ანიჭებს.

ვაჟასეული ბუნების აღწერა გვამცნობს, რომ სიკვდილი იოლია, როცა სიცოცხლე საესეა და თავისუფალი იმ ხანებში მან ორი ჰიმნი შეუფხზა გაზაფხულის არაგვს და ორივე ჰიმნი ერთსა და იმავეს შეტყველებს:

„ზაფხულში აყოლებიან
მკერდნიც კი სალის კლდისანი,
ყვავილთ პირს ეკონებთან
ციენი ნამცერეენი ცისანი.
ვაჟყუჩებია ნიაესა
ჩიხვი, ყულ-ყურით ლამაზი,
ალარ აჩერებს ქეიშათა
კლდით კლდეზე მტომი გაეაზი.
ხან რომ ცა მოიღრუბლება,
ჩაბნელდებიან ხევები,
გაჩნდება მესთა ტყციალი,
ათრთოლდებიან ხეები,
კლდეებზედ დაიკეცება
სეაეთა და არწივთ ფრთეები“.

ეს არის ლექსი „არაგვს“. მეორეში ამხედრებული და აზავთებული არაგვის, ვიწროში ჩაუტეველად აღამიანის ბრძოლა და კიდილია მოცემული. მეორე ლექსს ჰქვია „გაზაფხული“:

„არაგვმა ლახტი აიღო
ამირანისა, რა ხანი;
მიღეწ-მოღეწა კლდეები,
მტკვარს გაადინა ჭახანი.
კართანას ფარი წაართვა,
წინვანს მოჰგლიჯა ჩაჩქანი;
ღვეები გაფრთხნენ, გაიქცნენ,
გადმოუყარეს აბჯარი...
დამთვრალა სატიალეი,
მთას თოვლი დაუღვეია...
თავის ბუნების ყმა რო ხარ,
არაგვო. იღდეგრძელია,
შენის ვეფხურის ტყეებით
გულს წყლული გამომთელია“.

„სატიალეი, მთას თოვლი დაუღვევია“ — არაგვსაც ახასიათებს და თვით ვაჟასაც.

ვაჟა-ფშაველა სიცოცხლის პოეტი იყო. მისი წარმოდგენით ბუნება, სამყარო მრავალ საგანთა და მოვლენათა მთლიანობაა, ყოველ ნაწილს თავისი ადგილი უჭირავს ამ მთლიანობაში, დიდია თუ პატარა, ძლიერი თუ სუსტი, კეთილი თუ ბოროტი, ყველა მოვლენა, ადამიანის ჩათვლით, ნაწილია მთლიანისა და მთლიანი ნაწილებებისაგან შედგება. ყოველ ნაწილს თავისი ადგილი და გზა აქვს, ამასთან იგი მთლიანობისათვის აუცილებელია. ეს მთლიანობა, ვაჟა-ფშაველას აზრით, ესთეტიკური განცდების წყაროა. თვით ადამიანი წთელი თავისი არსებობით, გარემოთი, მოძრაობით, წინააღმდეგობით და სურვილებით სამყაროს ამ დაწყობილების მონაა, როგორც სხვა ყველაფერი:

„მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია;
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია..“

ყველა ერთურთისათვის არსებობს: ხევი მთას ჰმონებს, მთა ხეებსა, წყალნი ტყეს, ტყენი მდინარეთ, ყვავილნი მიწას და მიწა თავის აღზრდილ მცენარეებს, ადამიანიც ყველა ამის მონაა. კოსმიური კანონი არსებობს, გონიერი, უნივერსალური. ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქნელია ავისა, ერთფერად მტვირთელი არის საქმის თეთრის და შავისა; საცა პირი-მზეს ახარებს, იქვე შთარულია ზვავისა... მიუხედავად ამ წინააღმდეგობათა და დაპირისპირებათა ნაერთისა, პოეტი დაასკვნის — მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა. ბუნება, სამყარო მოქმედებს ერთი კანონის მიხედვით: ბრძოლა, შეთანხმება, განვითარება, საგანთა, ნივთთა, მოვლენათა, მათ შორის ადამიანის ურთიერთ დამოკიდებულება ქმნის მთლიანობას, სილამაზეს, სიცოცხლეს.

თავისი სოფლის, ფშავის, ქართული მთიანეთის, სრულიად საქართველოს, მსოფლიოს ცხოვრებაში რამდენი რამ იყო გრძნობის აღმძვრელი, დამაფიქრებელი, ასაწონ-დასაწონი. ყველა დროს და ყველა პირობებში ადამიანი ცხოვრობდა და იბრძოდა ყოველდღიური არსებობისათვის, თავისი ოჯახისა და საზოგადოების სასარგებლოდ. ერის, ხალხის, კაცობრიობის საჭირბოროტო საქმეებისა და საკითხების გადაწყვეტისათვის. რამდენი სასიკეთო საქმე ქმნილა და საქვეყნოდ სახსენებელი გამხდარა, რამდენი ბოროტება უნახავს და ვაი-

ვაგლახი გადახვდომია ადამიანს, ერს, ქვეყანას. ვაჟა-ფშაველას პოეზიის თვალსაწიერი მეტად ფართო იყო, იგი საეროვნო, საკაცობრიო სიკეთეზე ზრუნავდა, მაგრამ, ვაი რომ იოლი არ იყო სიკეთე, ბედნიერება და ნეტარება. საერთოდ, არსებობდა კი სიკეთე, — კითხულობდა პოეტი. ყოველ შემთხვევაში, იგი ეძიებდა სიკეთეს არა თავისი პიროვნებისათვის მხოლოდ, ეძიებდა მას ადამიანისათვის, ხალხისათვის, ერისათვის. თუკი ვინმეს ერის მსახურად იგულვებდა, იმედმომცემული ირწმუნებოდა ერის უკვდავებას და სხვასაც გაუღვიძებდა მისწრაფებასა და სურვილს ეწამებინა ერის უკვდავება და მომავალი. რამდენი პოეტური სახე შექმნა ვაჟა-ფშაველამ ხალხის გულისშემატკივარისა, დაჩაგრულის დაზხმარესი, დამცირებულის ამმალღებელისა. სამშობლო ქვეყნის მოღვაწისათვის მას მშვენიერი და ღონიერი შედარება ჰქონდა გამონახული, მათ „სამშობლოს არწივებს“ უწოდებდა:

„ჩემის სამშობლოს არწივო,
მოგესალმებით მთურადა;
საფერო არაფერი მაქვს,
პირდაპირ გეტყვით ძმურადა,
მომაქვის ქუჩის გვირგვინი
თქვენს თავზედ დასახურადა...
წყვედიდს ნათელი მოჰფინეთ
გაიღვიქეთო, იძახდით.
სხეულის მშობლის წამალსა
ხე-ქეასაც კიდევ ჰკითხავდით;
რითაც შაგეძლოთ, სცდილობდით,
თავის ქვეყანას იცავდით.
ოღრო-ჩოღროსა ალაგსა
დასდეთ ბილიკი სავალი,
შიშველის ხელით დაჰკლვიეთ
ნარი-ეკალი მრავალი..“

მადლიერმა შვილმა საკადრისი მადლობა გადაუხადა „სამშობლოს არწივებს“, სამშობლოს უკვდავ შვილებს. მისი აზრით, „არწივი“ იყო იგი, ვისი სახელის ხსენებაც ყრუანტელს მოჰგვრიდა კაცს, ვინც მტერს მიეგებებდა, ვინც ხმალამოწვდილი სიმართლეს დაიცავს, სხვის სახელს იტყვის და თავისას დაფარავს. ასეთი უნდა იყოს „სამშობლოს არწივი“, „კაი ყმა“, გმირი და უდრეკი ვაჟაკი.

ხევსურულ ჰანგზე დაწერილი „კაი ყმა“ ტრაქტატია შინაგან-გარეგან შალალ თვისებათა მქონე ადამიანზე, მოქალაქეზე, გმირზე,

სრულყოფილ, მრავალმხრივ დაჯილდოებულ პიროვნებაზე. სად უნდა ვნახოთ კაი ყმა, როგორ საქმიანობაში?

„მიღით, იქ მიღით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ღელავდეს;
მტერი ჩვენ გვემდეს, ჩვენ — მტერსა,
ხმლები, ხანჩრები ელაღდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჭლრღეები,
თვალეი თვალებს სწველავდეს;
ჰოციქულობდნენ ტყვიანი,
შუბეები, შუბეებს სწვერავდეს,
კიაფრად მუზარადებსა .
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელოზდეს სიკვილით,
სუღარავებსა ჰვერავდეს...“

იქ უნდა ინახოს კაი ყმა, იგი იქ იქნება დიდი განსაცდელის ქამს, მტერთან ბრძოლაში...

კაი ყმა პირველი გადაერევა ბრძოლაში, დაქრილი, სისხლგადამდინარი ტკივილს არ იტყვის, სიკვილს თავზარს დასცემს და ქორისებრ იფრენს, სიცხეში სიოდ დაჰბერავს და ყინვაში სითბოს დაანთებს, ომის ცეცხლში პირველი შვეა და ბრძოლის ველს უკანასკნელი დატოვებს, სხვანი ნადავლის გაყოფაში იქნებიან, ის კი განაგრძობს მტრის წინააღმდეგ გვრგვინვას, თავის საუფროსოს ამხანაგებს გაუნაწილებს და მძინარე ლაშქარს დარაჯად დაუღგება. კაი ყმა სიმართლისა და სამართლის დამცველია, სხვის დამსახურებას პატივსა სცემს და თავისას არავის ეტყვის, ხევსურეთის მზედ იქნება და შუქსაც უხვად მოაველებს ქვეყანას... კაი ყმა სულეთს თავისი ხმლით შვეა, წინ არწივი გაუძღვება და ჩვენგან წასული გმირები ქებას უყვივლებენ,

„ერეკლემ ხელი მაჰვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მუნაღო თვისი ფეხითა...
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჭვარს სწერდეს ზენითა,
ანგელოზებო ხარობდნენ
ილქაქნი იყვენ წყენითა...“

აი ვინ არის კაი ყმა, ხალხის სასიკეთოთ გამზადებული, ქებით მოსაგონარი და არა ისინი, ძროხებივით რომ ძღვებიან; თავის ჭამს

რომ ჩასცქერიან, თავისად რომ ცოცხლობენ და სიცოცხლეს უქმადღ-
ლევენ, სააქაო რომ დაკარგული აქვთ და საიჭიოსაც რომ ვერ მისწვ-
დებიან. კაი ყმა ის არის, ვინც თავის გულს ქვეყნად გაგზავნის და
დაბრუნებულს ველარ იცნობს, რადგან კაი ყმის გული ქვეყნად სი-
რულისას დაწყულულდება და ტანჯვა-ვაების ნიშნით აღიბეჭდება.
ცრემლის მორევში დაღნება და ქვეყნის ავ-კარგის გაცნობით ატირ-
დება („გული გაგზავნე ქვეყნადა“).

ვაჟა-ფშაველამ ლირიკასთან ერთად ეპიკური თხზულებებიც შე-
ქმნა. პირველი პოემა „მოხუცის ნათქვამი“ უნდა იყოს დაწერილი
1883 წელს. ამ პოემაზე თქვა ვაჟა-ფშაველამ, ილია ჭავჭავაძის „დი-
მიტრი თავდადებულის“ გავლენით არის დაწერილი. აქაც, როგორც
ი. ჭავჭავაძის პოემაში, მოხუცი კაცობამოდის ამბის მთხრობლად.
მოხუცი თვით ყოფილა კრწანისის ომის მონაწილე, ერეკლე და მისი
შვილი ლევანი უნახავს, კრწანისში მტრის ურდო და ქართველთა
დამარცხება უნახავს და ამ სავალალო ამბავს ახლა თავის ახალგაზრ-
და მსმენელებს უამბობს. პოემაში დიდი ადგილი უჭირავს ძველი და
ახალი დროის დაპირისპირებას. მოხუცს არ მოსწონს, რომ დღევან-
დელი ახალგაზრდები, დროს დუქნის წინ ლაზღანდარობაში ატარე-
ბენ — ეს რა დროებას მოვესწარო, ჩივის იგი, ბიჭები გალაჩრებულან,
უმსგავსოდ იცინიან, სიყვარულზე ყბედობენ, მათი სასიმილო ლე-
ქსები მარტო ღვინო და ქალია... ასე არ იყო ძველად, მაშინ სამშობ-
ლოსათვის სისხლი იქცეოდა, ხალხი საქვეყნო საქმეს აკეთებდა, დია-
ცი ქმრის მამაცობით იკვებოდა. მოხუცმა თავის მსმენელთ კრწანისის
ომის ამბავი უამბო, ერეკლეს და ქართველთა დამარცხებისა, ახლაც
რომ მის მოხუცებულ გულს ცოცხალ-ჭრილობად ემჩნევა. არაგველი-
მოხუცის გულისწყრომასა და განწყობილებას პოეტის ზანწყობილე-
ბაც ეთანადება. მოხუცი თავის თანატოლთა განვლილ ვაჟკაცობაზე
წუხს, წარსულის სახელოვან ბრძოლაზე, ვაჟა-ფშაველა კი ვაჟკაცო-
ბას თავის თანამედროვეთაგან მოითხოვს, სახელოვანი მომავლისათ-
ვის.

ამ პოემის შემდეგ გმირობის თემა მისი დიდტანიანი თხზულებების
მუდმივ თემად რჩება. პოემაში „გიგლია“ დას უნდა თავისი ძმა სახლი-
დან არ გაუშვას, რადგან ცუდის მათუწყებელი სიზმარი ნახა. თვით-
გიგლია არად აგდებს სიზმარს, მთავარია, რომ დედა თავისი ასული-
საგან მოითხოვს გამოუჩინოს გიგლიას გადამალული აბჯარი. დედა
ამბობს:

„ჩვენ მაისც
 ვერ დავაბრუნებთ სიზმრითა;
 მღევრად ათასჯერ ყოფილა,
 ჩემო სილაღე, — იმითა
 კაცს შიტომ კაცსა ვეძახით,
 უნდა წელს ერტყას ხმალია.
 მაშ რა უნდა ექნათ, ხომ ჰხედავ
 ფშავლები მტერმა დალია?“

— გიგლია მიდის მტრის მდევრად. იგი ილუპება. პატიოსანმა მებრ-
 ლომა თავის ქვეყანას ვალი გადაუხადა. პოემაში ჩნდება სტრიქო-
 ნები, რომლებსაც ვაჟა-ფშაველა იმ წლებში ხშირად იმეორებდა:
 „გაისმის აქეთ-იქითა: ვაჰმე რა გვეშველებათ, კარგები იხოცებიან,
 ბეჩავი ხელში გვრჩებათ!“

სულ მალე ვაჟა-ფშაველამ „ივერიაში“ დაბეჭდა „გოგოთურ და
 აფშინა“ (1887 წ., № 181).

ხევსურ აფშინას დავიწყებია, რომ ქვეყნად სიკეთე და ადამიანო-
 ბა არსებობს, იგი „სცარცვავს რჯულიან-ურჯულოს, მარჯვედ მომხმა-
 რე ფარისა, ქერხო აავსო უნჯითა...“ ფშაველი გოგოთურ ღონითაც
 სჯობს და ზნეობა-კეთილშობილებითაც აფშინას. ქართველთა მეფე იც-
 ნობს გოგოთურს და მას უთქვამს: „გოგოთური ათას კაცთანა ვადა-
 რე, ათასგანა მყავს ნაცადი.“

„რკინის გული აქვ,
 მკლავი ხომ გადამეტია.
 რამდენჯერ მარტომ შაბერტყის
 მტერი კვიშაზედ მეტია.“

მას ვერავინ შეჰკადრებს შექვიდებას. როცა ომის ხმა არ ისმის, გო-
 გოთური მოწყენილია, თუმცა შინაც უქმად არ ზის. სტუმარი უყ-
 ვარს, ირმებსაც დასდევს, შრომობს კიდევ („ვეება ჭანდარს აიღებს,
 წინწკრად გაიდებს მხარზედა“), ფანდურსაც შააჟლარუნებს და სიმ-
 ლერა მისი ჭერს არყევს. გრძნობათა სიუხვით და კეთილშობილებით
 გოგოთური ვაჟა-ფშაველას ძმაა, სწორედ ისეთია, თვით პოეტი რომ
 იყო. გოგოთურის ფრანგული მტერსა ჰკლავს, ძმაზე არა აქვს ხელია.
 გოგოთურ და აფშინა სადღაც მთაში გადაიყრებიან ერთმანეთს: აფ-
 შინა იკვებხის და გოგოთურს ეძალეება, გოგოთური კი სთხოვს — სიამ-
 ტებილობით დასცილდნენ ერთმანეთს. აფშინამ იფიქრა, გოგოთური
 მხდალიაო. „ჩქარა შაიხსენ ხმალია“, — ყვიროდა აფშინა. გოგოთურმა

უსიტყვოდ მისცა საჭურველი. აფშინამ ყველაფერი აართვა გოგო-
თურს. საქმე ხანჯალზე რომ მიდგა, მაშინ კი გოგოთურს მოთმინების
ფიალა აევსო, ხელი დასტაცა აფშინას და მიწაზე დასცა:

„შენ რო კვიანად მოგექე-
გვედრე, არ შამიბრაღია.
ეხლა მე მერტყას წელზედა
შენი ზიკზიკა ხმალია.
ცხენიც მე მყვანდეს — ლურჯაი.
თანაც ეს შენი ფარია“.

თუ კაცს ღონე ერჩის, განა მტერი ცოტა ჰყავს ქვეყანას? „მარ-
ტომ მისდიე მრავალსა, პიროფლიანმა“. აი, საქმე და არა ყაჩაღობა
და მოძმის ძარცვა.

აფშინა ორმაგად დამარცხდა: ფიზიკურად და ზნეობრივად. ამის
შემდეგ აფშინამ უარი თქვა ყაჩაღობაზე:

„მეგონა თავი გაუტეხელი ბერჯია,
ეხლს სჯობს სახჩი ვიშალო,
თავზე დავირტყა გურჩია...“

ერთმანეთს აკოცეს, აფშინამ ვერცხლი არაყში ჩათალა, ფიც-ვერცხლი
შესვეს და ძმობა შეჰფიცეს ერთმანეთს. აფშინამ გზა შეიცვალა, ხახ-
მატის ჯვარში იგი ტკბილი ხმით ხატს ახვეწებს მლოცველებს და ლო-
ცავს მათ. თუმცა, ამბობენ, დამ-დამ ბლოში კაცის ტირილი ისმისო.

ორი ზნეობის შეჯახებისას იმარჯებს უმაღლესი, ანგარებისა და
ეგოიზმისაგან თავისუფალი.

სიცოცხლის უკვდავების შეგნება ვაჟა-ფშაველამ განსაკუთრებუ-
ლი თავისებურებებით გამოავლინა მზესთან საუბარში. ეს მოცემულია
ლექსში „მუდარა“. პოეტი მიმართავს სიბნელის დამამხობელ და მი-
წის გამნათებელს და ევედრება მკვდართათვისაც ამოსვლას ცივ სა-
მარეთა კარზე. აქ თუ სულეთში ადამიანი მაინც არსებობს, მაინც
განიცდის. ცოცხალ ადამიანს სიცოცხლეც ეყოფა, მზის სხივი უფრო
მკვდართათვის არის საჭირო. სულეთშიც უნდა ანათებდეს მზე, იქაც
უნდა მიაშუქოს თავისი მასიცოცხლებელი სხივი.

ადამიანის არსებობა დაუსრულებელი უნდა იყოს, სულეთი ამ
ქვეყანას უნდა აგრძელებდეს, არ შეიძლება ფიქრისა და გონების მო-
სპობა, არ შეიძლება გრძნობათა დაშრეტა. ამიტომაც საჭირო მზე იქ,
როცა ამქვეყნიური მოაკლდება ადამიანს. იგი მუდარით მიმართავს

შეს და შესთხოვეს ყოველთვის თანამგზავრად აწყოფოს მასთან ერთი სხივი ამ ქვეყნადაც და იქაც, იქითა ცხოვრებაში.

„მუდარა“ ვაჟა-ფშაველას აზროვნების ერთი მშვენიერი ფურცელია, რომელიც გვიჩვენებს მის ცოდნას ყოფნა-არყოფნაზე, ცოდნას სიკვდილ-სიცოცხლის კანონისა.

კაი ყმის სამოქმედო გეზში ვაჟა-ფშაველამ ამ „ქარგობის“ ყველა დამახასიათებელი მხარე არ მოიხსენია. მანამდე. გიდრე „კაი ყმას“ დაწერდა, მას შექმნილი ჰქონდა პოემა „ალუდა ქეთელაური“, რომლის გმირი ალუდა ბევრი იმ თვისების მატარებელია, რასაც კაი ყმის ხასიათი შეადგენს, ოღონდ ალუდას ყველა თვისება არა აქვს მოხსენებული ლექსში „კაი ყმა“. ალუდა კი ნამდვილად არის ღირსი ყოველი ქებისა და ნამდვილად ჰგავს ისეთ ადამიანს, რომელსაც სულეთში შესვლისას წინ არწივი გაუძღვებოდა და იქ კი თაპარი და ერეკლე შეეგებებოდნენ.

„ალუდა ქეთელაური“ 1888 წელს არის დაბეჭდილი და უნდა ვერწმუნოთ ავტორს, რომ იგი იმავე წელს არის შექმნილი. „ალუდა ქეთელაურის“ მოქმედება შატილსა და მის ირგვლივ ვითარდება. ნაწარმოები წინასიტყვაობისა და შესავლის გარეშე იწყება, მკითხველი პოეტს უცბათ შეჰყავს საქმის ვითარებასა და მოქმედებაში და თითქოს არ აცლის ჩაიხედოს მთების სიღრმეში, სადაც მოქმედება იწყება.

მაცნე მოვიდა შატილს და ამბავი მოიტანა — ქისტები დასცემიან შატილოვნელთა მწყემსებს, ცხენები წაუსტამთ და თან ალუდას „ფრთიანიც“ გაუყოლებიათ. ალუდა გამოედევნა ცხენების გამტაცებლებს და მალე „შაადო ქისტების ნავალს თვალი“, მარჯვედვე გადაეწია, შემდეგ თოფმა ჩქამი გაიღო და ერთ ქურდ-კანტალა ღილღველს ცუდი დღე დაადგა, ცხენზეთ გადავარდა და ყელთაგვე დაეკიდა. მას ნატყვიარი სჭირდა ბეჭის თავში. მეორე ღილღველმა ჩახმახი მოზიდა, ღილღველმა მუცალმა თოფი ისროლა და კლდის პირი დაშალა, ტყვიის ნაძობი კი ალუდას კალთაში ჩაეშალა. ალუდას თოფის ხმა ცის ქექასა ჰგავდა, მისმა ნასროლმა ქისტს გულის ფიცარი შეუნგრია.


— გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძაღლო;

ვაპ, ცდასა მუცალისასა!

იმაც ხომ მაჩიკალ, მეც მაჩიკალ,

რა ვუთხრა მადლსა ღეთისასა?”

მუცალმა ბალახი ჩაიდო ჰრილობაში, ერთი კიდევ ისროლა ალუდასკენ და თოფიც გადაუგდო მას: „ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,



ალუდა ცხოვრობს შატის. მხატვარი თ. ყუბანიშვილი



ალუდა და მუცალი მხატვარი თ. ყუბანეიშვილი

ხელს არ ჩავარდეს სხვისასა...“ სიტყვა პირზე გაუშრა და მიწას გაერთხა.

ორი ვაჟკაცი შეხვდა ერთმანეთს, ორივე ღონიერი, აზრიანი და კაცობის დამფასებელი. ეს შეხვედრა ორივესთვის საბედისწირო აღმოჩნდა. ალუდამ მუცალი და მისი ძმა მოკლა, ალუდამ ცრემლი დღვარა მოკლულზე, თოფი (ძეგლიგი), ფრანგული ხმალი და სპილოსძვლიანი ხანჯალი მიულაგა მოკლულს და თქვა:

„ცოდვა არიო;

ვაჟკაცი. ჩემგან მოკლულო,
ღაერთმა გაცხონოს მკვდარიო.
ძკლავზედავ გებას მარჯვენა
შენზედ ალალი არიო,
შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
ბურც ხარობს ქაუას კარიო,
კარგი გყოლია გამწდელი,
ღმერთმ გიღღვარძელოს გვარიო“.

მოკლულს სიგრძივ ნაბადი გადააფარა და ზედ ფარი დაადო.

ალუდამ შეასრულა რიტუალი, რაც ვაჟკაცურად გარჯილ ადამიანს შეეფერება.

შეასრულა კი ყველაფერი, მაგრამ თემის ჩვეულება კი არ აღასრულა: მტერს მარჯვენა არ მოსქრა, აღარ წაიღო იგი აქამდის მტერთა დაქრილი მარჯვენებით ავსებულ ქავციხის კედელზე ჩამოსაკიდებლად.

ალუდას მტრობა არ სწყუროდა, მან მხოლოდ თავისი არ გაატანა მტაცებელს. მის გულში არ ბუდობს ადამიანის მტრობა — რჯულიანი-სა თუ ურჯულიანი. ვისაც მტრობა მოსწყურდება, სახლის კარს გააღებს, კერაში სისხლს დაიგუბებს, ღვინოდაც სისხლს დალევს, პურადაც მას მოიხმარს, პირჯვარსაც დაიწერს, ვითომ საყდარში იყოს, ქორწილსაც სისხლში გამართავს, სტუმრებსაც დაიპატიუებს და ღვინსაც სისხლში დაიგებს, ცოლსაც დაიწვეს და შვილებსაც იყოლებს, საფლავსაც სისხლში გაითხრის და იქვე დაიმარხება.

ალუდა არ იყო მტრობის მოსურნე, იგი მხოლოდ თავს და თავისას იცავდა. უშიშას უამბო ქისტებისაგან გატაცებული ცხენების უკან დაბრუნების ამბავი და ისიც უთხრა: „იმ ცხონებულსა მუცალსა რკინა სდებიყო გულადა“—ო. უშიშა გაწყრა: „ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულადა“, მაგრამ ალუდამ არ შეწყვიტა ქისტების ქება

„მით ვაქებ ვაჟაკობასა,
არ იყიდება ფულადა.“

მუცალის მოკვლამ დააფიქრა ალუდა და ათქმევინა:

„ჩვენც ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტო ჩვენ გვზღიან ღელანი:
ჩვენა ეცხონდებით, ურჯულოთ
კუპარში მიელის ქშენანი...“

ალუდას ნათქვამი ახალგაზრდა ხევსურებმა არ დაიფერეს და მკავედ (ხევსურთა ახალ-უხლები გადაიქციან ტყემლად) შეხვდნენ მის პიროვნებას, გალანძღეს, სიკვდილი გირჩევნია სიცრუის თქმასო, ქალებს გადაუგდენ ფარი ქსლის ჩასაბეჭდად, ხირიმი გარად გაუღონ დაზვას, დამბაჩას თითისტრად იხმარენო.

„შაკალ, მარჯვენა არ მასქერ,
უკან მისღვედი მა რადა?!“

შატის მინდია მოვიდა ზერდაგით რვალიანითა, წელზედ ნარტყამი ფრანგულით, მკლავითა ფარიანითა, თორმეტის ქისტის მამკლავი, შუბითა ტარიანითა. მან მიუსწრო მინდიას შეურაცხყოფას და იწყინა, შუბლი დაკეცა ნაოჭით ზარიანითა, ვაჟკაცის აუგს ნუ ამბობთო, წავალ და ვნახავ სიმართლეს გავიგებო და გაფრინდა თავისი წითლათ...

ალუდამ საშინელი სიზმარი ნახა: მუცალი ეხეწებოდა — სიკვდილი მინდა და არ ვკვდებო, მომკალი, დეე თქვენ, ხევსურებს, დაგრჩეთ ქვეყანაო. სიზმარში ალუდას ვიღაცამ ჭამი დაუდგა, კაცის ხორცი იყო წვნიანი, ჰამდა კაცის ძვლიან ხელ-ფეხს და თან ჭავრობდა — ამას რას ვაკეთებო. კიდევ მიართვით ალუდასო, იძახდა ვიღაც. კაცის ულვაშიანი წვენი-ხორცი დაუმატეს. ირანჭებოდა ამგვარ სიზმრებით. მეორე დღეს მინდიამ მუცალის მკლავი მოიტანა და საყვედური უთხრა ახალგაზრდებს:

„ახლით, სისხლი გიფუისთ,
სკრითა და ჰყერავთ გულითა,
გულს ათრევინებთ გონებას,
თავს აპრევინებთ ცულითა,
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟაკსა
მის ვაჟაკურის რჯულითა...
მართალი არი ალუდა...
აი, მოჭრილი მკლავია...“

მუცალის ხელი მინდია მალუდას მიართვა, მაგრამ ალუდამ არ მიიღო: ხელის მოჭრა რომ მდომოდა, განა ვერ მოვჭრიდი თავადო, ვერ გიქნია კარგი საქმე, რად მინდა, რაში მოვიხმაროო ეგ ხელი, კაი ყმის მარჯვენა, გული მეწვება ბრალითო. ალუდამ გადაწყვეტილება მიიღო: მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა... ამბობენ: „წესი არ არის შტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასქერ დანითა“. ალუდამ ასეთი წესი და სამართალი ცოდვა-ბრალით მონათლულად აღიარა!

სიმშვიდეს ეძიებდა ალუდა და ვერ მოიხვენა, მისი სული ბორცვდა მუცალის ვაჟკაცურად სიკვდილის შედეგად. ამიტომ არ მოაჭრა მარჯვენა მას. მოკლულში ინ თვისება დაინახა, რაც მასაც ახასიათებდა, ვაჟკაცობა და გამბედაობა. ამიტომ დაკარგა სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა ალუდამ. მას უნდოდა და ცდილობდა მისგან მოკლული ვაჟკაცის, მუცალის სულს გზა ეპოვნა სულეთში. ამისათვის მიიყვანა ალუდამ კურატი ხატობაზე და ხევისბერს სთხოვა — მუცალის სახელზე დაემწყალობებინა იგი.

ხევისბერი ბერდია განრისხდა ალუდას სურვილზე — გაურჯულებულს არჯულებ, შენ ეგ არ შაგიხდებისა, ქისტისად საკლავის დაკვლა კარგად არ მოგიხდებისა. მამით არ მოღის ანდერძი, პაპითა-დ, პაპის-პაპითა, გონს მოღი, ქრისტიანი ხარ... ეგ სიტყვა როგორ ამოგცდაო.

ალუდამ, ბერდიას უარით გაჯავრებულმა, ფრანგულს გაიკრა ხელი და მოზვერს თავი გააგდებინა, თან ხატს შეევედრა — მუცალის სულის საოხად შეიწირეო მსხვერპლი. აღშფოთებულმა ხევისბერმა ხეესურთ მიმართა და ხალხი ალუდას სახლს მიუსია დასანგრევად. ცეცხლს მიეცითო საქნოვარი, ხარი და ცხვარ-ძროხა სათემოდ გამოორეკეთ, ცოლ-შვილი აუტირეთ, შესაბრალებელი არ არის, ჩვენი ბატონისაგან შერისხულიაო.

შატილიონებმა ალუდას სახლ-კარი დაურბიეს, ის და მისი ოჯახი — დედა, ცოლი, შვილები მოიკვეთეს.

ქარსა და თოვლში დატოვა სახლ-კარი ალუდამ და მისმა ქალაბმა. ტიროდნენ ქალები და ბავშვები, ეთხოვებოდნენ სამშობლოს, სახლ-კარს, სალოცავს. დიაცი სწყრებოდა: „კარგს ნურას ჰნახავთ, ხეესურნო“, დედა კი ეხვეწებოდა ალუდას — ნელა იარე, ვერც მე და ვერც შენი ცოლ-შვილი ნაბიჯს ვერ გისწორებთ, ხელ-ფეხი დაგვაზრა ყინვამო.

ალუდამ ქალებს დაუტია — თემს ნუ სწყევლით, ჯვარს არ ეწყინოსო.

თითონ კი, ვიდრე მთას მოეფარებოდნენ, ერთხელ მიაბრუნა თავი და სახლ-კაოს, საჭიხეების და ხევსურთ ღვთაებას გაშოეთსოვა...

აღუდამ თან წაიღო დიდი ტკივილი. საძოვოს სოციალური ნიადაგამოცლილი იქნება. სად მოიკიდებს ფეხს, ვინ იცის?! აქამდე თემის ერთ-ერთმა საუკეთესო შვილმა და წევრმა თენოზის წესი დაარღვია და ისიც მოიკეთეს, თითქოს აღუდას მსგავსი ბევრი ყოფილიყვნენ თემში! საუკეთესო ადამიანი გამოაკლდა შატილონს და მისი მთლიანობაც დაირღვა. აღუდამ თან გაიყოლა უკმაყოფილების გრძნობა, საყვედური, ეპვი და, რაც მთავარია, შეგნება იმისა, რომ ძველებური წესით ყოველთვის არ შეიძლება ცსივრება და გაძლება. „ვამი ეგეთას სამართალს“ — უკვე სხვა თვალთ დანახული ის ცხოვრებაა, რომლის თანახმად აქამდე აღუდაც იყო, მაგრამ რომლის საფუძვლებსაც იგი თავისი საქციელით და სრული შეგნებით განერიდა. რაკი ერთხელ გაივლო გულში დახსენებული სამართლის უსამართლობა, აღუდაც ვეღარ გადაუდგა ამ აზრს და მოუხდა კიდევ თემის დატოვება, თუმცა დიდი, გაუნებელი ტკივილითა და ცეცხლით: „მშვიდობით, საჭიხეებო, გამახარებლო თვალისა...“ მის თვალს სასიხარულო, ხოლო მის გულს დასაამებელი აღარა ექნება-რა.

თავის პოემათა მთავარი პერსონაჟები ვაჟა-ფშაველამ ცხოვრებისეული არსებობის ვიწრო ბილიკებზე ატარა. ეს სავალი იმდენად წამახულია, რომ მასზე გავლილი ადამიანის ბედი ბევრზე ჰკიდია. თავის მშვენიერ გმირებს ავტორმა დიდ საქმეთა გადაწყვეტა დააკისრა. აღუდა ქეთელაურმა ასეთი გზით იარა. ამისთანავე გზა განვლო ვაჟა-ფშაველას ჯოყოლამ („სტუმარ-მასპინძელი“). სტუმარ-მასპინძლობა და სისხლის აღება თემის საარსებო დებულებაში ერთნაირად უნდა აღსრულებულიყო, ორივე წესი ოდითგან სრულდებოდა და მათი დაკლება თემის დებულების დარღვევას მოასწავებდა. ამიტომ მათ ყველა იცავდა. ეს იყო დაუწერელი, მაგრამ საუკუნეების გრძელ მანძილზე გამოტარებული კანონი. სტუმრის ხელშეუხებლობა მალალი წესი იყო, მტერი, თუნდ იგი მასპინძლის ძმა ყოფილიყო, სტუმარს ვერ შეეხებოდა. სტუმრის მოდავესათვის მასპინძელს უნდა გაეცა პასუხი. სტუმრის შეუარცხოფას შეიძლებოდა სისხლიც მოჰყოლოდა. ასეთ განმარტებას იძლეოდა თვით ვაჟა-ფშაველა თავის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში. პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ვაჟა-ფშაველამ მეტად კრიტიკული სიტუაცია შეუქმნა პოემის მთავარ პერსონაჟს — ჯოყოლას, რომელიც ნადირობისას შეხვდა ხევსურ ზვიადაურს. ზვიადაურს კი ქისტები კარგად იცნობენ: „ბევრს ქისტს მოაქრა მარჯვენა.



ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი

უდროდ საფლავში ჩალაღა“. ამიტომაც ზვიადაურმა იცრუა და ჯო-
ყოლას, ქისტს უთხრა ნუნუა მქვიანო. ჯოყოლას ზვიადაური ნანახი
არ ჰყავდა და დაუჯერა. გზააბნეული ზვიადაური სახლში მიიპატი-
უა — „აი, ეს ჩემი ოჯახი, — უთხრა ჯოყოლამ ზვიადაურს, როცა თავის
კოშკთან მიიყვანა, — ჩემი ციხე და სახლია; მობრძანდი, როგორც ძმა-
ძმასთან...“ ჯოყოლას სახლში ქალარა-შერთული ხნიერი კაცი იყო,

რომელმაც იცნო ზვიადაური და მთელ სოფელს აცნობა — ჩვენი მტერი ჯოყოლას სტუმარიაო. დამე ჯოყოლას სახლს ქისტები დაესხნენ და ზვიადაური გააკოვეს. მასპინძელი რთული ვითარების წინაშე აღმოჩნდა: ზვიადაური მტერია და სისხლის აღება საჭირო, ამასთან ზვიადაური სტუმარია და მაშ ხელშეუხებელი. თემს სისხლის აღება უნდა, ჯოყოლა კი მასპინძლის მოვალეობას ასრულებს. ჯოყოლას უთხრეს, რომ ზვიადაურს სისხლის ზღვა მართებს ქისტებისა და თვით ჯოყოლას ძმის მკვლეელიცაა ზვიადაური. მიუხედავად ამისა მასპინძელი ოტყვის:

„ეგ მართალია, იქნება...
დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
მითაც მე ვერ ვულალატებ...
როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარით ავადა.
ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
რა დავაშავე ისეთი,
რომ მომიხედით კარადა?
თვის რაული დაგვიწყებიათ...
უიარაღოს აწვალებთ,
გული რასა ჰგრძნობს თავადა?“

ჯოყოლა მთის კანონს ასრულებს, ამასთან მეორე კანონს არღვევს. ეს არის სწორედ ვიწრო ბილიკზე სიარული. შეასრულოს თუ არა თემის წეს-კანონი, ან რომელს მისცეს უპირატესობა — სტუმარ-მასპინძლობას თუ სისხლის აღებას!

სოფლელთაგან შეურაცხყოფილ სტუმარს იცავს ჯოყოლა და იარაღით ხელში შეუტევს მეზობლებს. მათ ჯოყოლა შეკრეს და ზვიადაური წაათრიეს მისგან დახოცილ ქისტთა სასაფლაოზე, რომ იქ მკვდრებს შესწირონ. ზვიადაური ვერ მოღრიკა სიკვდილით მუქარამ, ყელში ხანჯალი ჩაურჭეს, სისხლისაგან დაცალეს და ვიდრე ლაპარაკი შეეძლო, ქისტებს ეუბნებოდა: „ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადა!“ „ძალდ იყოს“, ყელში ამბობდა, მანამ მოსჭრიდნენ თავსაო“.

ქისტებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, ზვიადაური არ შეეწირა მათ მკვდრებს, დაკლულმა დაჰკლა მათი გულები. გაბრაზდნენ ქისტები, უნდოდათ ხანჯლით დაეკებათ ზვიადაური, მაგრამ სიარცხვილით ვერ გაბედეს, „ცოდვიაო“ ყველა ფიქრობდა. ენანებოდათ მისი შეუღრ-

კელობა „ქარგი ვაჟკაცი ყოფილაო“ ყველა ამბობდა და ალაჰს იმოწმებდა.

ქაისტებმა ზვიადაური არ დამარხეს, „ზეზე გაწირეს ტიალად, თუნდა ძაღლებმა ათრიონ, ფრინველთა ჭიჭგონ ზიარად...“ ზვიადაურს გლოვობდა შფოთვა და ბორგენა მდინარისა და ნიავედ ჩამონადენი ოხერა მაღალი მთისა და, კიდევ ერთი არსება, ჯოყოლას ცოლი ალაზა, მოწმე ზვიადაურის მოკვლისა და მოხიბლული მისი ვაჟკაცობით. ალაზა ბინდში მიიპარა მოკლულ ზვიადაურთან, სიძი ქვა დააღწო მისმა ცრემლმა, დანით სამი ბაღანი ააქრა სახეზე და ჩიქილის ტოტში შეახვია. ალაზას თემისაც ერიდება, ღმერთიც აშინებს ამ საქციელისათვის, გონებით ეშინოდა და კრთებოდა, გული კი თავისას აკეთებდა, კაცის კაცურად სიკვდილი ისარივით გაეყარა გულში და ამან უბიძგა დაკლული ეგლოვა. ქმარსაც გამოუტყდა — იქნებ შენც გცოდე და ღმერთსაც, მაგრამ არ შემეძლო არ შეტერა შენი სტუმარი, რომლის სიკვდილსაც ცრემლი დაამშვენებდაო. ქმარმა მოუწონა საქციელი ალაზას.

თემობის წესი დაირღვა, სამაგიეროდ ადამიანური განცდა წამოვიდა წინ. ზვიადაურზე მტერალ ალაზას საშინელება მოეჩვენა — მკვდრები წამოდგნენ საფლავიდან, მათ შორის მისი ძმაც და წყრომა და ჩივილი ესმის — „რას შერები, უნამუსოო“, „ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ, რისხვა რად დამეც მეღვარი, მეორეს საფლავში ჩამდე ერთს სამარეში მდებარი“ — და ამ მოჩვენების საფუძველი იყო ტრადიციული ჩვევა-წესები, მაგრამ მან ცრემლი მაინც დააყარა ვაჟკაცურად აღსრულებულ გმირს და გულთან მიიტანა ზვიადაურის მაღალი გამძლეობა და სიმტკიცე.

პოემის დამამთავრებელი თავი ნამდვილი აპოთეოზია ძმობისა, გამტანობისა, ორი ვაჟკაცისა და გრძნობა-სრული ქალის ურთიერთგაგებისა. მშვენიერ სურათს ხედავენ ღამ-ღამობით იმ კლდის თავზე, სადაც ჯოყოლა მოკვდა ხევსურებთან ბრძოლაში: ჯოყოლა კლდის თავზე წაღდება სასაფლაოსკენ, ზვიადაურს ეძახის — „ზვიადაურო, ძმობილო, რად არ მაჩვენებ შენ სახეს?!“ სასაფლაოდან ზვიადაური წამოვა ფარ-ხმლიანი და ძმობილს მღუშარედ მიესალმება. ალაზაც ამოდის მწუხარე სახით, მის გვერდით ცეცხლი დაინთება, ალაზა ჭიხვის მწვადს შესწვავს და მეგობრებს გაუმასპინძლდება, რომლებიც ვაჟკაცობაზე, ერთურთის დანდობაზე, სტუმარ-მასპინძლობაზე და დამობაზე იტყვიან სიტყვას, მაგრამ დიდხანს ვერ ჩერდება ეს მშვენიერი და მაღალი ჩვენება. შავი ჯანი გაჩნდება და დაფარავს ამ სა-

ყურებლად ძვირფას სანახავს. დაწვება ჯადოსავით მშვენიერ სურათს
ქორუმი სიბნელე, რომელსაც ვერც კვერი მოერევა და ვერც შელოცვა
და ხელითაც ვერ აიხდება...

„მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიჭანავს ხველითა
თა უფსკრულს დასცქერს პირიწე
ნოდერებულის ყელითა...“

ვაჟა-ფშაველა პოეტი იყო და პოეტური სახეებით აზროვნებდა. ამ
აზროვნების პათოსი მან მომავლისაკენ მიჰართა. პოემათა მაღალზნეო-
ბრივი პიროვნებანი ახალს ეძიებენ, მათი ფიქრი და გონება ველარ
ეტევა შექმნილ ვითარებაში, ტრადიციით განმტკიცებულ წესებში,
აღამიანობას, გრძნობას, თავისუფალ აზროვნებას რომ რეგლამენტს
უწესებენ. ვაჟა-ფშაველას გმირები იბრძვიან, ახალ გზებს ეძებენ,
ხვალის ფიქრით ფიქრობენ. ეს გმირები ავტორის ორეულეები არიან
მაღალზნეობრივი ადამიანები... „როგორ გგონიათ, — წერდა ვაჟა-
ფშაველა ერთი ჭარბველი კრიტიკოსის — იპოლიტე ვართაგავას, სა-
პასუხოდ, — არა მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემი ქვეყნისა
ბრწყინვალედ?... რომ ეს არ მწამდეს, თქვენ გგონიათ, მე კალამს ავი-
ლებდი ხელში? ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიც...“

ვაჟა-ფშაველა საგულდაგულოდ მუშაობდა „ბახტრიონის“ დაწე-
რაზე. იმ წელიწადს (1891 წელს) სულ ხუთიოდე ნაწარმოები აქვს
დაწერილი. ეტყობა ამ პოემის დაწერამ მთლიანად მოიცვა იგი. „ბა-
ხტრიონი“ მზის შუქით გაბრწყინებულ დიად სასახლეს ემსგავსება
დიადი და ნათელია სურათი სამშობლოს გათავისუფლებისა დამპყრო-
ბთაგან. საზეიმო, რიტორული შეძახილით იწყებს ვაჟა-ფშაველა პოე-
მას და უმადლეს მიზანს გვამცნობს. იგი თრთოლვით იწყებს ნაწარ-
მოებს, რომელშიც პირველი სიტყვა ეკუთვნის გმირთა ნეშტს. ისინი
ალარ შფოთავენ საფლავებში... ასევე დასაწყისში მოიხსენებს მთებ-
საც, რადგან — „თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ, ღალიან-ბარაქიანი“. ამ
მთებშია წარსული, აწმყო და მომავალი სამშობლოსი! რა ხელოვნება
იხმარა მან და რამდენი ბრწყინვალე სახე თუ ვითარება გამოხატა
პოემაში, რომლისთვისაც მეტად ცოტა. მასალა გააჩნდა საქართველოს
ისტორიის და თვით ხალხურ შემოქმედებასაც. ბევრი რამ და ბევრი
პიროვნება ვაჟა-ფშაველას პოეტური ფანტაზიის შედეგია, მაგრამ
ლუხუმიდან დაწყებული წიწოლამდის რა დიდი სიცოცხლითაა აღბე-
ჭილი ყველა და ყველაფერი, რაოდენ დიდი სიმართლითაა შექმნილი
ყოველი ხაზი ამ მშვენიერი პოემისა!

თვით ვაჟა-ფშაველა წერდა „ხალხური თქმულება დაწერილებით მასალას არაფერს იძლევა ბახტრიონის აღებისას, იმ დროის მებრძოლთა სახელებიც კი დაკარგულია, გარდა ზეზვასი (თუშია) ყველაზე მეტი გამბედაობა „ბახტრიონის“ დაწერისა მომცა იმ შემთხვევამ... რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“... წაიკითხე ის ადგილი, სადაც ბერი იონა ხელაშვილი შექვვდება ლალისყურისაკენ მიმავალ ორ ფშაველს და გაუბამს მათ საუბარს. ამან მუჯღუგუნეი წაჰკრა ჩემ ფანტაზიას, გაათამამა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა... გმირები პოემისა — ლუხუმი, ხოშარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღოთ მონაწილეობა რაიმე ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლისა...“

შაჰის აბასის მხედრობამ სისხლის კალო გალენა კახეთში. გაწყდა და განადგურდა ქვეყანა, მოსახლეობა ისპობოდა, ნაწილი სპარსეთში გარეკეს და დაქსაქსეს — მაზანდარანში, ფერეიდანში... ქალაქები და სოფლები დაარბიეს, ციხეებში თავისი გარნიზონები ჩააყენეს, ეკლესიები შებიღწეს. სამართალს გადამთიელი კმნიდა და სასჯელსაც ის ადებდა. ასეთი ბეცი და თვალმოკლე პოლიტიკა აწარმოა სპარსეთმა საქართველოს მიმართ თვით XIX საუკუნის დადგომამდე, ვერ მოისაზრეს შაჰებმა, რომ საქართველოს სურვილი გაუჩნდებოდა თავის გადარჩენისა და თავის შეფარებისა. ჩვენს იქით გზა არა აქვსოფიქრობდნენ ისინი ალბათ.

ამ უბედურებაში თუშეთმა, ფშავემა და ხევსურეთმა შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა და ბარიდან ათასობით ლტოლვილის თავშესაფარად იქცნენ. კახეთის ამ საბედისწერო ეპოს მთიელნი გაერთიანდნენ და მტერს შეუტყეს. ვაჟა-ფშაველასაგან დახატული ხალხი თვით წყვეტს თავისი ქვეყნის ბედს, ლაშქრის მოთავენი — ზეზვა და ლუხუმი ქართული ხანიათის განსახიერებანი არიან. კვირია, ლელასთან ერთად რომ შევიდა სპარსთაგან დაჭერილ ციხეში, ოც წელიწადს მოწყვეტილია თავის სამშობლო კუთხეს, იგი მწყემსი იყო, მაგრამ დროს ვერ აღოუგდია მისი გულიდან, რომ თუშები, ფშაველები და ხევსურები რწმენით, სისხლხორციით ძმანი არიან, რომ მთას უბაროდ არსებობა არ შეუძლია. კვირია და ლელა მომაჯადოებული უბრალოებით მიდიან სამსხვერპლოზე.

პოემაში გამოყენებულია ისტორიულად ცნობილი ამბავი — კახეთის აჯანყება 1659 წელს, კახეთის გაწმენდა სპარსთაგან. საფუძველში ისტორიული ფაქტი დევს, მაგრამ პოემა ისტორიული არ არის,

რადგან პოეტი სულაც არ ცდილობს ისტორიის თხრობას გაჰყვეს და აღადგინოს ნამდვილად მომხდარ ფაქტთა თანმიმდევრობა. ნაწარმოებში ვერ ვნახავთ იმ პიროვნებებს, რომელთაც კავშირი შეეკრეს და სპარსთა გარნიზონები დაარბიეს. პოეტი თავის თანამედროვეობას პატრიოტული იდეის განსახიერებას სთავაზობს, აქტუალურ იდეას.

პოემა ეხება საქართველოს მთიანეთის ბრძოლას სპარსელებთან, ეს არის ამ ნაწარმოების მამოძრავებელი თემა, მთავარი ლერძი. ამ თემას მომწოდებელი ხასიათი აქვს: იგი სამშობლოს მსახურთ მოუწოდებს მაღალი მიზნისაკენ — ეს არის სამშობლოს გათავისუფლება. ამდენად ნაწარმოები ეხმაურება იმ ეპოქასაც, რომლიდანაც ამოღებულია მთავარი ამბავი და პოემის დაწერის დროსაც. პოემის ეს იდეა დიდი ემოციურობით არის გადმოცემული იმ მდიდარი შინაარსით, რომელსაც პოეტი სდებს მასში. გარდა ძირითადი ამბისა, ვაჟა-ფშაველა ბევრ რამეზე აჩერებს მკითხველის ყურადღებას, მაგრამ ისინი უფუნქციონი არ არიან, პირიქით; რაც კი არის აღწერილი პოემაში — ბუნება, არაგვის ხეობა, სხვადასხვა ჩვეულებანი, მრავალი ლირიკული წილსვლა, — ყველაფერი შესანიშნავია, როგორც ხელოვანის გონებითა და ხელით დახატული მშვენიერება, რაც დაკავშირებულია პოემის ძირითად იდეასთან — პატრიოტიზმთან. პატრიოტიზმის იდეა მორთულია ბუნების მიმზიდველი სურათებით („დღემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები... ქარი ქვითინებს... ღრუბელთა ზარი თქვეს შესაზარები... მოგესალმებით ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი, ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი ღეკა და ღვიანი...“), რომელთა შორის არის საოცარი პოეტური შედარება-მიგნება „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“. ეს ყველაფერი პოეტს მთავარი იდეის მოსართავად აქვს გამოყენებული.

„ბახტრიონი“ იმ მოზაიკას ჰგავს, რომელიც დღევანდლამდის ამშვენებს გელათს, წრომსა და ყინწვისს, მაღალ ხელოვნებას, მრავალფეროვანს, საქართველოს ცის ფერს, ღრმას და გამჟვირვალეს. პოემაში მოცემულია როგორც ჩვენი ქვეყნის წარსული, მისი გმირული და ვაჟკაცური ელფერით, ისევე მომავალიც, რომელიც ნაწარმოებში გამოხატულია ლუხუმის სახით. რა საოცარი ლეგენდა ჩართო თავის პოემაში ვაჟა-ფშაველამ დაჭრილი ლუხუმისა და ჯაგარ-აშლილი, გულჯავრიანი, ხეზე ნისლივით გაწოლილი გველისა. სამშობლოსათვის დაღვრილმა სისხლმა და კაცის გმირულმა საქციელმა მოინადირა კაცობრიობის მტრის გველის გული. ბევრი ცოდვის მოქმედს, გველს, გადაუბრუნა გუნება და დაჭრილ ლუხუმს წყლული მოულოკა, ჭრი-

ლობა შეუხორცა, თან ცრემლით მკერდს უსველებდა და ოხვრა-
კვნესით ტყესა და ველს აყრუებდა. ადამის ტომის მტერმა ერთ თვეს
უზიდა საკმელ-სასმელი სამშობლოს გმირს და ფეხზე დააყენა,

„ამბობენ: შაძლებინა
სინეუსო ფეხზე დადგომა,
ვღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა!“

ვაჟ--ფშაველამ მონუმენტური სახეები შექმნა პოემის მოქმედი პი-
რებისა. როგორც თითონ თქვა, არც ერთი ისტორიულად არსებული
ადამიანი არ არის, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი არის მოხსენებული
ხალხურ სიტყვიერებაში და იპინიც ყველა არ არის დაკავშირებული
ბახტრიონის ციხის ალებასთან.

დაწყებული პირველი მოქმედი პირიდან — ფშაველი ქალი სანა-
თადან, რომელიც პოემის დსაწყისში გამოჩნდება მხოლოდ, დამთავ-
რებული იმ პერსონაჟით, პოემის დასასრულს რომ ქმნის მშვენიერ
აპოთეოზს — ლუხუმით დამთავრებული, ყველა პოეტის შემოქმედე-
ბითი ფანტაზიის ნაყოფია, სისხლხორცეული ადამიანები, რომელნიც
პოემის მთავარი იდეის განსახიერებას ემსახურებიან. მართალია პოემის
მოქმედ პირთა შესახებ პოეტი მეტად მცირე ცნობებს გვაძლევს, მაგ.,
სანათა ქალურად მოქვითინე მოხუცი დიაცია, ლელა კი სამოთხის
ყვავილის დარია, მაგრამ მათი სახე ისე სრულყოფილად მიდის მკითხ-
ველის შეგნებამდის, თითქოს ბევრი რამ ვიცოდეთ მათი გარეგნობი-
სა და ცხოვრების დეტალების შესახებ. არა მხოლოდ სანათასა და ლე-
ლას ცხოვრებისა და მათი ყოველდღიურობის შესახებ გვიქმნის წარ-
მოდგენას პოეტი, არამედ თითოეული მოქმედი პირის შესახებ. ამას
კი იგი აღწევს მათი ქცევის, მათი იმ ფუნქციის წინ წამო-
წევით, რაც ნაწარმოების საერთო აზრით არის გაპირობებული. თი-
თეული პერსონაჟის ხასიათის მიმართ მკითხველის ყურადღება გა-
მახვილებულია მათი ზნეობის არსისა და თვისების ირგვლივ. პოემის
პერსონაჟებთან ახლოს მისვლისას მკითხველს ვერ წარმოუდგენია,
რომ პოეტს რომელიმე კონკრეტული ადამიანი არა ჰყავს გამოყვანილი
და აღწერილი, იმდენად სიცოცხლის უნარიანნი არიან ისინი და იმდე-
ნად ტიპიურ-ადამიანურნი.

სანათა მოხუციაო, გვაცნობს პოეტი, მართლდა ის დარჩენილა
ოჯახში, რომელიც ოდესღაც მრვალწევრიანი ყოფილა. სანათას ქმა-
რი და შვილები მტერთან ბრძოლაში დაღუპულან. სანათა დარჩენილა

მათი სულების საოხად და მათ მომგონედ. მას უყისრია ოჯახის ყველა დახოცილ წევრთა ყველა საქმე, საკლავსაც თითონ კლავს, მათ საფლავებზე სანთელსაც თითონ ანთებს. სანათას აღრჩობს ჯავრი არა მხოლოდ თავისი უპატრონოდ დარჩენილი სახლ-ქარისა, არამედ ქვეყანისა:

„სრულ ჩვენ რაღა ვართ ტანჯვაში,
კენესა რად ისმის ჩვენითა?
როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
მიწა ვასველოთ ცრემლითა?
ან მიწა რად არა სძლება
დამდნარის გულის წვენითა?!
როდემდის უნდა ვიბანოთ
სისხლით პირი და ხელები?
შვილთა მავივრად დედებსა
ძუძუს გვიწოდეს გველები?! ...
ვაჰმე, გაგვიწყდა; აღარ გვყავს
ამ ფშავის ხეკას მცველები!“

სამშობლო ჩიქილა-მოხდომილ ქალს დამსგავსებია მტრის უდიერობითა და თავხედობით. მწუხარებისაგან მოტეხილს მაინც შესწევს ძალა, თუკი მისი ქვეყანა მტრისაგან იხსნის თავს, თუ მტერზე გამარჯვების ხმას გაიგონებს, „იმავე დღეს, შვილო, დედილამ, კრელს ჩავიცვამდი კაბასა, არ ვიგლოვებდი იმიერ ჩემს ჯულურას და საბასა, ჩემს წარბ-დაღურბლვილს ივანეს... ტანადბალს ხუმარას, ბატარას...“ რომელი ერთი იგლოვოს, ქმარი თუ შვიდი ვაჟაკი შვილი.

ისეთ ვითარებაშია წარმოდგენილი სანათა, რომ სრულიად არ არის საჭირო მისი ცხოვრებისეული დეტალების აღწერა თუ გარეგნობის დახატვა. ჩვენს წინაშე ვაჟა-ფშაველა აყენებს ქართული ქალის მონუმენტურ სახეს. ასეთი მანერით აოის დაჩაბული ყველა პერსონაჟი, თვით ის საბრალო და გულნამცეცა წიწოლაც კი, რომელმაც თავი ჩამოიღრჩო სამშობლოსა და თანამებრძოლთა წინაშე დანაშაულისათვის.

კვირია, ლელა, ლუბუმი — თითოეული ცალ-ცალკე, მათი მიმართება ლაშქართან. დიდ საეროვნო საქმესთან, სამშობლოს მტრისგან დახსნასთან, მკითხველს წინაშე შარავანდედით მოსილ სახეებს ავლენენ დიდ, სახალხო საქმეში ჩაბმულნი სრულყოფილად და სავსებით არიან ცალკეულ, პატარა შტრიხების მეშვეობით დახასიათებულნი.

1901 წელს ჟურნალ „მოამბეში“ ვაჟა-ფშაველამ დაბეჭდა პოემა „გველის მკამელი“. ამ ნაწარმოებზე იგი წერდა: „ამ პოემისათვის

ხალხის თქმულებამ მომცა მხოლოდ შემდეგი მასალა: მინდია ქაჯეთს იყო ტყვედ. დამტყვევებელთ მოუხარშეს გველი და აჭამეს, რომ მოეწამლათ. მაგრამ საწამლავემა ზიანის მაგივრად არგო მინდიას. ხევსური შეიქნა ბრძენი, იმას ესმოდა ყველა მცენარეთა ყვავილების ენა. ამის წყალობით იმან შეისწავლა ექიმობა და პირველი ჯანაოზი დადგა. ყველა მცენარე შესძახოდა, მე ამა და ამ სნეულების წამალი ვარ, ამგვარად სახმარიო, და ისიც ამ ყვავილებს აგროვებდა და ყოველგვარ სნეულს არჩენდა. ამის მეტს ხალხური თქმულება მინდიაზე არაფერს გვეუბნება“.

ვაჟა-ფშაველა არ გაჩერდა ხალხური თქმულების ამ დონეზე, მან გააღრმავა გველის მჭამელის პიროვნება, მისა უნარი ბუნებასთან ურთიერთობისა და დაუმატა მინდიას და მის ირგვლივ მყოფთა დამოკიდებულება „გამეცნიერებულ გლებთან“.

ის ამბავი, რამაც მინდია ბუნების მეტყველად აქცია, გამოყენებულია პირველ თავში, შემდეგ პოეტმა შკითხველს გადაუშალა მინდიას პიროვნების არაჩვეულებრივი სახე და ხასიათი. ვაჟა-ფშაველამ გახსნა ადამიანის ის სამყარო, რომელიც მის შიგნით, აზრში, გონებაშია მოქცეული, გარეგნულად ჩვეულებრივი ადამიანი, ინტელექტით, გონებით სხვაგვარი და სხვაგვარად ამდლებული, შეძლება ითქვას, ერთადერთია, პოემაში გარემო არ არის ისეთი ფონი და ისეთი შინაარსისა, რომელიც ადამიანის გონებას მიაქცევს გარკვეული საქციელისაკენ ისე, როგორც, მაგალითად, ალუდა ან ჭოყოლაა. „გველის მჭამელში“ არიან მოქმედი პირობები, დახატულია მათი საქციელი, მათი შეხედულებანი, ამასთან, პოეტი გვიჩვენებს თვით მინდიას იმ ადამიანებისა და მათგან წამოყენებულ საკითხთა მიმართებაში რას განიცდის მინდია სხვათაგან გამოთქმულ მოსაზრებათა მოსმენისას ან სხვათა საქციელის საპასუხოდ, როგორი ჩნდება მასში რეაქცია სხვათა სიტყვაზენაწარმოების ცენტრში, ამრიგად, მინდიას პიროვნება დგას და ყველა და ყველაფერი იმისთვისაა წარმოდგენილი, რომ გავიგოთ, როგორია დამოკიდებულება მინდიასი ყველასა და ყველაფერთან.

მინდიამ სნეულებათა მკურნალობა ისწავლა, იგი წინასწარმეტყველიცაა, მომავლის გამგები, მტრის ხერხთა, ადამიანის იღუმალ ზრახვათა გამომცნობელი. „მხოლოდ ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხი“, ყოველგვარი სიკეთე თემის სასარგებლოდ მიმართა, მას აღარაფრისა აღარ ეშინოდა, „შალია ტყვიასავითა“. მინდიამ „იცის მტრის დასამარცხები და შემმუსვრელი ფანდია“, „თუ დაჭრილს ცოცხალს მიუღწერო, ნუ აქვს სიკვდილის დარდია“, რადგან „შუაზე გაჭრილს

გაჰკურნავს მის უებარი წამალი“. ამიტომაც ხევსურთ ლაშქარი არ მცირდება. „შორს არის ამბად გასული“ მინდიას თავგადასავალი.

მინდიამ ხალხს სიკეთე და გამარჯვება მოუტანა. ხევსურ-ფშაველები მას თავის ბურჯად თვლიან.

„ბევრჯელ მოუნდათ ლაშქრობა
ლეკ-სპარსებ, ქისტებ, თურქთანა;
გამარჯვებულნი მოდიან
ხევსურეთს ვაჟნი მუღამა.
ზღუდე გამაგრდა ქართლისა,
მტერს შაუკერეს სუღარა.
ერი თუ მტრის მძლეველია,
მის მეტი არა უნდა რა.
მინამ მინდია ჰბელადობს,
ხევსურებს არა უშავთ რა.“

მინდიამ უმაღლეს სიკეთეს მიაღწია, იგი ხალხის მოკეთეა:

„ნეტავი იმას, ვისაც კი
მალღიერი ჰყავს ქვეყანა...“

თავის ახალ თვისებას მინდია ინარჩუნებს მანამდე, ვიდრე ბუნებასთან შეთანხმებულია და შეხმატკბილებული. ბუნებასთან კავშირის გაბმა მას არ უჭირს, მას უყვარს იგი. ეს სიყვარული ბრმა არ არის, არც სტიქიური, იგი გამსჭვალულია აზრით, ურთიერთგაგებით. ბუნება სიხარულით გადაუხსნის გულს ადამიანს, ამასთან მოიხთოვს ფრთხილსა და სათუთ მოპყრობას მათ მიმართ, რაც არსებობს, იზრდება და ყვავილობს. გაზაფხულამდე მინდია მოედება მთასა და ბარს, თითოეულ ყვავილს, თითოეულ ბუტკოსა და მდილს ესალმება,

„ბუნებაც „ვაშას“ უძახის
მდიდრად შორთულის აღმითა.
ყვავილნი ყელ-გადაგდებით,
დაბატულები კალმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო“,
ერთხმად ასტეხენ ყიყინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა.
და მერე სათითაოდა
ყველა მოჰყვება ტიტინსა.
„მე ვარ ამისი წამალი“,
სხვა გაიძახის — „იმისა“,

მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს;
ჭერ ზედ ნამი აქეთ დილისა.
თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:
ოღონდ ეწამლონ სნეულთა..“

მინდიასა და ხალხს შორის უთანხმოება არ არის. ხევისურებს, მართალია, არ ესმით მისი აზრები, ხეების მოუჭრელობა და ნადირთ დახოცვის აკრძალვა (ეს მათთვის არანორმალურია), მაგრამ მაინც სწამთ თვისტომისა, რადგან ხედავენ მის საქმეს, სიფაქიზეს, აზრთა სიმადლეს.

მაგრამ, შევა თუ არა მინდია შინ, მაშინვე

„სახლიდან ისმის ჭავრობა,
ხმა კამათობის, წყრომისა,
ბევრნიც არავენ არიან,
საუბრის კილო ორისა.“

მინდია და მისი ცოლი მზია წყრომით საუბრობენ. მზიას ისე უნდა ცხოვრება, როგორც სხვები ცხოვრობენ. „ყმაწვილნ უხორცოდ დაზრდილნი რა ვაუკაცობას იზამენ“, სიცივეში შეშაა საჭირო, ზის მოკრა აუცილებელია.

მზია ჩვეულებრივი ადამიანია, მინდია კი არაჩვეულებრივი. ცხოვრების კანონებმა თავის გზაზე მიაქციეს მინდია და მან ხელი აღმართა მცენარეებზე, ცხოველებზე. მინდიამ დაქარგა ყველა ის თვისება, რაც გველის ჭამით შეიძინა. მზია ეუბნება: „თავს რად იტკივებ ძალითა, შეშის ჭრას, ნადირთ ხოცვასა სხვან რად არ სთვლიან ბრალადა?“ შენც ისე მოიქეცი, როგორც სხვანია, მაგრამ მინდიას აღარ შეუძლია სხვასავით მოიქცეს. იგი, როგორც შემძლები სიკეთისა, მოკვდა. რაითლა გამოვადგე ქვეყანას, როცა ცოდნიდან დავცორიელდი, ყვავილთა ენას ველარ ვიგებ, მათი ცნობა აღარ შემიძლიაო. იგი თავს უკეთურად თვლის, ყოველგვარი ღირებულებიდან დაცლილად. სწუხს მეტად, რომ ცოლ-შვილის დღეც გათავდა, წმინდა რჯული გაყიდა და ყველასთან შერცხვენილია.

„ადგა და გულხელდაკრფით
გამოეფარა კარზედა.
მთათ რომ შეჰხედა მალალთა,
დაიქვითინა მწარედა.“

ხევსურთ მტერი შემოესია, მაგრამ მინდამ ველარ მისცა გამო-
ხადევი რჩევა მტრის დასამარცხებლად, ქისტების დასახვედრად ისე-
თი ადგილი ურჩია, რამაც უსიამოვნო ჩურჩული გამოიწვია. ორ
ღლეს გაგრძელდა ომი და დიდი ვაება, მინდია ცხარე ბრძოლიდან
ხევსურებმა შეკრული გამოიყვანეს. ხევსურნი დამარცხდნენ, მტერ-
მა სოფლები ცეცხლს მისცა. მინდამ დაინახა ეს და სიტყვა ველარ
თქვა:

„ხმლის ტარს შეხვო ცერითა,
ამოიწვალა ქარქაშით,
აუღოს მიიბჯინა წვერითა,
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა...“

ამ დროს მთვარემ გადმოაშუქა საჩიხვეების სერიდან, ნიავეც
უღარდელად ნელის მღერით ქროდა, მან ფრთა გაჰკრა კაცის გულ-
მკერდის წვენით შეღებილი ხანჯლის წვერს და ლალად, მოლხენით
და სტვენით გათამაშდა მწვანეზე...

ვაჟა-ფშაველა ბუნების შვილი იყო და ბუნების პოეტი. მის შე-
მოქმედებაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ბუნებას, მის სუ-
რაობებს, მის შემადგენელ ნაწილებს. რას არ აქცევს ყურადღებას
იგი და რა მრავალფეროვნად არის აღწერილი მართლაც მრავალფე-
როვანი სამყარო, რომელიც, შოთა რუსთაველისა არ იყოს „ჩვენ
კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“. უთვალავია ბუ-
ნების მოვლენები და ვაჟა-ფშაველამაც უხვად შეიტანა ყველაფერი
თავის შემოქმედებაში: მთები, მდინარეები, ხეები, კლდეები, მცე-
ნარეები, ნაირ-ნაირი ფრინველი, ირმები, შვლები, მგლები, დათვები,
მელიები; მრავალი ყვავილი, ლამაზი პირიმზე, ქუჩი და ხავსი და
ვინ იცის რამდენი რამ. აღსანიშნავი ისაა, რომ ვაჟა-ფშაველა მათ
ბოტანიკისა და ზოოლოგიის თვალსაზრისით კი არა, არამედ როგორც
დამოუკიდებლად არსებულ არსებებს გვაცნობს, რომელთაც აზრი
აქვთ, მსჯელობენ კიდევ, ადამიანივით განიცდიან სიცოცხლესა და
სიკვდილს. ყოველი არსება, მოძრავი თუ უძრავი, სულიერი თუ
უსულო განსაკუთრებული სიცოცხლით ხასიათდება, მათ ერთმანე-
თის კავშირი და არსებობა ასიცოცხლებს, ისინი ერთმანეთს უგე-
ბენ, მთები ნიავს ესაუბრებიან, ბალახები და ყვავილნი ლაპარაკო-
ბენ, მთის წყარო, ხმელი წიფელი, ფესვები თავის სიხარულსა და
ტკივილს გვიზიარებენ, ია მორცხვობს, ბურქის ძირიდან იყურება
ნაზად.

საოცარი ჰარმონია არსებობს ბუნებაში, მისი მოვლენები ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთთან არიან შეთანხმებულნი და ერთიან, მთლიან სამყაროს შეადგენენ, რომელშიც ადამიანიც იღებს მონაწილეობას.

ბუნება ადამიანის გამგებიც არის, მისი წადილის აღმსრულებელი, მაგრამ ხშირადაც იგი თავისში და თავისთვის არსებულიცაა ადამიანის სურვილისა და წადილის გარეშე. ბუნება თავისი გზების მქონე და თავის ნებაზე მოსიარულეა, ადამიანის გაქირვების მიმართ გულგრილი და უყურადღებო. ვაჟა-ფშაველა ხშირადაც ბუნებას აღწერს როგორც სურათს, პეიზაჟს, განიცდის მის სილამაზეს და უკვდავებას და პოეტურ ჩარჩოში მოაქცევს. ბუნების მეშვეობით პოეტი ამ საოცრების შემქმნელსაც უახლოვდება.

ბუნებას ადამიანური თვისებები და გრძნობებიცა აქვს: მდინარე მოჰყვებს, დღე პირბადეს იხურავს, წყალი გულამღვრეულია, არაგვი თვალებს იფშვნეტს, ნისლები მღერიან, მთანი ღრმად არიან ჩაფიქრებულნი ან საკინძი აქვთ ჩამოწყვეტილი და ჩოჩო კაღაა ჩამოგლეჯილი, მთვარეს მკლავზე სძინავს... ვეფხვეზი, კურდღლები, მელიები, შვლები, ირმები განკაცებულნი არიან.

ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“ ერთი პატარა მოთხრობაა. წყარო მკითხველს ესაუბრება თავის ბედზე: განცდებზე, თავის დანიშნულებაზე და სიხარულზე. გველაპარაკება ერთი სიზმრის შესახებ მან რომ ნახა და რამაც შეზარა მისი არსებობა. რა ბრწყინვალეა აზრი წყაროს არსებობისა, მისი სურვილია მუდამ იდინოს, მორწყოს ყვავილები და ბალახები, კაცთა და ცხოველთა წყურვილი მოკლას. ეს მიანიშნავს მას თავის ძირითად დანიშნულებად. სიზმარში კი ნახა, ვითომც დამშრალიყო, ბალახები და ყვავილები დამპყნარიყვნენ უწყალოდ, წიფლისჩიტამაც კი ვეღარ დაისველა ფრთები, ისე ამომშრალიყო წყაროს სადინარი. შეეშინდა სიზმარში წყაროს და გამოედვიძა, გული უკანკალებდა, შუბლზე ოფლი გამოსდიოდა როცა ზურგზე რქებგადწყობილი ირემი მივიარდა წყაროს და წყურვილი მოიკლა, წყაროს გაეხარდა — „არა ვარ გამშრალი, არა!“ — წამოიძახა მან სიხარულით.

მშვენიერი მოთხრობაა! ბუნების სურათია და, არა მარტო სურათი. აღმა ცხოვრების დანიშნულება: უნდა იცოცხლო, იარსებო, რადგან შენი არსებობა სხვასაც სჭირდება.

ამისთანა მოთხრობები ვაჟა-ფშაველას ბევრი აქვს. ერთხელ კიდევ გადაიკითხეთ მისი „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „ხმელი

წიფელი“, „კლდე მტირალი“ და სხვანი. ერთხელ კიდევ დატკბება ადამიანი მშვენიერი, ღრმა, ცოცხალი ბუნების სურათებით და იმ სიბრძნესაც ამოიკითხავს, თუ რა არის სიცოცხლე, არსებობა და მიზანი არსებობისა.

ვაჟა-ფშაველას ერთი შესანიშნავი თვისებაც ჰქონდა ბუნებასთან ურთიერთობისას, მისი დანახვა, ჩვეულებრივი თვალისათვის შეუმჩნეველის შემჩნევა. ბუნების რომელიმე სურათში იგი ასაწიერებდა რაიმე თვისებას. მას აქვს მოთხრობა — „მთანი მაღალნი“. მთები ერთმანეთთან დალაგებულან და რალაცას ელიან. მათი მოლოდინი უსაზღვროა, რადგან უსაზღვროა მათი არსებობა. ვის ელიან, რას ელიან? მთები პასუხს არ იძლევიან, მდუმარე მოლოდინით არსებობენ ისინი. მოთხრობის კითხვისას მთები ცოცხალ, ოღონდ უძრავ არსებებად წარმოდგებიან. მთებსაც აქვთ გრძნობა, მათაც იციან სიყვარული, აქვთ აზრი, ოცნებობენ... მაშ რა არის ის წყარო, რომელიც მათი მკერდიდან გამოდის, მაშ რა არის მწვანე ბალახი და ყვავილები, მათ მკერდზე რომ ამობიბინდებიან.

დგანან და ელიან. წვიმა წვიმს, ხშირად ელვა ეთამაშება მათ ქოჩორს, ზოგჯერ მეხი ისარივით ჩაერჭობა მთების გულში, მაგრამ არაფერია, ისინი მაინც დგანან და დიდი მოლოდინით ელოდებიან. რას? ვის?

რამდენი ამისთანა ბრწყინვალე სურათი აქვს დახატული ჩვენი მწერლობის დიდ მხატვარს — ვაჟა-ფშაველას. რომელი ერთი ვახსენოთ. აბა, გადაიკითხეთ მისი „დარეჯანი“, „პაპას მსოფლიო ფიქრები“, „ცრუბენტელა აღმზრდელი“, „პატარა მწყემსის ფიქრები“, პიეხა „მოკვეთილი“. როცა მათ შინაარსს ჩაუკვირდება მკითხველი, ოფიქრებს — რომელი რას სჯობია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში: ლექსები, პოემები, მოთხრობები... ვერც ერთს უპირატესობას ვერ მისცემს. ვაჟა-ფშაველა ერთი მთლიანი პიროვნებაა და მისი ლექსებიც, პოემებიც, მოთხრობებიც და ყველაფერი, რაც მის მადლიან შარკვენას შეუქმნია ერთი დიდი მთლიანი შემოქმედებაა, რომელიც შის მთის წყაროს მსგავსად დაუსრულებლად მომდინარეობს და დაუსრულებლად ამდიდრებს მისი გაცნობის მსურველს.

შემოქმედება ამისთანა პოეტისა, მის ერიან-ქვეყნიანად, დავიწყებას და სიკვდილს არ ექვემდებარება...

1914 წლის ბოლოს და მომდევნოს დასაწყისის ემთხვევა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ძალების უკანასკნელი გამოსხივება. ჩვენს წინაშე ისევე წინააღმდეგობით შეურყეველი, თავისუფლების მოყ-

ვარე ადამიანია, თვით სიკვდილსაც რომ არ მოუხრიდა ქედს, მაძიებელი, ახალგაზრდულად ბუნებას შეყვარებული. პოეტმა 1914 წლის ბოლოს დაწერა „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“. უეჭველად ავადმყოფობითაა გამოწვეული ერთი სიმღერის სტრაქონები:

„ნუმცა მსმენია სიკვდილი
და ნუმც მინახავ ლომისა!
ნუმც მინახია არწივი,
შნო აღარ ჰქომდეს ომისა!“

თანაც ჩარგლური პეიზაჟის შემცველია ეს სიმღერა:

„რა ლამაზია დილითა,
მზე რომ სხივს მოჰფენს გორისა!
ნუმც წაუხდება მშრომელსა
წმინდა ნალეაწი შრომისა!“

დასნეულდა ვაჟა-ფშაველას სხეული, ხშირად ავადმყოფობდა. თავისი პატარა სახლის ვიწრო ფანჯრიდან გაჰყურებდა ფერდობზე გაჭრილ საყანე მიწის ნაპერს:

„შე შენის ტრფობით ვერ გავძელ,
შენ — ჩემის სიძულვილითა.“

უთხრა პოეტმა თავის გარემოს, მაგრამ.

„ვერ გილატებ მაინცა,
აუნდ ხორცს ვიგლეჯდე კბილითა,
გულ-დაკოდილი შენგანა
მითც ღმერთს გახვეწებ სიტყვითა...
შენი ვარ დიდი ერთგული,
ვერვინ შემხედავს იპვითა,
შენი ვარ, შენთვის მოგკედები,
თუნდ შხამს მასმევედ ჟიხვითა“

აკაკი წერეთლის გარდაცვალებას უძღვნა მან ლექსი „უკანასკნელი სალაში“, ქვესათაურით — აკაკის ნეშტს. პოეტი ემშვიდობება სამშობლოს და მიდის იქ, სადაც მუხლმოდრეკილი გმირები — დავით, თორნიკე დგანან. ვაჟა-ფშაველა რემინისცენციებით შლის ლექსის არეს — ღვაწლშემოსილი გმირები, ვითა ზღვის ქვიშა („ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა“), შეივედრებენ ქართველის ვედრებას. ღმერ-

თი შეისმენს თამარის, ნინოს და ქეთევანის ლოცვასაც. აკაკის სული მათ მიმართავს, „ვისაც გპირსთ გულის ფრიალი მგოსნობისა“, ვისაც სახელის მოხვეჭისათვის გამოუცლია ფიალი,

„დიდიცა გქონდეთ გულშია
თავის სამშობლოს ტრფიალი
უმისოდ სახელის ძებნას
ვცდება ოხერ-ტალი“

ლექსში „დიდი თამარი“ ვაჟა-ფშაველა თავის თავს „საწყალ ფშაველს“ უწოდებს. თამარი ყველას გულში ანთია ლამპრად, ნათობს და არა ქრება, იგი ქართველთა მოწყალე ლამაზი დედაა, სათნოების საუნჯე, რუსთველის ქებას ჩვეული. ვაჟა-ფშაველამ ლექსი თამარის დღესთან დაკავშირებით დაწერა. ძველად პირველი მაისი თამარის ხსენების დღე იყო. ლექსი 2 მაისს გამოქვეყნდა.

აპრილში კი ვაჟა-ფშაველამ კვლავ საწინააღმდეგო ამბავი შეიტყო — გორში მისი საყვარელი მასწავლებელი ნიკო ლომოური გარდაიცვალა, ტკბილმოუბარი ქართველი მწერალი:

„გული გამოკლა ბედის სიმუხთლემ,
რას ჩაგვაცივდა, ჩვენგან რა უნდა?
კარგის მოღვაწის ენა, მარჯვენა
რად დაადუმა, რად გააცუდა?“

უფრო დიდი ლექსი სხვა უძღვნა მან ნიკო ლომოურს. მაშინ ახალ ნაავადმყოფარს დიდხანს მაგიდასთან ჯდომა არ შეეძლო, მაინც დაწერა მოზრდილი ლექსი: ცრემლში მინდა ნალღველი გავლესო, მაგრამ რად უნდა ცრემლი იმას, ვინც სხვის თვალში აშრობდა ცრემლს და სხვისი დარდი გათავისებული ჰქონდაო, ტკბილმოუბარ ენას ცრემლი არ უხდებო, მაგრამ, ვაი რომ ჩვენს სმენას იგი ველარ დაატკობს. სამარის კარი დამშვევდა მისი მიღებით, იქ კი ილია გაეხმაურება თავისი ნატკენი გულით. ჩვენ წინაპართ გადაეციო, მიმართავდა ვაჟა-ფშაველა ნიკო ლომოურის ხსოვნას:

„არ წაგხდით უთქვენობითა
და თქვენს დათესილ ამავსა
არ გაეხდით საყვავ-ყორნედა.
თუმც მრცხენის, მაგრამ ვაჟაკიც
ველარა ვმალავ ცრემლებსა,
შეგვინდვან შეცოდებანი,
შენი მოწაფე გვედრებსა.“

1915 წლის გაზაფხული იდგა. ერთ დღეს ვაჟა-ფშაველა თბილისის გზას დაადგა. რაც უფრო უახლოვდებოდა თბილისს, მით მხნეობა ემატებოდა. მცხეთიდან თბილისამდინ მატარებლით იმგზავრა. სადგურიდან ვერაზე ფეხით წავიდა. ვერის აღმართზე უმცროსი ძმა — სანდრო შემოხვდა. ვაჟა-ფშაველამ ხურჩინი ძმას გადასცა, ნაბადო კი არ მოიხსნა — ავად ვარ, გაციებისა მეშინიაო, თან დაუმატა — ვერ მიდის საქმეები კარგადო.

თბილისში ყოფნისას ხშირად იგონებდა აკაკი წერეთელს. „ვერ გაეცილო“ — იტყოდა თურმე. დაწერა ლექსი „მოწოდება“ და მიუძღვნა აკაკის ხსოვნას. აკაკი მოუწოდებს თავის სამშობლოს შვილებს — რომ არ მაცლიდით მღერას, რად იმალებით, რამ წარიტაცო თქვენი ფრენა მაღალ ფარდებში? ჯავრი მომდის თქვენზე, თურმე გულს ძალად ინთებდით, სხვისგან ნასესხებ მარგალიტებს საკუთარივით აბნევდით და ვისგანაც იგი ვჭობდათ მიღებულო, მას ხმის ამოდებას არ აცლიდით. საქმე ბოლოა, ვისაც ერის სახიერება სჭირს, მას შნო და უნარი სიმღერისა არ დაეღევა, თუნდაც ათასი წელიწადი იცოცხლოს. ნამდვილ ნიქს ცხოვრების ლახტი ვერ მოკლავს, ვერც სატრფოს გაუტანლობა, ვერც ქლარის გამრავლება:

„ნამდვილ ნიქს მხოლოდ ერთი ჰკლავს,
წამი იმ ამოქშენისა,
როს დაირღვევა სმთელე
კაცის სიცოცხლს ბეწვისა,
როს სული, ღვთისგან ჩადგმული,
ღვთისგანვე წაერთმევისა.“

მეგობრებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ვაჟა-ფშაველას თბილისში ყოფნით და აღენიშნათ მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ოცდათხუთმეტი წლისთავი. და, აი, მას უხდინან დღესასწაულს, როცა აღარც ილიაა და აღარც აკაკი, აღარც მისი საყვარელი მასწავლებელი ნიკოლოზოური, აღარც იაკობ გოგებაშვილია, თვით ვაჟა-ფშაველაც დაავადმყოფებულია...

გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა კარიკატურა: ვაჟა-ფშაველა დაკერებულ-დაგლეჯილი ჩოხით გოლიათად არის გამოხატული, მის წინ ქონდრის კაცების გრძელი რიგია. სურათს ახლავს წარწერა: „ვაჟა-ფშაველა (მორცხვად): შემენიშნას“.

23 მაისს სახაზინო თეატრში (ახლანდელი ოპერისა) გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომლის ხელმძღვანელებად გამოყოფილ-

ნი იყვნენ ვალერიან გუნია და კოტე მაყაშვილი, იყო გამოსვლები, იყო აგრეთვე ვანო სარაჯიშვილის სიმღერა, კავსადის გუნდი, სცენაზე შემოიყვანეს ვაჟა-ფშაველა. მისკენ იყო მიპყრობილი ათასი თვალი და გული. იმ დღეს მხარტვეს მას დაფნის გვირგვინი წარწერით: „ქართული პოეზიის არწივის“.

ქართველმა საზოგადოებამ პოეტს სიყვარული დაუდასტურა. მან თავისი თვალთ ნახა ეს სიყვარული, მაგრამ, ვაი, რომ სნეულდება გასჯდომოდა სხეულში. საიუბილეო ზეიმის შემდეგ ბანკეტი ორთაქალის ბაღში გაიმართა. თეატრში ცხელოდა. გახურებულ-გაოფლიანებული ვაჟა-ფშაველა ეტლით წაიყვანეს ორთაქალაში. გრილი ნიავი ჰქროდა, ვაჟას გააჟრჟოლა, მაგრამ თავს იკავებდა. იქაც მილოცვები, სიტყვები, სიტყვები...

ექიმმა მარცხენა მხარის პლევრიტი დაადასტურა. გული ჰქონდა გადაღლილი. ერთ კვირაში პლევრიტი მეორე მხარესაც დაეწყო. წყალი უნდა ამოეღოთ. ივნისის შუა რიცხვებში ავადმყოფი ლაზარეთში გადაიყვანეს. ლაზარეთი, პირველი მსოფლიო ომის დროს მოთავსებული იყო ახლანდელი თბილისის უნივერსიტეტის შენობაში. იქ საუკეთესო ქართველი ექიმები მსახურობდნენ. წერილი ბევრი მოსდიოდა, ყველას კითხვას საღ შესძლებდა. ერთმა კი ღიმილი მოჰგვარა: „მამამ მოიტანა ამბავი თქვენი ავადმყოფობის შესახებ. სთქვა, რომ ჰაერი უეჭველად საჭიროაო. თქვენ, ძია, მაგ ექიმებს ბევრს ნუ უჯერებთ. მაგდენ წამლებს გასმევენ, დაგამწყვდიეს მაგ შეხუთულ ქალაქის კედლებში და, რასაკვირველია, კაი არ დაგემართებათ. მთის არწივი რომ მახეში დაამწყვდიონ, აბა, როგორ შეიფერებს? აბა, თქვენს ლექსს უგდეთ ყური: არწივი ვნახე დაქრილი (და ლექსი ბოლომდე იყო გადმოწერილი, თითქოს ვაჟას დავიწყებული ჰქონდეს იგი!). შენი დაძლევა ეგრე ადვილი ნუ ჰგონიათ... აბა, ძია, აქ ამოდი, ჩვენსა, თუ ეგ ავადმყოფობა თოფნაკრავივით არ გაიქცეს. თაფლიც უეჭველად მიირთვით, ძია. ეგ ყველაზე კარგი წამალია“. იქვე მისამართთან მინაწერი გაეკეთებინა: „ძია, ჩვენსა ამოდი უეჭველად. აქ ისულ ჩქარა გახდები კარგა.“

პატარა ძმისწული, თედოს შვილი ნინო ეპატიებოდა სასიქადულო ბიძას ხელთუბანში.

6 ივლისს მეორედ ამოუღეს ფილტვებიდან წყალი. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ამის გამეორება აღარ იქნებოდა საჭირო. ავადმყოფს ზანგრძლივი მოსვენება ესაჭიროებოდა. ლაზარეთში კიდევ ორიოდე კვირა და შემდეგ ავარაკზე, ერთი-ორი თვით, სურამში ან წაღვერში.

ავადმყოფს ეჩქარებოდა გამგზავრება. ღართალია ცალკე ოთახში იწვა, მაგრამ მაინც ლაზარეთი იყო, რომელიც თურქეთის ფრონტზე დაპირილი ჯარისკაცებით იყო სავსე. სიცხე, მტვერი აწამებდა ქალაქში. მთა ენატრებოდა, იქაური ჰაერ-ნიათით, წყაროთი.

ერთ დღეს ვაჟამ თავის ძმას, სანდროს მიმართა: „ალექსანდრ პავლოვიჩი, შენ და შიო ილარიონოვიჩმა მამადავითის ეკლესიასთან კლდეში რომ წყარო გამოდის, უნდა ჩამომიტანოთ. კლდიდან ნაყოფი წყალი მაინც სულ სხვა არის და, რომ დავლევ, მთას თვალწინ დამიყენებსო“.

27 ივლისს სულ ფშაებზე ლაპარაკობდა, ხალისიანად იყო, ოხუნჯობდა კიდევ. შუადღის შემდეგ ზოწყალების დას ჰკითხა:

— რომელი საათია?

— სამი, — უპასუხა ანიკო კობიაშვილმა.

— მიკვირს, სამ საათამდე როგორ ვიცოცხლე. იმას ვგრძნობ, რომ ეს საათი ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი საათია...

სალამოს 6 საათზე ვაჟა-ფშაველამ ცუდად იგრძნო თავი.

ექიმმა გასინჯა: გული გაჩერებულიყო... მალე გონებაც დაკარგა... გონება... ვაჟა-ფშაველასი... გული და გონება...

ვაჟა-ფშაველას სიკვდილი არ სწამდა. ათასნაირი და ათასფერადი სიცოცხლე უკვდავ ფენომენად მიაჩნდა მას, მხოლოდ ერთი თვისების მქონედ: სხვადასხვა სახით ჩნდებოდა სიცოცხლე, გამუდმებულ ტრიალში რომ იმყოფებოდა. სწორედ ეს თქვა მან სიკვდილის წინ დაწერილ ლექსში:

„ნეტავი როგორც მიწასა
დაამშვენებენ იანი
გაზაფხულზედა, ისე მე
დღე გამოთენა მზიანი.
სულს ობოლს, უპატრონოსა
ალარ ჰლრდანდენ კიანი,
მისი მიდამოც ჰშენოდეს
თავ-ბოლოს ყვაეილიანი,
დასტრიალებდენ მერცხლები,
ენა აქვთ კიკიკიანი.
ობოლის სულის ბალშია
უღბულის სტვენა მსმენოდა,
იმის ყეფით და „ტია-ტიო“
თუნდა მრავალი მწვენოდა.
დვადრომის, დაკუტებულსა
ფეხზედ ადგომა ჰშენოდა.“



ვაჟა-ფშაველას საფლავის ქვა მთაწმინდაში.

მეც გულზე იმის პატრონსა
ბილალე გადამფრენოდა,
გადმოლაშქებულს თვალებში
ნათელი გადამფრენოდა.“

ეს ლექსი ვაჟა-ფშაველას დაბეჭდილი აღარ წაუკითხავს.
1915 წლის 2 აგვისტო ცხელი ღღე იდგა თბილისში. ქაშვეეთის

ექლესიაში ბევრს მოეყარა თავი. დღეს ასაფლავებდნენ ლუკა რაზი-
კაშვილს — ვაჟა-ფშაველას. ეკატერინე გაბაშვილმა ვაჟას კუბოსთან
მიიტანა გვირგვინი. შუაზე გადატეხილი კალამი ჰქონდა გაკეთებუ-
ლი გვირგვინს და იყო წარწერიანი ბაფთა: „ვაჟა-ფშაველას ქართვე-
ლი ერისაგან“!

უნივერსიტეტში, იმ აუდიტორიის წინ, რომელშიც ავადმყოფი
ვაჟა-ფშაველა იწვა და გარდაიცვალა, დგას პოეტის ბიუსტი და
არის მარმარილოს წარწერიანი დაფა: „აქ გარდაიცვალა დიდი ვა-
ჟა-ფშაველა“.

„ნუ დამზრტ, ქვესკნელს ნუ მიმცემ...“
(...შემოდგომა მთაში)

გ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა

„ლიტერატურული თხრობანი“ უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. მაღლიანი ქართული ლიტერატურა თხუთმეტ საუკუნეს ითვლის ამ ისტორიის თითოეულ ეტაპზე მრავალი შესანიშნავი, თანაც ეპოქალური, უკვდავი თხზულება შეუქმნია ჩვენს ხალხს. „ლიტერატურული თხრობისათვის“ აუარებელი მასალა არსებობს, ხოლო ეს მასალა მოიცავს ისეთი მწერლების ნააზრევს, როგორებიც არიან იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულე, იოვანე საბანისძე, შოთა რუსთაველი, თეიმურაზ პირველი, ვახტანგ მეექვსე, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვანი, XIX საუკუნის ბრწყინვალე პოეტები და მწერლები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, შემდეგი პერიოდის შემოქმედნი — ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი და სხვანი, თვით დღევანდელამდე. ყველა ის ხომ ქართული ლიტერატურის საგანძურს ამდიდრებს და ამკობს.

რასაკვირველია, ყველაფერი ერთი წიგნით ვერ ამოიწურება. ეს ხომ თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობაა, შექმნილი შესანიშნავი მწერლებისაგან, სიტყვისა და მხატვრული აზრის ოსტატებისაგან, რომელშიც აისახა თვით მწერალთა აზრი და გონება და ჩვენი ქვეყნისა და ერის, ჩვენი წინაპრების სურვილები და მისწრაფებანი.

მხატვრული ლიტერატურა საერთოდ და ქართული ლიტერატურაც ერთგული მასწავლებელია, რომელიც უშურველად გადმოგვცემს ძველად დაუნჯებულ ცოდნას, გვამცნობს იმ მიზან-მისწრაფებებს, რაც ოდესღაც აფიქრებდა და ამოქმედებდა გარდასულ ეპოქათა ადამიანებს, საზოგადოებებს. ქართული ლიტერატურის მეშვეობით შეიძლება თვალი გავადევნოთ ქართველი ერის ისტორიას, არსებობისათვის მის მცდელობას და ბრძოლას. ამ მხრივ იგი დიდი შემეცნებითი ღირებულების მქონეა. ლიტერატურა გვასწავლის სახელოვან ადამიანთა ცხოვრებას, მათს ღვაწლსა და რუღუნებას,

საზოგადოებისა და ერის თვისებას და ხასიათს. ისინი გვასწავლიან, გვზრდიან და ცხოვრების, საქმიანობისა და მოღვაწეობის წარმართვის გზას გვიჩვენებენ.

ლიტერატურული ნაწარმოების ცხოვრების ღრმა შინაარსიანი და მხატვრულად მეტყველი მასწავლებელია, რომელიც უნდა გვიყვარდეს და გვწამდეს. მხოლოდ მაშინ შეძლებს იგი ჩვენი გრძნობებისა და განცდების მიმართვას იმ სიკეთისაკენ, რომლის გავრცელებასა და ქადაგებას ისინი ემსახურებიან.

თუ წინამდებარე „ლიტერატურული თხრობანი“ წამკითხველს რაიმე სურვილსა და ინტერესს აღუძრავს, მისი ავტორი მიზანს მიღწეულად ჩათვლის.

1984 წლის ოქტომბერი.
თბილისი.

